

ჰენრიხ იბსენი

კატლინა



ხუროთმოძღვარი
სოლნესი



გერმანულიდან თარგმნეს

აკაკი გელოვანმა

და

ვახტანგ ბეჟუაძემ

Catilina. Biggmester Solness.
Sämtliche Werke (in 8 B.),
vom Dichter autorisiert.

Berlin, Fischer-Verlag, 1904

„საბჰოთა საქართველო“ მკითხველს სთავაზობს დიდი ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის (1828-1906) ორი ცნობილი პიესის თარგმანს, ორივე თარგმანი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

„კატილინა“ იბსენის პირველი დრამატული ნაწარმოებია და საინტერესოა, რომ ის იბსენის ყველაზე უფრო „შექსპირისებური“ დრამაა. ამ დრამატულ პოემაში უკვე ჩანს ის ზეკაცური მოტივები, რომელთაც სრულყოფილი ასახვა პოემაში მომდევნო პიესებში, მათ შორის „ხუროთმოძღვარ სოლნესში“.

„ხუროთმოძღვარი სოლნესი“ იბსენის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებია, დაიწერა 1892 წელს („კატილინაზე“ 43 წლით გვიან). აქ „დრამატურგიული ხელოვნების ლომმა“ მთელი ძალით ასახა ტიტანური მისწრაფება სიმაღლისაკენ.

ქართველი ხალხისათვის დიდი ხანია ცნობილია იბსენი და მისი პიესები.

აქ წარმოდგენილი პიესებით დაინტერესებული მკითხველი კიდევ უფრო ახლო გაეცნობა ნორვეგიელი ხალხის დიდ შვილს.

4703000000—235

И—325—88

M 601 (08) 88

ISBN 5-529-00058-4

© ქართული თარგმანი. გამომცემლობა „საბჰოთა საქართველო“, 1988 წ.

კატალინა

სამმოქმედებრიანი ღრამა

თარგმნეს
ვანტანო ბიწურკილა
და
აკაკი გელოვანმა

ა ვ ტ ო რ ი ს ვ ი ნ ა ს ნ ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

დრამა „კატილინა“, რითაც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი, 1848-1849 წ. ზამთარში დაიწერა, მაშასადამე, მაშინ, როცა ოცდაერთი წლისა ვიყავი.

იმ ხანებში გრიმსტადტში ვიმყოფებოდი, საკუთარ ბედსა და შეძლებას მინდობილი. საარსებო წყაროც მე უნდა გამომენახა და უნივერსიტეტში შესვლაზეც თვითონ უნდა მეზრუნა. ეს მღელვარე დრო კახლდათ. თებერვლის რევოლუციამ, უნგრეთის აჯანყებამ, შლეზვიგიათვის ატეხილმა ომმა — ყოველივე ამან ძალუმი და ცხოველმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ჩემს განვითარებაზე, თუმცა ეს პროცესი არც მოგვიანებით დასრულებულა. მე მაღალფარდოვან ლექსებს ვუძღვნიდი მაღიარებს, ვამხნევებდი და მოეუწოდებდი განეგრძოთ თავიანთი სამართლიანი ბრძოლა „ტირანებთან“, კაცობრიობის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. ამასთან, რამდენიმე სონეტი ვუძღვენი მხეფე ოსკარს. ამ სონეტებში, რამდენადაც მახსოვს, გატარებული იყო ის მოთხოვნა, რომ ყველა წვრილმანი მოსაზრება განზე გადაედო და დაუყოვნებლივ დაეძრა ჭარბი შლეზვიგის საზღვრებისაკენ, მოძმეთა დასახმარებლად. რამდენადაც ამჟამად, მაშინდელი განწყობილებისაგან განსხვავებით, ძალიან მეეჭვება, რომ ჩემს ფრთოსან მოწოდებებს რაიმე არსებითი სარგებლობა მოეტანათ მაღიარებისა თუ სკანდინავიელთათვის, მოხარულიც ვარ, რომ ეს ლექსები ნახევრად ინტიმურ ხელნაწერთა ჩარჩოებს არ გასცილებიან. თავს მაინც ვერ ვიკავებდი და ხშირად, სულიერი მღელვარების ქამს, ჩემს ცეცხლოვან ლექსებში ჯატარებულ აზრებს ხმამაღლა ვიმეორებდი დაუფარავად, რაც, პირდაპირ რომ გითხრათ, ძალზე საეჭვო დაფნას მიმზადებდა, როგორც მეფობართა წრეში, ასევე მტრებს შორის. პირველნი მიესალმებოდნენ ჩემი ჭერაც შეუცნობელი კომიზმის მონაცემებს, მეორენი განცვიფრებას ვერა ფარავდნენ: როგორ თუ ეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც

ეგზომ უმნიშვნელო და გაურკვეველი მდგომარეობა უქირავს, ბედავს ასეთი სერიოზული საკითხების დასმას, რომელთა შესახებაც ჩვენ ვერ გავვიბედავს ვიჭონითო საკუთარი აზრი! ქვეშაირიტების გულისათვის უნდა დავძინო, რომ ჩემი საქციელით ბევრ რამეში ვერ ვაძლევდი საზოგადოებას განსაკუთრებულ იმედებს, რომ ჩემი სახით სამოქალაქო ქველმოქმედთა რიცხვს გაზრდიდა. მერე კიდევ ჩემი ეპიგრაზებითა და კარიკატურებით სულ გავიფუჭე საქმე ზოგიერთ გავლენიან ვინმესთან, რომელთანაც უკეთესი ურთიერთობის შენარჩუნება მმართველად და რომელთა აზრსაც მე მაინც ფასს ვაძლევდი. მოკლედ რომ ვთქვა, დიდ საერთაშორისო ქარიშხლის ხმაურში მეც ჩემს პატარა სამყაროში ვებრძოდი იმ ვიწრო საზოგადოებას, რომელთანაც აღმოვჩნდი მიჯაჭვული გარემოებათა და ცხოვრების პირობების ძალით.

ასეთი გახლდათ საქმის ვითარება, როცა საუნივერსიტეტოდ მზადების დროს გავეცანი სალუსტიუსის „კატილინას“ და ციცერონის სიტყვებს, მიმართულს კატილინას წინააღმდეგ. მე ხარბად დავეწაფე, ლამის დავიზებირე ეს ნაწარმოებები და აი, რამდენიმე თვის შემდეგ უკვე მზად მქონდა „კატილინა“. როგორც დრამიდან ჩანს, მე მაშინაც არ ვეთანხმებოდი ამ რომაელ მწერლებს და დღემდე მგონია, რომ რაღაცას წარმოადგენდა ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც უმრავლესობის შეუპოვარმა წარმომადგენელმა ციცერონმა გადამწყვეტი ბრძოლა ვერ გაბედა, ვიდრე არ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც მასზე თავდასხმა უკვე აღარ უქმნიდა საფრთხეს. ისიც საგულისხმოა, რომ ისტორიაში ცოტა მოიპოვება პიროვნება, რომლის ხსოვნაც ისე მტკიცედ იყოს დაკავშირებული მტრებთან, როგორც კატილინას ხსოვნაა.

ჩემი დრამა ლამის საათებშია დაწერილი. ჩემი პრინციპალი კარგი და კეთილსინდისიერი კაცი იყო, მაგრამ თავისი საქმის გარდა გავგონებაც არაფრისა უნდოდა, და მე თითქმის მოპარვა მიხდებოდა სამეცადინო დროისა, მერე და კიდევ ამ მოპარული დროის ნაწილი ჩემს პოეზიას მიჰქონდა! ერთი სიტყვით, დასვენების დრო აღარ მრჩებოდა, ისევე ძილისათვის გათვალისწინებული დრო უნდა მომეხმარა. მგონი, სწორედ ესაა იმისი მიზეზიც, რომ მთელი დრამის მოქმედება, ჩემდა უნებურად, ლამის დროსთანაა შეთანხმებული.

რასაკვირველია, ჩემს გარშემო მყოფი საზოგადოებისათვის ასეთი გაუგებარი გარემოება, რომ მე დრამას ვწერდი, სრულიად საიდუმლოდ უნდა შემენახა. მაგრამ მთლად გაუნდობლად ოცი წლის პოეტს საქმე გაუჭირდება, და მეც ჩემი საიდუმლო ორ თანატოლს ვაუწყებდი: ასე და ასეა ჩემი საქმე, პიესას ვწერ-მეთქი.

სამივენი დიდ იმედებს ვამყარებდით „კატილინაზე“, როცა მუშაობა დავასრულე. უწინარეს ყოვლისა თეთრად უდა გადაგვეწერა, რომ ფსევდონიმით შეგვეთავაზებინა ქრისტიანიის თეატრისათვის, შემდეგ კი როგორმე დაგვებეჭდა და მთელი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გაგვეხადა. ერთ-ერთმა მეგობართანგანმა, რომელსაც მეტისმეტად სწამდა ჩემი წარმატება, დრამის სუფთად გადაწერა იკისრა და ეს ამოცანა ისე კეთილსინდისიერად შეასრულა, რომ ერთი ტირეც არ გამოუტოვებია, მე კი უთვალავი ტირე მქონდა: სადაც შესაფერის სიტყვას ვერ ვპოულობდი, ტირეს ვსვამდი ხოლმე. მეორე მეგობარი, აწ განსვენებული ოლე ს. შულერუდი ხელნაწერით ხელში ქრისტიანიის თეატრისაკენ გაემართა. დღესაც მახსოვს მისი ერთ-ერთი წერილი, რომლითაც მატყობინებდა, „კატილინა“ თეატრში ჩაბარებულიაო. პიესას რომ მოკლე ხანში დადგამდნენ, ამაში ეჭვიც არ გვეპარებოდა, რადგან თეატრის დირექცია ხომ გაგებული ადამიანებისაგან შედგება! ასევე უდავო იყო ისიც, რომ დედაქალაქის ყოველი გამომცემელი დიდ ჰონორარს გადაიხდიდა ასეთი კარგი პიესის გამოქვეყნებისათვის. ჩემი მეგობრის აზრით, საჭირო გახდებოდა მხოლოდ ისეთი გამომცემლის შერჩევა, რომელიც პირველი გამომცემისათვის ყველაზე მეტ ფულს ჯარიმებდა. მაგრამ ხანგრძლივი და მომქანცველი ლოდინის შემდეგ ზოგმა დაბრკოლებამ იჩინა თავი. თეატრის დირექციამ ჩემს მეგობარს ხელნაწერი უკან დაუბრუნა ძალიან თავაზიანი, მაგრამ გადაჭრილი ჟიარით. მაშინ გამომცემლებს ჩამოუარა, მაგრამ იმათაც ერთიმეორის მიყოლებით უთხრეს იგივე, რაც თეატრის დირექციამ. ყველაზე უფრო ხელსაყრელი წინადადების შემთავაზებელმა გარკვეული თანხა პიოთხოვა დრამის დაბეჭდვისათვის ყოველგვარი ჰონორარის გარეშე.

ყოველივე ამან ჩემი მეგობრის რწმენა სულაც ვერ შეარყია. პირიქით, სწორედ ასე ხდებოდა წარმატების მოპოვება, მწერდა, ჯობია შენი ღრამა თვითონვე გამოსცეო. საამისოდ აუცილებელ ფულს მე გასესაგებ, მოგებას კი გავიყოფთო. მთელი ამ წამოწყების საქმიანი ნაწილის მოგვარებასაც თვითონ კისრულობდა, კორექტურის გამოკლებით, რაც მეტად მიაჩნდა: ასეთი სუფთა ხელნაწერიდან სწორად ვინ ვერ ადაბეჭდავს, წაკითხვა რა საჭიროაო! მორიგ წერილში მეგობარი მწერდა, მზად ვარ სულაც ზურგი ვაქციო უნივერსიტეტს და შენი ნაწარმოებების გამომცემს მივყო ხელი, ისეთ პერსპექტივებს გვპირდება ეს საქმეო. წელიწადში სამი პიესის დაწერა შენთვის არაფერია, ეს კი მუშაულებას მოგვცემს განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ, ევროპასა და აღმოსავლეთში ვიმოგზაუროთო.

მაგრამ პირველ ხანებში ჩემი მოგზაურობის საზღვრები ქრისტიანთა არ გასცილებია. მე იქ ჩავედი 1850 წლის გაზაფხულის დამდეგს; როცა გასაყიდად გამოვიდა დაბეჭდილი „კატილინა“. სტუდენტთა წრეებში პიესამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ კრიტიკოსებმა ლექსის სისუსტეზე ლაპარაკობდნენ და საერთოდ პიესა მოუმწიფებელ ნაწარმოებად მიიჩნიეს. დადებითი შეფასება მისცა მხოლოდ ერთმა, მაგრამ ისეთმა ვინმემ, ვისი აზრიც ყველაზე ძვირად მიიღირდა, და რომელსაც აქაც ერთხელ კიდევ მადლობას მოვასხენებ. ჩვენი გამოცემა ერთობ ძუნწად საღებოდა. ცალების გარკვეული რიცხვი ჩემს მეგობარს შერჩა ხელში. მახსოვს, ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ჩვენი მეურნეობა სრულიად გამოუსწორებელი სიძნელის წინაშე აღმოჩნდა, მთელი ეს ნაბეჭდი ქაღალდის მაკულატურა ერთ მედუქნეს მივყიდეთ. სამაგიეროდ მომდევნო დღეებში საარსებო პურის ნაკლებობა აღარა გვექონია.

გასულ წელს რომ ჩემს მშობლიურ მხარეში ვიმყოფებოდი, მეტად რე იქიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ, ჩემი სამწერლო ცხოვრების სურათები თვალწინ უფრო ნათლად დამიდგა, ვიდრე ოდესმე. სხვათა შორის, ჩემი „კატილინაც“ მომაგონდა და მეორედ მოვკიდე ხელი დრამის შინაარსი საკმაოდ დამვიწყებოდა, მაგრამ როცა გადავიკითხე აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ დღესაც შემეძლია ჩემად ჩავთვალო, — მეტადრე, რომ ეს იყო დამწყები პოეტის შრომა. ბევრი რამ, რაც შემდგომში ჩემი შემოქმედებითი შრომის საგნად იქცა: წინააღმდეგობა ნიქსა და მისწრაფებებს შორის, ნებისყოფასა და შესაძლებლობას შორის, წინააღმდეგობა, რაც შეადგენს კაცობრიობისა და ინდივიდუუმის ტრაგედიასა და იმავე დრამის კომედიასაც, — ყოველივე ეს ამ დრამაში უკვე გამოჩნდა ბუნდოვანი მინიშნებების სახით, და მეც გადავწყვიტე მისი მეორედ გამოცემა, თავისებური საიუბილეო შრომის სახით, რაზედაც ჩემმა გამომცემელმა ჩვეული ხალისით მომცა თანხმობა.

მაგრამ, ცხადია, არ შეიძლებოდა ძველი გამოცემის უბრალოდ გადაბეჭდვა. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ითქვა, სხვა არა იყო რა, თუ არა ჩემი დაუმთავრებელი და გაუსწორებელი კონსპექტის ანაბეჭდი, ან უფრო სწორად, პირველი შავი პირი. ეს პირი რომ გადავიკითხე, ნათლად გამახსენდა ყველაფერი, რაც მაშინ გონებაში მესახებოდა, ამავე დროს ვნახე, რომ ფორმა, რითაც ყოველივე ეს გადმოვალაგე, თითქმის არსად არ გამოხატავდა იმას, რისი გამოხატვაც მინდოდა.

ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი სიჭაბუკის დროინდელი ნაწარმოების

გადამუშავება, რათა მიმეცა მისთვის ის ფორმა, რასაც, ჩემის აზრით თავის დროზეც მივეცემდი, აუცილებელი მოცალეობა რომ მქონოდა საამისოდ, და საერთოდ გარემოებებს სათანადოდ შეეწყოთ ხელი. იღებეს, საერთოდ სახეებს და მოქმედების მსვლელობას კი, პირიქით, საერთოდ არც შევხებივარ. მთელი ნაწარმოები ფაქტიურად დარჩა იმად, რაც პირველად იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე დასრულებული სახე მიეცა.

ზემოთ თქმულის საფუძველზე ვთხოვ ჩემს მეგობრებს სკანდინავიასა და სხვა ქვეყნებში მიიღონ ეს ნაწარმოები, — ვთხოვთ მიიღონ ის, როგორც ჩემი სალამი დროის გარკვეული პერიოდის მიჯნაზე, რაც ასე მდიდარი იყო ჩემთვის ყოველნაირი ცვლილებითა და კონტრასტებით. ბევრი რამ იქიდან, რაზედაც მე ვოცნებობდი ოცდახუთი წლის წინათ, სინამდვილედ იქცა, თუმცა არა მთლიანად ისე ან არა ისე სწრაფად, როგორც მსურდა, რისი იმედიც მქონდა. ახლა მაინც ვფიქრობ, რომ ყველაფერი უკეთესისაკენ წავიდა, და მე არ ვისურვებდი, რომ თუნდაც რაიმე, უკან დარჩენილი, ჩემი ცხოვრებიდან გადაეარდეს, არ განვიცადო და არ გავიხსენო. მოკლედ, უკან რომ ვიხედები, ყოველივე ნახულსა და განცდილს თვალს შევაგვლებ ხოლმე მთლიანობაში, — მე განვიცდი მადლიერების გრძობას ყველაფრისა და ყველას მიმართ.

ჰენრიკ იბსენი

დ რ ე ზ დ ე ნ ი, 1 თებერვალი, 1875

თ ა რ გ მ ნ ა აკაკი ველოვანმა

მომკმედი პირები

ლუციუს კატილინა,
აერელია,
ფურია,
კურიუსი,
მანლიუსი,

რომაელი პატრიცი.
მისი მეუღლე.
ქურუმში ქალი.
კატილინას ნათესავი ყრმა.
ქველი მხედარი.

ლენტულუსი
კეპარიუსი
გაბინიუსი
სტატილიუსი
ცეთეგუსი

} ახალგაზრდა პატრიციები.

ამბოორიქსი
ოლოფიკო
ბერიკიცი

} ალობროგთა ელჩები.

ქურუმში ქალები და მსახურნი ვესტის ტაძრისა.

გლადიატორები და მხედრები.
ალობროგთა ელჩების ამაღა.
სულას აჩრდილი.

პირველი და მეორე მოქმედება მიმდინარეობს რომის მახლობლად და
ში, მესამე კი — ეტრურიაში.

მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ფლამინის გზა რომის კიშკართან. გზის პირას ხეებით დაფარული ბორცვი. ბორ-
ის სიღრმეში მოჩანს ქალაქის გალავანი. ხალამოა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა დგას ბორცვზე ბუჩქებს შორის, ხეს მიყრდნობილი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენ მოვალე ხარ! მოვალე ხარ! ასე მკარნახობს
სულის სიღრმიდან მომდინარე ხმა იღუმალი.
დიახ, გავუვები ძახილს მისას, რადგანაც შემწევს
მე საამისო ძალა, სიმხნე და ვაჟკაცობა.
უფრო მაღალი მიზნისათვის მოესულვარ ქვეყნად
და არა ასეთ ცხოვრებისთვის — აწ აღვირახსნილი,
შმაგი ვნებების სათამაშოდ რომ ვარ ქცეული.
ო, არა, არა, ამით მე ვერ დავიცხრობ წყურვილს,
ვერ დავიმშვიდებ სულს სევდიანს, აღსავსეს ტანჯვით.
ისევ ოცნებამ გამიტაცა. მე კი მჭირდება
თავდავიწყება. ყველაფერი დამთავრდა უკვე.
აწ უსაგნოა, უმიზნოა ჩემი სიცოცხლე.

(მოკლე პაუზის შემდეგ)

ო, სად ხართ, ტკბილო ოცნებებო სიჰაბუქისა,
რად განიფანტეთ, ვით ღრუბლები ცხოველი მზის ქვეშ?
სასოწარკვეთა, სინანული დამშთა მე ოდენ.
იმედის შუქი არ მინათებს არავითარი.

(შუბლზე ხელს იტაცებს)

უნდა გრცხვენოდეს შენი თავის, ზვიადო კაცო,
შენ ხომ არა ხარ ადამის ძე ჩვეულებრივი.
მიუხედავად ყოველგვარი ნიჰის და მადლის,
მუდამ განცხრომა, სიხარული გიტაცებს მხოლოდ.

(უფრო მშვიდალ)

და მაინც ზოგჯერ, როგორც ახლა, ამ მწუხრის უამსა,
ჩემს გულს შეიპყრობს ყრუ ტკივილი, წუხილი, კმუნვა,
როს გადაეხედავ ქალაქს ჩვენსას, მდიდარს და ამაყს,
სახელგანთქმულ რომს, იმწუთსავე წარმომიდგება
არარაობა, სიბილწე და მანკიერება,
რამიც ყელამდე ჩაძირულა ზვიადი რომი
და ამომძახის, მალეძებს მე ხმა შინაგანი:
„გამოიღვიძე, კატილინა, ეაჟკაცი გახდი!“

(შეჩერდება)

ეს ყველაფერი წარმოსახვის თამაში გახლავთ,
ნაყოფი ოდენ ღამისა და სიმარტოვისა.
მცირე ბგერაც კი სინაპდვილის შეაკრთობს უცებ
სულის წიაღში დაბუღებულ ყველა ოცნებას.

გამოჩნდებიან ქალაქისკენ მომავალი ალობროგთა ელჩები ამ ბ ი ო რ ი ქ ს ი
და ო ლ ო ვ ი კ ო თავიანთი ამაღით, რომლებიც კატილინას ვერ ამჩნევენ.

ამ ბ ი ო რ ი ქ ს ი

აი, მიზანი ჩვენი სწრაფვის — დიადი რომი!
აგერ ქალაქის გაღაგანი, იმის იქით კი
კაპიტოლიუმს, ცად ატყორცნილს, მოგვკარი თვალი.

ო ლ ო ვ ი კ ო

ეგ არის რომი? მბრძანებელი იტალიისა,
გერმანიისაც — მოკლე ხანში; ალბათ ოდესმე
იგი დაიპყრობს გალიასაც.

ამ ბ ი ო რ ი ქ ს ი

საუბედუროდ,
ოდესმე ეგეც აღსრულდება, ბატონო ჩემო.
რომის სამეფო ავიწროვებს შეუბრალებლად
და მიწად ამხობს თვის ქვეშევრდომ, ხელქვეით ხალხებს.
ახლა შევიტყობთ, თუ რა ბედი მოგველის ჩვენაც:
დაგვიფარავენ მჩაგვრელთაგან, დაგვიბრუნებენ
სიმშვიდესა თუ ქედმაღლურად გვეტყვიან უარს?

ო ლ ო ვ ი კ ო

დაგვიფარავენ უცილობლად.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

მეც მინდა მაგის
იმედი მქონდეს, ნამდვილად კი არა ვიციტ რა.

ო ლ ო ვ ი კ ო

რაო? შენ ვითომ გეშინია?

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

არის მიზეზი.

რომი ყოველთვის გულმოდგინედ იცავდა თავის
ძალაუფლებას. გაიხსენე, რომ ღირსეული
ბელადები კი არ მართავენ რომს, როგორც ჩვენთან.
ჩვენთან მბრძანებლობს ბრძენი კაცი ანდა მხედარი,
სათათბიროში ჭკვიანი და ომში პირველი;
ასეთ კაცს ვირჩევთ ბელადად თუ სასამართლოში
გამგებულად და წინამძღოლად ჩვენი ხალხისა.
აქ კი...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ჩამოსძახის მათ ბორცვიდან)

მბრძანებლობს ანგარება, ძალმომრეობა,
ძალაუფლებას ვერაგობით იგდებენ ხელში.

ო ლ ო ვ ი კ ო

ვაიმე, ძმებო, მოგვისმინა! რა გვეშველება?

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

(კატლინას)

ასე სჩვევიათ რომაელებს კეთილშობილთა?
მაგვარი რალაც დიაცებმა იციან ჩვენში.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ჩამოდის ბორცვიდან გზაზე)

ნუ გეშინიათ, მე ჯაშუში როდი გახლავართ,
მხოლოდ შემთხვევით გავიგონე ნათქვამი თქვენი...
მაშ ალობროგთა ელჩები ხართ, რომს მომავალნი?
ნუთუ გგონიათ, რომ სამართალს იპოვით თქვენ აქ?
უკან გაბრუნდით! ქედმაღლობა, ძალმომრეობა,
ისე ვით არსად, თავხედურად ზეიმობს ჩვენიში,
მართალი არის, რესპუბლიკად იხმობა რომი,
მაგრამ დაადეს მოქალაქეს ხუნდები მონის;
ყველა სენატის მოვალე და მოხარკე გახლავთ,
სჯის და იწყნარებს, მოისურვებს როგორაც იგი,
დიდი ხანია, გაქრა აზრი თავისუფალი
ძველი რომისა, მგოსნები რომ ასხამდნენ ქებას.
სენატის უინზე ჰკიღია აწ ჩვენი სიცოცხლე,
თავისუფლებას, ვით წყალობას, გვასყიდებს იგი.
სამართლის ნაცვლად ჩვენთან მეფობს ძალმომრეობა,
კეთილშობილი მსხვერპლი არის სიძულვილისა..

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

მაგრამ გვითხარი, ვინ ბრძანდები, ასე უღმობლად
რომ შეაკვეცე ჩვენს განზრახვას, ჩვენს იმედს ფრთები?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ადამიანი, მოტრფიალე თავისუფლების!
ძალმომრეობის, მჩაგვრელობის სასტიკი მტერი
და მეგობარი ყველა კაცის, ვინც იჩაგრება,
მუდამ მზადმყოფი ძლიერებთან შესარკინებლად.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

რომი — ჩაგრული? უფრო ნათლად ილაპარაკე!
გსურს მოგვატყუო? გსურს ვირწმუნოთ, თავისუფალი,
ზვიადი ხალხი რომ აწ მონად გადაქცეულა?
რომი, ვით წინათ, ნუთუ აღარ მფარველობს სუსტებს,
არ სჯის ტირანებს, დაუტევა პატიოსნება?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(მიუთითებს ქალაქზე)

აგერ შეხედეთ იმ ბორცვზე დიდ კაპიტოლიუმს,
მტრებს ახლაც ზარავს, ვით ოდესღაც ზარავდა იგი,
სპროსფრად ბრწყინავს დიდებული დაისის შუქზე,
ჩამავალ მზის სხივებზე რომ ვარვარებს, იწვის,
მაგრამ ეს არის ჩვენი რომის დაისი სწორედ.
ლაშის წყვედიადი ეპარება თავისუფლებას,
რომი მზადაა ამ წყვედიადში ჩაიფლოს მალე.
მაგრამ მზე ისევ აღმობდება მის კამარაზე,
სულ სხვა, ახალი, და საბურველს ღამისას ახდის.

(გადის.)

პ ო რ ტ ი კ ი რ ო მ შ ი

ს ე ნ ტ უ ლ უ ს ი, ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი, კ ე პ ა რ ი უ ს ი და ც ე თ ე გ უ ს ი
გამოდინა გაცხოველებული ზაისით.

კ ე პ ა რ ი უ ს ი

შენ მართალი ხარ: უარესი ცხოვრება დგება;
და თვით არ ვიცი, ყოველივე რით დამთავრდება.

ც ე თ ე გ უ ს ი

ეგ დასასრული, მეგობარო, არ მომწონს სულაც,
არ მსიამოვნებს, რადგან მუდამ აწმყოთი ვცხოვრობ,
დიახ, ძვირფასო, მთლიანად ვცლი განცხრომის თასსა,
დაე ქვეყანამ, როგორც ნებაეს, ისე იაროს.

ლ ე ნ ტ ე ლ უ ს ი

ვისაც ეს ძალუმს, ბედნიერი კაცია იგი.
მე კი არ შემწევს, მეგობარო, იმის უნარი,
დამშვიდებულად და გულგრილად ვუცადო იმ დღეს,
როს წაგვერთმევა საარსებო უკანასკნელი.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

და უკეთესის იმედი ხომ არ გვრჩება სულაც!
თუმც წესი ჩვენი ცხოვრებისა, სიმართლე რომ ვთქვა...

ც ე თ ე გ უ ს ი

კმარა, გაჩუმდი!

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

დღეს დავკარგე უკანასკნელი
სამემკვიდრეო, ბოძებული მამაჩემისგან.

ც ე თ ე გ უ ს ი

კმარა ჩივილი! მეგობრებო, მომყევით უკან!
ჩავეკლათ ქეიფში, უდარდელში, ნაღველი, ურვა!

კ ე პ ა რ ი უ ს ი

ღიას! წავეიდეთ, მეგობრებო და მოვილხინოთ.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მოიცათ, მოდის მანლიუსი... ეგ ბერიკაცი
ჩვენ გვეძებს, მგონი, ვით სჩვევია.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

(სასწრაფოდ შემოდის აღღვეებული)

ვაიმე ჩემს თავს!
პოი, წყეულო, ო, თქვე წუწკო ძალღებო, თქვენა
რად დაივიწყეთ, სამართალი თუ რასა ნიშნავს?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

რაშია საქმე, ბიძაჩემო, ვინ გაგაბრაზა?

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ან იქნება შენც მევაზშენი გიჟერენ ყელში?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

ო, სულაც არა. მომისმინეთ! თქვენ ყველამ იცით,
რომ სულას ჯარში ვიშახურე საკმაო ხანი
და ჭილდოდ მომცეს ერთი ბეწო ნაკვეთი მიწის.
ომი დასრულდა და დავიწყე ცხოვრება მე ამ

მიწის ნაკვეთის შემოსავლით, მცირეოდენით.
ასლა კი უცებ წამართვეს ის. და რა საბაბით?
ყოველი მიწა, სახელმწიფოს რაც ეკუთვნოდა,
უნდა ახლავე დავუბრუნოთ სახელმწიფოსო,
თითქოსდა მთელ ხალხს თანაბრად რომ გაუნაწილონ.
მხოლოდ ის ნებავთ, რომ დაიცხრონ ხარბი წყურვილი!

კ ე ბ ა რ ი უ ს ი

აი, ისინი ვით თელავენ უფლებებს ჩვენსას.
რასაც ძლიერნი ისურვებენ, დაუყოვნებლივ
აისრულებენ.

ც ე თ ე გ უ ს ი

(მხიარულად)

მეცოდები, ძია მანლიუსი!
მაგრამ დამატყდა მეც თავს დიდი უბედურება,
მგონი, იმაზე უფრო დიდი, ვიდრე შენია.
ტურფა ლივიამ მილალატა და მიმატოვა,
უკანასკნელი პელები რის მივახარჯე!

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

რად გიკვირს, არ აქვს მფლანგველობას შენსას საზღვარი.

ც ე თ ე გ უ ს ი

აქვს თუ არა აქვს, ისე იყოს, როგორცა გნებავს.
ვერ დავიოკებ სურვილებს ჩემსას,
მინდა დავიცხრო, სანამ ეს ძალმიძს.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მე კი მამაცი მებრძოლი ვარ, პატიოსნების,
ძალაუფლების გულისათვის თავგანწირული,
რომლითაც ახლა იწონებენ ისინი თავსა!
მაგრამ!.. ეჰ, ახლა აქა მყავდეს მამაცი რაზმი!
ვაგლახს!.. ცოცხალი აღარაა უმრავლესობა,
დანარჩენნი კი გაფანტულან სხვადასხვა მხარეს.
ახალგაზრდებო, იმ ვაჟკაცებს ვით შეგადაროთ?
წავიღუნიათ ძალისათვის ქედი მორჩილად,

დიახ, ვერ ბედავთ, რომ დასწყევითოთ ჯაჭვები თქვენი, მონობის უღელს ატარებთ მშვიდად.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ღმერთებსა ვფიცავ, საწყენია თუმცა ეს დიდად, მაგრამ ეს კაცი ლაპარაკობს სიმართლეს.

ც ე თ ე გ უ ს ი

დიახ!

უნდა მივაგოთ მას საჭირო მისაგებელი.
რითი დავიწყოთ, ეს საქმეა ახლა მთავარი!

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

დიახ, ნამდვილად. დიდი ხანია,
რაც განვიცდით ჩვენ ამ მძიმე ჩაგვრას.
დროა დავწყვიტოთ ის ჯაჭვები, ჩვენ რომ დაგვადო
მტარვალობამ და უსამართლობამ.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

მესმის, ლენტულუს, ნათქვამი შენი,
მაგრამ გვეკირდება ჩვენ ამისათვის
მტკიცე ბელადი, მხნეც, გონიერიც.
სად ვპოვებთ ასეთს?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მე ვიცნობ ერთ კაცს,
შეგვეძლო იმას გავყოლოდით ჩვენ გაბედულად.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

კატილინაზე ლაპარაკობ?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

დიახ, იმაზე.

ც ე თ ე გ უ ს ი

მართალსა ბრძანებ... კატილინა დიახაც ვარგა.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მე კარგად ვიცნობ —
მამამისის ვარ მეგობარი,
გადამიხდია მასთან ერთად მრავალი ბრძოლა.
ომში დაჰყავდა პატარა ვაჟი.
მაშინვე იყო ის ჯიუტი, თავაწყვეტილი,
მაგრამ იშვიათ ნიქის პატრონი,
დიდსულოვანი, მხნე, მამაცი, შეუპოვარი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მე მგონი, იგი მოგვემხრობა სიამოვნებით.
მას სწორედ გუშინ საღამოს შევხვდი;
აღელვებული ჩანდა, დიდად შეწუხებული.
დიდხანს ფიქრობდა და რალაცას სწონიდა დინჯად.
მეტად გაბედულ, დიად ზრახვას შეეპყრო, ალბათ.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

კარგა ხანია კონსულობას უმიზნებს იგი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მაგრამ ამაოდ. დღეს სენატში დაესხნენ მტრები
და ისე ძლიერ გაანადგურეს,
გააფთრებული გამოვარდა იგი იქიდან,
შურისძიებით მთლად ანთებული.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

მაშ კატილინა ჩვენ მოგვემხრობა.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მეც იმედი მაქვს, მაგრამ ჯერ ჩვენ მოვითათბიროთ
ერთმანეთს შორის. სასურველი დაგვიდგა წამი.

გ ა დ ი ა ნ

ვესტის ტაძარი რომში. ტაძრის სიღრმეში კანდელი დგას,
რომელშიაც წმინდა ცეცხლი ვიზგიჴებს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა კურიუსის თანხლებით წყნარად მოაბიჯებს სვეტებს შორის.

კ უ რ ი უ ს ი

სად მომიყვანე, კატილინა, მითხარი ერთი
ვესტის ტაძარში?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(სიცილით)

რა თქმა უნდა, როგორცა ხედავ!

კ უ რ ი უ ს ი

ჰოი, ღმერთებო! რა უგნური ნაბიჯი არის!
დღეს ციცირონმა სენატში სულ გაგანადგურა,
შენ კი არ იშლი შენსას მაინც...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ნულარ მიხსენებ!

კ უ რ ი უ ს ი

შენ თვითონ საფრთხე გემუქრება; მტერს კი დასცინო
და ვითარცა ბრმა, განიმზადებ კიდევ უარესს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(მხიარულად)

ცვლილება მხიბლავს, არასოდეს არ განმიცდია
მე ჭერ ვესტილის სიყვარული — ვით აკრძალული
ხილის ნაყოფი. ჰოდა, აი, აქ გამოვცხადდი,
რომ ახლა მაინც ვცადო ბედი.

კ უ რ ი უ ს ი

მაგას რას ამბობ!

ვერ დავიჭერებ, ხუმრობ ალბათ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რაო? ხუმრობო?

ყველა სიყვარულს ჩემსას, მართლაც, ხუმრობა ჰქვია.
თუმცა ახლა კი როდი ვხუმრობ, ნამდვილი გითხარ.
ამ უკანასკნელ ზეიმებზე, როს მოედანზე

თვალს ვადვენებდი პროცესიას ვესტალებისას,
ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერე თვალი შემთხვევით
და პასუხადაც შევიპყარი ბრწყინვალე მზერა, —
დაუყოვნებლივ რომ შემეპყრა სულის სიღრმეში.
მზერა, რომელიც შემეფეთა მის შავ თვალთაგან,
არც ერთი ქალის სახეზე ჯერ არ წამიკითხავს.

კ უ რ ი უ ს ი

ეგ მჯერა, მაგრამ ისიც მითხარ, რა მოჰყვა ამას?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რა და, ტაძარში შესასვლელი მსწრაფლ გამოვნახე
და არაერთხელ ვინახულე ქურუმის ქალი.
რა საოცარი სხვაობაა იმ ქალიშვილს და
ჩემს ქალღმერთს შორის.

კ უ რ ი უ ს ი

ერთდროულად ორივე გიყვარს?
მართალი გითხრა, შენი ვერა გამიგია რა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

სულაც არ მიკვირს. მე თვითონაც არ მესმის ჩემი.
მაგრამ კურიუსს, ვით გითხარი, ორივე მიყვარს,
თუმცა, ცხადია, სიყვარულით განსხვავებულით.
ჩუმი, წყნარია ავრელია და აღშფოთებულ
სულს ტკბილი სიტყვით დამიმშვიდებს იგი მაშინვე.
ფურია კი... სსუ! ვილაც მოდის. აქ დავიძალათ.

(ორივენი სვეტებს მოეფარებიან).

ფ უ რ ი ა

(შემოდის მოპირდაპირე მხრიდან)

ჰოი, კედლებო, საზიზღარო, უტყვეო მოწმენო
მძიმე დღეების, ჩემი ტანჯვის, წამების მკაცრის,
ცოცხლადვე ჩაკვდა, რაც კი ჰქონდა სულს საოცნებო,
ყველა იმედი, ყოველგვარი ფიქრი თუ აზრი.
ზოგჯერ შემიპყრობს უცნაური კანკალი, ყრუოლა,

ხან კი გაღუელის ცეცხლის ღვარი და შეაძრწოლებს
ამბოხებულ გულს, პოდა, შენკენ გამოვწევ ისევ.
ოჰ, ბედო ჩემო, მე რა ცოდვა ჩამიდენია,
მღუმარე ტაძრის კედლებს შორის რომ გამომკეტე?
რისთვის წარმტაცე ნათელი ღლე, რა დამშთენია,
ასეთი ნორჩი საწამებლად რად გამიმეტე?
შენ მომაყენე მე ჰრილობა განუკურნელი,
ტანჯვის წუთები უსასრულოდ ერთურთს მიება,
მაგრამ მე მაინც ცრემლთა ფრქვევის არ ვარ მსურველი,
გულში ვინახავ სიძულვილს და შურისძიებას.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შემოდის)

მამ ძველებურად გიყვარვარ მე, ტურფა ფურიავ?

ფ უ რ ი ა

თავხედო კაცო, კვლავ მოხვედი. ჩანს, არაფრისა
არ გეშინია...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე არ ვიცი, რა არის შიში.
მუდამ მიყვარდი, შიშის, საფრთხის მიუხედავად.

ფ უ რ ი ა

დიდებულია, თითქოს ამბობ ჩემს გულის ნადებს,
და ეს ტაძარი მძულს იმიტომაც, —
მის კედლებს შიგნით ისე მიდის ცხოვრება ჩემი,
არავითარი საფრთხისა რომ არ მეშინია,
ო, რა ფუჰია, უმოქმედო, ამგვარი სწრაფვა,
ცხოვრება ლამპის უკანასკნელ ციმციმს რომ მოჰგავს.
რარივ ვიწროა ეს ტაძარი ჩემი მხურვალე
სურვილების და ასე დიდი მიზნებისათვის!
დათრგუნულია ყველაფერი ამ კედლებს შორის,
სისხლი ჩერდება და ისპობა ყველა იმედი;
ღლეც უნიათოდ, უხალისოდ მიიზღაზნება
და არ აპირებს საქმედ ქცევას არც ერთი აზრი.

ქ ა ტ ი ლ ი ნ ა

რარიგ საოცრად ვკვანებივართ ერთმანეთს თურმე!
ასე მგონია, ჩემს სამყაროს ხატავდე შენ მაგ
ცეცხლოვან ენით, ყოველგვარი მაღალი სწრაფვა
მეც მოუთმენლად მიღლევენ სულსა.

და ჩემი გულიც, როგორც შენი, ისე განიცდის
ამ სიძულვილსა, ლოდივით რომ ზედ დასწოლია.
აწ მეც, როგორც შენც, წარმხოცია ყველა იმედი
და არ მიმიძღვის წინ მიზანი არაერთგვაროვანი.
მაგრამ ვინახავ საიდუმლოდ წამებას ჩემსას,
არავის ვუძახებ, თუ რა ტანჯვა ტრიალებს გულში.
ამიტომ ვძულვარ, ვეზიზღები იმ არამზადებს,
როდი მიმხედარან, რა მხურვალედ მიძგერის გული
თავისუფლების, სიმართლის და ყველა იმისთვის,
რაც კი ამქვეყნად დიადია, კეთილშობილი,
ადფრთოვანებდა რაც ოდესმე ძველ რომაელსა.

ფ უ რ ი ა

ეგ მეც ვიცი! შექმნილნი ვართ ჩვენ ერთურთისთვის.
მე მარტოოდენ შენში ვპოვებ სულის ნათესავს,
ამას მაუწყებს ხმა შინაგანი,
ის მე არასდროს არ მატყუებს და არცა სცდება,
ახლაც ორივეს ეს ხმა გვიხმობს, — არ გესმის განა?

ქ ა ტ ი ლ ი ნ ა

რისი თქმა გნებავს საით გიხმობს ის, ჩემო ტურფავ?

ფ უ რ ი ა

წამო, გავიქცეთ, გავეცალოთ ამ ადგილს სწრაფად
და სხვა, ახალი, უკეთესი სამშობლო ვპოვოთ!
ზვიადი სული აქ საბრალო მონად ქცეულა
და ლალი ფრენა აღარ ძალუძს, რადგან სიმდაბლე
ყოველ ნაპერწკალს სიმართლისას მაშინვე აქრობს,
სანამდე იგი ციურ ცეცხლად გადიქცეოდეს.
წამო, გავიქცეთ; თავისუფლად მოაზროვნებს
მთელ მსოფლიოში ყველგანა აქვს სამშობლო, სახლი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, რარიგ მხიბლავ, მაჯადოვებ მაგვეარი სიტყვით.

ფ უ რ ი ა

მამ ამ წუთებით ვისარგებლოთ, არ გაგვიფრინდეს!
მთის მწვერვალები გადავლახოთ, გავცუროთ ზღვები,
ჩქარა გავიქცეთ, დიდი რომი შორს მოვიტოვოთ!..
გამოგვევებიან მეგობრები გუნდად და გუნდად;
უცხო მხარეში ეპოვებთ სულ სხვა სამშობლოს, ახალს,
ერთად ვიცხოვრებთ თავისუფლად და ბედნიერად,
დიდ საქმეთათვის სიყვარულით შეერთებულნი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დიდებულია, მაგრამ რისთვის უნდა გავიქცეთ?
თავისუფლების ცეცხლი აქაც კი აინთება.
აქაც ვიშოვით ბრძოლისა და დიდ საქმეთათვის
ფართო ასპარეზს, ვით ეს შენს სულს შეეფერება.

ფ უ რ ი ა

აქაო, ამბობ? ამ საცოდავ ქალაქში, სადაც
მხოლოდ მონობა, თვითნებობა გამეფებულა?
ეჰ, შენც, ლუციუს, ეკუთვნი იმ ადამიანებს,
რომლებიც წარსულს რგონებენ გაუწითლებლად?
ვინ მბრძანებლობდა აქ წინათ და ვინ მეფობს ახლა?
წინათ გმირები მბრძანებლობდნენ, რჩეულნი ხალხის,
აწ კი — მონები.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მეც დამცინე, თუ ეგრე გნებავს!
მაგრამ იცოდე, იმისთვის, რომ შეინარჩუნოს
თავისუფლება დიდმა რომმა, რომ თუნდაც ერთხელ
კვლავ შეიმოსოს ძველებური დიდების შუქით, —
ვით კურციუსი, მეც უფსკარულში გადავეშვები.

ფ უ რ ი ა

მე მჯერა შენი, მხოლოდ შენი, ვით არ ვერწმუნო
ანთებულ თვალებს, როს სიმართლეს დალადებს ენა.

მაგრამ შენ წადი, ახლა მოვლენ სხვა ქურუმები
ჩემს შესაცვლელად.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

წავალ, რომ კვლავ დავბრუნდე აქვე-
ძალა, უცნობი, ჯადოსნური მეწევა შენკენ,
ჯერ არ მინახავს შენი მსგავსი ადამიანი.

ფ უ რ ი ა

(ავის მომასწავებელი ღიმილით)

მაშ ერთს შემპირდი და შემომფიცე,
რომ აასრულებ ალექმას შენსას. მზად ხარ, ლუციუს?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მზად ვარ, ყველაფერს აღეასრულებ, რასაც მიბრძანებ;
მითხარ, დაგიდო როგორი ალექმა?

ფ უ რ ი ა

მაშ მომისმინე! ვით ტყვე ქალი, აქ ისე ვცხოვრობ,
მაგრამ ვიცი, რომ რომში ერთი ადამიანი
უნდა მძულდეს მე სიკვდილამდე და დავიფიცე
შური ვიძიო მასზე, თუნდაც საფლავში მწოლზე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მერე მე რა ვქნა? .

ფ უ რ ი ა

შემომფიცე, რომ ჩემი მტერი
ამიერიდან შენი მტერიც იქნება მუდამ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვფიცავ დიდ ღმერთებს! მამის სახელს, დედის სულს ვფიცავ,
განსვენებულთა წმინდა ხსოვნას!.. მაგრამ რა მოგდის?
რა ველურივით იმზირები. ვით მარმარილო,
გაცივებულა შენი სახე, როგორაც მკვდრისა.

ფ უ რ ი ა

თვით მეც არ ვიცი, ეს რა მომდის. ძარღვებში თითქოს ცეცხლის ნაკადმა დამიარა... სთქვი, დაამთავრე!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გარდმომივლინეთ, ზეცის ძალნო, ძლიერი რისხვა, დამკარით მეხი, მაქციეთ ფერფლად, თუ დავარღვიო ჩემი აღთქმა, გავტეხო ფიცი, — შევიძულე და მოვსპობ შენს მტერს შეუბრალებლად.

ფ უ რ ი ა

კმარა. გიჭერი. ჩამომეხსნა გულს მძიმე ლოდი, შურისძიებას ჩემს მაგიერ შენ განდობ ახლა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე, მე ვიძიებ. მაგრამ მითხარ, ვინაა მტერი და ან რა არის მისი ბრალი.

ფ უ რ ი ა

ტიბრის მახლობლად,

ქალაქის ხმაურს მოცილებულმა,
სრულ სიწყნარეში გაიარა ბავშვობამ ჩემმა,
იქ ჩემთან ერთად იზრდებოდა ჩემი დაიკოც,
ბავშვობიდანვე ვესტის ტაძრად შემდგარი ისიც,
ვით მომავალი ქურუმი მისი.
მაგრამ უეცრად შემოიჭრა ჩვენს სავანეში
ერთი უმსგავსი, საზიზლარი ადამიანი
და, როს იხილა მომავალი ქურუმი...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თავზარდაცემული)

რაო?

ქურუმიო, სთქვი?.. ნუ განაგრძობ.

ფ უ რ ი ა

წაიყვანა და

დალუბა იგი, — ტიბრი გახდა მისი სამარე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შეშფოთებით)

შენ იცნობ იმ კაცს?

ფ უ რ ი ა

არა, სულ არ მინახავს თვალით.

ეს ყველაფერი მე მაშინლა გავიგე, როცა გვიანი იყო. აწ კი ვიცი, რა ჰქვია იმ კაცს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

სთქვი

ფ უ რ ი ა

ვინ არ იცნობს, კათილინა ჰქვია სახელი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(დაბარბაცდება)

რაო? ეგ რა სთქვი? საზარელო ქურუმო ქალო!

ფ უ რ ი ა

გონს მოდი! ეს რა გემართება, ჩემო ლუციუს? ის კაცი შენი მეგობარი ხომ არ ყოფილა?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მეგობარიო? არა, არა, უფრო მეტია ის კაცი ჩემთვის... დავიწყველე ჩემივე თავი.

ფ უ რ ი ა

შენივე თავი?! კათილინა მამ თვითონ შენ ხარ?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღიახ.

ფ უ რ ი ა

სილვიას შენ აჰხადე ნამუსი? აჰა, შეუსმენია ნემეზიდას გოდება ჩემი.

თვითონ მოუხმე ზეცის რისხვას საკუთარ თავზე.
ჰოი, წყეულო დამნაშავე!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რარიგ ცეცხლს ჰყრიან
შენი თვალები ამ მკრთალ შუქზე ისე მგონია,
თითქოს სიღვია წამომდგარხარ ბნელ სამარიდან.

(გაეშურება გასასვლელისკენ. კანდელი ქრება).

ფ უ რ ი ა

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

ახლა კი მესმის, ჩემს თვალებს უკვე
ჩამოეცალა საბურველი, ბნელშიც კი ვხედავ,
სიძულვილია, ეს გული რომ აღმინთო ასე.
დიახ, ახალა მივხვდი ამას, პირველად მივხვდი,
ძარღვებში სისხლმა ელვასავით რომ დამიარა.
აი, ეს იყო სიძულვილი. დაე გაიგოს
აწ კატლინამ, თუ რა ძალუძს სიძულვილს ამგვარს,
შურისძიებით რომ დაიცხროს შმაგი წყურვილი.

ვ ე ს ტ ა ლ ი

(შემოდის)

წადი ფურია. მე მოვედი შენს შესაცვლელად.
მაგრამ, ქალღმერთო უწმინდესო, ჩემი თვალები
რას ხედავს ამას, წმინდა ცეცხლი ჩამქრალა უკვე!

ფ უ რ ი ა

(აბნეული)

რაო? ჩამქრალა? არა, არა, ესოდენ ნათლად
არ უბრწყინია არასოდეს.

ვ ე ს ტ ა ლ ი

ეს რასა ნიშნავს?

ო, ზეცის ძალნო,

ფ უ რ ი ა

არ ჩაქრება ეგრე ადვილად

ძლიერი ცეცხლი დაუმცხრალი სიძულვილისა.
სულ სხვაა. ცეცხლი სიყვარულის, ერთ წუთს იფეთქებს
მხოლოდ იმისთვის, მეორე წუთს რომ ჩაქრეს ისევ;
სიძულვილის კი...

ვ ე ს ტ ა ლ ი

ოჰ, ღმერთებო, გადაირია!

(ყვირის.)

აქეთ! აქეთკენ! მომეხმარეთ, მომეშველენით!

შემორბიან ვ ე ს ტ ა ლ ე ბ ი და ტ ა ძ რ ი ს მ ს ა ხ უ რ ნ ი.

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

რა ამბავია?

მ ე ო რ ე ნ ი

წმიდა ცეცხლი ჩამქრალა უკვე.

ფ უ რ ი ა

მაგრამ ანთია მძლავრი ცეცხლი სიძულვილისა.

ვ ე ს ტ ა ლ ე ბ ი

შორს, მოგვაცილეთ, გაიყვანეთ, დასაჯეთ იგი!

ფ უ რ ი ა

(გაპყავთ)

კ უ რ ი უ ს ი

(გამოდის სვეტებიდან)

საპყრობილეში წაიყვანეს. იქიდან კი მას
მხოლოდ ერთი გზა დარჩენია — დამარხონ ცოცხლად.
მაგრამ ნუთუ აწ ცოცხლად უნდა დამარხონ იგი,
ვინც ქალთა შორის ამაყია უზვიადესი?

ჯერ არასდროს არ განმიცდია ამგვარი გრძნობა!
სიყვარულია? დიახ, დიახ, ის არის სწორედ.
უნდა დავიხსნა!.. კატილინა? ფურია ხომ მის
დევნას არ შესწყვეტს, გამსჭვალული სიძულვილითა?
უიმიოდაც კატილინას ჰყავს ბევრი მტერი
და მაქვს უფლება გავამრავლო იმათი რიცხვი?
უფროს ძმასავით მექცეოდა იგი ყოველთვის;
მის მფარველობას მკარნახობს მე მადლობის გრძნობა.
სიყვარული კი რას მიბრძანებს? ან კატილინას
შეეშინდება დედაკაცის შურისძიების?
არა, ახლავე, სწრაფად უნდა შეეუდგე საქმეს.
არ შეგეშინდეს, მხნელ იყავი, ჩემო ფურია,
ბნელ სამარიდან ამოგიყვან, კვლავ გაგაცოცხლებ,
თუნდაც სიცოცხლის გაღებაც რომ დამპირობდეს მსხვერპლად.

(სასწრაფოდ გადის)

ღარბაზი კატილინას ხახლში.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შემოდის აჩქარებით, აღლუვებული)

„შეუსმენია ნემეზიდას გოდება ჩემი.
თვითონ მოუხმე ზეცის რისხვას საკუთარ თავზე“... —
ასე წარმოთქვა მეოცნებემ დაფიქრებულმა.
საოცარია. ეს იქნება ნიშანიცაა,
იმის ნიშანი, მომავალში რაც გვემუქრება.
ნუთუ ხელ-ფეხი შევიკარი საზარელ წყევლით,
რომ ჩემს ცოდვაზე მე თვითონვე ვიძიო შური?
ეჰ, ახლაცა ვგრძნობ მე, ფურია, შენს შემოხედვას,
სულის სიღრმეში რომ შემჭრია სიკვდილის გრძნობად!
ყურებში ახლაც ნათლად მესმის სიტყვები შენი
და წყველას ჩემსას სიკვდილამდე ვერ დავიფიქრებ:

შემდგომი მონოლოგის დროს შემოდის ავრელია და შეუმჩნევლად
მოუახლოვდება კატილინას.

მაგრამ ამაზე გამუდმებით წუხილი, ფიქრი
სისულელეა, დიახ, არის ეს სისულელე.
ჩემი ფიქრები შემიძლია წარგმართო უკეთ,

ჩემს ნიჭს და უნარს ღირსეული მიზანი ელის.
დიდი ბრძოლისთვის გვიხმობს ყველას სასტიკი. უამი
მაგრამ ყოველთვის სულს მიშფოთებს ყოყმანი, ეჭვი,
მაფორიაქებს იმედი და გაბედულება.

ა ვ რ ე ლ ი ა

(ხელს სტაეებს ხელზე)

ძალმიძს გავბედო და შევიტყო მაგის მიზეზი?
გავიგო, ეგრე რა გაწუხებს, გაფორიაქებს?
ნუთუ არ ძალმიძს, საყვარელო, მოგიახლოვდე
და ნაოქები წაგიშალო მოღრუბლულ შუბლზე?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ნახად)

ჩემო მეუღლე, რა ნაზი ხარ, რარიგ კეთილი!
მაგრამ მითხარი, გაგიშვარო სიცოცხლე რისთვის
და ჩემი მძიმე საწრუნავი გაგიზიარო?
ისეც საკმაოდ ტანჯული ხარ ჩემი მიზეზით.
საკუთარ თავზე ჰსურს მივიღო მე ბედის დარტყმა,
რომელსაც იგი მიმზადებს მე, ვითარცა მტერი;
მარტოოდენ მე გადავიტან იმ სასტიკ წყევლას,
რაც უწმინდურ კავშირშია ბობოქარ სულთან
და მძლავრ წყურვილთან — დიდი რამე მოვიმოქმედო,
როს ამ ძალისთვის, ასე მძლავრი წყურვილისათვის
არაა სივრცე, გასაქანი ამ ცხოვრებაში.
ო, ნუთუ ახლა შენც შეგასვა, გაგიზიარო
მწარე ბაღდაშით სახსე თასი ჩემი ბედისა?

ა ვ რ ე ლ ი ა

ნუგეშისცემა დედაკაცის ვალია ქვეყნად.
ჩვენ ვერასოდეს ვიოცნებებთ დიდ საქმეებზე.
როცა ვაყკაცი ლომივით იბრძვის
დიად ზრახვათა აღსასრულებლად,
მაგრამ სასტიკად დამარცხებული
წყევლას და კრულვას უგზავნის ბედსა,
ცოლი დაჭრილ გულს ნაზი სიტყვების

ტკბილი ბალზამით უკურნავს ხოლმე.
მშვიდი ცხოვრება გვაჭილდობს ისეთ დღეებით,
რომელთა მსგავსსაც არ იძლევა ცხოვრება მძაფრი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენ მართალი ხარ. რარიგ კარგად ვგრძნობ ახლა ამას,
მაგრამ არ ძალმიძს ქარიშხლიან ცხოვრებას მოვწყდე,
მუდამ მიშფოთავს მეკერძში გული მოუხვენარი,
დამშვიდებას რომ მარტოოდენ ბრძოლაში ჰპოვებს.

ა ვ რ ე ლ ი ა

სიცოცხლეს შენსას ვერ აღავსებს, ჩანს, ავრელია,
ვერ შესძლებს იგი გაგიფანტოს შუბლზე ღრუბლები,
მაგრამ გთხოვ მაინც გადუშალო ორიოდ სიტყვით
გული და მისგან მოისმინო ნუგეშის სიტყვა.
თუმცა არ ძალუძს დაგიწყნაროს მშფოთვარე სული.
არ შეუძლია მიჰყვეს შენთ ფიქრთ დიდებულ ფრენას,
მაგრამ მას ძალუძს შენი დარდი გაიზიაროს,
შეგიმსუბუქოს, საყვარელო, ეგ მძიმე ტვირთი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, მაშ იცოდე, ავრელია, თუ რა მაწუხებს
მე ამ დღეებში. დიდი ხანია
ამაოდ დავშვრი კონსულობის მაძიებელი.
შენც კარგად იცი, იმისთვის, რომ უზრუნველმეყო
ხმები, გავფლანგე...

ა ვ რ ე ლ ი ა

ნულარ ამბობ. მე გული მტკივა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენ ჰკიცხავ, ალბათ, წესსა ჩემი მოქმედებისას,
უკეთესი ვერ გამოვძებნე საშუალება.
დიახ, გავფლანგე სულ ამაოდ ქონება ჩემი,
მხოლოდ დაცინვა და შერცხვენა დავიმსახურე.

დღესაც სენატში ციკერონი დამესხა თავსა,
მლანძღა და მთათხა დაუნდობლად, შეუბრალებლად
და სენატორებს დაუხატა ჩემი ცხოვრება
ისეთი სახით, რომ თვითონ მეც ამაკანკალა.
საშინელებას ვკითხულობდი ყველას თვალებში
და სახელს ჩემსას წარმოთქვამდნენ ყველანი ზიზლით.
გადავეცემი ამ სახელით შთამომავლობას,
ვითარცა კაცი, შენარევი ყველა ცოდვათა,
კაცი, რომელშიც შმაგ ხასიათს შეერთებია
არარაობა სულიერი და სიძულვილი
ყველაფრისადმი, რაც კარგია, კეთილშობილი.
ვერაერთარი გმირობა აწ ველარ შეიძლებს
წაშალოს დალი, რაც აღბეჭდა ცილისწამებამ.
აქაც და იქაც, ყველგან ამ ხმებს დაუჭერებენ...

ა ვ რ ე ლ ი ა

მე კი, მეუღლეც, არა მჭერა ეგ ავი ხმები.
დაე გაგსაჯოს, დე გაგციცხოს მთელმა ქვეყანამ
და შეარცხვინოს, მოაყივნოს სახელი შენი!
ვიცი, რომ მალავ სულის სიღრმეში
ყლორტებს, რომლებიც ყვავილს, ნაყოფს გამოიღებენ...
მაგრამ ისინი აქ გზას ველარ გაიკაფავენ.
დაეტოვოთ მაშ ეს ცოდვით სავსე სამშობლო ჩვენი.
აქ რა გაჩერებს, რა გაკავებს? რისთვისღა გვინდა
დაეყოვნდეთ კიდევ?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

უბრძოლველად დაეუთმო ველი
ჩემს სისხლისმსმელ მტრებს? დიდ ზრახვაზე ავიღო ხელი?
წყალწაღებულო, — თუმცა რჩება მცირე იმედი
გადარჩენისა, — მაინც, რაც კი ძალ-ღონე შესწევს,
ჩასჭიდებია ფიცრის ნამსხვრევს, დალუპებისაგან
რომ იხსნას თავი, თუმცა თვით ამ ფიცრის ნამსხვრევსაც
და მასთან ერთად გადარჩენის ყოველგვარ იმედს
გადაჰქელავენ, მსწრაფლ შთანთქავენ ტალღები ავი,
და ფიცრის ნამსხვრევს ის არ უშვებს ხელიდან მაინც
და მასთან ერთად იძირება, მიღის ფსკერისკენ.

ა ვ რ ე ლ ი ა

მაგრამ თუ უცებ გამოჩნდება მწვანე ნაპირი
ამ აქოჩრილი, ბობოქარი ტალღების იქით,
რად გაუშართოს ბრძოლა მძაფრი და პირდაპირი
მღვრიე მორევსა, როს დამდგარა სიცოცხლის რიგი?
არ გაეშუროს ნაპირისკენ, მას რომ ჰპირდება
მყუდრო საფანეს, საიმედო დასასვენებელს?
იქ მას სიმშვიდე განუქურნავს სულის კირთებას,
დალლილ სხეულსაც წყნარ ადგილას მოასვენებენ.
ნაპირისაკენ მიგორავენ ტალღები უხმოდ,
ბალახი, მწვანედ მობობინე, გზიბლავს და გიწვევს
დასასვენებლად, — ის ხომ ყველას თავისკენ უხმობს,
გულიდან მწარე ფიქრები რომ გააფანტოს ისევე.
კვლავ დაუბერავს სასიამო, გრილი ნიავეი,
შენი შუბლიდან ის განდევნის მწუხარე ჩრდილებს,
დაგაეწყდება გარდასული დღენი, სიავეით
რომ შეგიწუნეს გული დიდად და გაგაწბილეს.
ქვეყნის ხმაურის შორეული გამოძახილი,
ვერა, ვერ შესძლებს შეგირიყოს სიმშვიდე გულის,
დალლილ სხეულში ნექტარივით ამოდ ჩაღვრალი,
დაგეუფლება ნეტარება უფრორე სრული.
ღიახ, ის მხოლოდ განამტკიცებს სიხარულს შენსას,
გაგვახსენდება გარდასული მწუხარე დრონი,
იქ დაუფასებთ მყუდროების უღრუბლო ზეცას
და ერთ ცრემლსაც კი არ შესწირავ ღირსებას რომის.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენ მართალს ამბობ, მეგობარო, და ამ წუთშივე
მე შემიძლია გამოგყვე უკან,
რათა გავექცე წუთისოფლის ხმაურს და ბრძოლას.
მაგრამ მიჩვენე ისეთი კუთხე,
სადაც, ძვირფასო, ვიცხოვრებდით ორივე მშვიდად.

ა ვ რ ე ლ ი ა

(გახარებული)

მამ შეგიძლია, კატლინა? ო, ნეტარებავ!..
ვერ მოთავსდება ჩემს ნაზ მკერდში ეს სიხარული!

დე ასე იყოს! წამო, წავიდეთ.
ამ საღამოსვე...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაინც საით, ჩემო ძვირფასო?
დამისახელე ის ადგილი, მყუდრო სავანე,
სადაც შევიძლებ მოვასვენო დაღლილი სული.

ა ვ რ ე ლ ი ა

ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა ჩემი მამული,
ის კუთხე, სადაც გავატარე ტკბილი ბავშვობა,
და იქ, სადაც ჩვენ, ჟამს პირველი სიყვარულისას,
შეყვარებულებს ერთმანეთზე თავდავიწყებით,
ესოდენ მრავალ ზაფხულის დღეს დავმტკბარვართ ერთად.
სხვაგან სად არის ასე მწვანე, ლამაზი კორდი,
ხშირი ტყიდან რომ მოჰქრის ნაზი, გრილი ნიავი,
იქ თეთრი ვილა გვიწვევს თვისკენ: „მობრძანდით, მოდით!“
და გვესალმება ირგვლივ დამდგარ ხეთა შრიალით.
მსურს ვიმუშაოთ იქ ორივემ, ვით სოფლელებმა,
ვიგრძნოთ წუთები სიხარულის, თავისუფლების,
და დაღლილ მკერდზე, მეგობარო, მოგესვენები, —
ნაზი ამბორით გაგიფანტო სევდის ღრუბლები.

(ლიმლით)

ხელში ყვავილთა თაიგულით შემოხვალ სახლში,
რომ მიესალმო მეუფეს შენსას,
დაფნის გვირგვინით შეგამკობ მაშინ,
სამაგიერო რომ მიეუზღო ჩემს მბრძანებელსა.
შენ კი ფითრდები? ხელს მიჰკერ მაგრად,
თითქოს რაღაცა სინანულს გრძნობდე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაშ, ავრელია, იცოდე ახლა,
იქ ვერ წავიყვან შენ ვერასოდეს.

ა ვ რ ე ლ ი ა

რატომ მაშინებ, ძვირფასო ჩემო?
არა, შენ ამას ხუმრობით ამბობ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რაც აწ გითხარი, ნეტავ მართლა ხუმრობა იყოს,
მაგრამ ყოველი შენი სიტყვა გულს ისე ზვდება,
ვით შურისგებოს წამახული მწველი ისარი,
დიახ, ამ ტანჯულ, გაწამებულ გულსა, რომელსაც
სულ დაეკარგა მოსვენება.

ა ვ რ ე ლ ი ა

ჰოი, ღმერთებო,

რა გსურს ამით სთქვა?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შეხედე, აი,
ეს შენი სახლი, ოცნებები მშვიდ ცხოვრებაზე!
(აწოიღებს ოქროს ფულით სავსე ქისას და გადაისვრის მაგიდაზე.)

ა ვ რ ე ლ ი ა

გაპყიდე უკვე?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დღეს გავყიდე მე ყველაფერი.
მერედა, რისთვის? მოსასყიდად...

ა ვ რ ე ლ ი ა

არა, ნუ მეტყვი,
ჩემო ძვირფასო, ნუ ვიფიქრებთ მაგაზე ახლა,
რაღას გვიშველის, მწარე ნაღველს აგვიშლის მხოლოდ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ეგ მოთმინება უფრო მეტად მიგმირავს გულსა,
ასგზის მერჩინა, გექვეითინა, გეკივლა მწარედ!
(შემოდის მოხუცი ქარისკაცი და მიუახლოვდება კატილინას.)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

გთხოვ მომიტევეო, ბატონო ჩემო,
რომ ასე გვიან, მოუხსენებლად
გამოგეცხადე...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რა გნებავს ჩემგან?

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

მოკრძალებული სათხოვარით მოგმართო, მინდა,
და ზომ მომისმენ? მე საწყალი ჯარისკაცი ვარ,
მთელი ძალ-ღონე შევეწირე რომსა.
აწ კი დავსუსტდი, აღარ ძალმიძს მე სამსახური,
ქანგდება ჩემი იარაღი უქმად გდებისგან.
იმედი ჩემი სიბერისა მე ვაჟი მყავდა,
შრომობდა, თავის ნაოფლარით მარჩენდა იგი.
ვაგლახ, ახლა ის ციხეში ზის ვალების გამო...
ფული არა მაქვს, იქიდან რომ დავიხსნა იგი.

(მუხლს მოიყრის)

ო, შემეწიე, დამეხმარე, ბატონო ჩემო!
გთხოვ მცირეოდენ მოწყალებას. კარიდან კარად
დავდივარ, მაგრამ დამიკეტეს კარი ყოველი
და აღარ ვიცი, ვის მივადგე, ვისლა მივმართო.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღიახ, ნამღვილად, ასეთები ბევრნი არიან,
გაჭირვების და სიღატაკის მსხვერპლად ქცეულნი!
აი, ამგვარად აჯილდოებს მათ უმადური
გულგრილი რომი თავგანწირულ სამსახურისთვის.
ერთ დროს ვფიქრობდი, ანთებული სასტიკი რისხვით,
შური მეძია ტირანებზე ცეცხლით, მახვილით,
მაგრამ დააცხრო ჩემი რისხვა, შურისძიება
სიტყვებმა ნაზი სიყვარულისამ.
მოთვინიერდა ჩემი რისხვა. არა, აღარ მსურს,
რომ ვერაგ მტერზე ვიძიო შური.
გაჭირვებულის დახმარებაც დიდი საქმეა.
აჰა, მოხუცო, გაისტუმრე შენი ვალები.

(გაუწვდის ოქროთი საესე ქისას)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

(წამოდგება)

კეთილო კაცო, ამგვარი რამ ვით დავიჭერო...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღიას, ირწმუნე, ბერიკაცო, წადი, სასწრაფოდ
გამოიხსენი შენ იმედი შენი სიბერის.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი (აჩქარებით გადის.)

ხომ მართალია, ავრელია, ეს არ სჯობია
იმას, რომ ფულით მომესყიდა სენატორები.
მშვენიერია ძირს დაამხო ტირანთა ძალა,
მაგრამ ლატაკთა შებრალებაც მშვენიერია!

ა ვ რ ე ლ ი ა

(მკერდში ჩაეკვრება).

ო, მდიდარია სული შენი, კეთილშობილი,
მე ახლა ისევე კატილინა ვიცანი შენში.

მიწისქვეშა აკლდამა ზემოდან ახლად ამოქოლილი ხვრელით.
ანთია მკრთალად მოციმციმე ლამპარი.

ფუ რ ი ა, გრძელ, შავ სამოსელში გამოწყობილი, დგას და თითქოს
რაღაცას უსმენს.

ფ უ რ ი ა

გუგუნი მესმის მე ზემოდან, ეს, ალბათ, მეხი
გრიანებს, გრგვინავს და იმისი გამოძახილი
ამ სამარეშიც ვი მოისმის. მაგრამ სამარე
მდუმარეა და წყნარი. წყნარი... ო, ნუთუ მართლა
აქ სამუდამო ძილი მომელის?
ვერ ვეღირსები თავისუფლებას,
მთელი სიცოცხლე რომლისკენაც მივისწრაფოდი?

(რამდენიმე ხნის ღუმლის შემდეგ.)

რა უცნაური ბედი მქონია,
მეტეორივით ჩაიქროლა და გაქრა უცებ.
მან დამინახა. იღუმალმა ძალამ, თანხმობამ
ჩვენი სულების ერთურთისკენ გვიბიძგა წამსვე.
შურისძიების ქალღმერთს იგი ემსხვერპლა, მაგრამ
მსხვერპლი შეიქნა მალე თვითონ შურისმგებელიც.

(ისევ გაჩუმდება.)

ახლა იქ, მალლა, სინათლეა, მე კი თანდათან
და შეუმჩნევლად სამუდამოდ ვშორდები იქნებ
სინათლეს დღისას? ნეტარება იქნება მართლა,
თუ ჩემი ასე დაყოვნება ბნელ სამარეში
სინამდვილეში არის ქროლვა ჰადესისაკენ,
წყვდიადისაკენ, სტიქსის ვრცელი ნაპირებისკენ!
იქ ტყვიასავით მძიმე, ლურჯი ტალღები მიჰქრის,
ზედ მისრიალებს უხმაუროდ ქარონის ნავი:
სულ მალე მეც იქ აღმოვჩნდები. ჩუმაღ დაეჯდები
გადასასვლელთან, რათა ყოველ სულს უსხეულოს
და ძლივს შესამჩნევ ყოველ აჩრდილს, ამ ქვეყნიდან რომ
გამოჩნდებიან მდინარესთან, რომელიც მიჰქრის
სიკვდილის ბნელი სამეფოსკენ, ამბავი გკითხო,
თუ როგორ ცხოვრობს კატალინა, მოვალე ჩემი,
და ვით ასრულებს თავის აღთქმას შურისგებისას.
ძირს განრთხმულ ყველა მიცვალებულს მივანათებ უმაღ
ჩირადდანს, ლურჯ ალს გოგირდისას, რათა შევიტყო,
ხომ არ გამოჩნდა კატალინა ბოლოს და ბოლოს.
მერე კი, როცა მოვა იგი, გადავალთ ერთად
და ორივენი წარუდგებით ქვესკნელში პლუტონს.
ჩრდილად ქცეულმა უნდა ვდიო მე იმის აჩრდილს,
სადაც ის არის, იქ გაჩნდება ფურია მუდამ.

(რამდენიმე ხნის ღუმლის შემდეგ, სუსტი ხმით)

თანდათან სულის შემხუთავი ხდება ჰაერი
და სიბნელემაც მოიმატა... გაჭირდა სუნთქვა.

ვუახლოვდები, როგორცა ჩანს, იმ შავ ჭაობებს,
მოედინება საიდანაც მდინარე სტიქისი.

(უსმენს ყრუ გუგუნს.)

რა ხმაურია? ეს ნიჩბების ხმა არის ვითომ?
ანდა იქნება გადამყვანი მიცვალებულთა
იჩქარის ჩემკენ? არა, არა, მე აქ მსურს ყოფნა!

(ქვები, რომლებითაც ხვრელი იყო ამოქოლილი, გაიწევა და ხვრელში
კ უ რ ი უ ს ი გამოჩნდება. იგი თავს უკრავს ფურჩას.)

ფ უ რ ი ა

სალამი, ქარონ! მაშ გამოცხადდი,
რომ მიმიყვანო პლუტონთან სტუმრად?
ო, მაგრამ, არა! მე მინდა ჭერ აქ მრევიადო!

კ უ რ ი უ ს ი

(ჩურჩულით)

ო, ჩუმად, ჩუმად! ჩამოვედი შენს დასახსნელად.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

დარბაზი კატილინას სახლში, ლამბით განათებული.
ხიღრმეში ღია კოლონადა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა, ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი და ც ე თ ე გ უ ს ი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ბოლოს სცემს)

არა, არ გესმით! არ გესმით თვითონ,
ბოლოს და ბოლოს რას ითხოვთ ჩემგან,
გსურთ სახელმწიფოს ვუღალატო და გავაჩაღო
სამოქალაქო ომი, ძმების დავღვარო სისხლი?
მე არ ვიქმ მაგას. თუნდ დამწყევლოს და შემაჩვენოს
მთელმა ქვეყანამ.

ლენტულუსი

მაშ, არა გსურს ეს?

კატილინა

არა!

ცეთეგუსი

არ გსურს? ან იქნებ არაფინა გძულს
ისე, რომ მასზე იძიო შური?

კატილინა

დე მან იძიოს, ვისაცა სურს შურისძიება.
შურისგებაა მდუმარე ზიზღიც
და ის დღეიდან მის სანაცვლოდ მიმიჩნევიან.

ცეთეგუსი

ჩანს, უდროო დროს მოვედით შენთან,
მაგრამ ხვალ დილით, მე მგონია სულ სხვანაირად
ილაპარაკებ, კატილინა.

კატილინა

ვითომ რისათვის?

ცეთეგუსი

ქალაქში უკვე უცნაური ხმები დაირხა...
ასე ამბობენ, ერთ ქურუმ ქალს ცოცხლად დამარხვა
მიუსაჯესო.

კატილინა

(განცვიფრებული)

ქურუმ ქალსა? რას ლაპარაკობ!

ლენტულუსი

დიახ, ნამდვილად. და ჩურჩულთ ეუბნებიან
ერთმანეთს, თითქოს...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რაო, რაო? რას ჩურჩულებენ?

ც ე თ ე გ უ ს ი

შენ ბრძანდებოდე გარეული ამ ბნელ საქმეში.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

და სჯერათ ვითომ?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ხმა ამგვარი დაირხა უკვე-
ჩვენ, შენს მეგობრებს, რა თქმა უნდა, ეს არა გვჭერა
და არც არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ ხალხი რომ
ამნაირ საქმეს სასტიკად სჯის, შენც კარგად იცი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ჩაფიქრებული)

გარდაიცვალა მაშის ქალი?

ც ე თ ე გ უ ს ი

უეჭველია.
ერთ საათსაც რომ დაჰყო იმ ცივ, ქვის სამარეში,
საკმარისია.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

დიახ, დიახ. მაგრამ ჩვენ ამან
არ გვაიძულა, რომ მოგვეთხრო ამბავი მისი.
უნდა დაფიქრდე, კატილინა, ახლა შენს თავზე!
კონსულობისკენ ისწრაფოდი თავგამოდებით,
ამ მყიფე იმედს ამყარებდი შენს მთელ მომავალ
კეთილდღეობას. აწ კი ბოლო ეღება ამას.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ისევ ფიქრებშია ღრმად ჩაძირული)

„თვითონ მოუხმე ზეცის რისხვას საკუთარ თავზე“.

ც ე თ ე გ უ ს ი

გამოიბერტყე მაგ თავიდან ამგვარი აზრი
და მოიქეცი, როგორც ვაჟკაცს შეპფერის, ისე;
ვინ იცის, იქნებ გამარჯვება შენია ისევ.
გაბედე ოღონდ... მეგობრები გყავს საკმარისი...
გამოგყვებიან პირველსავე დაძახებაზე.
მაშ გადაწყვიტე, რალს უცდი?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არა, ვთქვი უკვე!
რა გაიძულებთ, რატომ გინდათ შეითქვათ ასე?
გსურთ აღადგინოთ გარდასული დიდება რომის?
ამისთვის გნებავთ გააჩალოთ სამოქალაქო
ომის ხანძარი, ძმათა სისხლის დამაქცეველი?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ო, არა, არა, მაგრამ ფიქრი განდიდებისა
თავს დამტრიალებს აჩრდილივით და აღარ მძლევს
ერთი წუთითაც მოსვენებას.

ც ე თ ე გ უ ს ი

დიახ, ასეა...
მაგრამ მე არ ვარ მაგნაირი პატივმოყვარე,
მსურს მოვიპოვო საარსებო საშუალება,
რომ ქვეყანაზე უზრუნველი ცხოვრებით დავტკბე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ეგ მეც ვიცოდი, მეგობრებო. თქვენ შეუპყრიხართ
ანგარებიან მოსაზრებებს, წერილმან განზრახვას,
მხოლოდ პირადი სურვილები გალაპარაკებთ.
მე კი მეძახის საოცნებო მიზანი დიდა.
თუმცა ვცდილობდი მომესყიდა სენატში ხალხი,
რათა კონსულად ავერჩიე, მაგრამ განზრახვა
მამოძრავებდა უფრო დიდი და ღირსეული,
ვიდრე შეეძლოთ ეგულისხმათ ჩემს შემხედვარეთ.
თავისუფლება მოქალაქის და სახელმწიფოს

კეთილდღეობა — აი, ჩემი სწრაფვის მიზანი.
მე ვერ მიმიხვდნენ, ყველაფერი ჩემს საზიანოდ
ლაპარაკობდა. დიახ, ასე ინება ბედმა.
მეც დავმორჩილდი. მის განაჩენს ვინ გაპქევეია?

ც ე თ ე გ უ ს ი

დე ეგრე იყოს, მაგრამ ნუთუ არ გინდა იხსნა
შენ მეგობრები დალუპვისგან, მწუხარებისგან?
ბოლოს და ბოლოს, ხომ სრულიად გავლატაკდებით,
თუ ასე ლალად, უღარდელად ვიცხოვრებთ მუდამ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩემი რჩევაა — შეჩერდით დროზე!
თვითონ მეც მტკიცედ გადავწყვიტე ასე მოვიქცე.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

რაო, ეგ რა სტქევი, კატილინა? გსურს შეიცვალო
ცხოვრების წესი? ზა-ზა-ზა-ზა! იხუმრე, ალბათ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღმერთებსა ვფიცავ, მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი.

ც ე თ ე გ უ ს ი

აღარაფერი არ გამოდის, დროს ფუჰად ვკარგავთ.
წავიდეთ, ყველა ჩვენს მეგობარს შევატყობინოთ,
რაც გვიპასუხა კატილინამ. მათ ჩვენ ვიპოვით
ბიბულთან, ალბათ, სხედან ახლა და ქეიფობენ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ბიბულთან! ჩვენ იქ მრავალი ღამე
გაგვითევია ქეიფსა და დროსტარებაში.
აწუ კი დაუდგა აღსასრული ამგვარ ცხოვრებას.
გათენებამდე მსურს დაეტოვო ჩვენი ქალაქი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

რაო? რას ამბობ, კატილინა?

ც ე თ ე გ უ ს ი

მიემგზავრები?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დღესვე, ამ ღამით, ცოლთან ერთად. აწ სამუდამოდ
დავტოვებთ რომს და დავესახლებით
გალიის ველად, იქ ჩემი ხელით
მოვხნავ, დავთესავ, საარსებოს მოვიწევ ნაყოფს.

ც ე თ ე გ უ ს ი

მაშ გნებავს რომი მიატოვო აწ სამუდამოდ?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მინდა და მმართვეს ეს კიდევაც. სირცხვილით ვიწვი
აქ, მეგობრებო. ვაუკაცობა იმდენი შემწევს,
პირისპირ შევხვდე სილატაკეს და მოვითმინო.
მაგრამ იმას კი ვერ ავიტან, ზიზღს და სიძულვილს
რომ ვკითხულობდე თვალში ყოველ რომაელისა!
აღემატება ეს ჩემს ძალას. მსურს გალიაში
ვიცხოვრო წყნარად, ვით უცნობმა ადამიანმა,
გადავივიწყო სამუდამოდ, ვინ ვიყავ ძველად,
გულში ჩავიკლა მისწრაფება დიდებისადმი
და სიზმარებით გავიხსენო ჩემი წარსული.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

გზა მშვიდობისა! წინ გიძლოდეს ბედნიერება!

ც ე თ ე გ უ ს ი

და გაგვიხსენე მუდამ კეთილად,
ისევე, როგორც ჩვენ გაგვიხსენებთ.
ახლა კი წავალთ და მეგობრებს შევატყობინებთ
განზრახვას შენსას, მათთვის ასე მოულოდნელსა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გადაეცით სალამი ყველას —
დამშვიდობება უკანასკნელი

ლენტულუსი და ცეთეგუსი გადიან.
გვერდითი კარიდან შემოდის ავრელია, მაგრამ შემკრთალი შეჩერდება
ლენტულუსისა და ცეთეგუსის დანახვაზე. ისინი გავლენ თუ არა, შივა
კატილინასთან.

ავრელია

(ნაზი საყვედურით)

თავაშვებულმა მეგობრებმა იპოვეს ისევ
შენი სახლი? ო, კატილინა.

კატილინა

აწკი ისინი

უკანასკნელად დავარწმუნე, გამოვეთხოვე.
ჩემს და რომს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა
ამიერიდან სამუდამოდ.

ავრელია

ჩავაწყე ჩვენი

ბარგი-ბარხანა, მართალია, არაა ბევრი,
მაგრამ იმას კი ეყოფა შაინც,
ვინც მცირედითაც კმაყოფილდება.

კატილინა

(ჩაფიქრებით)

ეყოფა იმას, ყველაფერი დაკარგა ვინაც
ისე, როგორც მე.

ავრელია

დაივიწყე ის, რისი შეცვლაც
ჩვენ აღარ ძალგვიძს; დაივიწყე...

კატილინა

ბედნიერია

ის, ვისაც ძალუძს დავიწყება, ვინც შესძლებს ძალით
ამოიშანთოს თავის ხსოვნიდან
იმედი, ზრახვა და მიზანი საუკეთესო.

თუმც ამისათვის დროა სანაოო:
მაგრამ ვეცდები...

ავრელია

ნაც მზადა ვარ, რომ დაგეზმარო.
და თუ შენ ამას დაივიწყებ, ვანიკურნები.
მაგრამ გავიქცეთ, გავეცალოთ აქაურობას —
რაც მალე, უფრო უკეთესი იქნება ჩვენთვის.
შენ აქ გეძახის ცხოვრება და ვაცდუნებს ხოლმე...
მამ მართალია, რომ ამ ღამით მივემგზავრებაი?

კატილინა

დიახ, ნამდვილად, ავრელია, ამ ღამით სწორედ.

ავრელია

მე შევაგროვე დარჩენილი ფულები უკვე, —
გზაში გვეყოფა ჩვენ ორივეს.

კატილინა

ძალიან კარგი.
იქ კი ჩემს მახვილს გადაეცვლი ბარზე.
ვაგლახ, რიდასთვის მკირდება ხმალი!

ავრელია

ქვა-ლორღისაგან გავწმენდთ მიწას, დავბარავთ მერე, —
მე ყველაფერში დაგეზმარები, —
ჩვენს პატარა სახლს შემოვაღლებთ ყვევილნარს ირგვლივ.
გაიფურჩქნება იქ ვარდები და კესანები,
რაც ჩვენ გვაუწყებს, რომ დადგება მალე ისეთი
დრო შენთვის, როცა შეგიძლება შეხვდე ყოველგვარ
მოგონებასა, ვით მეგობარს სიჭაბუკისას.

კატილინა

ვშიშობ, ძვირფასო, რომ ეგ დრო ჯერაც
ღამაღამაა შორს მრუმე ნისლით.

(უფრო დამშვიდებული კილოთი)

ახლა კი წადი, საყვარელო ჩემო მეუღლე,
და დაისვენე. შუალამე დადგება როცა,
გავემგზავრებით უსათუოდ. მაშინ მთელ ქალაქს
ლრმა, მშვიდი ძილით ეძინება და ვერვინ შესძლებს
რომ შეგვაძინოს, დაგვედევნოს, გამოგვეკიდოს.
გარიურაქისას კი ვიქნებით საკმაოდ შორსა.
დაფნის კალაში დავისვენებთ ბალახის ნოხზე.

ა ვ რ ე ლ ი ა

იქ ჩვენ ახალი, უკეთესი ცხოვრება გველის,
იმაზე ბევრად უმჯობესი, რომელსაც ვტოვებთ!
მაშ წავალ ახლა, დავისვენებ. ძალას, სიმხნევეს
მოვიკრებ ამით... ძილი ნებისა!

(ეხვევა კატილინას და მიდის.)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თვალს გააყოლებს)

წავიდა. ცოტა დავისვენე, ამოვისუნთქე.
აწ შემძლია თვალთმაქცობა ჩამოვიშორო,
ჩამოვიშორო გარეგნული მხნეობა, რაც სულ
არ გამაჩნია. ავრელია, ჩემო კეთილო!
მან რომ შეიტყოს ჩემი ეჭვები,
გული დასწყდება, ამიტომაც ვუმაღავ იმათ.
მაგრამ ეს ღამე, ბნელი ღამე უნდა შევწირო
ჩემი დანთქმული, დაღუპული ცხოვრების ჰერეტას,
თუმცა ერთად რომ მოვუყარო ყველაფერს თავი,
სინათლე მიშლის... ჩაეაქრობ ღამპას...
აქაც ბნელოდეს ისე, როგორც ჩემს სულში ბნელა.

(ჩააქრობს ღამპას; სვეტებს შორის ეცემა მთვარის შუქი.)

მთლიანად მაინც არ დაბნელდა! თუმც მთვარის შუქი
იმ ფერმკრთალ მწუხრს ჰგავს, რომელშიც მე ვცხოვრობდი დღემდე;
ეჰ, კატილინა, ჩანს, რომ ეს დღე უკანასკნელი
დღე არის შენთვის; ხვალ შენ უკვე აღარ იქნები
ის წინანდელი კატილინა, რაც დღემდე იყავ.
შორეულ, ველურ გალიაში, უსიერ ტყეში

პატარა, ჩემად მოღუღუნე მდინარის მსგავსად
იღინებს წყნარად, შეუმჩნევლად ცხოვრება ჩემი.
აწ გამოფხიზლდი ყოველგვარი ოცნებისაგან,
აღარა მხიბლავს განდიდება, ძალაუფლება,
გმირობა, დიდი საქმეები... ის ოცნებები
დილის ნამივით მთლად გამქრალა, აორთქლებულა.
ისინი ჩემი სულის ფსკერზე იმალებოდნენ,
სადაც ვერავინ ვერ შენიშნა, ვერ შეამჩნიო.
არ მაშინებდა მე ჩაძირვა იმ სიწყნარეში,
უშინაარსო სიცოცხლეში; ოღონდაც ერთხელ,
ოღონდაც ერთხელ შემძლებოდა გამობრწყინება,
ზეცის თალიდან მოწყვეტილი ვარსკვლავის მსგავსად.
ო, ერთხელ მაინც ჩამედინა საგმირო საქმე,
რომ უკვდავმეყო სამუდამოდ სახელი ჩემი.
მე გამარჯვების წუთებშივე სიამოვნებით
მივატოვებდი ყველაფერსა, რომს დავტოვებდი
ან სიხარულით დავიკრავდი მკერდში ხანჯალსა,
თვალს დავხუჭავდი, სამუდამოდ დამშვიდებულნი, —
ვინაც იცხოვრა, მას სიკვდილი ვერაფერს უზამს!
მაგრამ სიკვდილი საშინელი ხვედრია მაინც!
ახლა მე მერგო? ნუთუ მართლა დავიღუპები?

(ხელებს აღაყრობს ზეცისაკენ.)

ჰოი, მამ მამცნეთ აწ, ღმერთებო, განრისხებულნო,
რომ ნამდვილად თქვენ მომისაჯეთ მე ამ ცხოვრების
შკალოდ გავლა, დავიწყების წყვდიადში დანთქმა!

ფ უ რ ი ა

(სვეტებს უკნიდან)

ო, არა, არა, კატილინა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(უკან დაიხვეს)

ვინ ლაპარაკობს?

ვისი ხმა მამცნობს მე ამ ამბავს? იქნებ ხმა სულის,
სულის, წყვდიადის სამეფოში დამკვიდრებულის...

ფ უ რ ი ა

(გამოდის მთვარის ნათელზე)

ჩრდილი ვარ შენი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შეშინებული)

მოჩვენება ქურუმი ქალის!

ფ უ რ ი ა

ნუთუ გაშინებ? ო, რარიგ დაბლა დაეცი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მართალი მითხარ, წყვდიადიდან იმიტომ აღსდექ,
რომ მე მაწამო, მღევნო, შური იძიო ჩემზე?

ფ უ რ ი ა

გაწამო, გღევნო? ხომ გითხარი, ჩრდილი ვარ შენი,
მე უნდა ვიქნე ყველგან შენი თანამხლებელი.

(მოუახლოვდება)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ის ცოცხალია! ო, ღმერთებო! ის ჩემს წინაშე
ჩრდილი კი არა — თვითონაა იგი, ცოცხალი.

ფ უ რ ი ა

ეგ სულ ერთია — ვარ მე შენი თანამხლებელი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შურისმგებელი, გამსჭვალული ჩემდამი მტრობით.

ფ უ რ ი ა

ო, არა! მტრობა სამარეში ისევე ქრება,
ვით სიყვარული, გატაცება, ვნება ყოველი,
მიწიურ მკერდში რომ ცოცხლობენ. ურყევი, მყარი
ერთი რამაა სიკვდილშიაც, ვით სიცოცხლეში.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რა არის? მითხარ, ჩქარა, ჩქარა!

ფ უ რ ი ა

რა? შენი ბედი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩემი ბედი ხომ ხილულია მხოლოდ უბრძენეს,
უკვდავ ღმერთთათვის.

ფ უ რ ი ა

ის ჩემთვისაც არის ხილული.
შენი ჩრდილი ვარ. გვაკავშირებს ჩვენ საიდუმლო
ძაფები.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ეგ ხომ ძაფებია სიძულვილისა.

ფ უ რ ი ა

ო, არა! განა სამარიდან ადგომას შესძლებს
სული, აღსავსე სიძულვილით, შურისძიებით?
მე ყოველგვარი მიწიური ალი ვნებისა
მიწისქვეშა წყლის ცივ ტალღებში ჩავაქრე უკვე.
მე ის ფურია აღარა ვარ, რომლის მიმართაც
იყავ ოდესლაც გამსჭვალული სიყვარულითა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მართალი მითხარ, აღარ გაჟღერა?

ფ უ რ ი ა

ო, არა, არა!

ბნელ სამარეში რომ ჩაეედი, სიცოცხლისა და
სიკვდილის შუა საზღვრებზე დავდექ
და მზად ვიყავი ქვესკნელში რომ გადამეზიჯა,
გამოუცნობმა შემბიპრო თრთოლვამ
და ჩემში რაღაც დიდებული გარდაქმნა მოხდა:

მსწრაფლ უკუიქცა შურისგების წყურვილი, მტრობა,
უეცრად გაჰქრნენ ყოველგვარი მოგონებანი
და კატილინას სახელიდა გადარჩა მხოლოდ,
ჩემს სულში ცეცხლის ასოებით ამოდაღული.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

საოცარია! მაგრამ ვინაც არ უნდა იყო:
ამქვეყნიური ქმნილება თუ ფერმკრთალი ლანდი, —
მომჯადოები, საშინელი ძალით სავსეა
ეგ სიტყვები და მაყვლისფერი თვალები შენი.

ფ უ რ ი ა

სულთ ძლიერი ხარ ჩემსავით და მაინც გინდა
გაუბედავად სთქვა უარი ყოველგვარ აზრზე —
ძალაუფლება რომ ხელთ იგდო და გაიმარჯვო?
გინდა ლაჩრულად შეაქციო ზურგი ასპარეზს,
სად ბუნდოვანი ზრახვანი შენი
შესძლებდნენ სრული ბრწყინვალებით გაფურჩქვნას, გაშლას.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვალდებული ვარ, რომ ეგრე ვქნა. უწყალო ბედმა
ასე განსაჯა.

ფ უ რ ი ა

შენმა ბედმა? მაშ რისთვის გიდგა
გმირული სული, რისთვის შეგწევს ძალ-ლონე გმირის,
თუკი იმ მტერს ვერ შეებრძოლები,
მტერს რომ უწოდებ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ძვირფასო, მე არ
ვიბრძოდი განა? განა მთელი ჩემი სიცოცხლე
ბრძოლა არ იყო? რა გამოვიდა,
რა მოვიპოვე მე ამ ბრძოლით? შერცხვენა, ზიზლი!

ფ უ რ ი ა

რარიგ დაეცი! დაისახე მიზანი დიდი
შენ გაბედულად და გასურდა კიდევ,

რომ ამ მიზნისთვის მიგელწია, მაგრამ აწ ნუსუ
დაბრკოლებებმა შეგაშინა? საშინელია?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არ მეშინია, მაგრამ არის მიუღწეველი
მიზანი ჩემი; ჩანს, ყველაფერი, ყველაფერი
ყოფილა ოდენ წარმავალი, ფუჭი ოცნება.

ფ უ რ ი ა

აწ საკუთარ თავს იტყუებ მხოლოდ.
ახლაც, ვით უწინ, ისევ გხიბლავს მიზანი იგი;
შენ გიდგა სული დიდებული რომაელისა
და უამრავი გყავს მეგობარი.
რად ყოყმანობ და აყოვნებ ასე?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ჩაფიქრდება)

ნუსუ მე უნდა?.. სისხლით ჩემივ რომაელების?..

ფ უ რ ი ა

შენ ვაჟკაცი ხარ, სიმამაცით კი ქალებს გვითმობ?
რად დაივიწყე რომაელი ქალი, რომელმაც
გადააბიჯა მამის გვამსა და გაეშურა
ტახტისკენ, დიახ, მე ნამდვილად ტულიას ვგავარ.
და შენ კი? უნდა შეიზიზლო შენივე თავი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩემივე თავი შევიზიზლო? ამიტომაა,
აულაგმავი სწრაფვა პატივმოყვარეობის
ამიერიდან ჩემს სულზე რომ ველარ მბრძანებლობს!

ფ უ რ ი ა

გზაჯვარედინზე დგახარ შენ ახლა:
წახვალ იქითკენ — იქ ცარიელი,
სულ მთლად უმიზნო სიცოცხლე გელის, —
არცა სიკვდილი, არცა ძილი; არამედ თვლემა,

წამოხვალ აქეთ — გელოდება სამეფო ტახტი!
მაშ აირჩიე, კათლინა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მეძახი, მიხმობ
და მაცდუნებ მე სასიკვდილოდ, დასაღუპავად.

ფ უ რ ი ა

აწ შენს ხელთაა დიდება და სიკეთე რომის,
გელის ბრწყინვალე ცხოვრება და ძალაუფლება!
შენი გული კი გატანჯულა სასტიკი ექვით,
ფიქრობ, ყოყმანობ და გარბიხარ ბრძოლის ველიდან.
ახლა გიზიდავს უსიერი ტყეები, სადაც
ეგრეთ ზვიადი განზრახვები ჩაკვდება შენში,
სად იმედისთვის არც საზრდოა და აღარც სივრცე, —
თავშესაფარი ბნელ სამარედ გადაგექცევა!
ნუთუ წყურვილი დიდებისა შენი სულიდან
გაუჩინარდა, კათლინა, გაპქრა მთლიანად?
შენ მბრძანებლად ხარ დაბადებული
და უსახელოდ უნდა ჩაპქრე მივარდნილ ადგილს?
გაიქეც, მაგრამ იცოდე, რომ აწ სამუდამოდ
ჰკარგავ მას, რასაც მოიხვეჭდი გმირული ბრძოლით
და ძლიერ მალე შენ თვითონვე ამ დანაქარგის
სიმწარეს იგრძნობ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაგ სიტყვებით რა გინდა მითხრა?

ფ უ რ ი ა

თვით შეარცხვინე, მოაყივნე შენი სახელი.
მწამს, კათლინას რომაელთა შთამომავალნი
ყოველთვის ზიზღით, სიძულვილით მოიგონებენ,
მაგრამ შენს ხსოვნას უკვდავებით გააცისკროვნებს
მხოლოდ გმირობა უდიდესი, თუ უსამართლო
წესრიგს დაანგრევე, დააყენებ მას თავდაყირა
და ხალხს, დაჩაგრულს, მალლიდან ამცნობ,
რომ რომის ზეცას აღარასდროს გადეთარება

შავი ღრუბლები მონობისა ამიერიდან,
და თუ აიგებ ძლიერი ხელით
სამეფო ტახტსა თავისუფალ ქვეშევრდომთ შორის.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

კმარა! შეეხე იმ სიმებს უკვე,
სულის სიღრმეში ასე რომ თრთოდნენ,
შენს ხმაშიც ახლა იმ სიტყვების ეჭო ისმოდა,
რომელთაც გული ჩამჩურჩულებს დღეცა და ღამეც.

ფ უ რ ი ა

აწ კატილინას მე ისევ ვიცნობ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე აღარ წავალ. კვლავ გააღვიძე
ჩემში ჰაბუკის გამბედაობა
და მისწრაფება მაღალ მიზნისკენ.
ღიახ, ნამდვილად მე ვიქნები ხსნის ჩირალდან
ღამის წყევლიადში ჩაფლულ რომისთვის,
ცთომილ ვარსკვლავად გავიელვებ მე რომის ცაზე,
გამოვადვიძებ, ძრწოლვას მოვგვრი ყველა რომაელს!
თქვენ, უმაქნისო არსებანო, იცოდეთ კარგად,
რომ ვერ მომდრიკეთ, ბრძოლით მოღლილი
ერთი საათით დავეცი მხოლოდ.

ფ უ რ ი ა

მოვალენი ვართ აღვასრულოთ ბედის ბრძანება
და განაჩენი ბნელი სულების.
მისი ბრძანებით ჩემს გულში ჩაჰქრა
შენდამი მტრობა და სიძულვილი.
მომეცი ხელი ნიშნად ჩენი დაზავებისა.
რალას აყოვნებ? რას ყოყმანობ? არა გსურს?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არ მსურს?

მე შენს თვალებში ვიცქირები; ციმციმებენ და
ჰკვეთავენ ღამის წყევლიადს, როგორც ისრები ელვის.

შენ გაგელიმა... ჩემს წინაშე, მგონია თითქოს
დგას ნემეზიდა.

ფ უ რ ი ა

ის რომ იხილო,

შენ ჩაიხედე საკუთარ სულში.

ან იქნებ კიდევ დაგავიწყდა რა შემომფიცე?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მახსოვს, მაგრამ მე შენში მაინც მის სახეს ვხედავ.

ფ უ რ ი ა

ანარეკლი ვარ შენი სულისა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ჩაფიქრდება)

ბუნდოვანად ვგრძნობ, არ მესმის კარგად;
გასაოცარი აჩრდილნი და მოჩვენებანი
გაიელვებენ ჩემ წინ უცებ, მოულოდნელად,
და აღარ ძალმიძს გავერკვე მათში.
აქ ძალზე ბნელა.

ფ უ რ ი ა

და კიდევაც უნდა ბნელოდეს.

წყვედიადი ჩვენი სამეფოა. მომეცი ხელი

ნიშნად მუდმივი კავშირისა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, ნემეზიდა,

ჩემო აჩრდილო, ანარეკლო ჩემო სულისა,

ჰა, ჩემი ხელი ნიშნად ჩვენი შერიგებისა,

სამარადისო, ბნელით მოცულ კავშირის ნიშნად.

ფ უ რ ი ა

აწ კი ერთმანეთს აღარასდროს არ განვშორდებით.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, შენი ხელის შეხებისგან ძარღვებში თითქოს
ბრიალა ცეცხლმა დამიარა. სისხლი კი არა
ახლა იმათში ცეცხლის ალი გიზგიზებს, მგონი,
გულზე მომაწვა და თვალებში დგება წყვდაადი.
დაე ცეცხლის ზღვამ მოიცვას რომი!

(იშიშვლებს მახვილს და იქნევს.)

ხედავ, ვით ბრწყინავს ჩემი ხმალი, მახვილი ჩემი?
შეიღებება ყველაფერი სისხლისფრად ახლა.
რა მემართება? შუბლი მიხურს, მოჩვენებები
ჩემს წინ გუნდ-გუნდად ფრინავენ თითქოს.
შურისძიება, გამარჯვება, სიცოცხლე — დაე,
მიზნებს, ოცნებებს შეესხას ფრთები
და მოვიხვეკოთ სახელი და ძალაუფლებას!..
ისმის ყიჟინა: ჯოჯოხეთის ცეცხლი, სიკვდილი
კაპიტოლიუმს! უკვე ვბოვე მე ჩემი თავი!

(გარბის. ფურია მისდევს.)

შიგნით სუსტად განათებული სამიკიტნო

შემოდინ ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი, გ ა ბ ი ნ ი უ ს ი, კ ე პ ა რ ი უ ს ი და
ს ხ ვ ა ა ხ ა ლ გ ა ზ რ და რ ო მ ა ე ლ ე ბ ი.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

აი, აქ უნდა გავატაროთ ეს ღამე, ძმებო,
აქ უშიშარი აღგილია, ვერავინ შესძლებს
რომ მოგვისმინოს.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

დიახ, ცოტა წავიქეიფოთ.
ვინ იცის, რა ხნის სიცოცხლეა შემოგვრჩენია.
მოდით, დავლიოთ!

კ ე პ ა რ ი უ ს ი

მოიცადეთ რანაირ ამბავს
მოგვიტანენ ჩვენ ცეთეგუსი და ლენტულუსი.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

რისთვის ვუცადოთ? რანაირი ამბავიც უნდა
არ მოიტანონ. — ღვინო შემოაქვთ
და საჭიროა გავსინჯოთ იგი,
დავაგუგუნოთ მხიარული, ტკბილი სიმღერა.

მ ს ა ხ უ რ ე ბ ი მოართმევენ ღვინიან ღოჭებს და თასებს

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(ერთხმად)

ვადილოთ
ღმერთი ღვინისა,
დრო გავატაროთ
ლხინითა.
ღვინოა
სავესე სურნელით,
მნათები
ჩვენი სულების.

ბაკჟი გვიგზავნის
სალამსა,
ჩვენაც დავკექოთ
ანაზდად,
დავეცალოთ თასი, იცოდე:
უღვინოდ არ გვეშველება,
ღვინოა ჩვენი სიცოცხლე,
სიტუბო და ბედნიერება!

ღვინოვ,
სისხლივით წითელო,
ყოვლის მომცემი
შენა ხარ:
სიმხნევის,
სიყვარულისა...
ჩვენი განცხრომა,
ლხენა ხარ!
ვადილოთ

ღმერთი ღვინისა,
დრო გავატაროთ
ლხინითა.
ღვინოა, სავსე სურნელით,
ამნთები კაცთა სულეების!

შემოდინ ლენტულუსი და ცეთეგუსი
ლენტულუსი

ხმა ჩაიწყვიტეთ! რა გველხინება!
სტატილიუსი

რა ამბავია? კატილინა რად არ წამოგყვათ?
გაბინიუსი

არ დაგეთანხმათ?

კეპარიუსი

რა გიპასუხათ?

ხმა ამოიღეთ!

ცეთეგუსი

სულ სხვაგვარი პასუხი მოგვცა,
ვიდრე ველოდით იმისაგან.

გაბინიუსი

მინც რა გითხრათ?

ლენტულუსი

წამსვე უარყო ყველა ჩვენი წინადადება,
ჩვენს მოსაზრებებს არ ათხოვა ყური სრულებით.

სტატილიუსი

ასე ქნა მართლა?

კეპარიუსი

მინც რისთვის გითხრათ უარი?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

არ მოისურვა და ეს არის. იგი გვლალატობს,
გარბის ჩვენგან და ტოვებს ქალაქსაც.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ის რომსა ტოვებს?

ც ე თ ე გ უ ს ი

დღესვე, ამ ღამით.
მაგრამ ამისთვის ვერ განვსჯით იმას,
საფუძვლიანი საბუთები წარმომიდგინა.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ლაჩარი გახლავთ, აი მთელი თავი და ბოლო!
გასაჭირის ჟამს უსირცხვილოდ გვლალატობს იგი.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

აი, მამ ესეც — მეგობრობა კატლინასი!

კ ე პ ა რ ი უ ს ი

არა, არასდროს ყოფილა იგი
არც მოლალატე და არც ლაჩარი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

და იგი მაინც გვლალატობს, გარბის.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

თან წაიყოლებს ის ჩვენს იმედსაც
და სადღა ვპოვოთ ბელადი ახლა?

კ ე პ ა რ ი უ ს ი

რას ვიზამთ, უნდა განზრახვაზე ავიღოთ ხელი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

არა, ადრეა. მოისმინეთ აწ ჩემი აზრიც
მაგის შესახებ! რა გადავწყვიტეთ?
აემხედრდეთ ხელში იარაღით და მოვიპოვოთ

ის, რაც წაგვართვა უსამართლო ბედმა, განგებამ.
გეჩაგრავენ — ჩვენ კი მივსწრაფით ბატონობისკენ,
ლატაკნი ვართ და სიმდიდრეა ჩვენი მიზანი.

მ რ ა ე ა ლ ი ხ მ ა

ღიახ, ჩვენ გვინდა სიმდიდრე და ძალაუფლება.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ის მეგობარი ავირჩიეთ ჩვენს წინამძღოლად,
მტკიცე დასაყრდენს ვხედავდით მასში;
მაგრამ მოვტყუვდით, ჩვენი ნდობა არ გაამართლა
და სურს გაეჭყეს, განერიდოს განსაცდელს, საფრთხეს.
ნუ დავეცემით, მეგობრებო, სულით! ვუჩვენოთ,
რომ შეგვიძლია უმისოდაც გავუძღვეთ საქმეს.
ჩვენ ვინ გვჭირდება? ვინ და ვაყკაცი —
მამაცი, მტკიცე ნებისყოფისა,
სათავეში რომ ჩაუდგებოდა...

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

დაგვისახელე მაშ ეგეთი ადამიანი.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ვთქვათ, რომ მე ახლა ის ვაყკაცი დაგისახელოთ
და თქვენ წინაშე წარმოსდგეს იგი,
აირჩევთ განა მას თქვენს ბელადად?

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

ღიახ.

ს ხ ვ ე ბ ი

ავირჩევთ!

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ვინაა იგი?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ვთქვათ და მე თვითონ.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

შენ?

კ ე პ ა რ ი უ ს ი

შენ, ლენტულუს?

ბ ე ვ რ ნ ი

(ყოყმანით)

ბელადობა გსურს?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მსურს.

ც ე თ ე გ უ ს ი

შეგწევს ძალა?

ამას სპირდება საშინელი გამბედაობა
და კატლინას დიდი ძალა.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მე არ მაკლია

არც დიდი ძალა და არც დიდი გამბედაობა.
ოღონდ საქმეზე გადავიდეთ. ან იქნებ გნებავთ,
რომ დავიხიოთ, ხელსაყრელი გავუშვათ წუთი.
ან ახლა, ანდა არასოდეს! აწ ყველაფერი
გეპირდება იმას, რომ ბედნიერად
დაგვირგვინდება...

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

კარგი, კეთილი!

მზად ვართ წამოგყვეთ!

ბ ე ვ რ ნ ი

წამოვალთ შენთან.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

თუ კატლინამ მიგვატოვა, მაშინ, ლენტულუს,
წინამძღოლობა შენ შეგფერის ყველაზე მეტად.

ლენტულუსი

მაშ მომისმინეთ, რასა ვფიქრობ. ჩვენ, ჭერ, პირველად...
სწრაფად შემოდის კატილინა.

აი, მეც აქ ვარ, მეგობრებო!

ყველანი

შენ?.. კატილინა!

ლენტულუსი

(თავისთვის)

დალახვროს ღმერთმა!..

კატილინა

მაშ მითხარით, გამაგებინეთ,
რა გნებავთ ჩემგან? თუმცა თვითონაც
მშვენიერად ვიცი, რაშია საქმე.
მზად ვარ წაგიძღვეთ, წამომყვებით?

ყველანი

(ლენტულუსის გარდა)

დიახ, წამოვალთ!
წაგვიძებს და ჩვენც გამოგყვებით.

სტატილიუსი

ჩვენ მოგვატყუეს!

გაბინიუსი

ცილი დაგწამეს.

კეპარიუსი

გვითხრეს, რომ თითქოს
განზრახული გაქვს დასტოვო რომი
და ჩვენი საქმეც.

კატილინა

ასე მინდოდა.

ახლა კი დიდი მიზნისათვის მინდა ვიცოცხლო.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მაინც რა არის, აგვისსენი, შენი მიზანი?

კ ა ტ ი ლ ო ნ ო

უფრო მაღალი არის იგი, ვიდრე გგონია, იმაზე დიდი და დიადი, ვიდრე აქ ვინმე მიხვდება ამას. მეგობრებო, ყური დამიგდეთ! განზრახული მაქვს მოვიზიდო ჩვენი საქმისკენ ყველა ვაჟკაცი, გულოვანი, თავისუფალი, ვინც კი ღირსებას და სიკეთეს დიდი რომისას მაღლა აყენებს ყველაფერზე. ძველრომაული სული ხომ ჩვენში არ გამქრალა. მის უკანასკნელ ნაპერწკლებს აწ ჩვენ გავადვივებთ და ისეთ ალად ვაქცევთ, რომ მისი მსგავსი რამე არვის ენახოს. ო, ძალზე დიდხანს წევს მონობის შავი წყვილიადი და ის ჩვენს ქალაქს ღრუბელივით გადასწოლია. რაც უნდ ამაყი იყოს რომი, რაც უნდ ძლიერი შესახედავად, აწ ტორტმანებს ძირს დასაცემად; რომ განაახლოს იგი, უნდა მაგარმა ხელმა აიღოს მისი მმართველობის სადავეები, უნდა მძინარე მოქალაქე გამოაღვიძოს, ძალაუფლება ჩამოართვას უღირსთ, ისინი, ვითარცა შხამით, ამ უფლებით სწამლავენ გულებს და ყლორტებს ახალ ცხოვრებისას ანშობენ წამსვე. მსურს მოვუბოვო მოქალაქეს თავისუფლება და დაუბრუნო ძველებური სული, ძლიერი, ძლევაშოსილი ოდესღაც რომ მეფობდა რომში. მსურს დაეაბრუნო დიდებული ოქროს დღეები, როცა საშობლოს ღირსებისთვის ყველა რომაელს შეეძლო თავი გაეწირა დაუყოვნებლად და ხალხისათვის მოეტანა ბედნიერება.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

შენ ოცნებებმა გაგიტაცა. სულ სხვანაირი გეგმები გვქონდა.

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

გარდასული ჩვეულებების
მიამიტობის დაბრუნება რას გვარგებს ახლა?

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

ძალაუფლებას მოვითხოვთ ჩვენ.

ს ხ ე ე ბ ი

და უზრუნველი
ცხოვრებისათვის სახსრებს!

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

დიახ, აი, მიზანი!

კ ე პ ა რ ი უ ს ი

სხვის სიკეთეს და თავისუფლებას
უნდა შევწიროთ სიცოცხლე ჩვენი?

ყ ვ ე ლ ა

გვინდა ვიგემოთ გამარჯვების ნაყოფი თვითონ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

საბრალო მოდგმავ! რანაირი შთამომავალნი
ხართ დიდებული წინაპრების? მშობლიურ მხარეს
არცხვენთ საოცრად — აი, თქვენი ნიჭი, უნარი.
მის განდიდებას ემსახურეთ!

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

შენ ბედავ, განა
ეგეთი ზიზლით მოგვიხსენო, შენ, ვინაც ასე
დიდხანს იყავი საფრთხოებელა...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დიახ, სწორია
პატიოსნებით და სიკეთით სავესე კაცისთვის;
მაგრამ თქვენსავეთ უმაჟნისი და საზიზლარი
არა ვყოფილვარ მე არასდროს.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

გთხოვ, დაიმოკლო
ენა, თორემ ჩვენ არ მოვითმენთ, ეგრე რომ გვლანძღავ.

ბ ე ვ რ ნ ი

ღიახ, ღიახ, ჩვენ არ მოვითმენთ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(მშვილად)

ნუთუ ნამდვილად?
თქვენ არ მოითმენთ? ეგრე მხდლები, ეგრე ლაჩრები,
ეგრე მონებნი?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

გაგაძევეთ!

ბ ე ვ რ ნ ი

გასწი! გაგვშორდი!

ხანჯლებს იშიშვლებენ და მისცივიან კათილინას. ის კი დამშვიდებით
შეისხნის მოსახსამს, მკერდს მთუშვერს და უცქერის მათ ცივი,
ზიზლიანი ღიმილით. შემართულ ხანჯლებს ძირს დაუშვებენ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დამკართ, რატომ ველარ ბედავთ?.. ო, მეგობრებო,
უფრო მეტ პატივს გცემდით მაშინ, რომ გაგეგმირათ
ჩემი შიშველი მკერდი ისე, როგორც თქვენ წელან
მემუჭრებოდით. იქნებ არ შეგრჩათ
ერთი პატარა ნაპერწყალი სიმამაცისა?

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

ჩვენთვის სიკეთე უნდა მაგას.

ს ხ ვ ე ბ ი

დავიმსახურეთ

მისი დაცინვა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დიხაც, რომ დაიმსახურეთ.
მაგრამ დრო დადგა მოირეცხოთ სირცხვილის ლაქა.
მამ დაევიწყოთ ყველაფერი, რაც წელან მოხდა,
და შევეგებოთ აწ ცხოვრებას, ახალს და ნათელს.

(გამწარებით)

სულელი ვიყავ, ვფიქრობდი, მწამდა,
რომ თქვენთან ერთად გავიმარჯვებდი.
თუ ცოცხლობს კიდევ გამარჯვების დიადი სული
ასე სასტიკად დაცემულ დროში?

(გატაცებით)

რა მშვენიერი მიზნები მქონდა!
რა დიდებული მოჩვენებანი
მიპქროდნენ ჩემ წინ! მე ვოცნებობდი,
რომ ზეცისაკენ ავიჭრებოდი,
ვით იკაროსი. თვითონ ღმერთები
მომანიჭებდნენ უდიდეს ძალას
და მასწავლიდნენ ელვათა ტყორცნას.
მე შევიპყარი მფრინავი ელვა
ძლიერი ხელით და რომს ვესროლე.
შუშხუნასავით აენთო რომი,
დაიგრილა და ფერფლად იქცა.
მაშინ მეხის ხმას მოვუხმე წამსვე
კატონის მებრძოლთ საფლავეებიდან.
წამოიშალნენ ათასეული
სულები უცებ ჩემს დაძახილზე,
გაცოცხლდნენ... აღდგა ფერფლიდან რომიც.

(შეჩერდება)

მაგრამ ეს იყო ცარიელი ოცნება მხოლოდ.
ღმერთები წარსულს ვერასოდეს დაგიბრუნებენ,
მიცვალებულნი საფლავიდან ვერ აღსდგებიან.

(აღზნებით)

დე ასე იყოს! ჩემი ხელი თუ ვერ აღადგენს,
ქველ დიდებულ რომს, საამისო თუ არ მაქვს ძალა,
თანამედროვე რომს დაამზობს აუცილებლად!..
სად აღმართულან მარმარილოს სვეტები ახლა,
აიტყორცნება იქ სვეტები ცეცხლის და ბოლის,
დაინგრევიან ტაძრები და სასახლეები,
კაპიტოლიუმს ფერფლად ქცეულს იხილავთ მაშინ.
მაშ შემომფიცეთ, მეგობრებო, რომ თქვენს სიცოცხლეს
გასწირავთ მსხვერპლად — დაანგრიოთ ზვიადი რომი.
მომყევით ახლა, მე ვიქნები თქვენი ბელადი.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

წავყვეთ ყველანი!

ზოგიერთები ყოყმანობენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან. კატილინა
მათ ზიზღიანი ღიმილით უცქერის.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

(დაბალი ხმით)

დიახ, ასე სჯობია, მართლაც.
ცეცხლწაქიდებულ, აბოლებულ ნანგრევთა შორის
აღვილად ვპოვებთ, რასაც ვეძებთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(ყვირიან)

წამოვალთ ყველა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაშ შემომფიცეთ წინაპართა ღმერთები ახლა,
ბრძა მორჩილებით რომ გამომყვეთ მე ყველაფერში!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(ხელს აღმართავენ)

ვფიცავთ ჩვენს ღმერთებს, ყველაფერში დაგემორჩილოთ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაშ ფარული გზით თითო-თითოდ. ცალ-ცალკეულად
შემოდით ჩემთან, მეგობრებო. თქვენ იქა კპოვებით
იარალსა და სხვა საქურველს. მეც მალე მოვალ,
რათა გაგაცნოთ ბრძოლას გეგმა. ახლა კი წადით.

ყველანი შიღიან.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

(ანერებს კატლინას)

მოიცა, რალაც უნდა გითხრა. ალობროგებმა
ელჩები უკვე გამოგზავნეს რათა აქ, რომში,
სენატსა სთხოვონ დახმარება და მფარველობა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვიცი, ისინი დღეს ჩამოვიდნენ.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მართალსა ბრძანებ. რა იქნება, მითხარი ერთი,
რომ შევძლოთ მათთან საიდუმლო კავშირის გაბმა?
მთელი გალია მათთან ერთად აღდგება ფეხზე
და ამხედრდება ჩვენი მტრების დასამარცხებლად.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(უხალიაოდ)

როგორ, კავშირი შეეკრათ ჩვენ იმ ბარბაროსებთან?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

სხვა გზა არა გვაქვს. ვერ უზრუნველყოფთ
ჩვენს გამარჯვებას საკუთარი ძალებით მხოლოდ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(მწარე ღმილით)

რომი დაეცა! დიდებული გალავნის შიგნით
ველარ იპოვით ადამიანს, რომელმაც შესძლოს
ეს ნანგრევები დააყენოს აწ თაედაყირა!

(გაღის.)

ბალი კატილინას სახლის უკან. თვით სახლი ზეებს შორის დგას.
მარცხნივ სახლს მიშენებული აქვს ფლიგელი.

კ უ რ ი უ ს ი, ც ე თ ე გ უ ს ი და კიდევ რამდენიმე შეთქმული
ფრთხილად შემოდინ მარჯვნიდან და ერთმანეთს ეჩურჩულეებიან.

კ უ რ ი უ ს ი

მაშ მართალია?

ც ე თ ე გ უ ს ი

მართალია, დიახ, მართალი!

ერთ წუთს გადაწყდა ყველაფერი, იმ წუთს დიდებულს.

კ უ რ ი უ ს ი

გვიხელმძღვანელებს იგი ყველას?

ც ე თ ე გ უ ს ი

დიახ, ყველაფრის
სათავეში დგას. შენ თვითონვე გაესაუბრე.

კურიუსის გარდა ყველანი სახლში შედიან.

კ უ რ ი უ ს ი

ოჰ, რა ღამეა, ამერია აზრები თავში.

ეს ყველაფერი იქნებ მხოლოდ სიზმარი იყო?

მაგრამ აწ ჩემთვის სულ ერთია, ეს სიზმარია

თუ ცხადი, ახლა მე ცხადადაც მას ვხედავ მხოლოდ,
საითაც უნდა მივტრიალდე.

მარჯვნიდან შემოდის კ ა ტ ი ლ ი ნ ა

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

აქ ხარ, კურიუს?

მხოლოდ შენ მაკლდი, მეგობარო... იცი თუ არა,
რომ ვესტალ ქალთან პაემანი მოულოდნელი
ამბით დამთავრდა?

კ უ რ ი უ ს ი

(დარცხენით)

დიახ... ვიცი... შენ ხარ მართალი...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაგრამ მოვეშვათ ამას ახლა. ეს პაემანი
საბედისწერო იყო ჩემთვის.

(ჩაფიქრდება)

იქნება მართალს
ლაპარაკობენ — ფურები გოგონებიდან
გვევლინებიან, რათა შური იძიონ ჩვენზე,
მთელი სიცოცხლე გვღვევონ... ო, ეს თუკი ასეა!...

კ უ რ ი უ ს ი

(შეშფოთებული)

შენ შეხვდი იმას?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დღეს, ამ საღამოს —
თვითონ მოვიდა... მაგრამ ახლა მოვეშვათ ამას.
ჩემო კურიუს, მომისმინე, ჩვენ განვიზრახეთ,
ღიღი ნაბიჯი რომ გადავდგათ.

კ უ რ ი უ ს ი

ვიცი, მაუწყა
მე ცეთეგუსმა ყველაფერი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვინ იცის, ცაში
ღმერთებმა უკვე რა გადაწყვიტეს!
იქნება უნდა დავეცე მე, ვითარცა მსხვერპლი
და ვერასოდეს მიეაღწიო დასახულ მიზანს¹.

¹ აქედან პიესის თარგმანი ეკუთვნის აკ. გელოვანს (სტრუქონიდან: „ვინ
...ცაის, ცაში ღმერთებმა თუ რა გადაწყვიტეს...“ (რედ.).

ვ. ბეწუელი ამ თარგმანზე მუშაობის დროს გარდაიცვალა.

დე, ასე იყოს! მაგრამ, ჩემო კურიუს, მე შენ
ძალზე მიყვარხარ ბავშვობიდან, მე გამოგზარდე...
შენ როდი გმართებს გადაეშვა ამ ქარიშხალში.
მომეცი სიტყვა, რომში დარჩე, თუ გადავწყვეტიე,
რომ სხვა ადგილას მივაყენო სასტიკი დარტყმა.
სავსებით არის ამგვარი რამ მოსალოდნელი.
ნუ აჩქარდები, რომ მოგვემხრო, მოიცა ცოტა,
ელოდე საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

კურიუსი

(გულაჩვილებული) .

ო, მეგობარო, მამსავით მზრუნველო ჩემთვის!
სიყვარულს შენსას...

კატილინა

მაშ მპირდები, მაშ თანახმა ხარ?
დავემშვიდობოთ აქ ერთმანეთს. დაიცა ერთ წუთს,
აქ დამელოდე, დავბრუნდები შენთან სასწრაფოდ.

(შედის სახლში)

კურიუსი

(თვალს გააყოლებს)

კვლავ ძველებურად ვუყვარვარ მას, არაფერს ექვობს.
მარჯნიდან შემოდიან ლენტულუსი და სხვა შეთქმ

ლენტულუსი

(კურიუსს)

არ გაიარა ახლა, ამ წუთს, აქ კატილინამ?

კურიუსი

სახლში შევიდა.

(ყველანი შედიან სახლში).

კ უ რ ი უ ს ი

(მოუსვენრად დადის აქეთ-იქით)

როგორ ჩაივალა ეს გიჟური წადილი გულში?
სისხლი ბობოქრობს და მიკარგავს სულის სიმშვიდეს.
ჰოი, ფურიავე, ჯადოქარო გასაოცარო!
სადა ხარ ახლა? და ხელახლა როდის შეგხვდები?
ნეტა, სად გაქრა? გაიპარა, როგორც აჩრდილი,
რაწამსაც მე მას გავუხსენი სამარის კარი.
მერედა მისი იღუმალი, ბნელი სიტყვები,
მისი თვალები, ბრმა და თანაც შუქმოციმციმე? —
სიგიჟე იყო? ან რად მიკვირს, ბნელმა სამარემ
კჳუა-გონება დაუბინდოს საბრალო ქალსა?

ფ უ რ ი ა

(უკან, ხის ქვეშ)

არა, ყმაწვილო ფერწასულო, ნუ გეშინია!

კ უ რ ი უ ს ი

(შეპყვირებს)

ფურიავე, შენა? ვისთანა ხარ?

ფ უ რ ი ა

(უახლოვდება)

კატილინასთან.

სადაც ის არის, იქ იქნება მარად ფურიაც.

კ უ რ ი უ ს ი

ჩემო ერთგულო, გამომყევი, დაგმალე სადმე!
თორემ რა ვიცი, ვინმე უცხომ აქ რომ გიხილოს...

ფ უ რ ი ა

მიცვალე ბულებს არავისი არ ეშინიათ.
არ გახსოვს, შენ რომ სამარიდან ამომიყვანე?

კ უ რ ი უ ს ი

ისევ ის სიტყვა ზარდამცემი! მე მომისმინე!
ჩემო ფურიავე, გონს მოდი და თან გამომყევი!
(ცდილობს ხელი დაუქიროს)

ფ უ რ ი ა

(უეცრად ხელსა ჰკრავს)

თავხედო გიჟო! ელდის ზარი რად არ გეცემა?
შენ წინ სიკვდილის ასული დგას. წყვედიად ლამეში
საიქიოდან ამოსული მცირედი ხნაოა.

კ უ რ ი უ ს ი

მე მეშინია მართლა შენი, მაგრამ ეს შიში
ავსებს საოცრად ჩემს არსებას ნეტარებითა.

ფ უ რ ი ა

რას ჩამაცივდი? შენი სიტყვა უსარგებლოა!
სამარისა ვარ, ქვესკნელია ჩემი სამშობლო,
გამოქცეული ვარ სიკვდილის ჭალაკებიდან,
ცისკრის ჟამს ისევ დავბრუნდები საიქიოში.
არ გჯერა ჩემი? არა გჯერა, მეც რომ ფერწასულ
აჩრდილთა შორის ვზივარ დაბლა, პლუტონის გვერდით?
მე გეუბნები, სწორედ ახლაც დაბლა ვიყავი,
სტიქსის გადაღმა, შავ ჭაობში...

კ უ რ ი უ ს ი

მაშ, წამიყვანე!

ფ უ რ ი ა

შენა?

კ უ რ ი უ ს ი

დიხნაც გამოგყვები წარბშეუხრელად,
სიკვდილისა და ღამის წყვედიადს გავივლი შენთან!

ფ უ რ ი ა

ეს არ მოხდება. ჩვენ ახლავე უნდა დაეშორდეთ.
სიკვდილ-სიცოცხლე იქ ერთმანეთს ვერ ეწყობიან.
შენ რომ დროს მართმევ, იცი, ჩემთვის რა ძვირფასია?
ხოვ იცი, მხოლოდ ღამითა მაქვს მიმოსვლის ნება!

ჩემი საქმეა დამე, და ვარ ღამის საღამო.
როგორ ვიკითხო კატლინა?

კ უ რ ი უ ს ი

შენ იმას ეძებ?

ფ უ რ ი ა

ღიახაც ვეძებ.

კ უ რ ი უ ს ი

ისევ დევნი, როგორც ყოველთვის?

ფ უ რ ი ა

რა მომიყვანდა ქვესკნელიდან ამ ბნელ ღამეში,
თუ კატლინას გულისათვის არ მოვიდოდი?

კ უ რ ი უ ს ი

აჰ, ისევ მესმის ის გიჟური ახირებანი!
მაგრამ შენ მაგ შენს სიგიჟეშიც ხარ მშვენიერი!
ო, ნულარ ფიქრობ, გევედრები, კატლინაზე!
ჩემთან წამოდი, მიმსახურე, მიგულე შენად!

(ქალის ფერხით ემზობა)

მაგ ფერხთა მტვერი, მონა შენი, მსახური შენი
ვედრებით ვითხოვ შენსა მზერას! მისმენ, ფურიავ?
მე შენ მიყვარხარ! შხამნარევი, ნეტარი ცეცხლი
გულზე მედება, და შენს იქით ვერსად ვერავინ
ვერ გამინელებს მე ამ სახმელს...

ფ უ რ ი ა

(სახლისაკენ იყურება)

იქ რა შუქია?

კაცები სხედან, თათბირობენ. რა ხდება იქა,
კატლინასთან?

კ უ რ ი უ ს ი

(წამოიჭრება)

ისევ მისი სახელი მესმის!
მხოლოდ მის სახელს დასტრიალებს ოცნება შენი.
მე შევიძულე!

ფ უ რ ი ა

განიზრახა ნეტავი მართლა,
რომ სისრულეში მოიყვანოს თავისი საქმე,
რასაც ფიქრობდა?

კ უ რ ი უ ს ი

შენ ეს იცი?

ფ უ რ ი ა

სულ ყველაფერი.

კ უ რ ი უ ს ი

აბა გცოდნია, რომ ის თავზეხელალებულთა
ჯარს ჩასდგომია სათავეში და ემზადება!
ოლონდ გაფიცებ, აღარ მკითხო აღარაფერი
კატილინაზე!

ფ უ რ ი ა

მხოლოდ ერთი გამაგებინე,
და ეს იქნება ჩემი კითხვა უკანასკნელი:
მისი მომხრე ხარ?

კ უ რ ი უ ს ი

ზრუნავს, როგორც მამა მშობელი...

ფ უ რ ი ა

(ლიბილით)

მართლა? ის, ჩემი კატილინა?

კ უ რ ი უ ს ი

ე გ რ ა მ ი თ ხ ა რ ი ?

ფ უ რ ი ა

კაცი, რომელსაც ჩემი ფიქრი თავს დასტრიალებს?

კ უ რ ი უ ს ი

თავბრუ მეხვევა! შემძულდება... შემძულდა უკვე!
ო, შემძილია ჩემი ხელით მოკვლა კიდევაც!

ფ უ რ ი ა

მაგრამ მითხარი, შემომფიცე, რომ ყველაფერში
მე გამიგონებ!

კ უ რ ი უ ს ი

მოითხოვე, რაც რამ გენებოს!

ვარ ყურმოჭრილი მონა შენი, ბრმა იარაღი...
ოღონდ ერთს ვითხოვ: კატილინა აღარ მიხსენო!

ფ უ რ ი ა

ჰო, მეც ეგ მინდა, — დავივიწყებ მე სახელს მისას,
შავ მიწაში რომ გავისტუმრებ.

კ უ რ ი უ ს ი

(შემარწუნებული უკან დაიხევს)

როგორ, მე უნდა...

ფ უ რ ი ა

ვარ დაგვირდება იარაღი... საკმარისია
გასცე იმისი საიდუმლო...

კ უ რ ი უ ს ი

გავცე? ვუმუნთლო?

გამცემლობა და მკვლელობა ხომ ერთია მარად?
დაფიქრდი, მამად მიმაჩნია...

ფ უ რ ი ა

ჩემი მიზანი!

მხდალო! სულელო! შენ სიყვარულს ახსენებ კიდევ?
შენ გეშინია დასცე დაბლა კაცი, რომელიც
დიდების გზაზე დაგდგომია? გამშორდი!

(ზურგს აქცევს)

კ უ რ ი უ ს ი

(აჩერებს)

არა!

არ მიმატოვო მე მზადა ვარ ყველაფრისათვის!
მე შენი მზერა შიშით მავსებს, მარტოიანებს.
მაგრამ იმ ძაფებს ვერ გადავჭრი, რომლებიც შენთან
მაკავშირებენ და მბოჭავენ...

ფ უ რ ი ა

მაშ, თანახმა ხარ?

კ უ რ ი უ ს ი

რისთვის დამცინი ორჭოფული შენი კითხვებით?
რა თანახმაო? რა სურვილი? სად მაქვს სურვილი?
სადა მაქვს თავი? მზარავს შენი გველური მზერა,
ჩიტს რომ შესცქერის, აჯაღობს, აქვავებს. ხოლმე,
უახლოვდება მონუსხულს და ჩაასობს კბილებს —
ასე მჩხიბავენ საზარელი შენი თვალები.

ფ უ რ ი ა

საქმეს შევუდგეთ!

კ უ რ ი უ ს ი

და თუ სიყვარულს
მსხვერპლად შევწირე მეგობრობა, — მაშინ რას იზამ?

ფ უ რ ი ა

ალარ ვახსენებ კატილინას, ვინ და რა იყო,
ეს ჩემი საქმე დასრულდება. სხვას ნურას ითხოვ!

კ უ რ ი უ ს ი

მერედა, მხოლოდ ამისათვის...

ფ უ რ ი ა

ისევე ყოყმანობ?

ეგ შენი სუსტი იმედიც კი გაგქარწყლებია,
რისი მოცემაც შეუძლია მადლიერ ქალსა,
თუ მას მიზანი...

კ უ რ ი უ ს ი

ვფიცავ ყველა ღამეულ დემონს!
აღარ ვყოყმანობ! ის ერთი დგას, ვხედავ, ჩვენს შორის,
და მაშ დავეცე! მეგობრობის ძაფებს გადავჭრი,
ჩაეაქრობ მისი ერთგულების ყველა ნაპერწკალს.
ვინ ხარ, ჩვენებავ ღამეულო, მაგ სიახლოვით
ასე ერთბაშად რომ აქვავებ ამ ჩემს არსებას?
ეგ სიყვარული სიძულელილს და ჭადოს შეუკრავთ.
ვინა ვარ თვითონ, აღარ ვიცი, თავს ველარა ვცნობ.
ერთი კი მესმის: სხვა ვიყავი შენს გაცნობამდე.
მზად ვარ უფსკრულში გადავეშვა, ოღონდ შენ მოგყვე,
უცხო მშვენიებაე! კატილინა დაილუპება!
კაპიტოლიუმს მივაშურებ. სენატის სხდომა
სწორედ დღესაა, და იკმარებს ერთი სტრიქონიც,
რომ კატილინას საქმე წახდეს. აბა ნახვამდის!

(სწრაფად გადის)

ფ უ რ ი ა

(თავისთვის)

ცა საავდროდ ილუშება, გავარდება მეხი,
დაბნელდება, კატილინა, მალე შენი დღეცა,
და სამარეს მიადგები ფართო ნაბიჯებით!

სახლიდან გამოდინა ალობროგების ელჩები — ამბიორიქსი და ოლო-
ვიკო, ფურია ვერ შეამჩნიეს, ხეებს შორის ფოთლებშია მიმაღული.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

ამრიგად, საქმე გადაეწყვიტეთ, თუმცა კი ვფიქრობ,
ამ კაცთან საქმის დაკავება სახიფათოა.

ო ლ ო ვ ი კ ო

პო, მაგრამ ყველა ჩვენი თხოვნა, ყველა მოთხოვნა
აკი უარყო სენატმა და სხვა გზა არა გვაქვს.
ხოლო თუ ჩვენი მეგობრები გაიმარჯვებენ,
ეს გამარჯვება იმდენ რამეს გვპირდება ჩვენა,
რომ უნდა ვცადოთ.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

ჩემო ძმაო, ეს მართალია!

ო ლ ო ვ ი კ ო

რომ დავიბრუნოთ დაკარგული თავისუფლება,
რომის მონობას დავაღწიოთ როგორმე თავი
და ვიყოთ ჩვენთვის — ღირს ამისთვის თავის განწირვა.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

დროს ნულარ ვკარგავთ, ჯობს საჩქაროდ შინ გავეშუროთ,
სასწრაფოდ ფეხზე დავაყენოთ მთელი გალია.
მოგვენდობიან და მჩაგვრელებს აეშლებიან,
მოეშველება კატილინას ტომთა ლაშქარი.

ო ლ ო ვ ი კ ო

გაგვიპირდება. ძლიერია ჯერ კიდევ რომი.

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

უნდა გავბედოთ! ოლოვიკო, წავიდეთ დროზე!

ფ უ რ ი ა

(გაფრთხილების ნიშნად მიამახებს)

ო, ვაი თქვენდა!

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

(შემკრთალი)

ო, ღმერთებო! ეს რა ხმა იყო?

ო ლ ო ვ ი კ ო

შენც გაიგონე? როგორ ფიქრობ, ეს ვინ დაგეწყევლა?
ამ ბნელ ღამეში რას გვდარაჯობს ხმა უცნაური?

ფ უ რ ი ა

ვთქვენს ხალხსა!

ო ლ ო ვ ი კ ო

გაიხედე, ეგერ დგას, ძმაო,
თეთრი, ფერმკრთალი და გრძნეული ქალის აჩრდილი

ფ უ რ ი ა

და ვაი ყველას, კატილინას გზას ვინც გაჰყვება!

ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი

შინ! შინ! გავექცეთ, დავარღვიოთ ყველა კავშირი

ო ლ ო ვ ი კ ო

აქ ეს გრძნეული გვდარაჯობდა, გვისმენდა თურმე.

(სწრაფად გარბიან მარჯვნივ)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა ტყის სიღრმეში სახლიდან გამოდის

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ამაო ცადა! ვინ გაბედავს რომზე ლაშქრობას
ასეთ ღატაკთა და ლაჩართა ლაშქრის იმედით!
რისთვის აღძრულან? ძარცვა-რბევის წყურვილით მარტო.
ასეთ მსუნაგებს სხვა რა აზრი აღაფრთოვანებს?
ამგვარ მიზნისთვის სიცოცხლეს რომ გასწირავს კაცი,
რალა კაცია? ან მე თვითონ რას მოვიპოვებ?
რა ჯილდო მელის?

ფ უ რ ი ა

(ხეებთან, შეუმჩნეველი)

მხოლოდ ერთი: შურისძიება!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შემკრთალი)

ეს ვისი ხმაა! ვინ აღვიძებს შურისძიების
მძინარე სულელებს? იქნებ ჩემი გულის სიღრმიდან
მოვარდა ეს ხმა? მართალია: შურისძიება
იქნება ჩემი შეძახილი, ჩემი ლოზუნგი:
შურისძიება! სისხლიანი შურისძიება
გაცრუებული იმედების, ოცნებისათვის —
რანიც სასტიკმა ბედისწერამ გამიცამტვერა!
შურისძიება დაღუპული სიცოცხლისათვის!

(შეიარაღებული შეთქმულნი სახლიდან გამოდიან)

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ჭერ კიდევ ღამის რიდე ფარავს რომის მოედნებს.
დროა დავიძრა!

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა

(ჩურჩულით)

ჰო, წავიდეთ! დავიწყოთ ბარემ!

(ავრელია გამოდის გვერდის სამყუფელიდან, შეთქმულნი ვერ
შეუშინებია).

ა ვ რ ე ლ ი ა

ჩემო ძვირფასო... შენც აქა ხარ?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შეძახილით)

ჰო, ავრელია!

ა ვ რ ე ლ ი ა

მითხარი, ხომ არ გალოდინე?

(შენიშნა შეთქმულნი, აჩქარებით უახლოვდება მეუღლეს)

სათნო ღმერთებო!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ხელსა ჰკრავს)

ჩამომეცალე!

ა ვ რ ე ლ ი ა

კატილინა! რა იყო განა?
მამაკაცები აღჭურვილან... და შენცა? რისთვის?
უნდა დაიძრაო?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(გვიური აღტაცებით)

დიახ, ვფიცავ ქვესკნელის ღმერთებს!
და ეს იქნება მხიარული ლაშქრობა ჩვენი.
ამ ფოლადს ხედავ? აღმასია, სისხლი სწყურია.
გვინდა მოვუკლათ ეს წყურვილი ალიონამდე.

ა ვ რ ე ლ ი ა

ჩემო ოცნებავ და იმედო! ტკბილო სიზმარო!
ასეთ წუთებში გაღვიძება...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

იყუჩე, ქალო!

დარჩი ან მომყევ! ჩემი გული ახლა მკვდარია!
რისთვის ქვითინებ? მეგობრებო, ჩვენი დარია!
შეხეთ, წყვდიადში ჩადის მთვარე წითელი, სავსე,
და როცა ისევ გამოჩნდება ის რომის ცაზე,
დიდებულ რომში რისხვის ნისლი დაწვება თალხად,
თავს გადაუვლის ცეცხლოვანი ნიაღვრის ტალღა.
შემდეგ გაივლის კიდევ ბევრი ათასი წელი —
არ ამწვანდება ლაციუმის უდაბნო ვრცელი,
ნანგრევთა სვეტებს ზურგს შეაქცევს ყოველი ტომი
და იტყვის მგზავრი, რომ ოდესღაც აქ იყო რომი.

(აჩქარებით გადის მარჯვნივ, ყველანი თან მიჰყვებიან).

მ ო ძ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

კათილინას ბანაკი ეტრურის ტყიან მხარეში. მარჯვენა მხარეს ჩანს კათილინას კარავი, იქვე მახლობლად კი ბერმუხა დგას. კარვის წინ ხაგუშაგო ცეცხლი ანთია, რამდენიმე სხვა ცეცხლიც ბანაკის ხილრმეში მიმოფანტულია, ხეებს შორის ციმციმებენ. დროგამოშვებით შავი ღრუბლებიდან მთვარე გამოანათებს ხოლმე.

(ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი ცეცხლთან წამოწოლილა, სძინავს. მ ა ნ ლ ი უ ს ა კარვის წინ ბოლთასა სცემს)

მ ა ნ ლ ი უ ს ი

ეს ყმაწვილები ფრთაღად ჩიტებს მომავონებენ!
ისე ღრმად სძინავთ, ისე მშვიდად და უდარდელად,
თითქოს წვანანო საიმედო დედის უბეში
და არა უცხო, უგზო-უქვლო, უსიერ ტყეში.
სძინავთ განცხრომით, თითქოს უნდა გამოიღვიძონ
მათ ოდენ მარტო სათამაშოდ, საასპარეზოდ,
არა ფიცხელი ბრძოლისათვის, რაიც იქნება
უკანასკნელიც იყოს მათთვის.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

(იღვიძებს და დგება)

შენ ისევ ფხიზლობ?

ვინ იცის, როგორ დაიღალე. რიგი ჩემია.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

იძინე, ძმაო! მშვიდი ძილი ჭაბუკებს გინდათ,
მაცოცხლებელი მოსვენების გეძლევათ ნება,
მჩქეფარე სისხლი საჭიროებს ძალთა მოკრებას;
სულ სხვაა, თმაში ჭაღარა რომ შეგვეპარება,
წელთა სიმრავლე წელში მოგვხრის, დაეუშვებთ მხრებსა
და გულის სისხლი უფრო დუნედ დაიწყებს დენას.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ჰო, მართალი ხარ, და მეც მინდა ვიყო ოდესმე
ძველი, ჭაღარა მეომარი.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მერედა იცი,
რომ მოგანიჭებს ასეთ პატივს ბედი და წერა, —
შენს მაგ სიბერეს მოესწრები?

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

მაგას რად ამბობ?
უბედურება თუ მოგველის რამე ისეთი?
გული რას გიგრძნობს?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

როგორ ფიქრობ, გიყო ყმაწვილო?
ბუზსაც არაეინ არ აგვიფრენს, ასე გგონია?

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ჩვენი ლაშქარი ხომ მატულობს?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

დიახ, იესება
გლადიატოროთა და ლტოლვილი მონების ხარჯზე.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

გინდ ასეც იყოს, რაზმი რაზმებს მიემატება,
გაძლიერდება ჩვენი ჯარი თანდათანობით,
გალიაც მაშველს გვიგზავნის და...

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მერე, სად არის?

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

შენ გინდა თქვა, რომ გვიმუხთლებენ ალობროგები,
გატეხენ სიტყვას?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

ვიცი მათი ზნე და ბუნება,
დიდი ხანია... მაგრამ მოვრჩეთ ამაზე დავას.

ხომ იცი, დილის სჯა სჯობია საღამოსას,
გათენდება და გვეუწყება ღმერთების ნება.
ახლა კი წადი, შეამოწმე, სტატილიუსო,
თავის ადგილზე თუ დგას ფხიზლად ყველა გუშაგი.
გახსოვდეს, ახლა თავდასხმაა მოსალოდნელი,
ჩვენ კი არ ვიცით, სად დამდგარა ბანაკად მტერი.

(სტატილიუსი ტყის სიღრმეში შედის და თვალს ეფარება)

მ ა ნ ლ ი უ ს ი

(მარტოდმარტო საგუშაგო ცეცხლთან)

უფროდაუფრო იქუფრება საავდროდ ზეცა,
ვატყობ, ამინდი შეიკვლება. ღამეა ბნელი.
ნისლი ბედითი დამწოლია გულზე კაემნად,
რალაც შავი დღის ლოდინშია არსება ჩემი.
სადღაა ლაღი, უზრუნველი ხალისი ძველი,
რითაც ოდესღაც ვეწეოდი ომის ხელობას?
ნუთუ ეს არის მხოლოდ წელთა სიმრავლის დაღი?
საოცარია, მაგრამ წუხელ ახალგაზრდობაც
მეჩვენა რალაც უხალისო, გულჩახვეული.

(ფიჭის შემდეგ)

ღმერთებს ვიმოწმებ, არა ოდენ შურისძიება
იყო ის, რამაც კატალინას მომხრედ მაქცია.
ბრაზით ავენთე წამიერად, როცა ვიხილე,
რარიგ აღმოვჩნდი განკიცხული, დამცირებული. —
მონუცის სისხლი არ ყოფილა ჭერაც დამცხრალი:
მცირე ხნით, მაგრამ ცეცხლის მსგავსად მივლის ძარღვებში.
ახლა დაცხრა და დამომშინდა წამისყოფითა...
ჩემს კატალინას მე გავყვევი მართ ოდენ მისთვის:
მისთვის ვიბრძოლებ და მისთვისვე დაეფრთხობ ძილსა.
დგას მარტოდმარტო, უიმედოდ გარემოცული
შმაგ მეგობრებით და ლტოლვილთა უნდო ბრბოებით.
მათ ხომ არ ესმით მისი ზრახვა, და თვითონ კია
ისე ამაყი, რომ არც კი სურს გულის გადაშლა.

(ცეცხლში რამდენიმე ღერ შეშას შეუკეთებს და დაფიჭრებული დგას)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა თავის კარგიდან გამოდის.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თავისთვის)

შუალამეა. რა სიწყნარე სუფევს გარშემო!
მაგრამ ჩემს თვალებს რული მანინ არ ეკიდება.
ზუზუნებს ქარი ღამეული, ვინძლო ჩამბეროს
სიმხნე და ძალა, რაც ამჟამად ასე მკირდება!

(შეამჩნევს მანლიუსს)

შენა, მოხუცო მანლიუსსო? დარაჯად დგახარ
ამ ბნელ ღამეში?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მე გდარაჯობ განა პირველად?
ჯერ კიდევ ყმაწვილს სწორედ ასე გიცავდი ხშირად,
არ გახსოვს განა?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მახსოვს, მაგრამ ის დრო წავიდა,
თან წარიტანა სიმშვიდე და საითაც წავალ,
ათასნაირი მოჩვენება დამდევს. კვალდაკვალ.
ო, მანლიუსსო, ჩემი მკერდი ყველაფერს იტევს,
მხოლოდ არ არის იქ ადგილი სიმშვიდისათვის.

მ ა ნ ლ ი უ ს ი

გათანტე ფუჭი ფიქრები და იძინე მშვიდად!
ხვალ ჩვენი ბედის წილის ყრაა და დაგკირდება
ჩვენდა სახსნელად მთელი შენი ძალა და ღონე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვერ დავიძინე. რამდენჯერაც დაეხუჭე თვალი,
ვცადე მკირე ხნით მივეცემოდი თავდავიწყებას,
იმდენჯერ უცხო, უცნაური სიზმრები ვნახე,
ბურთად მაქციეს, მათამაშეს, ბურანში მყოფი.
ისევ და ისევ მომეგლინენ სხვა სახეები,
უფრო ცოცხალნი, დაღრეკილნი, ვიდრე ოდესმე,
იდუმალეები და მეტყველნი. ხომ მეხერხება
ნიშანთა ცნობა, მაგრამ მათთან ვერაფერს გავხდლი

მ ა ნ ლ ი უ ს ი

მიტხარ, რა ნახე ამისთანა, გამანდგე ბარემ,
იქნებ ავიხსნა უცნაური სიზმარი შენი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ფიქრის შემდეგ)

მართლა მეძინა თუ ჩამთვლიმა, მე თვით არ ვიცი,
შეუსვენებელივ კი მოსდევდა სიზმარს სიზმარი.
აი, გარშემო მწუხრი წვება, ბინდი საზარი.
ფრთათა ფრიალით მეფარება თავზე წყველიადი,
მხოლოდ ხანდახან ელვის ენა გაჰკვეთს ანაზღად,
აღდგება თალი ნესტიანი, სამარის მსგავსი,
და ცასა სწვდება, ჩემდა სამტროდ მოქურუხებულს.
მრუმე ლანდების, გადარეულ სულთა ლაშქარი
როკავს რიალით, და ზღვის მკერდი სუნთქავს ქარიშხალს,
ზვირთები ნაპირს ეწლებიან ზათქით, ზრიალით.
იქვე, შუაში, იმ საშინელ ორომტრიალში
კონტა ბავშვები, გვირგვინებით დამშვენებულნი,
მღერიან, თითქოს აღარ ახსოვთ სამშობლო მხარე.
სადაც მღერიან, იქ ნათელ სხივს გზას უთმობს მწუხრი,
დაბლა კი, თაღქვეშ, ორი ქალი დამდგარა წყვილად.
ერთია კუშტი, შავი, როგორც თვითონ წყველიადი,
მეორე სათნო, როგორც დილა სხივთა მთოველი.
ო, რა საოცრად მეცნაურა ორივე სახე!
ერთის ღიმილზე მზის ნათელი ჩამიდგა გულში,
მეორის მზერა მხვრეტდა, როგორც ელვის ისარი.
თან შიშსა მგვრიდა, მიზიდავდა თანაც ჩვენება.
ამაყად იდგა ერთი, ლალი, წელგამართული,
ხოლო მეორე დაყრდნობოდა წყნარად მაგიდას,
რაზედაც, ვგონებ, იღუმალი ჰქონდათ თამაში.
ქვები დაეწყით და უჯრებზე სვამდნენ თუ ცვლიდნენ
კუშტმა მოიგო! წაგებული სათნო ასული
ქვესკნელმა შთანთქა, ნათელი და პირმომცინარი.
მაშინ მხიარულ ბავშვთა გუნდიც აღარ გაჩერდა.
უფრო დაბნელდა, ღრიანცელმაც იმატა უფრო.
ახლა მწუხრიდან წყვილი თვალი მხვრეტდა უწყალოდ,

რეტი დამესხა, მხოლოდ თვალთა ღადარს ვხედავდი...
და რამაც შემდეგ გულამღვრეულს სისხლი დამიხშო,
მას დავიწყების ფსკერზე სძინავს, სულის წიაღში.
აჰ, რომ შემეძლოს გახსენება, რა ენახე ბოლოს,
იქნებ ამეხსნა მოჩვენება ეგზომ საზარი!

მ ა ნ ლ ი უ ს ი

შენი სიზმარი, კათლინა, საცნაურია,
მე მიპირს ახსნა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ფიქრიანად) . . .

გახსენება შევძლო, ნეტავი
მაგრამ ფუჭია ჩემი ჯაფა...

მ ა ნ ლ ი უ ს ი

ნუ გადაჰყვები
ასეთ წვრილმანებს, კათლინა! რაა სიზმარი?
ფუჭი ჩვენება, ცარიელი, ფანტასტიკური,
სულ უმნიშვნელო, უსაფუძვლო, უაზრო რამე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჰო, ტვინის ჰყლეტა ფუჭ რამეზე რა საპიროა!
ეს იყო მხოლოდ მოლანდება. წადი, მოხუცო,
და დაისვენე, მე კი ჩემთვის გავისეირნებ
და მარტო მყოფი გონებაში აზრებს დავაწყობ.

(მანლიუსი ტყეში შედის)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ერთხანს ჩაფერფლილი საგუშაგო ცეცხლის მახლობლად დაიარება,
მერე შეჩერდება და ღრმა ფიქრებში წასული იტყვის)

აჰ, რომ შემეძლოს გახსენება! თუმცა რას მარგებს
ნეტა, რას ვუთმობ დროს და სმენას მეც დიაცივით!
და მაინც ამ ყრუ, ბნელ ღამეში, სულთა რიალში
მარტოდ შთენილი თავს ვერ ვაღწევ მე იმ ჩვენებას,
ისევ და ისევ თვალწინ მიდგას ზმანება ჩემი!

მოხუცის სახე შეჭავუნული ა ჩ რ დ ი ლ ი, რომელსაც ტოვა მოუსკმა,
ხეებს შორის პირდაპირ მის თვალწინ აღიმართება მიწიდან: ესა
სულას აჩრდილი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შეპყვირებს და უკუიქცევა)

დიდო ღმერთებო!

ა ჩ რ დ ი ლ ი

კატლინა, სალამი შენდა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რა გინდა ჩემგან, ფერწასულო ლანდო, ვინა ხარ?

ა ჩ რ დ ი ლ ი

მე უნდა გკითხო, ასეთია უფლება ჩემი,
შენ მოვალე ხარ მიბასუხო. ნუთუ ვერა მცნობ?
არ გაგონდება ხმა მქუხარე, აქ რომ ისმოდა
და უკვე მიწყდა ქვეყანაზე, დიდი ხანია?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ასე მგონია, თითქოს სადღაც... ვერ გავიხსენე...
მაგრამ მაუწყე, რას დაეძებ ამ ბნელ ღამეში?

ა ჩ რ დ ი ლ ი

მე შენ დაგეძებ, კატლინა! უნდა იცოდე,
მხოლოდ ღამით მაქვს ქვესკნელიდან ამოსვლის ნება.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღმერთებს გაფიცებ, რომელი ხარ, მითხარი...

ა ჩ რ დ ი ლ ი

ჩუმად!

მოვსულვარ, რათა ანგარიში მოგთხოვო შენა.
აბა რად მირღვევ სამარეში სულის სიმშვიდეს?
რად მაიძულებ მივატოვო სიკვდილის სახლი?
რისთვის მიშხამავ იმქვეყნიურ თავდავიწყებას?

რად მაიძულებ უბღმეკრული მოგიახლოვდე,
რისხვით, ჩურჩულთ გაგაფრთხილო, ნუ ცდილობ-მეთქი
ძვირად ნაყიდი დამიჩრდილო სახელ-დიდება?

კ ა ტ ი ლ ი ა

აჰ, მე შენი ხმა მეცნაურა! ის არის, ვგონებ...

ა ჩ რ დ ი ლ ი

სადღაა ჩემი ხმა მრისხანე და ძლიერება?
მხოლოდ ლანდია ჩემებრ ისიც, სუსტი აჩრდილი,
საფლავში ჩემთან ჩაესვენა, გაქრა, განქარდა.
მერე, რა ძვირად დამიჯდა და ძვირად მიღირდა!
ჩემი სიცოცხლის სიმშვიდეც ხომ იმას შეეწირე,
სამარეშიაც საბოლოოდ მისთვის ჩავედი!
და დღეს შენ გინდა შენი ხელით, კანნიერთა,
წამართვა ისიც, ნაშთად მისგან რაც დამრჩენია?
ალარ შეთნილან ქვეყანაზე დიდების გზები? —
რალა ის ჩემი საკუთარი აგირჩევია?
სიცოცხლეშივე დამითმია თავისუფლება,
მაგრამ მარადქამს იცოცხლებდა სახელი ჩემი —
არა ვარსკვლავის თვალის მსგავსად სათნოდ მბეუტავი,
არამედ როგორც ელვა, ღამის რიდის გამკვეთი!
მე არა მსურდა სხვათა მსგავსად ამ ქვეყანაზე
კეთილშობილი აზრითა და კდემით ნათება.
არ მსურდა ქველი საქმით ხალხის გულის მოგება —
ხვედრი, ჩემამდე რაც უთვალავ კაცსა რგებია
მარად და ყველგან... არა, სისხლით და შიშის ზარით
მოვიწადინე უკვდავების ძეგლის აგება!
უსიტყვო ძრწოლის განცდით მსურდა ეცქირათ ჩემთვის,
ვითომ ვარ უცხო მეტეორი შეუუცნობელი,
ციურ გზაზე რომ ხან იელვებს და ხან ჩაქრება,
მიჰქრის და ყველა უსაშველო შიშით შესცქერის,
როგორც მე, ვისაც დღემდე კაცი ვერ გაუტოლდა,
ვერც გაუტოლდეს ვერასოდეს ძეხორციელი!
აი, ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ მოვტყუედი.
ჩემთან იდექი, მაგრამ აბა მე რა ვიცოდი,
სულის სიღრმეში რა ამბოხის თესლი გეთესა!

მაგრამ მიფრთხილდი, კატალინა! მე ვკვრეტ მომავალს,
ვიცი, რაც ელის იქ იმ შენი დაისის ყანას!
მე შენი ბედი ვარსკვლავებზე ამოვიკითხე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ამოიკითხე? ჩემი ბედი? მაშ ამიხსენი!

ა ჩ რ დ ი ლ ი

მხოლოდ სიკვდილის ღამეული ჭიშკრის გადაღმა,
წყვდიადის ნისლი რომ დაიხვეს, გაგვიღებს კარებს,
გადაგვეშლება წინ მომავლის ფართო შარავზა.
მხოლოდ ეს ერთი შემძლია, ვითარცა სულსა,
გაუწყო ახლა შენი ბედის წიგნიდან მარტო:
შენივე ხელით სასიკვდილოდ დაიკრავ მახვილს
და დაეცემი სხვისი ხელით გულგანგმირული!

(ნისლად ქეუული გაუჩინარდება)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(პაუზის შემდეგ)

გაქრა! ჩვენება იყო ესეც სიზმარეული?
არა, აქ იღვა და ფერწასულ მის სახეს მთვარე
ნათელს აფრქვევდა. პოი, მე ხომ კარგად ვიცანი!
ეს ხომ ბებერი დიქტატორი, პირსისხლიანი,
გამომეცხადა სამარიდან, რომ შემაშინოს!
მას ეშინია არ დაკარგოს ძღვევის გვირგვინი,
განა დაფნა და გამარჯვება — შიში და ძრწოლა,
რითაც ჭერ კიდევ ცოცხლობს ქვეყნად მისი სახელი.
უხორცო ლანდსაც ტანჯავს პატივმოყვარეობა!

(მოუსვენრად დადის წინ და უკან)

რა ქართველი ატეხილა ჩემს გარეშემო!
ხან აერელია მომაგონებს სიფრთხილეს ნაზად,
ხან ფურიას ხმის წივის გულში გამოძახილი.
ეს კიდევ რაა! წარსულ დღეთა მრუმე ლანდები
სამარხებიდან წამოშლილან, მემუქრებიან.
როგორ, მე უნდა დავიხიო აჩრდილთა შიშით?

ახლაც კი უნდა გაბრუნება ვიფიქრო უკან?
არა, მე ვივლი და მივალწევი მიზანს კიდევაც!

(კურიუსი სწრაფი ნაბიჯით გამოდის ტყიდან)

კურიუსი

ო, კატილინა!

კატილინა

(განცვიფრებული)

მეგობარო! მართლა შენა ხარ?

კურიუსი

მოვალე ვიყავ...

კატილინა

მითხარ, რომი რისთვის დატოვე?

კურიუსი

მე შენმა ღარღმა მეტ ხანს რომში არ გამაჩერა.

კატილინა

ჩემი გულისთვის სასწორზე დებ ბრმად შენს სიცოცხლეს?

ო, განუსჯელო! მაგრამ მოდი, ჩაგიკრა გულში!

(უნდა გადაეხვიოს)

კურიუსი

(უკან დაიხვეს)

არ მომეკარო! არ შემეხო! მე ვარ...

კატილინა

რას ამბობ?

ჩემო კურიუს, ეს რა მოგდის?

კურიუსი

დაჰკარი ფეხი

და გაიქეცი, თავს უშველე! ახლავე, დროზე!

მოსისხლე მტერი ახლოვდება ყოველი მხრიდან!

შენ ალყაში ხარ, კატლინა! ჩქარა...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გონს მოდი!
რა არეულად ლაპარაკობ. გზამ თუ დაგდალა?

კ უ რ ი უ ს ი

ტყუილად ფიქრობ! თავს უშველე, გვიან იქნება!
ლალატი დაგცემს...

(კატლინას ფერხთით დაემხობა)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ლალატიო? ეს რა მითხარი?

კ უ რ ი უ ს ი

ლალატი-მეთქი! მეგობრობის სამოსში...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არა!
შენ შემცდარი ხარ, მეგობარო! ჩემს შმაგ მეგობრებს,
შენებერ ერთგულებს, ვერ დაეწამებ ვერაფერულ ლალატს!

კ უ რ ი უ ს ი

ვაი მაგ შენი მეგობრების ერთგულებასა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გონს მოდი, ძმაო! მე ხომ ვიცი, ისე გიყვარვარ,
ისე კანკალებ მუდამ ჩემი სიკეთისათვის,
რომ საფრთხეს ხედავ ხშირად იქაც, სადაც არ არის.

კ უ რ ი უ ს ი

ო, შენი სიტყვა ჩემთვის არის ახლა სიკვდილი!
მაგრამ გაიქეც! გაფიცებ და გემუდარები.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გონს მოდი-მეთქი! გონივრულად ილაპარაკე.
რისთვის გავიქეცე? ვინ რა იცის, სად მაქვს ბანაკი?

კ უ რ ი უ ს ი

მოსისხლემ იცის! მტერმა იცის შენი გეგმები!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ხომ არ შეშლილხარ? მტერმა იცის? სისულელეა!

კ უ რ ი უ ს ი

ნეტავი, იყოს! მაგრამ გირჩევ, დროს ნულარ კარგავ!
იქნებ გაქცევამ იხსნას ჭერაც სიცოცხლე შენი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ღალატი? არა! ასჯერ არა! არ შეიძლება!

კ უ რ ი უ ს ი

(მახვილს ეშვებებს და კატილინას გაუწვდის)

ჰა, კატილინა! აიღე და დამკარი მკერდში!
კულს გამიყარე! მე გიმუხთლე, მე გიღალატე!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენა? ეს რაღა სიგიჟეა?

კ უ რ ი უ ს ი

ჰოდა, გავგიყდი!

ნუ მეკითხები, რატომ, როგორ... თვითონ არ ვიცი,
მაგრამ გიმუხთლე, საიღუმლო გავეცი შენი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(გულმოკლული)

მამ შენ ჩაგიკლავს ჩემში რწმენა მეგობრობისა!

კ უ რ ი უ ს ი

დამკარი-მეთქი მახვილი და მომიღე ბოლო!
ნულარ დამტანჯავ შეწყალებით!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ლმობიერად)

არა, იცოცხლე!

ადექი! შეცდი—გაპატოებ.

კ უ რ ი უ ს ი

(შეძრწუნებული)

ო, კატილინა!

მე შენ გამსრისე, მტვერში ეგდივარ! მაგრამ იჩქარე!
ნულარ აყოვნებ, თავს უშველე! გვიან იქნება!
აქ განდებთან სადაცაა რომის ჭარები!
ყოველი მხრიდან მოიჩქარის მრისხანე მტერი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მერე, ქალაქში, მეგობრები?..

კ უ რ ი უ ს ი

ალარ არიან!

ზოგს საპყრობილე არგუნეს და ზოგსაც სამარე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თავისთვის)

ო, ბედისწერავ! ბედისწერავ!

კ უ რ ი უ ს ი

(ისევ გაუწვდის მახვილს)

შიგ გულში-მეთქი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(მშვიდად შესცქერის)

შენ იარაღი იყავი მხოლოდ,
და მოქცეულხარ კიდევაც სწორად!

კ უ რ ი უ ს ი

ო, სულ ერთია! დამეხმარე, გამოვისყიდო
სიკვდილით ცოდვა! სულ ერთია, ვერ მოვისვენებ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე გაპატიე!

(ტყისკენ გასწევს)

არჩევანი ერთილა მრჩება.

კ უ რ ი უ ს ი

(წამოვარდება)

გაქცევა?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არა, მეგობარო: გმირის სიკვდილი!

(ტყეში შედის)

კ უ რ ი უ ს ი

ამაო ცდაა! მისი ეტლი ჩაესვენება!
ო, ეს სიკეთე სასჯელია, ათმაგად მძიმე!
მეც თან გავყვები, ერთი რამის ნება მაქვს კიდევ:
ფიცხელ ბრძოლაში გმირის გვერდით დავეცე მეცა!

(საჩქაროდ გადის)

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი ო რ ი გ ლ ა დ ი ა ტ ო რ ი ს თ ა ნ ს ლ ე ბ ი თ
მ ი ი ა რ ე ბ ა ხ ე ბ ს შ ო რ ი ს)

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

(წუნარად)

რალაც საუბარს მოვკარ ყური.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ა დ ი ა ტ ო რ ი

არ ჩანს არავინ.

მეორე გლადიატორი
ლამის გუშაგი იქნებოდა, ალბათ შემცველი
დადგა დარაჯად...

ლენტულუსი

შეიძლება. თქვენც აქ დადექით
და დაელოდეთ. მახვილები გაქვთ საიმედოდ
გალესილები?

პირველი გლადიატორი

ელვასავით, პატრონო ჩვენო!

მეორე გლადიატორი

ჩემი მახვილი რა ბასრია! ბოლო ზეიმზე
რომში განვგმირე ერთდროულად ორი მებრძოლი.

ლენტულუსი

მაშ შეაფარეთ ფოთლებს თავი, არ იხმაუროთ,
და თუ ის კაცი, ვისაც მე დღეს გიჩვენებთ თქვენა,
იმ კარვისაკენ მიმავალი შენიშნოთ, წამსვე
ეცით და ზურგში გაუყარეთ ეგ მახვილები.

პირველი გლადიატორი

იმედი გქონდეთ, აღსრულდება ბრძანება შენი.

(ორივე გლადიატორი იმალება. ლენტულუსი აქეთ-იქით დადის
და მიღამოს ზეერავს)

ლენტულუსი

(თავისთვის)

ვიცი, გიყური გამიმართავს მე აქ თამაში.
მაგრამ ის მაინც ხვალ დილამდე დასრულდეს უნდა.
დღეს, ან არასდროს! კატილინა თუ დაეცემა,
ჩემს მეტს არავის არ ეკუთვნის სარდლის პატივი.
ოქროს სიცრუით მოვნიბლავ და ვიყიდი ყველას,
შევკარავ, თამამად დავძრავ ჭარებს, რომზე წავეყვან,
სადაც სენატი, დაბნეული და უპატრონო,
ვერც კი გაბედავს გამარჯვებულს შეებას სარდალს.
(ტყუში იმალება)

პირველი გლადიატორი

(მეორეს)

ნეტა, ვინ არის უცნობი კაცი,
რომელიც ახლა ჩვენ უნდა მოგვკლათ?

მეორე გლადიატორი

განა სულ ერთი არ არის ჩვენთვის?
ვინც არის, არის; თუ ლენტულუსი
გვავალებს, მანვე აგოს პასუხი.

ლენტულუსი

მაშ მოემზადეთ! მოდის იგი, ვისაც ჩვენ ველით!

(ლენტულუსი და გლადიატორები ბუჩქნარში იმალებიან.
ტვიდან გამოდის კატილინა და თავისი კარვისკენ მიემართება).

ლენტულუსი

(ჩურჩულით)

გასწით! ჩაეციო ზურგში ხმლები! გაუპეთ კეთა!

(საშივე კატილინას ეცემა)

კატილინა

(მახვილს იშიშვლებს, თავს იცავს)

ჰაი, ბედშაენო! რას მიბედავთ?

ლენტულუსი

(გლადიატორებს)

ეციო! განგმირეთ!

კატილინა

(იცნობს ლენტულუსს)

ლენტულუს, შენა? კატილინას მოკვლა გწადია?

პირველი გლადიატორი

(შეშინებული)

კატილინაო!

მეორე გლადიატორი

მასზე მახვილს მე ვერ აღეშარათავ!

(ორივე გლადიატორი გარბის)

ლენტულუსი

არაფერია, ერთიც დაგცემ!

(იბრძვიან. კატილინა მოპირდაპირეს ხელიდან მახვილს აგდებინებს. ლენტულუსი გაქცევას ლაშობს, მაგრამ კატილინა ხელით ბოკავს)

კატილინა

მკვლელო! მუხთალო!

ლენტულუსი

(ვეღრებით)

კატილინა, წყალობას ვითხოვ!

კატილინა

მაგ უნდო შუბლზე გაწერია ზრახვანი შენნი:

გსურდა მზაკერულად მოგეკალი და მერე თვითონ
ძალაუფლება ხელთ აგეღო. ასე არ არის?

ლენტულუსი

სწორედ ასეა, კატილინა!

კატილინა

(ზიზღით შესცქერის)

ჰოდა, კეთილი!

ძალაუფლება გინდა? იყოს მაშნება შენი!

ლენტულუსი

რა გინდა მითხრა? ვერ გავიგე...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე გაგეცლები.

ჯარს გაუძეხი ჩემს მაგიერ...

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

შენ გინდა მართლა...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დიახაც მინდა! მზად იჯავი ყველაფრისათვის!
ოღონდ იცოდე, რომ ჩვენ გაგეცეს შენნაირებმა!
სენატორებმა ჩვენი ზრახვა უკვე იციან.
ჩვენი ბანაკი ალყაშია...

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ეს რა მითხარი?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ახლა მე უნდა მოეუყარო მეგობრებს თავი.
დადექი ჩემთან, სარდლის კვერთხი აიღე ხელთა.
მე გზას დაგიტომბ.

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

(აჩერებს)

კატილინა! არა, დაიცა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დრო ძვირფასია. ვიდრე თავზე დაგვათენდება,
მტრის შემოტევაც დაიწყება...

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

(ელდანაკრავი)

ერთი მისმინე!

შენ მესუმრები! შეუძლებელს რად მეუბნები?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩვენ გვიღალატეს, ხომ გითხარი? ეს რატომ გიკვირს?
ახლა გვიჩვენე შენი ჭკუა და ხელოვნება!

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მაშ გვიღალატეს? ვაი ჩვენდა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჰა, შე ლაჩარო!
ახლა ცახცახებ! და შენ განდა ჩემი დამხობა!
შენგვარი კაცი გამოდგება განა მბრძანებლად?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ჰო, მაპატიე, კატილინა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩქარა მოუსვი!
ლაჩრულ გაქცევით თავს უშეველე, თუ შეგვიძლია!

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

მაშ ნებას მაძლევ? შენ კი რჩები?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

როგორ, დუხჭირო,
ნუთუ ფიქრობდი, განსაცდელში გავიქცეოდი,
მიგატოვებდით? ასე ცუდად მიცნობდი განა?

ლ ე ნ ტ უ ლ უ ს ი

ო, კატილინა, შენ...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ცოვად აწყვეტინებს)

ლაჩარო! დროს ნულარ კარგავ!
იხსენი თავი! მე კი შეეძლებ მოგკვდე გმირულად.

(ზურგს აქცევს) .

ლენტულუსი

(თავისთვის)

მადლობელი ვარ იმისათვის, რაც შენ გამანდე:
თუ ვისარგებლე, კარგ სამსახურს გამიწევს იგი.
საბედნიეროდ, ამ მხარეში უცხო არა ვარ.
დაუყოვნებლივ მტრის წყობაში გავეშურები
და საიდუმლო ბილიკებით მოვიყვან აქა,
რათა შენი მზე ჩაეიდეს და მე ვიხსნა თავი.
გველი, რომელსაც მტვერში თელავ, ამპარტავანო,
წამოიწევა და ბასრ კბილებს გიჩვენებს ახლა!

(გაღის)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(პაუზის შემდეგ)

ესეც მაგათი ერთგულება! ვის ვენდობოდი!
ვისი იმედით ვაშენებდი თალებს და სახლებს!
ასე, ხან ერთი, ხან მეორე... ჰოი, ღმერთებო!
გამცემლობა და სიმხდალეა ორი ნაყოფი,
რაიც მწიფდება მაგ უბადრუკ მონათა სულში.
ო, რა სულელი გამოვდექი ჩემი ზრახვებით!
რომის დამხობა განვიზრახე, ასპიტთა ბუდის!
ის კი ისედაც ფერფლია და ნაგავი მხოლოდ!

(შორიახლოდან იარაღის ჯღარუნი ისმის. ყურს მიუგდებს)

აგერ, მოდიან! და მათ შორის ჭერაც არიან
მხნე ვაჟკაცები. რა საამოდ ზრიალებს რვალი!
ფარებიც რარიგ მხიარულად აძლევენ ბანსა!
ვატყობ, გიზგიზებს ძველი ცეცხლი ძარღვებში ჭერაც.
აჰლოა დიდი, გადამწყვეტი ბრძოლის საათი,
რაიც გაფანტავს ყველა ეჭვსა. კეთილი იყოს!

(მ ა ნ ლ ი უ ს ი, ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი, ვ ა ბ ი ნ ი უ ს ი სხვა
შეთქმულთა თანხლებით ტყიდან გამოდიან)

მ ა ნ ლ ი უ ს ი

აი, აქა გყავს მეგობრები, ო, კატილინა!
ბანაკი ბუკით გავალეიძე, როგორც მიბრძანე.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

უთხარი განა?

მ ა ნ ლ ი უ ს ი

რაც მოგველის, უკვე იციან.

ს ტ ა ტ ი ლ ი უ ს ი

ვიციტ და მზად ვართ ავასრულოთ ბრძანება შენი, ვიშიშვლოთ ხმალი — ან სიკვდილი ან გამარჯვება!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მადლობელი ვარ, უშიშარო თანამებრძოლნო! მაგრამ იმედი ნუ გექნებათ, ერთგულნო ჩემნო, არჩევანისა სიკვდილისა და სიცოცხლეს შორის! საქმე ასეა: ან სიკვდილი გმირულ ბრძოლაში, ან სამარტყვინო აღსასრული დევნილ ნადირთა. აი, ასეთი არჩევანი გვეძლევა მხოლოდ.

რას ამჯობინებთ? ამ დუხჭირი სიცოცხლის დღენი გაქცევით ოდნავ გაიგრძელოთ, ქედმოხრილებმა, თუ გამხნვედეთ და მსგავსად ამაყ მამა-პაპათა, ბასრი მახვილით განგმირულნი დაეცეთ დაბლა?

გ ა ბ ი ნ ი უ ს ი

მეორე გვიჯობს!

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

გაგვიძეხი სიკვდილის გზაზე!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დუ, იყოს აგრე! და იცოდეთ, ჩვენ ამ სიკვდილით მარად მშვენიერ უკვდავებას ვეზიარებით. ჩვენი სახელი, სიცოცხლე და ჩვენი დაცემა დრო-ჟამს შერჩება, გვახსენებენ ამაყად...

ფ უ რ ი ა

(უკან, ხეებს შორის)

ძრწოლით!

რამდენიმე ხმა

შეხეთ! დიაცი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

როგორ! შენა? ავო ფურიაჲ!

აჲ რას აკეთებ?

ფ უ რ ი ა

თანამგზავრი ვიქნები შენი —
მიზანს მიაღწევ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მერე, რაა მიზანი ჩემი?

ფ უ რ ი ა

მიზანს დაეძებს ქვეყნად ყველა თავისებურად.
შენ მას შენს გიჟურ, უიმედო ბრძოლაში ხედავ,
ეს ბრძოლა სიკვდილს მოგიტანს და მზეს დაგიბნელებს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაგრამ პატივსა და სახელსაც სამარადისოს!
წადი, დიაცი! ამ მშვენიერ, ამაყ წუთებში
შენ ვერ შეასმენ ჩემს გულს მაგ შენს ხრინწიან ხმასა.

(ა ვ რ ე ლ ი ა კარვის კართან გამოჩნდება)

ა ვ რ ე ლ ი ა

ჩემო ძვირფასო კატილინა!

(თავმოყრილ მეომართა დანახვაზე შემკრთალი შეჩერდება)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, ავრელია!

ა ვ რ ე ლ ი ა

რა ამბავია? ჩვენს ბანაკში რა ჩოჩქოლია?
აბა რა ხდება?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე შემიძლო დამვიწყებოდი!
და შენი ბედი... რას გიქადის?

ფ უ რ ი ა

(დაცინვით, ჩურჩულვით, ისე რომ აერელია ვერ ამჩნევს)

ყოყმანობ უკვე?
შენი მაღალი მიზანი და დანიშნულება
დაგვიწყებია, კატლინა? ეს არის განა
შენი მხნეობა?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(გულანთებულვით)

არა, ვფიტავ სიკვდილის ღმერთებს!

ა ვ რ ე ლ ი ა

მითხარი, ჩემო საყვარელო, ნულარა მტანჯავ...

ფ უ რ ი ა

(ხმადაბლა, უნიდან)

თქვენ გაიქეცით! მეგობრები შეაწყდნენ მტერსა!

მ ა ნ ლ ი უ ს ი

ნულარ აყოვნებ, გაგვიძეხი, მტერი მოზღვავდა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, როგორ მიმიძმის! მაგრამ მიხმობს ჩემი მიზანი.
არჩევანია მეტრისმეტად საძნელო, მაგრამ
მე შუა გზაზე გაჩერება არ შემიძლია.

(ომახიანი ძახილვით)

აბა მომყევით, მეგობრებო!

ა ვ რ ე ლ ი ა

(გულში ჩაეხუტება)

ო, კატლინა!

ცოლს უპატრონოდ ნუ დატოვებ... თან წამიყვანე!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არა, აქ დარჩი, ავრელია!

ფ უ რ ი ა

(ისევ ისე)

თან წამიყვანე!

შენი სახელის საკადრისად მოკვდება მაშინ,
თუ სასიკვდილოდ განგმირული სასტიკ ბრძოლაში
ქალის მკლავებზე დაეშვები, სახელს გაუყოფ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ავრელიას ხელსა ჰკრავს)

შორს ჩემგან ყველა, ვინცა მპარავს სახელ-დიდებას!
ვაუკაცი ვარ და მინდა მოვკვდე ვაუკატო გვერდით.
მინდა სიკვდილით გავამართლო სიცოცხლე ჩემი
და მოვაშორო სამუდამოდ ჩემს სახელს ლაქა...

ფ უ რ ი ა

ჩემო ამაყო კატლინა, შენ მართალი ხარ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გადამისვრია ამ გულიდან, რაც მე მბოქავდა,
რაც რამ მეზადა, რაც ვიყავი, რაც მიზნად მქონდა!
რაც დამრჩენია დღემდე უკან... ასე მგონია,
არ მიცხოვრია არასოდეს...

ა ვ რ ე ლ ი ა

არა მკრა ხელი!

მერედა ჩემი სიყვარული... ჩემს თავს გაფიცებ,
ჩემო ერთგულო, ერთად ვიყოთ!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გაჩუმდი-მეთქი!

სიყვარულისთვის მოკვდა გული, დაბრმავდა მზერა.
მე თვალს ვარიდებ წუთისოფლის ფუჭ სამკაულებს
და ვხედავ მხოლოდ მოციანვე ფერწასულ ვარსკვლავს
დიდების ცაზე...

ა ვ რ ე ლ ი ა

შემეწიეთ, სათნო ღმერთებო!

(მისუსტებული მიენდობა ხეს კარვის წინ)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თავის კაცებს)

აბა დავიძრათ!

მ ა ნ ლ ი უ ს ი

იარალის მესმის ჟღარუნნი.

რ ა მ დ ე ნ ი მ ე . ხ მ ა

ხმა ახლოვდება.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მაშ თამამად! მედგრად შევებათ!

სირცხვილის ღამე გრძელი იყო. ახლა თენდება...
მაშ ვიბანაოთ მეწამული ცისკრის ტალღებში!
დავიხრჩოთ! ღომგულ რომაელთა, რომის მახვილთა
კვეთებამ დასცეს რომას! მოდგმა უკანასკნელი!

(ტყისკენ მიაშურებენ. ბანაკიდან მოისმის ხმაური და
საბრძოლო შექახილები).

ფ უ რ ი ა

წავიდა! მორჩა! შეეყრება სიკვდილი ცივი.
მიზანს ვეწივ. გვამს იხილავს პირველი სხივი.

¹ რომა — რომის ლათინური სახელწოდებაა (აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც).

ა ვ რ ე ლ ი ა

(თავისთვის)

მამ სიყვარულით აღარ უძგერს სასტიკი გული?
იქნებ მესიზმრა? არა, მესმა მე მისი თქმული!

ფ უ რ ი ა

ხმალი ხმალსა ჰკრეს და პირს აღებს სამარე ბნელი,
მაღე მოგხვდება, კატილინა, სიკვდილის ხელი!

ა ვ რ ე ლ ი ა

(შემკრთალ-შეძრწუნებულ)

ჰეი, ვისი ხარ, ხმავ საზარო, უნდოვ ესოდენ,
თითქოს ამ ტყეში შავბეღითი ჭოტი კვნესოდეს!
სამარის ლანდო, სიკვდილისა გართობს თარეში
და კატილინას უხმოზ იქნებ სულთა მხარეში?

ფ უ რ ი ა

თავის მამულში ჩქარობს ყველა, და მისი ნავიცი
ქაობში უხვევს...

ა ვ რ ე ლ ი ა

მხოლოდ ოდნავ! არ არის ავი!
გულით კეთილი, ნებით ლალი, სულით ძლიერი —
მაენე ასპიტმა დამიგესლა, გულისხმეირი.

ფ უ რ ი ა

მწვანე, ქორფა და ამაყია ნორჩი ჰადარი,
ვიდრე მხვიარა დაეხვევა, გველის სადარი.

ა ვ რ ე ლ ი ა

ახლა გიცანი, ვინც ყოფილხარ! არც კი გრცხვენია!
ეს ხმა მეუღლის პირიდანაც ხშირად მსმენია.
ჰოი, ასპიტო! შენ მოწამლე სიცოცხლე ჩემი!
შენ გამიგაყე მეგობარი, ნუგეშის მცემი!
უძილო ღამის სიზმრითა გცნობ, ბოროტო სულო,

ჩვენს შორის ეკლად ამოსულო, სვედანავსულო!
მზეს შეეხაროდი, გვერდით მყავდა ერთგული ქმარი,
ბედნიერ დღეებს მიქაღიდა ოცნების ქნარი.
მის დაღლილ გულზე ფაქიზ, ფერად ყვავილებს ვრგავდი,
და მეც უნაზეს სიყვარულის ყვავილსა ვგავდი.
დღეს ამოთხარე, საძაგელო, მსახვრალი ხელით
და მტვერში გღია, ველარ გვალხენს ფურცლების რხევით.

ფ უ რ ი ა

სუსტო სულელო, კათილინას ნაბიჯებს უვლი?
საით წარმართე? გადაგიხსნა ოდესმე გული?
ფიქრობდი, ნაყოფს მოგიტანდა ასეთი ყანა?
ბნელში უმზეოდ გაიშლება ყვავილი განა?
ია მაისის მზეში ჰყვავის, ბნელს ვერ ეწყობა,
ხოლო მის ქურუხ სულში ხარობს მხოლოდ ლენცოფა.
დამარცხდი! მალე ის განდება ლუკმა ჭიების,
სიკვდილს დაეძებს, სუსტი მსხვერპლი შურისძიების.

ა ვ რ ე ლ ი ა

(სულ უფრო გაცეცხლებული)

არა, შენს სიკვდილს დასცემს ზეცის შუქი მარადი,
მისი გულისკენ გზას გამიკვლევს ცრემლთა ნაკადი!
თუ ვნახავ დაქრილს, სისხლით დაცილილს, დაცემულს ძირსა.
გულში ჩავიკრავ ჩემს მეუღლეს, მკრთალსა და ცივსა,
გაცრეცილ ბაგეს ჩემს სიყვარულს ჩავებრავ მყისვე,
ნუგეშის ხმაში ტანჯვის დაღი გაქრება მქისე.
მსხვერპლს გამოგტაცებ, ნემეზიდავ, მსახვრალ ხელიდან,
შუქის სამშობლოს დაეუბრუნებ გულის დელვითა.
და თუ დაცხრება მისი გული, — დახუჭავს თვალებს,
მისი მეუღლეც მასთან ერთად სულს ასე დაღევს.
დიდო ღმერთებო, თუ მის სხეულს შთანთქავს წყვილიადი,
მასთან მარგუნეთ აღსასრულის წუთი დიადი!

(გადის)

ფ უ რ ი ა

(თვალს გააყოლებს)

ეძიე, თვალიც დაგიდგება! რა მეხალვლება!
არ მეშინია, გამარჯვება მიჭირავს ხელთა.
ბრძოლის ხმაური ახლოვდება — სიკვდილის შვილთა
გმინვა-გოდებით, დაღეწილი ფარ-ხმლის ზრიალით.
კვლავ 'ცოცხალია? შეუძლია სისხლი დაღვაროს?
ღიადო წამო! მთვარე იხვევს ღრუბელთა რიდეს
და თვალს არიდებს კათლინას მზის ჩასვენებას!
გათენებამდე ერთხელ კიდევ ჩამობნელდება,
თუნდაც მცირე ხნით—ვიდრე თავზე დაგვათენდება,
მორჩება საქმე, და ის ბნელში ჩაესვენება,
ბნელში მცხოვრები. ო, ღიადო, წარმტაცო წამო!

(ყურდაცქვეტილი)

რა ხმაურია! თითქოს წივის ნოემბრის ქარი,
ჩურჩულ-შრიალით იკარგება სადღაც შორეთში.
მოდის, მოხვეტავს მტრის ლაშქარი გზაზე ყველაფერს,
შეუფერხებლივ მოიწევს და სიკვდილსა თესავს.
ზღვის ტალღასავით მოშხუის და მოიგრაგნება,
მესმის ხროტიანი, გმინვა-კვნესა, ოხერა-გოდება —
უქანასკნელი იავნანა, რითაც მებრძოლი
მებრძოლს აძინებს და იძინებს მოძმეთა გვერდით.
ქოტი კივილით აძლევს ბანსა და გზას ულოცავს
ყველას, ვინც მიდის აჩრდილების ბნელ სამეფოში.

(პაუზის შემდეგ)

ეს რა დუმილი ჩამოვარდა? ახლა ჩემია!
ჩემია იგი სამუდამოდ, და მხოლოდ ჩემი.
ერთად გავყვებით დავიწყების მდინარის ტალღებს
იმ ქვეყანაში, სად აროდეს დღე არ თენდება.
მაგრამ ჭერ მინდა ენახო სადმე იმისი გვაში,
მშვენიერი და საძულველი მისი ნაკვთები,
ვიდრე მზე! დაშლის, ყვაავ-ყორნები დააცხრებიან.

(წასისვლელად გამზადებული ანაზღად უკუიქცევა)

ვაიმე! რა ჩანს კორდის თავზე, მრუმე ნისლებში?
ნუთუ ჭანჭრობის ოხშივარი აღის სივრცეში,
დილის ყინვაში უჩვეულო სახედ ქცეული?
ჰე, ახლოვდება! კატილინას ლანდია სწორედ!
იმისი სული... ვხედავ, თვალი ჩალურჯებია,
დამსხვრეულია მისი ფარი, მახვილი-ჩლუნგი;
მკვდარია კაცი, აქეთ მოდის, მაგრამ ეს მიკვირს:
რად ვერა ვხედავ სასიკვდილო ჭრილობას მისას?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა ტყიდან გამოდის, ფერწასული და დაქანული,
თავდახრილი და შხერადაფანტული)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(თავისთვის)

„შენ საკუთარი შენი ხელით დაიკრავ მახვილს,
და დაეცემი სხვისი ხელით გულგანგმირული...“
ჩანს, შეეშალა საიჭიოს წინასწარმეტყველს!
მე დავეცი და სხვისი ხელი არ მომხვედრია.
ვინ ამომიხსნის გამოცანას?

ფ უ რ ი ა

სალამი შენდა!

ჩემო მამაცო კატილინა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვაი! ვინა ხარ?

ფ უ რ ი ა

ლანდის ლანდი ვარ, კატილინა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

უნდო ფურიავე!

შენ მესალმები?

ფ უ რ ი ა

გესალმები სულთა სახელით.
კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს სამშობლოში!

ერთად ჩავჯდებით ახლა ჩვენა ქარონის ნავში
და ორი ლანდი სტიქსის ტალღებს ერთად გავცურავთ,
მაგრამ მიიღე ჭერ გვირგვინი გამარჯვებისა!

(წყვეტს ყვაილებს და გვირგვინად წნავს)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მანდ რას აკეთებ?

ფ უ რ ი ა

მინდა შუბლი ამით შევიმყო.
მაგრამ მითხარი, ასე კენტად რატომ მოდიხარ?
მკვდარი ბელადი მარტოხელა როდის ყოფილა?
სადლა არიან ათასობით დაცემულები?
სადლა დატოვე მეგობრები, თანამებრძოლნი?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

სძინავთ, ფურიავ!

ფ უ რ ი ა

სძინავთ ჭერაც?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჰო, სძინავთ ჭერაც.
და კიდევ დიდხანს იძინებენ, სულო ბოროტო.
სძინავთ მამაცებს. განვლე ტყე და ყური მიუგდე —
არ დაურღვიო ბრძოლის ველზე სულის სიმშვიდე.
ნახე, ავსულო, დაცემულთა გრძელი რიგები:
ნანა ეგონათ მახვილთა ხმა და ჩაეძინათ,
მხოლოდ მე ერთმა მოვახერხე გამოღვიძება,
საბედისწერო სიმღერის ხმა რომ მიწყდა მთებში.
შენ მოჩვენება დამიძახე და ვარ კიდევაც
ჩემივე თავის მოჩვენება. შენ არ გეგონოს,
მიცვალებულთა ძილი იყოს ისეთი მშვიდი —
თითქოს სიზმრებსაც არ ხედავენ...

ფ უ რ ი ა

ილაპარაკე!

რა ესიზმრებათ შენს მეგობრებს?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ახლავე გეტყვი.

მე წაიყვანე უიმედო ბრძოლაში ყველა
და მტრის მახვილთა კვეთებაში ვეძებდი სიკვდილს.
მარჯვნივ თუ მარცხნივ ეცემოდნენ ერთგულნი ჩემნი:
სტატილიუსი, მანლიუსი, გაბინიუსი...
მე ამეფარა კურიუსი და ის დაეცა,
ყველას კაფავდა რომაელთა ბასრი მახვილი,
მხოლოდ მე ერთი დამინდო და არ მომეკარა.
ჰო, არ ერჩოდა კატილინას რომის მახვილი!
დაცვა დაეცა, დაბინდული, მტერით დაფარული,
გონდაკარგული ვიდექ მარტო და ბრძოლის ტალღა
თავს გადამეველო, გონს კი მხოლოდ მაშინ მოვედი,
როცა გარშემო ყოველივე მიწყდა, მიწყნარდა.
მიმოვიხედე, ვერ ვიხილე ძეხორციელი,
სადაც ჩემს უკან ირწეოდა ბრძოლის ზღვის ზვირთი!
რამდენი ხანი ვიყავ ასე გაოგნებული?
ვიცი მხოლოდ ეს: ჩემი მკვდრების გვამებში ვიდექ,
და მაინც მედგა გაწამებულ სხეულში სული;
გმირთა ბაგეზე მიმხმარიყო ცივი ღიმილი,
მათი მზერაცა და ჩამქრალი ღიმილიც მათი
მე მაძრწუნებდა, გადარჩენილ ბელადს და სარდალს —
მე, ვინც ვიბრძოდი რომისათვის, ვიბრძოდი მათთვის,
ვინც ზეზე დაერჩი და დამინდო რომის მახვილმა.
მაშინ დაეცა კატილინა...

ფ უ რ ი ა

ვერ დაგიჯერებ:

ვერა ხსნი სწორად სიზმარს შენთა მიცვალებულთა,
შენი სიკვდილის საიდუმლოც არა გცოდნია:
მზერით, ღიმილით მეგობრები გიწვევდნენ დაბლა —
შენც დაიძინე ჩვენსავეითო...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, რომ შემეძლოს!

ფ უ რ ი ა

გულს ნუ გაიტეხ, შენ ხომ დიდი გმირის ლანდი ხარ!
ახლა დაცხრები. მოდი ჩემთან, დახარე თავი,
მომეცი ნება, რომ შეგიმკო ძლევის გვირგვინით.

(გაუწვდის გვირგვინს კატილინას)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ფუი! ყაყაჩოს გვირგვინია?

ფ უ რ ი ა

(გიჟური სიხარულით)

მაშ რა გეგონა?

წითელ ყაყაჩოს რა სჯობია? შუბლს გაგინათებს,
ვითარცა სალტე სისხლიანი, პორფირისფერი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შორს ჩემგან! მე მძულს ეს წყეული პორფირის ფერი!

ფ უ რ ი ა

(გულიანად იცინის)

მაშ უფრო მკრთალი, უფერული ფერები მოგწონს?
კეთილი! აგერ, მწვანე ლერწმის გვირგვინიცა მაქვს,
სილვიას ჰქონდა დალალებზე, საბრალო ქალი
რომ ამოიღეს სადღაც ტიბრის შესართავიდან.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, რა სახეებს იწვევ შენა!

ფ უ რ ი ა

ან იქნებ ჯობდეს

აგერ ბირკავი ვერცხლისფერი, რომის მოედნის,
სისხლის ლაქებით დაწინწკლული — ეს ის სისხლია,
შენ რომ დაღვარე, კატილინა, შენი ხელითა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

გეყოფა!

ფ უ რ ი ა

იქნებ გირჩევნია სულ სხვა გვირგვინი,
მუხის ფოთლების — დედისეულ სახლთან რომ იდგა
და განმა, როცა ახალგაზრდა ნამუსახდილი
ქალი ყვირილით გადავარდა მღელვარე ტიბრში?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ასე, დაცალე ყველა თასი შურისძიების
ბარემ ერთბაშად!

ფ უ რ ი ა

საკუთარი თვალი ვარ შენი,
მეხსიერება, სამსჯავრო და გულის პასუხი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

რაღა დროსია? რაღა ახლა?

ფ უ რ ი ა

დაღლილი მგზავრი
განვიღო გზას მაშინ ზომავს, როცა მიზანთან მივა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

განა მიზანთან მისული ვარ? ეს მიზანია?
არც მკვდარი ვარ და არც ცოცხალი. რას მივაღწიე?
სად ხელაე მიზანს?

ფ უ რ ი ა

ორ ნაბიჯზე — თუ შენ ისურვებ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე აღარა მაქვს სურვილები, არცა რა ნატვრა.
მას შემდეგ, რაც ჩემს ყველა იმედს კბილი მოეჭრა.

(ხელებს გაასავსაევბს)

ჩამომეხსენით, გამეცალეთ, თეთრო ლანდებო!
რას ითხოვთ ჩემგან, ქალები თუ მამაკაცები?
ფუჭად ირჯებით! ო, რამდენი მოზღვავებულა!

ფ უ რ ი ა

ჯერაც მიწასთან შეკრულია შენი აჩრდილი,
უნდა გადაჭრა შენ ამ ბადის ათასი ძაფი!
მოდი აქ, ჩემთან, ეს გვირგვინი დაგადგა თავზე.
ისე მოგიქერს, ყოველივეს გადაგავიწყებს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(უხმოლ)

მეხსიერებას დამიჩლუნგებს? სიმართლეს ამბობ?
მამ დამახურე სხამიანი შენი გვირგვინი.

ფ უ რ ი ა

(გვირგვინს აღვამს)

როგორ დაგშვენდა! კატილინა, ასე, ამგვარად
დამშვენებული წარუდგები წყვედადის მეფეს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

წამო, წავიდეთ! სწორედ იქით მიმიწევს გული,
სამშობლო ქვეყნის სულნი სადაც მეგულებიან.
ერთად წავიდეთ! მაგრამ კიდევ რაღა მაფერხებს?
ფეხს რა მიბორკავს? აჰა, ვხედავ, სადღაც შორს, უკან,
დილის ცის თაღზე ფერმიმკრთალი ვარსკვლავი მოჩანს.
მისი ნათელი კვლავ სიცოცხლის მხარეში მიხმობს,
მხიბლავს, მიზიდავს, როგორც მთვარე მოქცევის ტალღას.

ფ უ რ ი ა

წამოდი ჩემთან, წამო-მეთქი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ციმციმებს, მიწვევს.

ვერ გამოგყვები, ვიდრე ის არ ჩაქრება ცაზე,
ანდა ჩემს ვარსკვლავს დაფარავენ შავი ღრუბლები.
გარკვევით ვხედავ! ეს როდია მართლა ვარსკვლავი:
კაცის გულია, სიყვარულის სხივთა მთოველი,

და ის მიზიდავს, ფეხს მიბორკავს, მეწევა მაღლა,
ვით ბავშვის მზერას — მოციმციმე მწუხრის ვარსკვლავი.

ფ უ რ ი ა

დაე, იმ გულმა შეწყვიტოს ძგერა!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ამას რას ამბობ?

ფ უ რ ი ა

შენ ხომ ჯერ კიდევ გვერდს გიმშვენებს ბასრი მახვილი! —
იშიშვლე! გული გაცივდეს და ჩაქრეს ვარსკვლავი,
მე და შენს შორის რომ ჩამდგარა ასე მტრულადა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

მე უნდა... ბასრი და ცივია ხანჯალი ჩემი.

(შეპყვრებს)

ო, ავრელია, ავრელია! სადა ხარ შენა?
ნეტავი, ახლა აქა მყავდე! მაგრამ არ მინდა!
თუმცა მგონია, ყველაფერი წალმა წავა და
მშვიდობას მომცემ, თუ შენს გულზე დავესვენები,
მოვინანიებ ყველაფერს და...

ფ უ რ ი ა

მოინანიებ?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ყველაფერს, რაც კი ჩავიდინე, რაც დავაშავე,
რომ ვარსებობდი და ვიყავი ამ ქვეყანაზე.

ფ უ რ ი ა

გვიანლა არის! აღარაა გზა დასახვევი
იმ ადგილიდან, სადაც დგახარ ამჟამად შენა.
მე შინ ვბრუნდები. აბა ერთი სცადე, სულელო,
შენს ავრელიას დაასვენე გულზე თავი და
იქნება ნახო დაქანცული სულის სიმშვიდე!

(თანდათან უფრო შმაგდება)

წამოდგებიან ათასობით მაცვალებულნი:
ქალები, შენ რომ შეაცდინე, ნამუსახდილნი,
სხვანი და სხვანი, ვინც დახოცე, ძარცვე, დაღუპე...
პასუხს მოგთხოვენ დაცემულნი, პატივყარილნი,
სისხლის საზღაურს მოგკითხავენ, შეგაძრწუნებენ,
უკუიქცევი ბნელ ღამეში, გასწირავ თავსა, |
ივლი, სავანეს ვერ იპოვი დედამიწაზე,
ვით აქტეონი, ძალები რომ ასდევნებიან,
ვით მოჩვენება, ვისაც მისდევს ურიცხვი ლანდი!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ვხედავ, ფურიავ, აქ ვერ ვნახავ სულის სიმშვიდეს,
ვარ უთვისტომო აწ სინათლის სამეუფოში!
შენ გამოგყევი აჩრდილების საბრძანებელში,
და მინდა ძაფი გადაგყევთო უკანასკნელი.

ფ უ რ ი ა

ხელი ხანჯლისკენ რისთვის მიგაქვს?

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ის უნდა მოკვდეს!

(ელვა და ჰეკა-ჰუხილი)

ფ უ რ ი ა

შენს მობრძანებას ზეიმობენ წყვედიადის ძაღლი
შეხე, იქ მოდის, კატილინა, შენი მეუღლე!

(შემინებული ავრელია კატილინას ტყეში დაეძვბს)

ა ვ რ ე ლ ი ა

ნეტა, სად არის? სად ვეძიო მე უბედური?
ვერ მიპოვია გვამებს შორის...

(კატილინას შენიშნავს)

ცაო მაღალო!

ჩემო ძვირფასო კატილინა!

(სწრაფად უახლოვდება)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(დაბნეული)

არ დამიძახო!

ა ვ რ ე ლ ი ა

შენ ცოცხალი ხარ!

(ედილობს შოეხვისოს)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(იშორებს)

გამეცალე! არ ვარ ცოცხალი.

ა ვ რ ე ლ ი ა

მისმინე, ჩემო...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ჩუმაღ-მეთქი! არ მსურს მოსმენა!
მე მძულხარ შენა. შევიცანი მზაკვრობა შენი.
შენ ჰედდი ჩემთვის ნახევრადულ ცხოვრებას ქვეყნად.
ნუ მაშტერდები! მე მტანჯავენ შენი თვალები,
მხვრეტენ და გულში მეყრებიან, როგორც ხანჯლები!
როგორც ხანჯლები! ჰოი, მოკვდი! დახუჭე თვალი!

(მახვილს იშეშვლებს, ქალს მკლავში სტაცებს ხელს)

ა ვ რ ე ლ ი ა

ფხიზლად გეპიროთ ჩვენზე თვალი, სათნო ღმერთებო!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დახუჭე-მეთქი ეგ თვალები დახუჭე, მეთქვას!
მათში ვარსკვლავთა ციმციმი, ცისკრის ნათელი...
სწორედ ამ წუთში უნდა ჩაქრეს ცისკრის ვარსკვლავი!

(ისევ იჭუხებს)

მე შენი გულის სისხლი მინდა! სიცოცხლის ღმერთნი
მეხის ქუხილით გვიბრძანებენ დამშვიდობებას!

(მახვილს აღმართავს და შვერდში უნდა ჩასცეს. ქალი გაუნხლტება და თავს კარავს აფარებს. კატილინა მისდევს)

ფ უ რ ი ა

(ყურდაკვეტილი)

აგერ, ხელები გაუწოდა ვედრების ნიშნად:
შემიბრალეო! მაგრამ კაცი ულმობელია,
ჩასცა მახვილი, სისხლის ტბაში დაეცა ქალი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა კარვიდან ნელა გამოდის, ხელში სისხლიანი
მახვილი უჭირავს.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

დასრულდა! ახლა მე ვარ კაცი თავისუფალი,
ცოტა კიდევ და მე გავხდები არარაობა.
ჩემს სულს ეხვევა დავიწყების შავი ბურუსი,
ვერასა ეხედავ, მესმის მხოლოდ რაღაც გნიასი,
თითქოს თავს ტალღა გადამეველო, ვიხრჩობი კიდევც.
შენ იცი, ახლა ვინ მოვკალი ამ ციდა ხანჯლით?
ქალი კი არა — ყველა გული, რაც კი ფეთქავდა,
რაც კი რამ ცოცხლობს, რაც მწვანდება და იფურჩქნება.
ჩავაქრე ცაში ვარსკვლავები, მთვარის ნათელი,
მზის ელვარება. გაიხედე, აღარ სურს მოსვლა,
აღარასოდეს არ ისურვებს. მოკვდა მზე, ჩაქრა.
ახლა კი მთელი დედამიწა, ზესკენელ-ქვესკენელი
ერთიან მძიმე და ცივ კუბოდ გადაქცეულა,
ზედ მრუმე თალი აღმართულა და იმ თალს ვუმზერთ,
ერთგვარად ვძულვართ ბნელს და ნათელს, სიკვდილს,
სიცოცხლეს —

მკვდარსა და ცოცხალს ერთნაირად მოვძულეებივართ
ჩვენ მოსვენებადაკარგული მოჩვენებანი.

ფ უ რ ი ა

უკვე მოვედით, კატილინა, მიზანთან...

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

არა!

ერთი ნაბიჯიც, და ვიქნებით მიზანთან მაშინ.

ჩამომავორე ჯერ ეგ ტვირთი! შენ ვერა ხედავ:
ზურგზე მკიდია კატილინას ცოდვილი გვამი!
პალო დაასვი, გახვრიტე და ჩამომავორე!

(ხანჯალს უჩვენებს)

მიხსენ, ფურია! გამომართვი ავერ ეს პალო, —
ამით დავშრიტე თვალთა მზერა ცისკრის ვარსკვლავის.
აიღე-მეთქი, დაჰკარი და გახვრიტე გვამი,
ძალას დაკარგავს და ვიქნები თავისუფალი.

ფ უ რ ი ა

(ხანჯალს ართმევს)

მაშ მოკვდი, სულო, ვინცა მძულდი, რადგან მიყვარდი!
დატოვე ტვირთი მიწიერი, წამოდი ჩემთან!

(მახვილს ვადამდე ჩასცემს გულში. კატილინა ხესთან ეცემა)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ყარგა ხნის შემდეგ ბურანიდან გამოერკვევა, შუბლზე ხელს
გადაისვამს და მისუსტებული ხმით)

შევიცან, სულო, ბოლოს აზრი შენი სიტყვისა!
დავეცი ჩემი და მერე კი სხვისი ხელითა,
ასე აღსრულდა ნემეზიდას მართლმსაჯულება.
ახლა კი დროა შემეფარო, სიკვდილის ღამევ!
სტიქსო, მაშ ზურგზე აიკიდე ეს წუნარი ტვირთი.
უხმე შენს ქარონს, ნავით გაღმა გადამიყვანოს,
სადაც სამშობლოს ყველა აჩრდილს უძევს სავანე.
ორი ბილიკი მიდის იქით, წყევდიად სულეთში,
მე მარცხნივ წავეალ...

ა ვ რ ე ლ ი ა

(ბარბაცით გამოდის კარგიდან, ფერწასული, მკერდიდან
სისხლი სდის)

არა! მარჯვნივ, ელიზიუმში!¹

¹ ელიზიუმში (ბერძ. ელიზიონ) — გმირთა სავანე, ნეტართა სამყოფელი სიკვდილის შემდეგ (ბერძენთა და რომაელთა მითოლოგიაში).

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(შემკრთალი)

ო, ეს სურათი პირნათელი რარიგ მაძრწუნებს!
თქვი, ავრელია, შენ გიმზერენ ჩემი თვალები?

ა ვ რ ე ლ ი ა

(მასთან ემხოზა დაზლა)

ჰო, მე ვარ... მინდა დაგიუწრო ეგ ტკივილები,
გულში ჩაგიკრა, შენთან ერთად დავხუჭო თვალი.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

შენ ცოცხალი ხარ!

ა ვ რ ე ლ ი ა

გულწასული ვიყავი მხოლოდ.
თვალით კი ისევე შეგცქეროდი, მესმოდა ყველა,
და სიყვარულმა მომანიჭა მეუღლის ძალა.
ერთგულო ჩემო, გაგვიტაცოს სიკვდილმა ერთად!

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

ო, რომ შევძლებდეთ! მაგრამ ფუჭი არის იმედი.
იცოცხლე შენა! მე შიწვევენ ერინიები.
შენ შეგიძლია შეეგებო მზეს და სიცოცხლეს,
მე დავიწყების ტალღებს უნდა გავყვე წყვდიადში.

(მოშორებით ცისკრის პირველი სხივი ეცემა)

ა ვ რ ე ლ ი ა

(სხივს უჩვენებს)

სიყვარულს უთმობს გზას სიკვდილი, შიში და ღამე!
ნახე, ღრუბელი იფანტება, მოჩანს მთიები.

(მადლა ხელაწეული)

ხედავ? სინათლე იმარჯვებს და დიდი დღე მოდის.
წავიდეთ, ჩემო კატილინა... სიკვდილი მიხმობს...

(ეცემა ქმრის გვერდით)

კ ა ტ ი ლ ი ნ ა

(ეხვევა, უკანასკნელ ღონეს იკრებს)

ო, რა კარგია! დავიწყებულ სიზმარს ვიგონებ!
ვითომ მზის შუქი მოზღვავდა და დამარცხდა ბნელი,
ღლის შესახვედრად ახმიანდა ყმაწვილთა გუნდი.
ვაი, მარჯვენა მისუსტდება! თვალში ბინდია,
მაგრამ ჩამიდგა გულში სხივი, როგორც არასდროს,
და ნათლად ვხედავ განვლილი გზის ოღროჩოლოროებს.
ჩემი ცხოვრება იყო ღამის ელვა, ქუხილი,
მაგრამ ვარდისფერ დილასა ჰგავს ჩემი სიკვდილი.

(აგრელის ჩაეხვევა)

შენ ფანტავ წყვილადს. დამიმშვიდდა გრძნობა-გონება.
ერთად წავედეთ მშვიდობის და შუქის მხარეში.

(მკერდიდან მახვილს მარჯვედ ამოიძრობს და მომაკვდავის
ხმით განაგრძობს).

ნახე, რიყრაყის სათნო ძალნი მშვიდად გვიმზერენ,
შენ სიყვარულით დაამარცხე წყვილიადი ღამე!

ამ უკანასკნელ სენაში ფურია უკან-უკან იხევს შეშინებული და
ხეებს შორის უჩინარდება. კათლინა თავს აგრელის მკერდზე
დაასვენებს. ორივე კვდება.

სურთომოქვარი სოლნესი

დრამა სამ მოქმედებად

თარგმნა

აკაკი გელოვანმა

მოქმედი პირები

პალეარდ სოლნესი, ხუროთმოძღვარი.

ალინე სოლნესი, მისი მეუღლე.

დოქტორი ჰერდალი, შინაური ექიმი.

კნუტ ბრუვიკი, ყოფილი ხუროთმოძღვარი, ამჟამად სოლნესის მოადგილე.

რაგნარ ბრუვიკი, მისი ვაჟი, მხაზველი.

კაია ფოსლი, ბრუვიკის ძმისწული, მოანგარიშე.

პილდე ვანგელი, ქალიშვილი.

მანდილოსნები, ბრბო ქუჩაში.

მოქმედება ხდება სოლნესის ხახლში

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

უბრალოდ მოწყობილი სამუშაო ოთახი სოლნეხის სახლში. მარცხენა კედელზე ორკარედია, წინა ოთახში გასასვლელი, მარჯვენა მხარეს სხვა კარი გაღის შიდა ოთახებისაკენ. უკანა კედლის ღია კარში ის ოთახი ჩანს, სადაც ნახაზები მზადდება. წინ, მარცხენა მხარეს, სამუშაო მაგიდაზე წიგნები აწყვია, წერილები ურია და ხაწერ-კალამია. კართან ღუმელია. მარჯვენა კუთხეში ღივანი, მაგიდა და წყვილი სკამი დგას. მაგიდაზე გრაფინია და იქვე კიჭა. წინ, მარჯვენა მხარეს კიდევ ერთი მონცრო მაგიდაა, იქვე — ხარწველა ხეარძელი და ზურგიანი რბილი სკამი. სამახველოში მაგიდაზე ღამაა დგას, მეორე კიდევ — მერხზე, კუთხეში. ორივე ანთია.

სამხაველოში სხედან ბ რ უ ე ი კ ი და მისი ვაჟი რ ა გ ნ ა რ ი, გეგმას ადგენენ და თან ანგარიშობენ. სამუშაო ოთახში მაგიდასთან დგას კაია და გროსბუქში რაღაცა შეაქვს. ბ რ უ ე ი კ ი — გამხდარი მოხუცი კაცია, თეთრი წვერ-უღვამი აქვს. გხნებულნი, მაგრამ სუფთა შავი სეროტეი აცვია, თეთრი, ოდნავ გაყვითლებული ჰალსტუხი უკეთია და სათვალე აქვს. რაგნარი ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცია, კარგად აცვია და ოდნავ მოკუხულია. კაია თვალად და ტანად მიმზიდველი ქალი-წეილია, ოციოდე წლის. მოხდენილად აცვია, მაგრამ ფერმკრთალია და ცოტა ავადმყოფურად გამოიყურება. თვალბზე მწვანე რიდე ჩამოუფარებია. — ერთხანს სამივე უსიტყვოდ მუშაობს.

ბ რ უ ე ი კ ი (ანახლად წამოვარდება, თითქოს შეშინებული ტოვებს ნახაზებს, მაგიდას შორდება, ხენეშით უახლოვდება ღია კარს). არა... ძალა მლალატობს, მალე არაქათიცი გამომეცლება! აღარ შემიძლია!

კ ა ი ა (უახლოვდება). დღეს შეუძლოდა ხარ, ბიძაჩემო, ხომ მართალია?

ბ რ უ ე ი კ ი. ვაი რომ დღითიდღე უარესად ვხდები! ვგონებ, ასეა. რ ა გ ნ ა რ ი (წამოდგა და უახლოვდება). შინ წასულიყავი, მამა, ცოტას გამოიძინებდი...

ბ რ უ ე ი კ ი (მოუთმენლად). ისევ გინდა ჩავწვე? იქნებ ფიქრობ, წიროცა გამოსვლია, რას დავეძებო?

კ ა ი ა. მაშინ ცოტა გაისეირნე მაინც.

რ ა გ ნ ა რ ი. ჰო, მართლა! მეც გამოგყვები.

ბ რ უ ვ ი კ ი (გაწიწმბებული). არ წავალ! არსადაც არ წავალ იმ
კაცს დაბრუნებამდე! დღეს მაინც გულახდილად მოველაპარაკებო იმ...
(ქარული ბრაზით) იმ ჩვენს... უფალს.

კ ა ი ა (შეშინებული). აჰ, არა, ბიძაჩემო! გეთაყვა, შეიცადე!

რ ა გ ნ ა რ ი. ჰო, მამა, ჯობს მოიცადო.

ბ რ უ ვ ი კ ი (სულშეგუბებული). ჰა-ჰა! მე, ჩემო კარგებო, იმდენი
დღო ალარ დამრჩენია, კიდევ დიდხანს ვიცადო.

კ ა ი ა (ყურდაცქვეტილი). ნაბიჯის ხმა მესმის, კიბეებზე ამოდის.

(სამივე ისევ საქმის უბრუნდება. მცირე პაუზა).

ს ო ლ ნ ე ს ი წინკარიდან შემოდის. შუახნის კაცია, ჯანსაღი და ჯანმგაფარი. მოკ-
ლედ შეპირილი შავი წვერ-ულვაში ამშვენებს, შავი და ხშირი წარბები აქვს, მუქი-
მწვანე ქურთუკი აცვია, მაღალსაყელოიანი და ფართოგადაწვეკებიანი. რუხი რბილი
თუქის ქული ახურავს, ილიის ქვეშ რამდენიმე საქალაღე ამოუჩრია.

ს ო ლ ნ ე ს ი (კარებში, ჩურჩულით, სამხაზველოსაკენ ყურებით).
წაუდნენ?

კ ა ი ა (წყნარად, თავის ქნევით). არა (პირბადეს ჩამოიხსნის).

ს ო ლ ნ ე ს ი ოთახში გაივლის, ქულს ერთ-ერთ სკამზე დაადგებს, საქალაღე-
ებს დივანის წინ მაგიდაზე დადებს, ისევ უახლოვდება საწერ მაგიდას და ხმამაღლა
მხმართავს კაიას, რომელიც განუწყვეტლივ წერს, ალღევებული და მოუსვენარი ჩანს.

ს ო ლ ნ ე ს ი (ხმამაღლა). რა შეგაქვთ მაგ წიგნში, ქალიშვილო
ფოსლი?

კ ა ი ა (შემკრთალი). აჰ, მე... ისეთი არაფერი... უბრალოდ...

ს ო ლ ნ ე ს ი. ერთი მაჩვენეთ, ქალიშვილო (ძირს იხრება მის თავ-
ზე, ვითომ გროსბუხში უნდა ჩაიხედოს და ჩურჩულებს). კაია?

კ ა ი ა (წყნარად, ისე რომ წერას არ წყვეტს). რა იყო?

ს ო ლ ნ ე ს ი. რატომ იხსნით პირბადეს ყოველთვის, როცა მე შე-
მოვდივარ ხოლმე?

კ ა ი ა (ისევ ისე წყნარად). იმიტომ, რომ მაგ პირბადეში საძაგელი
სახე მაქვს.

ს ო ლ ნ ე ს ი (ღიმილით). ეს კი არ გინდათ, არა, კაია?

კ ა ი ა (ფარულად გადახედავს). არაფრის გულისათვის ქვეყანაზე!
თქვენს დასანახავად მაინც.

ს ო ლ ნ ე ს ი (თმაზე ნაზად გადაუსვამს ხელს). საბრალო, საბრა-
ლო პატარა კაია...

კ ა ი ა (თავს ჩაპკიდებს). ჩუ! გაიგონებენ!

ს ო ლ ნ ე ს ი (წყნარი ნაბიჯით გადის ოთახის მარჯვენა მხარეს,

უკან ბრუნდება და სამხაზველოს კარებთან ჩერდება). ხომ არა-
მიკითხა?

რ ა გ ნ ა რ ი (წამოდგება). დიახ, ახალგაზრდებმა გიკითხეს, ლოკ
სტრანდზე რომ აპირებენ აგარაკის აშენებას.

ს ო ლ ნ ე ს ი (ბუზღუნით). აჰ, იმ წყვილმა? მიცადონ. ჯერ თე-
თინაც ვერ დამიზუსტებია გეგმა.

რ ა გ ნ ა რ ი (უფრო ახლოს, ყოყმანით). ამბობენ, ძალიან გვინდ
ნახაზები მალე შესრულდესო.

ს ო ლ ნ ე ს ი (იმავე ხმაზე). ჰო, რა თქმა უნდა! ადამიანებს ყო-
ველთვის ეს უნდათ.

ბ რ უ ვ ი კ ი (გამოიხედავს). მოუთმენლად ველით, როდის გადა-
ვალთ საკუთარ სახლშიო, ამბობენ.

ს ო ლ ნ ე ს ი. როგორ არა, როგორ არა! ვიცით! რასაც შეაძლებენ,
იმას აიღებენ, დავას არ დაიწყებენ. მათთვის მთავარია ბინა ჰქონდეთ.
თავშესაფარი რამენაირი და არა სახლი. არა, გეთაყვა! მაშინ სხვას მი-
მართონ. თუ კიდევ მოვლენ, ასე გადაეცით.

ბ რ უ ვ ი კ ი (სათვალეს შუბლზე აიწევს და გაკვირვებული შეს-
ცქერის სოლნესს). სხვასაო? სამუშაოზე უარს ეუბნებით?

ს ო ლ ნ ე ს ი (მოუთმენლად). დიხაც, თუ გნებავთ, ჯანდაბას! თუ
საქმე ისე წავა, უმჯობესია სულაც უარი ვთქვათ, ვიდრე რამენაირი
ავაშენოთ (გაბრაზებული). მე ხომ ჯერ არც კი ვიცი, რა ხალხია!

ბ რ უ ვ ი კ ი. სრულიად წესიერი ხალხი განლავეთ. რაგნარი მხო-
ციწობს. ოჯახშიც ნამყოფია. სრულიად წესიერი და დარბაისელა
ხალხია.

ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, თურმე რა ყოფილა! რასა ბრძანებთ? წესიერი,
დარბაისელი! ჩემი დარდი ეს არ ყოფილა. ღმერთო მალალო, თქვენც
არ გინდათ გამოიგოთ? (წყრომით) არ მინდა უცხო ადამიანებთან საქმე
დავიჭირო, ეს არის და ეს. სადაც ენებოთ, იქ წაბრძანდნენ.

ბ რ უ ვ ი კ ი (წამოდგება). ამას მართლა ამბობთ?

ს ო ლ ნ ე ს ი (ბუზღუნით). დიახ — ერთხელ და სამუდამოდ.

(ბოლთასა სცემს ოთახში).

ბ რ უ ვ ი კ ი შვილს გადახედავს. რაგნარი მზერითვე აფრთხილებს, შერე წინა
ოთახში გადის.

ბ რ უ ვ ი კ ი. თუ შეიძლება, მინდა ორი სიტყვა გითხრათ.

ს ო ლ ნ ე ს ი. გისმენთ.

ბ რ უ ვ ი კ ი (კაიას). ცოტა ხანს გადი.

კ ა ი ა (შემკრთალი). ჰო, მაგრამ. ბიძაჩემო...

ბ რ უ ვ ი კ ი. ისე მოიქეცი, გოგო, როგორც გითხარი, და კარიც გაიხურე.

კ ა ი ა ყოყმანით გადის სამხაზველოში, სოლნეს ფარულად ესვრის შიშნეულსა და მავედრებელ მზერას, მერე კარს მოხურავს.

ბ რ უ ვ ი კ ი (რადაც ყრუ ხმით). არ მინდა საბრალო ბავშვებმა გაიგონ, რა ცუდად ვგრძნობ თავს.

ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, მართლაც, ამ უკანასკნელ ხანებში ცუდად გამოიყურებით.

ბ რ უ ვ ი კ ი. ჩემი კალო გალენწილია, მალე წერილს წავიღებ. დღი-თოდლე ვსუსტდები, მუხლი მღალატობს.

ს ო ლ ნ ე ს ი. დაბრძანდით.

ბ რ უ ვ ი კ ი. გმადლობთ... თუ ნებას მომცემთ.

ს ო ლ ნ ე ს ი (სავარძელს მიუჩოჩებს). ინებეთ! ახლა მიბრძანეთ!

ბ რ უ ვ ი კ ი (გაჭირვებით ჯდება). დიახ, საქმე რაგნარს ეხება. ყველანაშე მეტად ეს მაწუხებს. რა უნდა გამოვიდეს ამ ბიჭისაგან?

ს ო ლ ნ ე ს ი. თქვენი ვაჟი, რა თქმა უნდა, ჩემთანვე დარჩება, წადრე ისურვებს.

ბ რ უ ვ ი კ ი. ჰო, მაგრამ ეს უკვე აღარ სურს. ყოველ შემთხვევაში, მას ჰგონია, რომ აღარ შეუძლია.

ს ო ლ ნ ე ს ი (მოუსვენრობა ეუფლებს). რათა, მე მგონია კარგად თლებს. მაგრამ თუ მომატებას ითხოვს, მე მზად ვარ...

ბ რ უ ვ ი კ ი. არა, არა! სულ სხვა მიზეზია (ცოტა მკვახელ). მასაც ხომ უნდა დამოუკიდებელი კაცი გახდეს და ისე იმუშაოს!

ს ო ლ ნ ე ს ი (თვალს არიდებს). თქვენ ფიქრობთ, რომ რაგნარს უკვე აქვს საამისო უნარი?

ბ რ უ ვ ი კ ი. იცით, სწორედ ეს არის საშინელება: ყმაწვილის უნარში ეჭვის შეტანა დაეიწყე. თქვენ ხომ ერთხელაც არ დაგცდენიათ მისთვის გამამხნევებელი სიტყვის თქმა. მე კი რატომღაც მგონია — მხნეანაირად არც შეიძლება — ჩემს შვილს უთუოდ აქვს ნიჭი და უნარი.

ს ო ლ ნ ე ს ი. როგორ არა, მაგრამ მას არაფერი უსწავლია საფუძვლიანად. ხაზვის გარდა-მეთქი, უნდა მეთქვა.

ბ რ უ ვ ი კ ი (შესტკეპრის ფარული სიძულელით და ხრინწიანი ხმით ეუბნება). არც თქვენ იყავით დიდი ნასწავლი, როცა ჩემთან შეგირდად დანდექათ. მაგრამ ხომ გაიკაფეთ გზა? (სულშეგუბებული). აღწევდით და მალლა გაინვაარდეთ, მე და მრავალ ჩემნაირს კი ნიადაგი გამოგვატალეთ.

სოლნესი. ჰო, მართლაც, ბედმა გამიღიმა.

ბრუეიკი. მართალი ბრძანდებით. ყველაფერში ბედი გაგეხსნათ. მაგრამ ნუთუ გული ნებას მოგცემთ სამარეში ჩამაწვინოთ უმღვიდრე გავიგებ, რისთვის არის გამოსადეგი ჩემი შვილი რაგნარ?! მერე მინდა ორივე დაოჯახებული ვიხილო, ვიდრე ჯერ კიდევ პირსული მიდგას.

სოლნესი (ფიცხლავ. მკვახედ). გოგოს ეს უნდა?

ბრუეიკი. კიიას არა. რაგნარი კი ყოველდღე ამაზე ლაპარაკობს. (ვედრებით). თქვენ მოვალე ხართ... მოვალე ხართ ახლავე საღმრთო დამოუკიდებელი სამუშაო უშოვოთ. მე უნდა ვნახო, რას გააკეთებ! ყმაწვილი. გამიგეთ?

სოლნესი (წყრომით). მერე და, ეშმაკმა დალახვროს, მთვარედან ხომ არ ჩამოვუტანო შეკეფებები?

ბრუეიკი. აი, სწორედ ახლა შეეძლო ერთი კარგი საქმე წამოეწყო. დიდი სამუშაო.

სოლნესი (გაოცებული, შეშფოთებული). თქვენს შვილს? მართლა?

ბრუეიკი. თუ თქვენი დასტურიც იქნება.

სოლნესი. ეს რა სამუშაო უნდა იყოს?

ბრუეიკი (კოკმანით). აგარაკს ააშენებდა იქ, ზემოთ, ლვსტრანდში.

სოლნესი. ისა! მაგრამ ის აგარაკი ხომ მე თვითონ უნდა ავაშენო?

ბრუეიკი. ჰო, მაგრამ რომ არ გეხალისებათ?

სოლნესი (აენტება). არ მეხალისება? აჰ! ვინ აძლევს თავს ნებას, რომ ეს თქვას?

ბრუეიკი. თვითონ არა თქვით ახლახან?

სოლნესი. აჰ, თქვენ დარდი ნუ გაქვთ და ნუ მისმენთ, რასაც ასე ვიტყვი... ხუმრობით! მაშ რაგნარს მიანდობდნენ ამ საქმეს?

ბრუეიკი. დიახ. ოჯახს იცნობს. თანაც, ისე, თავისთვის, ხუმრობით, ნახაზებიც შეადგინა, ხარჯთაღრიცხვაც და ასე შემდეგ...

სოლნესი. მერე, იმ ნახაზებით კმაყოფილია ხალხი, რომელმაც იმ აგარაკზე უნდა იცხოვროს?

ბრუეიკი. დიახ, თუ თქვენც გადასინჯავთ და მოიწონებთ, მერე...

სოლნესი. მერე რაგნარს ნებას მისცემენ, რომ მათი სახლი ააშენოს?

ბ რ უ ე ი კ ი. ძალიანაც მოეწონათ ის, რისი გაკეთებაც ჩემმა შეიღმა შესალო. რაღაც სრულიად ახალი რამ გამოგსვლიათო, ასე თქვეს.

სო ლ ნ ე ს ი. ოჰო! რაღაც ახალი გამოსვლია! არა ისეთი ძველებური ხუნხულა, როგორსაც მე ვაშენებ ხოლმე?

ბ რ უ ე ი კ ი. რაღაც სხვანაირიაო, ამბობენ.

სო ლ ნ ე ს ი (ბრაზს გულში იკლავს). მაშ, რაგნართანაც ამისათვის მობრძანებულან, როცა მე სხვაგან ვიყავი.

ბ რ უ ე ი კ ი. ის ხალხი თქვენთან მოსალაპარაკებლად მოვიდა: ხომ არ დაგვითმობსო...

სო ლ ნ ე ს ი (აღშფოთებულად). დაგვითმობსო? მე?

ბ რ უ ე ი კ ი. იმ შემთხვევაში, თუ რაგნარის ნახაზები არ მოგეწონებოდათ...

სო ლ ნ ე ს ი. მე? თქვენი ვაჟიშვილის წინაშე უკან დავიხევდი?

ბ რ უ ე ი კ ი. შეთანხმებაზე უარის თქმა უნდა ეთხოვათ მხოლოდ.

სო ლ ნ ე ს ი. ვაი ჩემს თავსა, ეს ხომ ერთი და იგივეა! (მწარედ იცინის). დიახ, ასე, ასე! ჰალვარდ სოლნესმა ახლა უკან-უკან უნდა დაიხიოს, უნდა დათმოს! ადგილი ახალგაზრდებს უნდა დაუთმოს, სრულიად ახალგაზრდებს! მაშ გაწმინდე ადგილი! ადგილი!

ბ რ უ ე ი კ ი. ღმერთო ჩემო, აქ ხომ ადგილი ორსაც ეყოფა!

სო ლ ნ ე ს ი. აჰ, ადგილის დიდი სიუხვე აღარ არის. თუნდაც ფართო მოედანი იყოს, მთავარი ეს როდია. მე უკან არ ვიხევ და არავის ვუთმობ არასოდეს! ზურგს არავის ვუჩვენებ, ვინც უნდა იყოს! არასოდეს-მეთქი! არსად და არასოდეს არ გავაკეთებ ამას!

ბ რ უ ე ი კ ი (გაპირვებით ღებება). მაშ, ისე უნდა მივატოვო წუთისოფელი, გარკვევით ვერაფერი გავიგო; არა? უსიხარულოდ? რაგნარის რწმენასა და ნდობას მოკლებულმა? მის ერთ საქმესაც ვერა ვნახავ? ასე უნდა მოვკვდე მე ბედშავი?

სო ლ ნ ე ს ი (სახეს არიდებს, ნახევრად ზურგმექცეული, ცივად). ჰმ! ნულარა მკითხავთ!

ბ რ უ ე ი კ ი. არა, მიპასუხეთ! ასე უბედური უნდა ჩავიდე მიწაში?

სო ლ ნ ე ს ი (თითქოს თავის გულს ებრძვის. ბოლოს შეკავებულად, მაგრამ მტკიცე ხმით ეუბნება). ისე ჩადით, როგორც ამჯობინოთ.

ბ რ უ ე ი კ ი. ძალიან კარგი! (კარებისაკენ მიდის).

სო ლ ნ ე ს ი (მიპყვება, თითქმის სასოწარკვეთილი). სხვანაირად არ შემიძლია, გამიგეთ! მე ვარ ის, რაც ვარ! და არც შემიძლია გარდავიქმნა!

ბ რ უ ვ ი კ ი. არა, არა... გარდაქმნა თქვენ აღარ შეგიძლიათ (ბარბაცით მიდის, დივანთან ჩერდება). ნებას მომცემთ ერთი ჭიქა წყალადელიო?

ს ო ლ ნ ე ს ი. ძალიან გთხოვთ (დაუსხამს და გაუწვდის).

ბ რ უ ვ ი კ ი. დიდად გმადლობთ (სვამს და ჭიქას დადგამს).

ს ო ლ ნ ე ს ი (სამხაზველოს კარებთან მიდის, უღებს). რაგნარ, გამოდით და მამათქვენი შინ გააცილეთ.

(რაგნარი და კაია სწრაფად გამოდიან სამუშაო ოთახში).

რ ა გ ნ ა რ ი. რა მოგივიდა, მამა?

ბ რ უ ვ ი კ ი. ხელი მომამშველე და წაეიდეთ აქედან.

რ ა გ ნ ა რ ი. ახლავე, შენც მოემზადე, კაია.

ს ო ლ ნ ე ს ი. ფროილიან ფოსლი ჯერ ცოტას მოიციდის. სულ ერთი წუთით. ერთი წერილი უნდა დაწეროს.

ბ რ უ ვ ი კ ი (მზერას ესერის ს ო ლ ნ ე ს ს). ღამე ნებისა! ტკბილად იძინეთ, თუ შეგიძლიათ.

ს ო ლ ნ ე ს ი. ღამე ნებისა (ბ რ უ ვ ი კ ი და რ ა გ ნ ა რ ი წინა ოთახიდან გადიან. კაია მერხთან ბრუნდება. ს ო ლ ნ ე ს ი დივანთან დგას თავჩალუნული).

კ ა ი ა (გაუბედავად). წერილიო, ბრძანეთ, არა?..

ს ო ლ ნ ე ს ი (მოკლედ). არა... არა-მეთქი (მკაცრად უყურებს). კაია!

კ ა ი ა (შეშინებული, წყნარად). დიახ!

ს ო ლ ნ ე ს ი (მბრძანებლურად უჩვენებს თითოთ იატაკს). მოდით აქ! აი, ამ ადგილას!

კ ა ი ა (ყოყმანით). დიახ.

ს ო ლ ნ ე ს ი (ისევ ისე). მომიანლოვდით!

კ ა ი ა (მორჩილად). რას მბრძანებთ?

ს ო ლ ნ ე ს ი (ერთხანს უყურებს). მაშ, ეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ მთელს ამ ამბავს?

კ ა ი ა. არა, არა, ბატონო; ეს არ დაიჯეროთ!

ს ო ლ ნ ე ს ი. მაგრამ ქორწინება ხომ თქვენი სურვილია?

კ ა ი ა (წყნარად). აგერ ხუთი წელია, რაც რაგნარის დაწინდული ვარ და...

ს ო ლ ნ ე ს ი. და თქვენ ფიქრობთ, რომ ამ საქმეს დაბოლოება უნდა, არა?

კაია. რაგნარი და ბიძაჩემი მეუბნებიან, მოვალე ხარო, და მეც უნდა დავემორჩილო.

სოლნესი (უფრო ალერსიანად). ისე, გულზე რომ ხელი დაიდოთ, ცოტათი მაინც გიყვართ რაგნარი?

კაია. ერთ დროს ძალიანაც მომწონდა... ვიდრე აქ მოვიდოდი.

სოლნესი. მერე, ახლა აღარ მოგწონს განა?

კაია (ვნებიანად აღმართავს გადაჭყარედიანებულ ხელებს). აჰ, თქვენ ხომ იცით, რომ ამჟამად მე მხოლოდ ერთი ვინმე მიყვარს! მხოლოდ ერთი ვინმე მთელს ქვეყანაზე! არსად არასოდეს სხვისთვის კარგი არ ვიქნები.

სოლნესი. ჰო, ასე ამბობთ ხოლმე. სინამდვილეში კი გამირბოხართ. მიღიხართ და მთელს ამ დავიდარაბას მე მიტოვებთ.

კაია. მაგრამ რა დამიშლის თქვენთან დარჩენას, თუნდაც რაგნარმა...

სოლნესი (უარის ნიშნად ხელს აღმართავს). არა, არა, ეს სრულიად შეუძლებელია. თუ რაგნარი დამოუკიდებლად დაიწყებს მუშაობას, მაშინ თვითონ მას დასკირდებით.

კაია (ხელების მტვრევით). აჰ, მე კი მგონია, თქვენი მოშორება არ შემიძლია! ეს მართლაც შეუძლებელი საქმეა, ასე მწამს და ასე მჯერა.

სოლნესი. მაშინ გადააფიქრებინეთ რაგნარს თავისი სულელური განზრახვა, და იქორწინეთ მასთან, რამდენიც გენებოთ (შეცვლილი ხმით). ჩააგონეთ, ურჩიეთ, დარჩეს აქ, თავის ჩინებულ სამსახურში. მაშინ ხომ თქვენც ჩემთან დარჩებით, საყვარელო კაია.

კაია. აჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ მართლაც ასე მომხდარიყო!

სოლნესი (ქალიშვილის თავს ორსავე ხელს ავლებს და ჩურჩულით ეუბნება). ასე უნდა ქნა, რადგან მე უშენოდ ყოფნა არ შემიძლია, გესმის? ყოველდღე და ყოველ საათს ჩემთან მინდა მყავდე.

კაია (ნერვული ალტკინებით). ოჰ, ღმერთო! ღმერთო!

სოლნესი (თმაში აკოცებს). კაია... კაია!

კაია (დაემხოდა მის წინ). ო, რა კეთილი, რა კარგი ხარო ჩემთვის!

სოლნესი (მოუთმენლად, სწრაფად). ადექით! ადექით-მეთქი, ეშმაკმა... ვილაც მოდის, ნაბიჯის ხმა მესმის (ეხმარება წამოდგომაში, კაია არეული ნაბიჯით მიდის საიუშაო მაგუდასთან).

ფრუ სოლნესი გამოჩნდება მარჯვენა კარში. გამხდარი და დაღვრემილია, მაგრამ ოდინდელი მშვენიერების კვალი ჯერაც არ გამქრალა მისი ნაკეთებლან. ნაადრევად

დამკენარ ქალს კულულები ჩამოშლია. კობტა, სრულად შავი სამოსელი აცვია რა-
ღაც გაკიანურებულად და მავედრებლის ხმით ლაპარაკობს.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (კარებში). პალვარდ!

ს ო ლ ნ ე ს ი (მობრუნდება). აჰ, ეს შენა ხარ, ჩემო ძვირფასო...

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (ეჭვით გადახედავს კ ა ი ა ს). მგონი, უაღ-
გილოდ შემოვედი.

ს ო ლ ნ ე ს ი. სულაც არა. ფროილიან ფოსლიმ ეს-ეს არის ერთი
პატარა წერილი დაწერა.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. კი, ამას თავადაც ვხედავ.

ს ო ლ ნ ე ს ი. რა გინდოდა, ალინე?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მხოლოდ ის მინდოდა: მეთქვა, დოქტორი
პერდალი ზის-მეთქი ჩემთან, კუთხის ოთახში. იქნებ გამოსულიყავი,
პალვარდ?

ს ო ლ ნ ე ს ი (უნდობლად უყურებს). ჰმ! ნუთუ ასე აუცილებე-
ლია ჩემი მოლაპარაკება ექიმთან?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. არა, აუცილებელი არ არის. ექიმი ჩემს სა-
ნახავად მოვიდა. ამდენად, რა თქმა უნდა, არც თქვენს სალამზე იტყო-
და უარს.

ს ო ლ ნ ე ს ი (წყნარად იცინის). მესმის, მეც ასე ვფიქრობ. ოღონდ
ეს კი უნდა სთხოვო, ცოტა დამელოდოს.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მაშ, ცოტა ხანში შემოხვალ, ხომ?

ს ო ლ ნ ე ს ი. ალბათ. შემდეგ... შემდეგ, ჩემო ძვირფასო. სულ
ერთი წუთი მადროვეთ.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (ისევ გადახედავს კ ა ი ა ს). მაშ არ დაგა-
ვიწყდეს, პალვარდ.

(გადის მარჯვნივ და კარს მოხუარავს).

კ ა ი ა (ხმადაბლა). აჰ, ღმერთო ჩემო!.. მოწყალე ქალბატონი მგო-
ნი ცუდი თვალთ მიყურებს.

ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, ფიქრი ნუ გაქვთ. ყოველ შემთხვევაში, იმაზე
მეტი არაფერია, რაც იყო. მაგრამ ახლა კი ჯობს წახვიდეთ, კაია.

კ ა ი ა. დიახ, დიახ, მე ახლავე უნდა წავიდე.

ს ო ლ ნ ე ს ი (მკაცრად). ოღონდ ის მეორე ამბავი მომიწესრიგეთ.
გამიგეთ?

კ ა ი ა. ეჰ, ყველაფერი რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული... მაშინ...

ს ო ლ ნ ე ს ი. მე მსურს ეს საქმე მოგვარდეს-მეთქი! თანაც
ხვალვე!

კ ა ი ა (შეძრწუნებული). თუ სხვანაირად არაფერი გამოვიდა, რაგნარს დაეშორდები და ის იქნება.

სო ლ ნ ე ს ი (აღშფოთებით). დაშორდები?! ხომ არ შეშლილხარ? თქვენ გინდათ საქმროს დაშორდეთ?

კ ა ი ა (სასოწარკვეთილებით). დიახ, ასე აჯობებს, რადგან მე მინდა, მოვალე ვარ თქვენთან დაფრჩე. მე აღარ შემიძლია მიგატოვო! ეს სრულიად... სრულიად შეუძლებელია!

სო ლ ნ ე ს ი (მოთმინებიდან გამოსული). მაგრამ ეშმაკმა დალაზეროს... რაგნარი? რაგნარიც რომ მესაჭიროება?..

კ ა ი ა (შეშინებული შესცქერის). მაშ, თქვენ... უფრო მეტად რაგნარის გულისათვის...

სო ლ ნ ე ს ი (გონს მოდის). აჰ, სულაც არა... ცხადია, არა! მაგრამ თქვენ ხომ არაფერი გესმით! (ნაზად და ალერსიანად). თქვენ ნამდვილად მესაჭიროებით. უწინარეს ყოვლისა თქვენ, კაია. სწორედ ამიტომაც უნდა მოელაპარაკოთ რაგნარს და დაითანხმოთ, რომ თავის ადგილზე დარჩეს. ასე. ასე... ახლა კი შინ წადით.

კ ა ი ა. მაშ, ღამე ნებისა.

სო ლ ნ ე ს ი. ღამე ნებისა (ვიდრე კაია წასვლის სამზადისშია). ჰო, ერთი მისმინეთ! რაგნარის ნახაზები აქვება?

კ ა ი ა. ალბათ. მგონი, თან არ წაუღია.

სო ლ ნ ე ს ი. მაშინ შემოდით და მომინახეთ. მინდა ერთი დავხედო.

კ ა ი ა (გახარებული). ოჰ, რა კარგს იზამთ!

სო ლ ნ ე ს ი. თქვენი გულისათვის, კაია. ოღონდ მალე, მორჩით, გაიგეთ?

კაია სამხაზველოში შედის, შეშინებული იქეჭება უჩარხო, იღებს საქალაღეს და სოლნესს გადასცემს.

კ ა ი ა. აქ არის ყველა ნახაზი.

სო ლ ნ ე ს ი. კეთილი. მანდ მაგიდაზე დადეთ.

კ ა ი ა (საქალაღეს მაგიდაზე ღებს). მაშ, ღამე მშვიდობისა... (ხეწნით). გიყვარდეთ და იფიქრეთ ჩემზე.

სო ლ ნ ე ს ი. ოჰ, რა შეხსენება მინდა, მე ყოველთვისაც თქვენზე ვფიქრობ. ღამე მშვიდობისა, კეთილო, ძვირფასო კაია (თვალს მარჯვენე გააპარებს). ბარემ წადით!

ფ რ ა უ სო ლ ნ ე ს ი და დოქტორი ჰერალდი მარჯვენა კარიდან შემოდიან. ექიმი ხანში შესული, კარგი აღნაგობის მსუქანი კაია, მრგვალი უწვერულვაშო სახე აქვს და თხელი მოთეთრო თმა, ოქროს სათვალე უკეთია.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (კარებშივე). ჰალვარდ, ექიმი ჩქარობს, ვე-
ლარ ვაჩერებ.

ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, მობრძანდით.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (კაიას, რომელიც მერბზე ლამპას ან-
თებს). წერილი უკვე გაამზადეთ, ქალიშვილო?

კ ა ი ა (დაბნეული). წერილი?...
ს ო ლ ნ ე ს ი. ეს ძალიან მოკლე ბარათი იყო.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ნაშინლად მოკლე იქნებოდა.

ს ო ლ ნ ე ს ი. თავისუფალი ხართ, ფროილან ფოსლი. დილით
ზუსტად თავის დროზე გამოცხადდით.

კ ა ი ა. როგორ გეკადრებათ... ღამე ნებისა, მოწყალე ქალბატონო.

წინა ოთახიდან გადის.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. შენ კმაყოფილი უნდა იყო, ჰალვარდ, რომ
ასეთი ქალიშვილი გყავს.

ს ო ლ ნ ე ს ი. ვარ კიდევაც. მრავალმხრივ მარგია.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ეს ჩანს.

ჰ ე რ დ ა ლ ი. ბუხპალტერიაც ესმის?

ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, ცოტაოდენი რამ შეითვისა ამ ორ წელიწადში.
თანაც კეთილი და დაუზარებელია. რასაც ეტყვი, იმას აკეთებს.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, ეს უთუოდ ძლიერ სასიამოვნოა...

ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, მეტადრე მაშინ, როცა ადამიანი არ არის ზედ-
მეტად განებვიერებული ამა თუ იმ საქმეში.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (უწყინარი საყვედურის კილოთი). შეგიძ-
ლია გულზე ხელი დაიდო, ჰალვარდ?

ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, ვერა, ვერა, ძვირფასო ალინე! მაპატიე!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მიპატიებია... ექიმო, ხომ შემოივლით მო-
გვიანებით და ჰიქა ჩაიზე გვეწვევით?

ჰ ე რ დ ა ლ ი. როგორც კი ავადმყოფების ჩამოვლას მოვრჩები,
შემოგივლით.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ძალიან დაგვაეალებთ (მარჯვენა კარში გა-
დის).

ს ო ლ ნ ე ს ი. ასე ძალიან გეჩქარებათ, ექიმო?

ჰ ე რ დ ა ლ ი. არა, არც ისე.

ს ო ლ ნ ე ს ი. მაშ. ცოტა ვიმასლაათოთ, შეიძლება?

ჰ ე რ დ ა ლ ი. ძალიან მასიამოვნებთ.

ს ო ლ ნ ე ს ი. მაშ, დაბრძანდით (ჰერდალს სარწეველა სკამს სთა-
ვაზობს, თვითონ კი სხვა სკამზე ჯდება. გამომცდელი თვალით უყუ-

რებს ექიმს). ერთი მიბრძანეთ... ხომ არაფერი შეგიმჩნევიათ აღინეს საქციელში?

ჰერდალი. ვიდრე აქ იყო. არა?

სოლნესი. დიახ, რაიმე ისეთი, ჩემდამი... არ შეგიმჩნევიათ?

ჰერდალი (ღიმილით). კი, დალახვროს ღმერთმა, შევამჩნიე და აგრე? ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ თქვენს მეუღლეს... ჰმ...

სოლნესი. აბა?

ჰერდალი. ... რომ თქვენს მეუღლეს მაინცა და მაინც გულზე არ უხატია ფროილან კაია ფოსლი.

სოლნესი. მეტი არაფერი? ეს... ეს ხომ დიდი ხანია მეც შენიშნული მაქვს.

ჰერდალი. ჰოდა, არც არის ასეთი რამე გასაკვირი.

სოლნესი. ესე იგი, რა?

ჰერდალი. რომ თქვენს ცოლს არ სიამოვნებდეს, როგორ შეზნარით ყოველდღე თქვენსავე ჰერქვეშ ვილაც უცხო დედაკაცს.

სოლნესი. დიახ, მართალი ბრძანებაა, იქნებ სწორი ხართ თქვენცა და აღინეც. მაგრამ ეს ვითარება ვერ შეიცვლება.

ჰერდალი. რატომ, არ შეგიძლიათ ბუხპალტერი აიყვანოთ?

სოლნესი. ვინც პირველი მომხვდება ხელში? მადლობელი ვარ, ეს მე ხელს არ მაძლევს. კაცი სხვამ აიყვანოს.

ჰერდალი. მაგრამ თუ თქვენი მეუღლე... ასე სუსტია და ასეთი საქმის ცქერას ვერ აიტანს?

სოლნესი. მაშინ ღმერთი იყოს მისი მფარველი... თითქმის ასე მინდოდა მეტქვა. მე ფოსლი მჭირდება. სხვა არაფერ, მხოლოდ კაია ფოსლი!

ჰერდალი. სხვა არაფერ?

სოლნესი. არა, სხვა არაფერ არ მინდა.

ჰერდალი (სკამს მიუჩოჩებს). ერთი მომისმინეთ, ძვირფასო სოლნეს, ბატონო ჩემო. ნება მიბოძეთ ერთი საიდუმლო კითხვა მოგცეთ.

სოლნესი. გთხოვთ, გისმენთ.

ჰერდალი. ქალებს, იცით... ზოგ რამეში საოცრად მახვილი აღლო აქვთ.

სოლნესი. ნამდვილად. რაც მართალია, მართალია. მერე?

ჰერდალი. მერე და მერე. მომისმინეთ. თუ თქვენი ცოლი ბოლოს და ბოლოს მაგ ფოსლის მაინც ვერ იგუებს?..

სოლნესი. მერე, რომ ვერ იგუებს?

ჰერდალი. ხომ არა აქვს რაიმე პატარა მიზეზი ასეთი სიძულვილისათვის?

სოლნესი (ჯიქურ უყურებს და წამოდგება). ოჰო!

ჰერდალი. ცუდად ნუ გამიგებთ. მაგრამ... აქვს ასეთი საბაბი?

სოლნესი (მოკლედ და გარკვევით). არა.

ჰერდალი. სრულიად არავითარი?

სოლნესი. არავითარი-მეთქი, თავისი საკუთარი ექვიანობის გარდა.

ჰერდალი. მე ვიცი, თქვენს ცხოვრებაში მრავალ ქალს იცნობდით?

სოლნესი. ჰო, ცნობით მართლაც ბევრს ვიცნობდი.

ჰერდალი. ზოგი მათგანი ხომ ძალიანაც მოგწონებიათ?

სოლნესი. ესეც მართალია.

ჰერდალი. ხოლო რაც შეეხება ამ პატარა ფროილან ფოსლის?... აქაც რაიმე ამნაირს ხომ არა აქვს ადგილი?

სოლნესი. არა, აბსოლუტურად არა — ჩემი მხრით.

ჰერდალი. მაგრამ მისი მხრით?

სოლნესი. ამაზე, ძვირფასო დოქტორო, ჩემის აზრით, უფლებად არა გაქვთ მკითხოთ.

ჰერდალი. მაგრამ ჩვენი საუბრის საბაბი გახდა თქვენი მეუღლის ფაქიზი ალღო თუ მახვილი ყნოსვა, არა?

სოლნესი. მართალია. ამდენად (დაიხრება, ხმადაბლა), აღინებს ალღო, ან. ყნოსვა, როგორცა ბრძანეთ, მართლაც მახვილი გამოდგა.

ჰერდალი. აი, ხედავთ?

სოლნესი (ჯდება). ბატონო დოქტორო, ახლა ერთი განსაკუთრებული ამბავი მინდა გიამბოთ. თუ მოსმენას ისურვებთ, ცხადია.

ჰერდალი. განსაკუთრებულ ამბებს. სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე.

სოლნესი. ჰოდა, მით უკეთესი. მოგხსენებათ, კნუტ ბრუევი და მისი ვაჟი რაგნარი მე მივიღე სამსახურში, როცა მოხუცის საქმე სრულიად წახდა.

ჰერდალი. ეს ცოტათი გაგებული მაქვს, როგორ არა!

სოლნესი. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, ორივე ბეჭითია, ორივეს თავისებური ნიჭი და უნარი გააჩნია. უცებ იმ ყმაწვილს დაოჯახება მოუნდა, ცალკე ცხოვრება, ცალკე მუშაობა... ასეთი რამეები ხომ ხშირად მოსდით თავში ახალგაზრდებს.

პერდალი (იციხის). ჰო, ეს მართლაც ახირებული წესი აქვთ, თავის გამოჩენა უყვართ, ერთიმეორისაკენ მიუწევთ გული.

სოლნესი. დიახ. კარგია. მაგრამ მე ასეთი რამ სულაც არ მძლევს ხელს. რაგნარი თვითონ მესაჭიროება. აგრეთვე მოხუციც. უნდა გითხრათ, შესანიშნავად ემარჯვება მასალათა გამძლეობის გამოანგარიშება, კუბური მოცულობის გამოთვლა და სხვა მისთანა ეშმაკეული.

პერდალი. ჰო, მართლა, ასეთი რამეების ცოდნაც საჭიროა.

სოლნესი. უთუოდ. მაგრამ რაგნარს დამოუკიდებლობა მოუნდა. რაღაც არ უნდა დაუჯდეს. თვითონ უნდა აშენოს. ვერაფერს გაეხლი.

პერდალი. მერე, მაინც ხომ დარჩა თქვენსას?

სოლნესი. დიახ... მაგრამ მომისმინეთ. ერთ მშვენიერ დღეს აქ კაია ფოსლი ამოვიდა, რაღაც საქმე ჰქონდა ბრუვიკთან. უწინ აქ არასოდეს არ მინახავს. მე ვნახე, რა მხურვალედ ჰყვარებიათ ერთიმეორე, ამიტომ თავში ასეთი აზრი მომივიდა: თუ ამ ქალიშვილს ჩემს სამსახურში მივიღებ, რაგნარიც აღარსად წაევა-მეთქი.

პერდალი. ეს სრულიად გასაგები აზრია.

სოლნესი. დიახ, მაგრამ მაშინ მე კრინტიც არ დამიძრავს ამ საქმეზე. ვუყურებდი და მართლაც გულით მიჩნდოდა ჩემთან მყოლოდა. მერე ორიოდ კეთილი სიტყვა ვუთხარი — სრულიად უმნიშვნელო რამეები, ეს იყო და ეს. ფოსლი თავისი გზით წავიდა.

პერდალი. შემდეგ?

სოლნესი. მეორე დღეს კი, როცა რაგნარი და მამამისი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შინ წავიდნენ, ფოსლი მოულოდნელად გამოცხადდა ჩემთან და თავი ისე დაიჭირა, თითქოს უკვე შეთანხმდით.

პერდალი. შეეთანხმდითო? რაში?

სოლნესი. იმაში, რაც მე მსურდა... და რაც ერთი სიტყვითაც არ გამიმკლავებია.

პერდალი. ძალიან საგულისხმოა.

სოლნესი. მართლა განა? მინდა გავიგო, რა გაეაკეთო, რომ ხვალ დილითვე საქმეს შევეუდგეო, და ასე შემდეგ.

პერდალი. როგორ ფიქრობთ, ეს იმისათვის ხომ არ გააკეთა, რომ თავის საქმროსთან ახლოს ყოფილიყო?

სოლნესი. ჩემი პირველი ფიქრიც ეს გახლდათ. მაგრამ არა, თავი ასე არ დაუჭერია. სულაც ერიდებოდა, გაურბოდა კიდევ იმ დღიდან, რაც ჩემთან მივიღე.

ჰერდალი. თქვენს სიახლოვეს ყოფნა ერჩია, არა?

სოლნესი. დიახ, აშკარად. ვატყობ, ეს გოგო გრძნობს, ზურგში რომ ვუყუარებ. კრთის და ცახცახებს, ახლოს რომ მივდივარ. რას იტყვით ამაზე?

ჰერდალი. ჰმ... ამისი ახსნა კიდევ შეიძლება.

სოლნესი. ჰო, კეთილი, მაგრამ მეორეს როგორ ახსნით? რომ თითქოს მე შეთქვას, მეთხოვა მისთვის, მინდინარ და მოდი-მეთქი? ეს ხომ ჩემთვის გავიფიქრე, გულის სიღრმეში, არავისთვის გამიმხელია. რას იტყვით ამაზე? იქნებ ესეც ამიხსნათ, ექიმო?

ჰერდალი. არა, ამას კი ველარ ვიკისრებ.

სოლნესი. მეც ასე ვფიქრობდი. ამიტომაც არ მსურდა დღემდე ამაზე ლაპარაკი... მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, და გულზე ლოდად მაწევს წყეული. ყოველდღე ძალაუნებურად ისე უნდა მოვიქცე, თითქოს მეც... და ეს კი ცოდვაა იმ უმანკო არსების წინაშე (მტკიცედ). მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. ამ ქალიშვილს რომ ხელი ვკრა, რაგნარიც მიმატოვებს.

ჰერდალი. თქვენი მეუღლისათვის არ გაგიმხელიათ საქმის ასეთი ვითარება?

სოლნესი. არა.

ჰერდალი. ღმერთო ჩემო, მერე და რას ელოდებით?

სოლნესი (ჭიქურ უყურებს და წყნარად ეუბნება). არაფერს. ასე მგონია, საკუთარ თავს ასეთ მკაცრ სამსჯავროზე ვაყენებ და სიამოვნებას მგვრის იმის შეგნება, რომ აღინე უსამართლოდ მექცევა.

ჰერდალი (თავის ქნევით). თავი მომჭერით, ვერაფერი გამიგია.

სოლნესი. აციტ, ეს თითქოს პატარა ნამატია, მცირე პროცენტია ჩემი დიდი ვალისა მის წინაშე...

ჰერდალი. თქვენი ცოლის წინაშე?

სოლნესი. დიახ. ასეთ დროს ყოველთვის გულზე მოგვეშვება ხოლმე. რაღაც უფრო მსუბუქად სუნთქავ, მცირე ხნით სულს მოიტყვამ, გამიგეთ?

ჰერდალი. ღმერთია მოწმე, ვერა. ერთი სიტყვაც არ მესმის.

სოლნესი (აწყვეტინებს, წამოდგება). კარგი, კარგი, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. (დინჯად გაივლის და გამოივლის, ბრუნდება უკან, დგება მაგიდასთან და დამცინავი სახით უყურებს ექიმს, იქედნურად იღიმება). ალბათ ფიქრობთ, რომ ყურით მატარეთ და ძალიან შორს შევტოპეთ, არა, ექიმო?

ჰერდალი. (ცოტა ნაწყენია). ყურით გატარეთ? ასეთი რამე პირველად მესმის, ბატონო სოლნეს.

სოლნესი. გაოტყდით, მე ხომ ყველაფერი შევამჩნიე!

ჰერდალი. რა შეამჩნიეთ?

სოლნესი (ყრუდ, გაჭიანურებით). ისა, რომ გარშემო მიტრიალებთ და ფარულად მზვერავთ.

ჰერდალი. ეს მე? ცაო მაღალო, მერე და რაში მესაჭიროება ეს ამბავი?

სოლნესი. იმაში რომ გგონიათ (გაცეცხლებული)... ეშმაკმა დალახვროს, თქვენცა იგივე გგონიათ, რაც ალინეს, არა?!

ჰერდალი. მერე და რა ჰგონია თქვენს ცოლს ალინეს?

სოლნესი (ისევ დაიოკებს გულს). ისა, რომ... როგორ გითხრათ? ჰგონია, რომ მე ავადა ვარ.

ჰერდალი. ავად! თქვენა? ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს. ან რა უნდა გეტყინოთ თქვენ, ღრმად პატრეცემულო?

სოლნესი (სკამის საზურგეს გადაეყრდნობა და ჩურჩულებს). ალინე ფიქრობს, რომ მე სრულ ჭკუაზე არა ვარ. აი, როგორია!

ჰერდალი. (წაშოდგება). მაგრამ, ძვირფასო, ბატონო სოლნეს...

სოლნესი. სიმართლეს გეუბნებით. ასეა. ამაში თქვენც დაგარწმუნათ. დიახ, დიახ, დამიჯერეთ, ექიმო, ამას თქვენს სახეზე ვკითხულობ... ჩემი გაბრიყვება არც ისე იოლია, ამას პირდაპირ გეუბნებით.

ჰერდალი (გაოცებული შესტკერის). არასოდეს, ბატონო სოლნეს, არასოდეს თავში აზრადაც არ მომსვლია მსგავსი ფიქრი.

სოლნესი (იკვნეული დაცინვით). მართლა? ნამდვილად არა?

ჰერდალი. არა, არასოდეს ალბათ არც თქვენს ცოლს უფიქრია ამნაირი რამ. მე გგონია, ეს შემიძლია შემოგფიციოთ კიდევ.

სოლნესი. აბა, რასა ბრძანებთ! ვგონებ, ამას ჯობს თავი გაანებოთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, გარკვეულის აზრით მას მართლაც შეეძლო საამისოდ ერთგვარი საფუძველი ჰქონოდა.

ჰერდალი. არა, მე პირდაპირ გეტყობდით...

სოლნესი (ხელის გაქნევით აწყვეტინებს). კარგით, ძვირფასო ექიმო, ნულარ ჩაყვებით საქმეს ძირამდე. ყველას თავისი აზრი ჰქონდეს, რა უჭირს (უეცრად წყნარ, მშვიდობიან კილოზე გადადის). მაგრამ მომისმინეთ, ექიმო... ჰმ!

ჰერდალი. აბა?

სოლნესი. თუ მართლა არ გჯერათ, რომ მე ასე ვთქვით ავადმყოფი ვარ — ნაწილობრივ ან სრულიად შეშლილი და ასე შემდეგ...

ჰერდალი. მაშინ რას მიბრძანებთ?

სოლნესი. მაშინ უთუოდ ისეთი წარმოდგენა გაქვთ, რომ მე ლალი და სრულიად ბედნიერი ადამიანი ვარ, არა?

ჰერდალი. განა ეს მართო წარმოდგენა იქნებოდა?

სოლნესი (იციინის). ჰაი, ღმერთო დიდებულო! საით უმიზნებთ? ერთი დაუფიქრდით — ხუროთმოძღვარი სოლნესი რომ იყო კაცი! ჰალვარდ სოლნესი! უკეთესი ბედი იქნება? მე და ჩემმა ღმერთმა!

ჰერდალი. ჰმ! მე კი, სიმართლე გითხრათ, ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ თქვენისთანა ბედნიერი კაცი დედამიწაზე არ დადის.

სოლნესი (ნაღვლიან ღიმილს ფარავს). ბედი ნამდვილად მიღმის, ამ მხრივ ვერ დავემდურები.

ჰერდალი. დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ თქვენი ძველთა-ძველი გონჯი ავაზაკური ციხესიმაგრე დაიწვა. ზოგი ჰირო მარგებელია. ამან თქვენ სარგებლობა მოგიტანათ.

სოლნესი (სერიოზულად). რაც იქ დაიწვა, აღინეს მშობლების სახლ-კარი იყო. ეს არ დაგავიწყდეთ.

ჰერდალი. ჰო, მისთვის ეს მართლაც მძიმე კაეშანი იყო,

სოლნესი. დღემდე არ დავიწყებია. აგერ თორმეტი თუ ცამეტი წელიწადია და კიდევ ახსოვს.

ჰერდალი. რაც ამის შემდეგ გადახდა, ის ალბათ კიდევ უფრო მძიმედ გადაიტანა.

სოლნესი. ერთიმეორეზე უარესი იყო.

ჰერდალი. სამაგიეროდ თქვენ, თქვენ თვითონ მაღლა შეინავარდეთ. მაშინ სოფლიდან ჩამოხვედით, ლარიბი ყმაწვილი კაცი. დღეს კი მთელს ჩვენს მხარეში პირველი კაცი ხართ. რაც მართალია, მართალია, ბატონო სოლნეს, თქვენ ბედმა გაგიღიმათ.

სოლნესი (შეუფოთებული შესტკერის). აი, სწორედ ეს მაშინებს ყველაზე მეტად.

ჰერდალი გაშინებთ? ბედის ღიმილი?

სოლნესი. შიში და ძრწოლა არ მაძლევს მოსვენებას. დღითა და ღამით. მეშინია! იცით, მომლიმარი ბედი ადრე თუ გვიან შუბლს შეიკრავს! მაშ, უნდა ველოდე მის გამრუდებას.

ჰერდალი. ოჰ, სისულელე! რატომ უნდა გამრუდდეს? საიდან?

სოლნესი (მტკიცედ და გადაჭრით). ახალგაზრდობა მოდის.

ჰერდალი. აბა! ახალგაზრდობა! ერთბაშად წინ არ გადაგვლობოთ! არქივს არ ჩაბარდეთ! არა, რას ბრძანებთ! ჯერ თქვენ ურყევი ბურჯივით დგახართ და ისე ძლიერი ხართ, როგორც ალბათ არასოდეს.

სოლნესი. ბედი შეტრიალდება. ამას ვგრძნობ. ვხედავ კი-
ლევაც, როგორ ახლოვდება ეს ღლე. ვილაყა მოღის, მტკიცედ მოიწვეს
და მოითხოვს: გზა მომეცი, ჩემს უყან დაღეჭიო! უყან სხვა მოიერიშე-
ები მოჰყვებიან, იმუქრებიან და გაჰყვირიან: გზა დამიყალე! გზა, გზა!
ღიახ, დამიხსოვრეთ ჩემი სიტყვა, ეჭიმო. ერთ მშვენიერ ღლეს მოვა
ახლგაზრდობა და კარზე მომიკაყუნებს...

ქერდალი (სიცილით). ღიახ, ღმერთმა იცის, და მერე?

სოლნესი. მერე და მერე! რა უნდა იყოს? ხუროთმოძღვარ
სოლნესის საქმე წასულია.

მარცხენა კარზე კაყუნი ოსმის

სოლნესი (შეკრთება). რა იყო? თქვენ გაიგონეთ?

ქერდალი. ვილაყამ დააკაყუნა.

სოლნესი (ხმამალლა). შემობრძანდით!

პილღევანგელი წინა კარიდან შემოდის. საშუალო ტანისაა, მკვირცხლი
და კობტა. ქალიშვილი მზეს ოღნავ გაუშაგებია. ტურისტის სამოსი აყუია, ლამაზად
ამოყეცილი კაბა, უყან გადაყეცილი საყელოიანი მუზღეაურის პერანგი, და მუზღეაუ-
რისაყე ქული პხურაყეს. ზურგზე ჩანთა ჰკიღია, ხელში პღედი უჭირაყეს, მერეღეში კი-
ღეე — გრძელი სამთო ჭოხი.

პილღე სიხარულით გასხიგოსნებული თვალებით უახლოვდება სოლნესს.

პილღე. საღამო მშვიღობისა!

სოლნესი (იჭვენეულად უყურებს). საღამო მშვიღობისა...

პილღე (სიცილით). მგონი, ვერც მიცანით.

სოლნესი. ვერა... ყოველ შემთხვევაში, უნდა გამოეტყღდე, მხო-
ლოდ სახით. ასე უცებ...

ქერდალი (უახლოვდება) მე კი გიცანით, ქალიშვილო...

პილღე (გმაყოფილებით). აჰ, ეს თქვენა ბრძანდებით!..

ქერდალი. ღიახ, მე გახლავართ (სოლნესს). ამ ზაფხულს
შეგზღდით მე და ეს ქალიშვილი მალალ მთებში, ერთ-ერთ საღგურში
(პილღეს). სხვა ქალები საღლა არიან?

პილღე. აჰ, ისინი დასავღეთისაყენ წავიღენ ყვეღანი.

ქერდალი. ეტყობა, არ მოეწონათ ჩვენი მხიარულება იმ საღა-
მოს, და არც ჩვენი ოინები.

პილღე. ჰო, მართლაც არ ესიაღონათ.

ქერდალი (თითით ემუქრება). მამ არ გაღათქვათ, რომ მაშინ
ჩვენთან ცოტა წაიკეკლუყეთ.

პილდე. ეს უფრო სახალისო იყო, ვიდრე ბებერ ქალებთან ჯღმა და წინდების ქსოვა.

პერდალი (იცინის). სავსებით გეთანხმებით.

სოლნესი. აქ დღეს საღამოს ჩამოხვედით?

პილდე. დიან, ეს არის ჩამოვედი.

პერდალი. სრულიად მარტო, ფროილიან ვანგელ?

პილდე. რა თქმა უნდა!

სოლნესი. ვანგელი? თქვენი სახელია ვანგელი?

პილდე (ხალისით და გაოცებით შესცქერის). სწორედ ასე ვახლავთ.

სოლნესი. მაშინ იქნებ ლისანგერელი უბნის ექიმის ასული ბრძანდებით?

პილდე (ისევ ისეთი მზერით). დიან... მაშ ვისი ასული ვიქნებო, როგორ მიბრძანებთ?

სოლნესი. ჰოდა, მაშინ ჩვენ უკვე გვინახავს ერთმანეთი — იმ ზაფხულს, როდესაც ძველ ეკლესიაზე კოშკს ვაშენებდი.

პილდე (უფრო სერიოზულად). ალბათ, მაშინ იყო სწორეთ.

სოლნესი. დიან, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა.

პილდე (მტკიცე იერით შესცქერის). ზუსტად ათი წლის წინ.

სოლნესი. ჰოდა, თქვენ ჯერ კიდევ ცუგრუმელა გოგონა იქნებოდით, ცხადია.

პილდე (დაუდევრად). ასე, თორმეტ-ცამეტი წლისა.

პერდალი. ამ ქალაქში პირველად ხართ, ფროილიან ვანგელ?

პილდე. დიან, პირველად.

სოლნესი. მაშ აქ არავის იცნობთ?

პილდე. მხოლოდ თქვენ. აგრეთვე თქვენს მეუღლეს.

სოლნესი. როგორ, ჩემს მეუღლესაც იცნობთ?

პილდე. მხოლოდ შორიდან. ორიოდ დღით მოვხვდით ერთად სანატორიუმში.

სოლნესი. აჰ, იქ, ზემოთ.

პილდე. თუ როდისმე ჩვენს ქალაქში მოხვდე, გვინახულეო, მითხრა (ღიმილით). თუმცა რა მოპატიჟება მინდოდა, ისედაც მოვიდოდი.

სოლნესი. რომ არაფერი უთქვამს ჩემთვის ამაზე...

პილდე თავის გრძელ ჯაბს ღუმელზე მიაყუდებს, ჩანთას მარდად იხსნის და პლედთან ერთად დივანზე დებს. პერდალი ცდილობს მიეშველოს. სოლნესი დგას შესცქერის).

პილდე (უახლოვდება სოლნესს). თუ შეიძლება, ლამეს
ოქვენსას გავათევ.

სოლნესი. დიდი სიამოვნებით!

პილდე. სხვა სამოსელი თან არა მაქვს. რაც მაცვია და რითაც
დავდივარ, სულ ესაა, მხოლოდ თეთრეული მაქვს ჩანთაში. მინდა გავ-
რეცხო, სულ გათხუზნულია.

სოლნესი. არა უშავს, დაგეხმარებიან ახლავე ჩემს ცოლს
ვეტყვი.

პერდალი. მე კი ჩემს ავადმყოფებს მიეხედავ ამასობაში.

სოლნესი. კეთილი, მიხედეთ. მერე ისევ შემოგვიარეთ.

პერდალი (ხალისით, პილდეს მზერას ესვრის). არხინად
ბრძანდებოდეთ! (სიცილით). თქვენ სწორად იწინასწარმეტყველეთ,
პატრონო სოლნეს!

სოლნესი. ეს როგორ?

პერდალი. ახალგაზრდობა მოდის და კარზე აკაკუნებს! თქვენს
კარზე.

სოლნესი (გამოცოცხლებული). ო, ეს ცოტა სხვანაირი გა-
გებით.

პერდალი. ოღონდაც. ვერაფერს იტყვი. (წინა ოთახის კარი-
დან გადის).

სოლნესი (მარჯვენა მხარეს კარს აღებს და მეზობელ ოთახში
ცოლს გადასძახის). ალინე! ერთი აქ გამოდი, თუ ღმერთი გწამს.
ფროილიან ვანგელი ზის აქა, შენი ნაცნობი.

ფრაუ სოლნესი (კარებში გამოჩნდება). ვინ ზისო, რა თქვი?
(შეხედავს პილდეს). აჰ, ეს თქვენა, ფროილიან? (უახლოვდება
და ხელს გაუწვდის). როგორც იქნა, ჩამოხვედით ჩვენს ქალაქში?

სოლნესი. ფროილიან ვანგელი ეს არის ჩამოვიდა და გვუხოვა,
ღამე გამათევინეთო.

ფრაუ სოლნესი. აჰ, ჩვენთან? სიამოვნებით.

სოლნესი. რაღაც თავისი ჩაცმულობა აქვს მოსაწესრიგებელი,
ხომ ვერ დაეხმარები?

ფრაუ სოლნესი. შევეცდები გასიამოვნოთ, რითაც შემიძ-
ლია. ეს სწორედ ჩემი ვალია. თქვენი ჩემოდანი ალბათ ჯერ არ მოუ-
ტანიათ?

პილდე. მე ჩემოდანი არა მაქვს.

ფრაუ სოლნესი. არაფერია, ყველაფერს მოვაგვარებთ, იმე-
დი მაქვს. ახლა კი ჩემს ქმართან დაბრძანდით და არ მოიწყინოთ. ამა-

სობაში ვეცდები თქვენთვის ერთ-ერთი ოთახი სასიამოვნოდ გამოვაწყო.

სოლნესი. რომელიმე საბავშვო ოთახი ხომ არ დაიჭიროს? - ჩხომ სრული წესრიგია?

ფრანუხსოლნესი. ჰო, მართლაც. ადგილი საჭიროზე მეტიცაა. (პილდეს) ცოტა დაისვენეთ, ჩამოჯექით. (გადის მარჯვნივ).

(პილდე ხელებს ზურგზე შემოიწყობს და ოთახში დაეხეტება, მოწყობილობას ათვალიერებს. სოლნესი მაგიდასთან დგას, ხელები მასაც უკან შემოუწყვია და თვალს აყოლებს).

პილდე (შეჩერდება და უყურებს). ბევრი გაქვთ საბავშვო ოთახები?

სოლნესი. სამი საბავშვო ოთახი მაქვს ამ სახლში.

პილდე. განა დასაჯერებელია? მამ საშინლად ბევრი ბავშვი გყოლიათ?

სოლნესი. არა. არც ერთი შვილი არა გვყავს. აი, თქვენ თუ გასწევთ ახლა დროებით ერთი ბავშვის მაგიერობას.

პილდე. ამ ერთ დამეს კი. არ ვიტყვებ და არ ვიჩხავლებ. ვეცდები დათვით ვიძინო.

სოლნესი. ჰო, საშინლად დაღლილი იქნებით, რა თქმა უნდა.

პილდე. რასა ბრძანებთ! თუმცა... რა ჯობია ლოგინში წოლას და ოცნების ფრთებზე ქროლას!

სოლნესი. ხშირად ოცნებობთ ხოლმე დამეობით?

პილდე. რა თქმა უნდა! თითქმის ყოველთვის.

სოლნესი. რაზე ოცნებობთ ყველაზე მეტად?

პილდე. ამას ახლა არ გეტყვით. სხვა დროს... ალბათ (ისევ დაეხეტება ოთახში, მერხთან ჩერდება, ქაღალდებსა და წიგნებში იქექება).

სოლნესი (უფრო უახლოვდება). რამეს ეძებთ?

პილდე. რას უნდა ვეძებდე, ისე ვათვალიერებ (შემობრუნდება). ნებას არ მაძლევთ?

სოლნესი. ოპ, რასა ბრძანებთ! მე გთხოვთ.

პილდე. ამ დიდი წიგნის ფურცლებს თქვენ ავსებთ?

სოლნესი. არა, ამას მოანგარიშე ქალი აკეთებს.

პილდე. დედაკაცია?

სოლნესი (ღიმილით). რა თქმა უნდა, მანდილოსანია.

პილდე. მუდამ აქა ტრიალებს, თქვენს გარშემო?

სოლნესი. დიახ.

პილდე. გათხოვილია?

სოლნესი. არა, ქალიშვილია.

პილდე. აჰ, ასეა?

სოლნესი. მაგრამ ახლა მალე გათხოვდება.

პილდე. ეს კარგია ქალიშვილისათვის.

სოლნესი. ჰო, მაგრამ ჩემთვის არც ისე. მაშინ აღარავინ მე-
ყოლება, რომ დამეხმაროს.

პილდე. მერე, სხვას ვერ აიყვანთ, ისეთივე მარჯვე რომ იყოს?

სოლნესი. თქვენ ხომ არ დარჩებოდით და არ შემთავსებდით ამ
ოქმების წიგნსა?

პილდე (თავით. ფეხამდე . ათვალე რებს). ერთი მომისმინეთ...
არა, უმორჩილესად გმადლობთ, ეს ჩვენი საქმე არ არის (ისევ დაბო-
რიალობს ოთახში, მერე სარწეველა სავარძელში ჩაჯდება. სოლნე-
სი მაგიდასთან მიდის. თითქოს საუბარს განაგრძობსო). აქ ალბათ
უფრო საინტერესო საქმეებიც მოინახება, ვიდრე ეს მდივნობაა (ღიმი-
ლით შესცქერის). განა თქვენც ასე არ ფიქრობთ?

სოლნესი. რასაკვირველია. ოღონდ ჭერ, ცხადია, მალაზიები
უნდა დაირბინოთ და მშვენიერი სამოსელი შეიძინოთ.

პილდე (ხალისით). არა, ჩემის აზრით ეს ზედმეტი იქნება.

სოლნესი. მართლა?

პილდე. ჰო, მთელი ჩემი ფული დავხარჯე, იცით?

სოლნესი. ამრიგად, აღარც ჩემოდანი, აღარც ფული!

პილდე. არც ერთი. მაგაზე დამიდგა ჯავრი! ახლა ჩემთვის სულ-
ერთია.

სოლნესი. აი, ასეთი რომ ხართ, ახლა მომწონხართ.

პილდე. მხოლოდ ამისათვის?

სოლნესი. არა, სხვა რამისთვისაც (სკამზე ჯდება და საზურ-
გეს გადაეყრდნობა). მამათქვენი ცოცხალია?

პილდე. კი, მამა ცოცხალი მყავს.

სოლნესი. და თქვენ აქ სწავლას აპირებთ?

პილდე. არც მიფიქრია.

სოლნესი. მაშ ისე მაინც დარჩებით აქ მცირე ხნით, არა?

პილდე. ეს დამოკიდებულია ზოგიერთ გარემოებაზე (ერთხანს
ზის ასე უსიტყვოდ, ნელა ირწევა სავარძელში და სოლნესს შეს-
ცქერის ნაწილობრივ სერიოზულად, ნაწილობრივ ღიმილით, თავშეკა-
ვებით, მერე იხდის ქუდს და იქვე მაგიდაზე დებს).

პილდე. ბატონი ხუროთმოძღვარი?

სოლნესი. მე ვარ.

პილდე. ძალიან გულმაევიწყი ყოფილხართ!

სოლნესი. არ ვიცოდი!

პილდე. რა გაეწყობა! ვხედავ, თქვენ არა გსურთ იმაზე ლაპარაკი, რაც მაშინ მოხდა იქ, ზემოთ!

სოლნესი (ერთი წუთით გაოგნებულია). სადა, ლისანგერში? (გულგრილად). მე მგონია, ამაზე ბევრი არაფერია სალაპარაკო.

პილდე (საყვედურის გამოძახებული მზერით). როგორ გეკადრებათ ასეთი ლაპარაკი!

სოლნესი. მაშინ თქვენ ილაპარაკეთ...

პილდე. როცა თქვენ კოშკის შენება დაასრულეთ, ჩვენს ქალაქში დიდი ზეიმი გაიმართა.

სოლნესი. ჰო, იმ დღის დავიწყება იოლად არ შემოძლია.

პილდე (ღიმილით). მართლა? აი, ეს კი სასიამოვნო რამეა თქვენგან.

სოლნესი. სასიამოვნო?

პილდე. ეკლესიის მოედანს მუსიკის ხმა ეფინებოდა. ასობით, უთვალავი ადამიანი იყო. ჩვენ, მოწაფე გოგონები, თეთრად ვიყავით მოსილი, ყველას თითო თეთრი ალაში გვეჭირა.

სოლნესი. აჰ, მართლა, თეთრი ალმები ძალიან კარგად მახსოვს.

პილდე. თქვენ მარდად ახვედით ხარაჩობებზე. სულ ზემოთ, კენწერომდე. დიდი გვირგვინი გეჭირათ. აიტანეთ და ზედ ფლუგერის კენწეროზე დაჰკიდეთ.

• სოლნესი (მოკლედ, აწყვეტილებს). მაშინ ასეთი ჩვეულება მქონდა. ეს ხომ ძველი წესია!

პილდე. ეს ძალიან ამაღლვებელი იყო. ვინც დაბლა იდგა და გიყურებდათ, გული ეკუმშებოდა. ღმერთმა დაიფაროს და ახლა რომ გადმოვარდეს-მეთქი, ვფიქრობდი მეც. დიახ, ისა, მშენებელი!

სოლნესი (თითქოს სურს ასეთი ლაპარაკი შეწყვიტოს). დიახ, დიახ, ასეთი რამ ყოველთვის შეიძლება მოხდეს. მეტადრე მაშინ... ერთი ის თეთრსამოსიანი მოსწავლე გოგონა, ის კუდრაჰა, ნამდვილი ეშმაკი, ისე კიოდა და წიოდა, დაბლიდან ამომძახოდა...

პილდე (სიხარულით გასხივოსნებული). „მალა, ხუროთმოძღვარო სოლნეს!“ არა? ნამდვილად!

სოლნესი. თანაც მისი თეთრი ღრძომა ისე გიყურად ფრიალებდა მარჯვნივ თუ მარცხნივ, რომ თავბრუ დამესხა, ძირს რომ დაეხედე.

პილდე (წყნარად, სერიოზულად). ეშმაკი გოგონა — ეს მე ვიყავი!

სოლნესი (მიაშტერდება). ამაში ახლა ვრწმუნდები. სწორედ თქვენ უნდა ყოფილიყავით.

პილდე (ისევ ისე ცოცხლად). საშინლად ლამაზი და დაძაბული წუთები იყო. ვერ წარმომედგინა, თუ ქვეყნად იქნებოდა ისეთი ხუროთმოძღვარი, რომელიც ასეთ მაღალ კოშკს ააშენებდა. ჰოდა, თქვენ თვითონ მის თავზე იდექით, სულ ზემოთ, წვეტიან თხემზე! ცოცხალი, ხორცუმსხმული! სრულიად მშველად, თავბრუ არ გეხვეოდათ. აი, ამისი ფიქრისაგან იყო, რომ... მე თვითონ თავბრუ მეხვეოდა.

სოლნესი. საიდან იცოდით მაშინ, რომ მე თავბრუ არ...

პილდე (ხელის აქნევით აწყვეტინებს). არა! ჰოა! ამას მეუბნებოდა ჩემი შინაგანი არსება. ისე ვერ დადგებოდით იმ თხემზე და ვერ იმღერებდით.

სოლნესი (გაოცებული შესტკერის). ვიძღვრებდი? განა მე ვმღეროდი?

პილდე. დიახ, თქვენ იმღერეთ.

სოლნესი (თავის ქნევით). ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მიმღერია.

პილდე. შეიძლება. მაგრამ იმ დღეს მაინც იმღერეთ. თითქოს სივრცეში ქნარს უკრავდნენ.

სოლნესი (ჩაფიქრებული). გასაოცარია სწორედ... მთელი ეს ამბავი.

პილდე (კარგა ხანს უსიტყვოდ შესტკერის. მერე ხმადაბლა ეუბნება). შემდეგ კი... ამის შემდეგ იწყება მთავარი.

სოლნესი. მთავარი?

პილდე (გასხივოსნებული თვალებით უყურებს). ამისი შესენება კი, იმედი მაქვს, აღარ დამჭირდება, არა?

სოლნესი. ო, უეჭველად! ცოტა კიდევ დაეხმარეთ ჩემს მეხსიერებას!

პილდე. განა არ გახსოვთ, თქვენს საპატრუცემოდ კლუბში დიდი წადიმი რომ გამართეს?

სოლნესი. როგორ არა! იმავე დღეს ნაშუადღევს... მეორე დღეს კი წამოვედი.

პილდე. კლუბიდან კი ჩვენსას მოგიპატრუეს, გამგზავრების წინ.

სოლნესი. სრულიად გეთანხმებით, ფროილდინ ვანგელ. გასაყვირია, როგორ დაგიმახსოვრებიათ ყველა წერილმანი.

ჰილდე. წერილმანებო! რა კარგი ხართ! იქნებ ისიც წერილმანია, რომ ოთახში შემოხვედით და მე მარტო დაგხვდით?

სოლნესი. მართლა? ეს თქვენ იყავით?

ჰილდე. (პასუხის გაუცემლად). მაშინ აღარ გიწოდებიათ ჩემთვის ეშმაკის ფეხი!

სოლნესი. არა, როგორ იქნებოდა!

ჰილდე. ასე მითხარით, საოცრად გიხდებაო თეთრი სამოსელი. პატარა პრინცესა მგონიხარ, ისე გამოიყურებითო.

სოლნესი. ასედაც იყო, ფროილან ვანგელ. თანაც იმ დღეს სიხარულისაგან ფრთაშესხმულსა ვგავდი.

ჰილდე. ჰოდა, მაშინ მითხარით: როდესაც გაიზრდები, ჩემი პრინცესა იქნებითო.

სოლნესი (მსუბუქად გაიცინებს). დახე, დახე, ესეცა ვთქვი?

ჰილდე. დიახ, სწორედ ასე ბრძანეთ მაშინ. როცა მე გკითხეთ, რამდენი ლოდინი დამპირდება-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ: ასე, ათი წლის შემდეგ ისევ მოვალო, როგორც ტროლი, თან გაგიტაცებო. ესპანეთში ან სადმე სხვაგანო. იქ სამეფოს გიყიდი, დედოფალი იქნები დემიო — ასე დამპირდით.

სოლნესი (ისევ გაიცინებს). ჰო, რა გასაკვირია, კარგი სადლის შემდეგ კაცი რას არ გაიმეტებ! მაგრამ ნუთუ ყველაფერი ეს მართლა გითხარით?

ჰილდე (წყნარად იცინის). მერწმუნეთ. ისიც კი მითხარით, თუ რა სახელი ექნებოდა იმ სამეფოს.

სოლნესი. აბა, რა სახელი?

ჰილდე. აპელსინია: ფორთოხალას სამეფოო, ასე უწოდეთ.

სოლნესი. ჰო, მადისმომგვრელი სახელწოდებაა.

ჰილდე. არა, მე სულაც არ მომეწონა, რადგან ვფიქრობდი, რომ დამკინეთ.

სოლნესი. ამას კი ნამდვილად არ განვიზრახავდი.

ჰილდე. არა, დაცინვას ალბათ არა მკადრებდით. იმის მიხედვით, რაც შემდეგ გააკეთეთ...

სოლნესი. ყველაფერს გაფიცებთ, მითხარით, კიდეც რა გვაკეთე?

ჰილდე. აჰ, ახლა ისლა მაკლია, რომ ესეც დაგვიწყებოდათ! ასეთი რამე მაინც უნდა ახსოვდეს ადამიანს, ჩემის აზრით.

სოლნესი. არა, მხოლოდ თითით მიმანიშნეთ, შემახსენეთ და მერე, იმედი მაქვს... აბა?

პილდე (სახეში აშტერდება). ხელში ამიყვანეთ და მაკოცეთ, ბატონო ხუროთმოძღვარო, აი, რა!

სოლნესი (პირდაღებული წამოდგება). მართლა გაკოცეთ?

პილდე. დიახ, დიახ, ასე იყო. ორივე ხელით ამიყვანეთ, თავი უკან გადამიწიეთ და მრავალჯერ მაკოცეთ.

სოლნესი. მაგრამ მე გთხოვთ, ძვირფასო კეთილო ფროილანი ვანგელ...

პილდე (წამოდგება). უარზე დგომას ხომ არ აპირებთ?

სოლნესი. რა თქმა უნდა — ამაზე საესებით გადაჭრით ვაცხადებ უარს.

პილდე (აგდებულად უყურებს). აჰ, მამ ასე? (ზურგს აქცევს და ხელი ნაბიჯით ზედ ღუმელამდე მიდის. იქ ჩერდება, მზერას არიდებს, დგას უძრავად, ხელები ზურგის მხარეს შემოუწყვია.

(მცირე პაუზა).

სოლნესი (ფრთხილად უახლოვდება, უკან დგება). ფრიოკენ ვანგელ!..

პილდე (ღუმს, დგას გაუნძრევლად).

სოლნესი. ნუ დგახართ ქვის სვეტივით. ყველაფერი, რაც აქა თქვით, უთუოდ დაგესიზმრათ (ხელს მხარზე დაადებს). მომისმინეთ...

(პილდე მოურიდებლად და მოუთმენლად შეარხვეს ხელს).

სოლნესი (თითქოს აზრმა გაუელვია). ან იქნებ... ერთი დამიცადეთ! იცით, აქ რალაც უფრო სერიოზული ამბავია დაფარული! დაიცათ, ნახავთ!

პილდე (ისევ ისე უძრავად ასვეტილა).

სოლნესი (ყრუდ, მაგრამ ხაზგასმით). ყოველივე ამაზე უნდა დაეფიქრდე. იქნებ ყოველივე ეს მინდოდა, მსურდა, ვესწრაფვოდი ამას... იქნებ ეს იყოს ახსნა?

(პილდე ისევ ისე ღუმს).

სოლნესი (მოუთმენლად). ჰო, ჰო, ეშმაკმა დალახვროს! ასე იყო! მართლა ასე მოვიქეცი მაშინ.

პილდე (თავს ოდნავ განზე მიაბრუნებს, პირისპირ შეხედვას ერიდება). მამ, აღიარებთ?

სოლნესი. დიახ. რასაც მიბრძანებთ.

პილდე. რომ ხელში ამიყვანეთ?

სოლნესი. დიახ.

პილდე. რომ თავი უკან გადამიხარეთ.

სოლნესი. ძალიან მაგრად.

პილდე. და რომ მაკოცეთ!

სოლნესი. კი, რა თქმა უნდა.

პილდე. მრავალჯერ.

სოლნესი. იმდენჯერ, რამდენჯერაც გსურათ.

პილდე (უეცრად მობრუნდება და ისევ ისე სიხარულით გასხივოსნებული თვალებით უყურებს). აი, ხედავთ, როგორც იქნა გაიძულეთ და აღიარეთ!

სოლნესი (უნებურად ეღიმება). აბა, წარმოიდგინეთ... ასეთი რამის დავიწყება იქნება?

პილდე (ისევ ცოტას გაიბუტება და მოშორდება). აჰ, თქვენ. როგორც ვატყობ, ბევრ ვინმესთვის გიკოცნიათ!

სოლნესი. არა, ასეთი რამე ჩემზე არ იფიქროთ (პილდე საგარძელში ჩაჭდება. სოლნესი დგას სარწმეველაზე დაყრდნობილი და თვალს ადევნებს). ფროილიან ვანგელ!

პილდე. რას მიბრძანებთ?

სოლნესი. როგორ იყო? შემდეგ რა მოხდა ჩვენს შორის?

პილდე. მეტი არაფერი მომხდარა. თქვენ ეს იცით. სხვა სტუმრებიც მოვიდნენ და ნადიმი დაიწყო. მორჩა.

სოლნესი. მართალია! სხვები მოვიდნენ. ეს როგორღა დამავწყდა?

პილდე. აჰ! ეს სულაც არ დაგვიწყებიათ! მხოლოდ ცოტა არ იყოს შეგრცხვათ. ასეთ რამეს არ ივიწყებენ, რამდენადაც ვიცი.

სოლნესი. თითქოს მართლაც ასეა.

პილდე (ისევ გამოცოცხლდა, შესტკერის). იქნებ ისიც დაგავწყდათ, რა დღე იყო?

სოლნესი. რა დღე?

პილდე. დიახ, რა დღეს დაჰკიდეთ კოშკის თავზე გვირგვინი? აბა? ვერ გაიხსენეთ?

სოლნესი. ჰმ! ღმერთია მოწმე, დღეც დამავიწყდა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ათი წლის წინ მოხდა. ასე, შემოდგომაზე.

პილდე (ნელა რამდენჯერმე დააქნევს თავს). ეს მოხდა ათი წლის წინ. ცხრამეტ სექტემბერს.

სოლნესი. დიახ, დიახ, დაახლოებით... მაშ ესეც დაგიმახსოვრებიათ, ხედავთ? (წამით შეჩერდება). მაგრამ მომითმინეთ... მგონი, დღესაც ცხრამეტი სექტემბერია.

პილდე. დიახ, ასე გახლავთ. ჰოდა, ათი წელი უკან დარჩა. თქვენ კი არ მოხვედით, დაპირება არ შემისრულეთ.

სოლნესი. დაპირება? დაგაშინეთ? ამას გულისხმობდით?

პილდე. არა მგონია ეს დაშინება ყოფილიყო.

სოლნესი. მაშ დაგცინეთ? გაგაბრაყევთ?

პილდე. მხოლოდ ეს გინდოდათ? რომ მე სასაცილოდ აგეგდეთ?

სოლნესი. არა, უბრალოდ გაგებუშრეთ. ღმერთია მოწმე, სხვა მიზანი არა მქონია. ახლა არ მაგონდება, მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი იქნებოდა. თქვენ ხომ მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყავით!

პილდე. აჰა, არა, უკვე არც ისე პატარა ბავშვი ვიყავი. არც ისეთი ნორჩი ცუგრუმელა, როგორცა გგონიათ.

სოლნესი (გამომცდელი თვალით უყურებს). ნუთუ ამდენსა წლის მანძილზე ყოველთვის გჯეროდათ, რომ წე მართლა მოვიდოდი?

პილდე (იკავებს გამომწვევ ღმილს). რა თქმა უნდა! გელოდით. სულ გელოდით.

სოლნესი. რომ თქვენების სახლში მოვიდოდი და წაგიყვანდით?

პილდე. როგორც ტროლი, დიახ.

სოლნესი. და პრინცესად გაგზდიდით, არა?

პილდე. თქვენ ასე დამპირდით.

სოლნესი. სამეფოს გაჩუქებდით, ხომ?

პილდე (ქერში ცქერით). რატომაც არა? მე ხომ მაინცა და მაინც ნამდვილი, ჩვეულებრივი სამეფო არ მესაჭიროება?

სოლნესი. მაგრამ რაღაც ისეთი, რომ ნამდვლს არ ჩამოუვარდებოდეს, არა?

პილდე. ჰო, არანაკლები (გადახედავს). რაჟი მთელს ქვეყნიერებაზე უმაღლესი კოშკების შენება შეგიძლიათ, რატომაც არ უნდა შეგეძლოთ რაღაც ერთი სამეფოს შექმნა... ასე ვფიქრობდი.

სოლნესი (თავის ქნევით). მე თქვენი ვერა გამიგია რა, ფროლიან ვანგელ.

პილდე. მართლა? მე კი მგონია, რომ ყველაფერი ეს ძალიან უბრალო რამეა.

სოლნესი. არა, მე ვერ გამიგია, ყველაფერი ეს ასევე გგონიათ, როგორც ამბობთ, თუ მხოლოდ ხუმრობთ და თავს იტყევთ.

პილდე (ღმილით). თავს ვიმასხრებ? მე თვითონაც?

სოლნესი. სწორედ ასე მგონია: ორსავე ჩვენგანს ამასხრებთ (გადახედავს). დიდი ხანია იცით, რომ ცოლიანი ვარ?

პილდე. რა თქმა უნდა! თავიდანვე ვიცოდი. რისთვის მეკითხებით ამას?

სოლნესი (ვითომ სხვათა შორის). არა, ისე ვიკითხე (სერიოზული სახით შესცქერის და ყრუდ ეკითხება). რისთვის მოხვედით ჩემთან?

პილდე. იმისათვის, რომ ჩემს სამეფოს ვითხოვ. ვადა უკვე გავიდა.

სოლნესი (უნებურად იცინის). კარგი ვინმე ხართ თქვენცა!

პილდე (მხიარულად). მომეცი ჩემი სამეფო, მშენებელი სოლნესი (თითოთ აეკუენებს). მაგიდაზე დამილაგე სამეფო ჩემი!

სოლნესი (სარწეველას მისწევს და ჯდება). საქმიანად რომ ვილაპარაკოთ — რისთვის მოხვედით? მაინც რა გინდათ აქ?

პილდე. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა ვიარო და ვნახო ყველაფერი, რასაც ააშენებთ. დავიარო ქალაქი და ვნახო ყველაფერი, რაც აგეშენებიათ.

სოლნესი. დიდხანს მოგიხდებათ სირბილი.

პილდე. მართლაც, საშინლად ბევრი აგეშენებიათ.

სოლნესი. უდავოდ. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.

პილდე. ბევრი კოშკიც, არა? უზომოდ მაღლები?

სოლნესი. არა. მე სამრეკლოებსა და საეკლესიო კოშკებს აღარ ვაშენებ... აღარც ეკლესიებს.

პილდე. მაშ აბა რას აშენებთ ამჟამად?

სოლნესი. ადამიანთა საცხოვრებლებს.

პილდე (ფიქრიანად). ხომ არ შეიძლება, რომელიმე საცხოვრებელ სახლზე დააშენოთ... თუნდაც პატარა სამრეკლო ან კოშკი?

სოლნესი (განცვიფრებული). რას გულისხმობთ ამით?

პილდე. მე ვგულისხმობ მაღლა მისწრაფებას... სივრცეში თავისუფლად აქრას. ფლუგერის მამალთან ერთად ჰაერში შენავარდებას.

სოლნესი (ფიქრის შემდეგ). საკმაოდ საგულისხმოა, რომ ამას თქვენ ამბობთ, რადგან უკეთესს ვერც მე ვინატრებდი ვერაფერს.

პილდე (მოუთმენლად). მერე, რატომ არ აკეთებთ ამას?

სოლნესი (თავის ქნევით). იმიტომ, რომ ადამიანებს ეს არ უნდათ.

პილდე. წარმოგიდგენიათ? ასეთი რამ ადამიანს არ უნდოდა...

სოლნესი (ოხვრით). მაგრამ ახლა მე ჩემთვის ვიშენებ სახლს აგერ ჩვენს პირდაპირ.

პილდე. თქვენთვის იშენებთ?

სოლნესი. დიახ. თითქმის მზადაა. და თავზე კოშკიც აქვს.

პილდე. მაღალი კოშკი?

სოლნესი. დიახ.

პილდე. საკმაოდ მაღალი?

სოლნესი. ხალხი იტყვის, ძალიან მაღალიაო. საცხოვრებელი სახლისათვის მაინც.

პილდე. მე მინდა ის კოშკი ხვალ დილითვე ენახო.

სოლნესი (ნიკაპით ხელზე დაყრდნობილი ზის). მითხარით, ფრიოლიან ვანგელ, რა გქვიათ? გვარი კი არა, სახელი მინდა.

პილდე. ჩემი სახელია პილდე.

სოლნესი (ისევ ისეთ მდგომარეობაში). პილდე? მართლა?

პილდე. აღარც ეს გახსოვთ? აკი თვითონვე ასე მეძახდით იმ დღეს, როცა თავი ასე ურიგოდ გექირათ.

სოლნესი. მე? სახელიც ვიცოდი?

პილდე. მაშინ პატარა პილდეს მეძახდით. აი, ეს არ მომწონდა.

სოლნესი. მაშინ ეს ამბავი არ მოგწონდათ, ფრიოკენ პილდე?

პილდე. არა. იმ ვითარებაში არა... ისე კი, „პრინცესა პილდე“ რომ გეთქვათ, ურიგო არ იქნებოდა.

სოლნესი. დიახ, დიახ, პრინცესა პილდე იმიდან... რა ვრქვა იმ ჩენს სამეფოს?

პილდე. აჰ, დახეთ! იმ სულელურ სამეფოს გახსენებაც არა მსურს ახლა! მე სულ სხვა სამეფო მინდა.

სოლნესი (უფრო ღრმად ჩაჭდება სარწმუნელობაში და პილდეს თვალს არ აშორებს). განა ეს გასაოცარი ამბავი არ არის? რაც მეტსა ეფიქრობ ამაზე, მით უფრო მექმნება ისეთი წარმოდგენა, თითქოს მთელი ამ წლების განმავლობაში დავებორიალობდი და ვიტანჯებოდი... ჰმ... თავს ვიმტვრევდი იმისათვის...

პილდე. რისთვის?

სოლნესი. იმისათვის, რომ გამეხსენებინა რაღაც განცდილი, რაც დამეიწყებოდა. მაგრამ ვედარასოდეს ვერ აღვადგინე დავიწყებული.

პილდე. ცხვირსახოცი უნდა გაგესკვნათ, ხუროთმოძღვარო.

სოლნესი. მაშინ ახალი თავსატეხი გამიჩინდებოდა: თუ რისთვის გავაკეთე ეს ნასკვი.

პილდე. აჰ, მართალი ბრძანდებით, ასეთი ახირებული ტროლე-ბიც არიან ქვეყანაზე.

სოლნესი (აუჩქარებლად დგება). დიდი ბედნიერებაა თქვენი მოსვლა დღეს ჩემთან.

პილდე (გულმოდგინედ უყურებს). მართლა ბედნიერებაა?

სოლნესი. დიახ, რადგანაც კენტად ვიყავი, სრულიად მარტოხელა და უმწეო (უფრო წყნარად). მინდა გითხრათ... თვითონაც სწორედ ასეთი შიში მეუფლება... ახალგაზრდობის შიშით თავზარი მეცემა.

პილდე (არაფრად უგდებს). აბა, მეტი ვერაფერი მოიგონეთ? ახალგაზრდობა რა საშიშია?

სოლნესი. არა, სწორედ მისი მეშინია. ამიტომაც ჩავიკეტე და ყველა კარი ჩავგმანე, კლიტე-ურდულებით გავამაგრე ჩემი სახლი. (საიდუმლოდ). სწორედ თქვენ უნდა იცოდეთ, ახალგაზრდობა ქუხილით მომადგება კარზე და ჩემს სახლში შემოიპყრება.

პილდე. მაშინ თქვენ, ჩემის აზრით, უნდა მიხვდეთ და ახალგაზრდობას კარი გაუღოთ.

სოლნესი. გაუღო?

პილდე. დიახ, რომ თქვენთან შემოვიდეს... აშკარად და სამშვიდობოდ.

სოლნესი. არა, არა, არა! ახალგაზრდობა, იცით, ეს არის შურისგება. ის გადატრიალების წინამორბედი. განახლების მედროშა და წინ მოიწევს.

პილდე (წამოდგება და უყურებს, ბაგეების კუთხე უთრთის). შეგიძლიათ რამეში გამომიყენოთ, ხუროთმოძღვარო?

სოლნესი. დიახ, ეს ნამდვილად შემძლია! სწორედ ახლა! თქვენც ხომ მოდიხართ, ახალი დროშის ქვეშ, როგორცა ვხედავ! ახალგაზრდობა ახალგაზრდობის წინააღმდეგ — ეს უკვე ძალაა!

(წინა ოთახის კარში დოქტორი ჰერდალი შემოდის).

ჰერდალი. აჰ, თქვენა და ფროილანი კიდევ აქა ხართ?

სოლნესი. დიახ, ჩვენ ორნი. ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ.

პილდე. ძველზე და ახალზე.

ჰერდალი. არა, მართლა?

პილდე. აჰ, ეს ძალიან სასიამოვნო საუბარი გახლდათ. ბატონ ხუროთმოძღვარს განსაცვიფრებელი მეხსიერება აქვს. ყოველი წვრილმანი ახსოვს და რასაც ეტყვი, იმას იგონებს.

(ფრაუ სოლნესი მარჯვენა კარიდან შემოდის).

ფრაუ სოლნესი. ფროილანი ვანგელ, თქვენი ოთახი მზადაა.

პილდე. ოჰ, რა კეთილი გული გაქვთ ჩემთვის!

სოლნესი (თავის მეუღლეს). საბავშვო ოთახია?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. დიახ. შუათანა. მაგრამ ახლა ჯერ სუფრას-
თან უნდა მივიპატიოთ.

ს ო ლ ნ ე ს ი (პილდეს თავს დაუქნევს). პილდე, ამრიგად, აქ
თქვენ ბავშვთა ოთახში დაიძინებთ.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (ქმარს შეხედავს). პილდეო?

ს ო ლ ნ ე ს ი. დიახ, ფროლიან ვანგელს პილდეს ეძახიან. ჯერ კი-
დევ ბავშვი იყო, როცა გავიცანი.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. რას ამბობ, პალვარდ? ძალიან გთხოვთ.
სუფრა გაწყობილია.

(ქვრდალს ხელს ჰკიდებს და მარჯვნივ გადიან.

პილდე თავის სამზავრო ნივთებს ალაგებს).

პილდე (ხმადაბლა და სწრაფად ეუბნება ს ო ლ ნ ე ს ს). მარ-
თალია, რაც ახლა თქვით? შეგიძლიათ რამეში გამომიყენოთ?

ს ო ლ ნ ე ს ი (იღებს ნივთებს). თქვენ ხართ ის არსება, რომელიც
მე ყველაზე მეტად მესაჭიროება.

პილდე (გაოცებული უყურებს და ტაშს შემოჰკრავს). აჰ, დია-
ლო, ნათელო ქვეყნიერება!

ს ო ლ ნ ე ს ი (აღელვებული). აბა?

პილდე. ახლა მე უკვე მაქვს ჩემი სამეფო!

ს ო ლ ნ ე ს ი (უნებურად). პილდე!

პილდე (ბაგეების ერთი კუთხე ისევ უთრთის). თითქმის-მეთქი...
ასე მინდოდა მეთქვა.

გაღის მარჯვნივ. ს ო ლ ნ ე ს ი მიჰყვება.

მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ა

კოხტად მორთული პატარა სალონი ს ო ლ ნ ე ს ი ს ხალში. უჯანა კედელზე მი-
ნის კარია, აივანზე და მწვანე ბაღში გაღის. ოთახის მარჯვენა და მარცხენა კუთხე-
ები ბლაგვია, მომრგვალებული, მომინულ ერკერში უვავილებია და დიდი ღანჯარა.
მარცხენა მრგვალ კუთხეში კიდე შალღერიანი პატარა კარია. ორსავე მოპირდაპირე
კედელზე თითო კარია. მარჯვნივ წინა მხარეს შალღი მაგიდაა, ზედ ხარკე ღვას.
უვავილები და ნაირნაირი მცენარეები ოთახში უხვადაა. წინ მარცხენა მხარეს დი-
ვანი, მაგიდა და ხკამები ღვას. სამხრობაა.

სოლნესი პატარა მაგიდასთან ზის, რაგნარის ჩინთა გაუშლია. ნახაზებს ფურცლავს და ზოგს გულმოდგინედ აკვირდება. ფრაუ სოლნესი პატარა სარწყულით ხელში აქეთ-იქით დაიარება და ვითომ ყვავილებს ეულის. უწინდებურად შავებშია. მისი პალტო, ქუდი და საწვიმარი ერთ-ერთ სკამზე დევს, სარკესთან. ფრაუ სოლნესი წყნარად დადის, ნაბიჯის ხმა არ ისმის. სოლნესი შეუმჩნეველად გადახედავს ხოლმე. ორივე ღუმს.

კაია მორიდებით შემოვა მარცხენა კარში.

სოლნესი (მოუბრუნდება და გულგრილად ეუბნება). აჰ, ეს თქვენა?

კაია. მე მხოლოდ შეგატყობინებთ, რომ უკვე გამოცხადდლი.

სოლნესი. ჰო, ჰო, კეთილი. რაგნარიც აქაა?

კაია. არა, ჭერ არა. ცოტა ხანს შინ დარჩა, ექიმს ელოდება. მაგრამ მოგვიანებით მოვა და გაიგებს...

სოლნესი. მოხუცი როგორღაა დღეს?

კაია. ცუდადაა. პატიებას ითხოვს, რომ ეს ერთი დღე უნდა იწვეს.

სოლნესი. ობ, როგორ გეკადრებათ! იწვეს. ასე, ახლა კი შეუდექით თქვენს საქმეს.

კაია. დიახ, როგორც მიბრძანებთ. (კარებშივე დგას). რაგნარი რომ მოვა, მოუსმენთ, არა?

სოლნესი. არა... საამისო არაფერია.

კაია უკანვე ბრუნდება და მარცხნივ გადის. სოლნესი ისევ ფურცლავს ნახაზებს.

ფრაუ სოლნესი (ყვავილებთან). ვაი თუ ისიც მოკვდა!

სოლნესი (გადახედავს). ისიც? კიდევ ვინ უნდა მოკვდეს?

ფრაუ სოლნესი (პასუხს არ აძლევს). დიახ, დიახ, მოხუცი ბრუეიკი მოკვდება ახლა, ჰალვარდ. აი, ნახავ.

სოლნესი. ძვირფასო აღინე, ცოტა ხნით ხომ არ გახვალთ?

ფრაუ სოლნესი. კი, მეც ასე ვაპირებდი ახლა (ისევ უელის ყვავილებს).

სოლნესი (ნახაზებზე დაბრუნდა). ფრიოკენს ისევ სძინავს?

ფრაუ სოლნესი (ქმარს უყურებს). ნახაზებს უყურებ და გონებაში ფროილიან ვანგელი გიზის?

სოლნესი (გულგრილად). ისე, უბრალოდ, მომავონდა.

ფრაუ სოლნესი. ფროილიან ვანგელი დიდი ხანია ადგა.

სოლნესი. მართლა?

ფრაუ სოლნესი. მე რომ შევედი, თავის ნივთებს ალაგებდა, ჩაცმულობას ისწორებდა, კონტაობდა (სარკის წინ ჩერდება, აუჩქარებლად იხურავს ქუღს).

სოლნესი (მცირე პაუზის შემდეგ). ამრიგად, ალინე, ბავშვთა ერთი ოთახი მაინც გამოგვადგა.

ფრაუ სოლნესი. მართლაც.

სოლნესი. ჩემის აზრით, ესა სჯობს იმას, რომ ყველა ცარიელი იყოს.

ფრაუ სოლნესი. ეს სიცარიელე საშინელებაა სწორედ. ეს მართალია.

სოლნესი (ჩანთას ხურავს, წამოდგება და უახლოვდება). შენ ნახავ, ალინე, როგორ უკეთესად ვიქნებით დღეიდან. უფრო მყუდროდ და მოხერხებულად. უფრო გაგვიადვილდება. მეტადრე შენ.

ფრაუ სოლნესი. დღეიდანო?

სოლნესი. დიახ, დამიჯერე, ალინე...

ფრაუ სოლნესი. რაზე ლაპარაკობ? ამ გოგოს მოსვლის გამო?

სოლნესი (თავს ძალას ატანს). რა თქმა უნდა... მე მინდოდა მეთქვა... ახალ სახლში რომ გადავალთ-მეთქი.

ფრაუ სოლნესი (მოსასხამს იღებს). ასე გგონია, პალეარდ? ეს უშველის საქმეს?

სოლნესი. სხვაგვარად არც შემიძლია წარმოვიდგინო. იმედი მაქვს შენც ასე ფიქრობ?

ფრაუ სოლნესი. მე ახალი სახლის არავეითარი იმედი არა მაქვს.

სოლნესი (გუნებაწამხდარი). ძალიან დამალონე. მე ხომ ის იძისათვის ავაშენე, რომ შენთვის მემამებინა (ცდილობს მოსასხამის ჩაცმაში მიეშველოს).

ფრაუ (იშორებს, ნუ მენხმარებიო). რა სათქმელია, შენ ძალიან ბევრს აკეთებ ჩემი ხათრით.

სოლნესი (ერთგვარი წყენით). არა, არა, მაგას ნუ მეტყვი, ალინე! არ მინდა ასეთი რამეები შენი პირიდან მოვისმინო.

ფრაუ სოლნესი. ჰო, კარგი, მაშინ აღარ გეტყვი, პალეარდ.

სოლნესი. მე კი ჩემსაზე დავრჩები. თვითონვე ნახავ, როგორ მოგეწონება ახალი სახლი, ზემოთ რომ გადავალთ.

ფრაუ სოლნესი. ღმერთო მაღალო! როგორ მომეწონება!..

სოლნესი (ფიცხად). დიახაც! ამისი იმედი გქონდეს! იქ შენ ბევრი რამ მოგაგონებს მშობლების სახლსა და გარემოს...

ფრაუ სოლნესი. იმ სახლს, რომელიც დედას და მამას ეკუთვნოდათ... რომელიც დაიწვა... მასთან კი ყველაფერი, რაც შიგ იყო.

სოლნესი (ყრუდ). დიახ, საბრალო ალინე. შენთვის ეს საშინელი დარტყმა იყო.

ფრაუ სოლნესი (შესაბრაალისი ჩვილით). შენ აშენე, ჰალვარდ, რამდენიც გენებოს... ისეთ მშობლიურ კერას კი ველარასოდეს ვერ ამიშენებ.

სოლნესი (ოთახში ბოლოს ცემით). ჰო, მაშინ ღვთის გული-სათვის ნულარ ვილაპარაკებთ ასეთ რამეებზე.

ფრაუ სოლნესი. არცა გვაქვს წესად ასეთ რამეებზე ლაპარაკი. შენ თვითონაც გაურბიხარ და იმიტომ...

სოლნესი (უეცრად შეჩერდება და უყურებს). მე? რისთვის უნდა გაეუბროდე მე ამას, რომ ვერ გამიგია?

ფრაუ სოლნესი. აჰ, გეყოფა... მე შენი კარგად მესმის, ჰალვარდ. გინდა შემიბრალო. შემიბრალო და მაპატიო, რამდენადაც შეგიძლია.

სოლნესი (გაოცებული უყურებს). შენა? შენ ლაპარაკობ შენს თავზე, ალინე?

ფრაუ სოლნესი. ჰო, ჩემზე, მაშ ვისზე, ვერ გამიგია.

სოლნესი (უნებურად, თითქოს თავისთვის). ესლა მაკლდა!

ფრაუ სოლნესი. ჩემს ძველ სახლზე მე აღარ ვლაპარაკობ... იყოს ისე, როგორც არის, ბედს უნდა შეუურიგდეს ადამიანი. ღმერთო ჩემო, მოსახდენი თუ მოხდება...

სოლნესი. ჰო, ამაში მართალი ხარ. უბედურებას ვინ გადაუდგება. ბედსა და წერას... ასე არ არის?

ფრაუ სოლნესი. მაგრამ ეს, ხანძრის საშინელი შედეგების ესა, ეს!

სოლნესი (მტკიცედ). ამაზე ნუ ფიქრობ, ალინე!

ფრაუ სოლნესი. რაღა ნუ ფიქრობ! სწორედ ამაზე უნდა ვიფიქრე მე ბედშავმა, და როდისმე. ხმა ამოვიღო, ბოლოს და ბოლოს. მეტი აღარ შემიძლია. ვერასოდეს ვერ ვაპატიებ თავს...

სოლნესი (უნებურად გაბრაზებული). წენა? თავს ვერ ამატიებ?...

ფრაუ სოლნესი. დიახ, რადგან მე ორმაგი მოვალეობა მაწევ. შენი და ბავშვის წინაშე. ცოლის ვალი ცალკე მქონდა, დედის ცალკეთაი უნდა გამოემწროთ, არ მივცემოდი მიიმე კაეშანს, არ უნდა გადაეყოლოდი დამწვარი სახლის დარღსა და ურვას. მაშის სახლო დამეწვა, მაგრამ რას ვიზამდი, უნდა მეთმინა (ხელების მტვრევით). აჰ, რომ შემძლებოდა, ჰალვარდ!

სოლნესი (უახლოვდება, აღელვებული, წყნარად). ალინე. წენ უნდა დამპირდე, რომ ასეთ ფაქრებს აღარ მივცემი... დამპირდი, მომეცი სიტყვა.

ფრაუ სოლნესი. აჰ, ღმერთო! რა არის დაპირება? დაპირება! შეიძლება ადამიანს ყველაფერს დაპირდე, რაც კი შეიძლება მონდეს და...

სოლნესი (ხელების მტვრევით დაღის ოთახში). აჰ, პირდაპირ სასოწარკვეთილება მომიცავს! ერთი სხივიც არ გაილეებს! ერთხელ მაინც შემოანათებდეს მზის თვალი ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაში!

ფრაუ სოლნესი. ჩვენ ხომ ოჯახი არა გვაქვს, ჰალვარდ!

სოლნესი. ოჯახური სიბო არა გვაქვს, შენ მართალი ხარ (მძიმედ შეჰვირვებული). ვაი რომ იმაშიც მართალი ხარ, ახალი სახლის იმედი რომ დაგიკარგავს. არც იქ ვიქნებით ბედნიერი.

ფრაუ სოლნესი. არსად და არასოდეს. ისეთივე სიცარიელე იქნება. უდაბურობა. აქაც და იქაც!

სოლნესი (გადაჭრით). მაგრამ ღვთის გულისათვის ამიხსენი: რისთვის ავაშენეთ მაშინ? ხომ ვერ მეტყვი ამას?

ფრაუ სოლნესი, ამ კითხვას თვითონ შენვე უნდა გასცე პასუხი.

სოლნესი (უნდობლად აშტერდება). რას გულისხმობ ამით, ალინე?

ფრაუ სოლნესი. რას ვგულისხმობ, არა?

სოლნესი. ჰო, დალახვროს ღმერთმა! რაღაც უცნაურად თქვი. თითქოს რაღაცას მიმაღავდე.

ფრაუ სოლნესი. არა, დამერწმუნე, არაფერი ისეთი...

სოლნესი (უახლოვდება). აჰ, მოეშვი... მე ვიცი, რაც ვიცი. ყურებიცა მაქვს და თვალებიც, ალინე. დარწმუნებული იყავი!

ფრაუ სოლნესი. მერე, რა გესმის, რას ხედავ?

სოლნესი (წინ გაუჩერდება). განა შენ მზაკვრულსა და დაფა-

რულ აზრს არა ხედავ ჩემს ყველაზე უფრო გულითად სიტყვებშიაც კი?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მე? მე ჩავდივარ ამას?

ს ო ლ ნ ე ს ი. (იცინის). ჰა-ჰა-ჰა! არც ეს მივივრის, ალინე! რაკი ავადმყოფი ქმრის გადამკიდვე ხარ ქალი... გასაგებია!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (შეშფოთებულად). ავადმყოფი ქმრისაო? განა შენ ავადმყოფი ხარ, ჰალვარდ?

ს ო ლ ნ ე ს ი (მოთმინებიდან გამოსული). დიახ, ნახევრად შეშლილი! დამთხვეული! ის მიწოდე, რაც გენებოს!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (ხელის ცეცებით დაეძებს სკამის საზურგეს და ჩამოჯდება). ჰალვარდ... ო, ზეციურო მეფე! ღეთის გულისათვის...

ს ო ლ ნ ე ს ი. მაგრამ თქვენ ორივეს შეგეშალათ. შენცა და ექიმსაც. ჩემი საქმე სულ სხვანაირია (წინ და უკან დადის. ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი შეშინებული ადევნებს თვალს. მერე ქალს უახლოვდება და მშვიდად ელაპარაკება). სინამდვილეში მე ზადიც არა მაქვს.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. არა, ნამდვილად! მაშ, რა გემართება?

ს ო ლ ნ ე ს ი. საქმე ისაა, რომ ხანდახან ლამის გავისრისო ამ მკიშე ვალის საშინელი ტვირთის სიმძიმით.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ვალისო, აზბობ? მაგრამ შენ ხომ ძებორციელის ვალი არა გაქვს, ჰალვარდ!

ს ო ლ ნ ე ს ი (წყნარად, აღელვებული). ჰო, მაგრამ გადაუხდელი ვალი მაქვს შენი... შენი... შენი; ალინე!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (ნელა დგება). ამაში რალაც იფარება! ჯობს პირდაპირ მითხრა!

ს ო ლ ნ ე ს ი. არა, არაფერიც არ იფარება! არასოდეს არაფერი ცუდი არ გამიკეთებია შენთვის. ყოველ შემთხვევაში, განზრახვითა და სურვილით მაინც. და მაინც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დიდი ხანია რალაც გარდაუხდელი მუქაფა მაწევს გულზე ლოდად.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ჩემი ვალი?

ს ო ლ ნ ე ს ი. უპირველეს ყოვლისა შენი.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მაშინ შენ მართლა ავადა ხარ, ჰალვარდ.

ს ო ლ ნ ე ს ი (ყრუდ). შეიძლება. ან რალაც ამგვარია ჩემს თავზე (შესტქერის მარჯვენა კარს, რომელიც იღება). აჰა, ახლა კი შუქი შემოვა!

ჰ ი ლ დ ე (შემოდის ჰ ი ლ დ ე. ჩაცმულბაში მცირეოდენი ცვლილება შეუტანია, კაბა ამოკეცილი კი აღარა აქვს, იატაკამდე სწვდება). დილა მშვიდობისა, ხუროთმოძღვარო!

სოლნესი (თავს უქნევს). კარგად გეძინათ?

პილდე. როგორც ზეცაში! აჰ, ვიწვექი გაშხლართული, როგორც... როგორც პრინცესა!

სოლნესი (ღიმილით). სუფთა პაერზე, მხნედ და სალად.

პილდე. ეს მინდოდა მეთქვა.

სოლნესი. ალბათ სიზმრებიც ნახეთ?

პილდე. ჰო, მაგრამ საძაგელი.

სოლნესი. მართლა?

პილდე. ჰო, მაგალითად, ვითომ ცათა სწორი სიმაღლის კლდიდან გადმოოვეარდი, უფსკრულში გადავუშვი. ასეთი რაჲე თქვენ არ დაგ-სიზმრებიათ?

სოლნესი. ო, როგორ არა... ხანდახან... დიახ.

პილდე. ეს ისე საშინლად მომხიბლავია... რომ ვარდები და ვარდები. სული გეხუთება.

სოლნესი. ალბათ ტანში გსუსხავს, არა? მე პირადად ასე განვიციდი.

პილდე. ფეხებს მოიკეცავთ ხოლმე და აღმა სწევთ, არა?

სოლნესი. დიახ, რაც ძალა და ღონე მაქვს.

პილდე. მეც ასე ვიქცევი.

ფრაუ სოლნესი (იღებს თავის ქოლგას). ქალაქში უნდა გავიდე, ჰალვარდ. (პილდეს). შევეცდები თქვენთვისაც ვიშოვო რამე.

პილდე (უნდა გადაეხვიოს). ახ, უძვირფასესო, უსათნოესო ფრაუ სოლნეს, თქვენ მეტისმეტად კეთილი ბრძანებით ჩემდამი. ისე კეთილი, რომ მეშინია...

ფრაუ სოლნესი (იშორებს, მიდის). ოჰ, რასა ბრძანებთ, ეს მხოლოდ ჩემი ვალია, ამიტომაც ხალისით გემსახურებით.

პილდე (ნაწყენი, ოდნავ მოღუშული). ისე კი, ვფიქრობ, ქუჩაში გასვლა ასედაც შემოიძლია, — მგონი, ურიგოდ არ გამოვიწყე. თუ არ გამოდგება?

ფრაუ სოლნესი. სიმართლე რომ გითხრა, მე მგონია ბევრს მოხედებით თვალში.

პილდე (აგდებით). ფუი! მეტი არაფერი? ეს მხოლოდ თავშესაქცევა.

სოლნესი (ბრაზს გულში იკლავს). ჰო, მაგრამ ხალხი იფიქრებს, რომ თქვენც შეშლილხართ!

პილდე. შევშლილვარ? განა ამდენი შეშლილია თქვენს ქალაქში?

სოლნესი (ხელით თავის შუბლს აჩვენებს). ყოველ შემთხვევაში, ერთი შეშლილი თქვენს წინაშე დგას.

პილდე. თქვენა — ხუროთმოძღვარი!

ფრაუ სოლნესი. ოჰ, არა, ძვირფასო, საყვარელო პალვარდ სოლნესი. თქვენ ეს ჭერ კიდევ არ შეგიმჩნევიათ?

პილდე. არა, ეს ნამდვილად არ შემიმჩნევია (ფიქრის შემდეგ, მსუბუქი სიცილით). თუმცა... ერთ რამეში ალბათ!

სოლნესი. აბა, ახლა გესმის, ალინე?

ფრაუ სოლნესი. აბა რაში, ფროილიან ვანგელ?

პილდე. ამას არ ვიტყვი.

სოლნესი. თქვით, რა!

პილდე. გმადლობთ! ჭერ ამდენად არ შეეშლილვარ.

ფრაუ სოლნესი. როცა შენთან მარტო დარჩება, მაშინ გეტყვის, პალვარდ!

სოლნესი. ასე ფიქრობ?

ფრაუ სოლნესი. ოჰ, რა თქმა უნდა. შენ ხომ ბავშვობიდან იცნობ. იმ დროიდან, როცა ჭერ კიდევ პატარა გოგონა იყო — როგორც მიაბზე (გადის მარცხენა კარიდან).

პილდე (მცირე პაუზის შემდეგ). განა ასე თვალში ეკლად მოვხვდი თქვენს მუხლს?

სოლნესი. განა შეამჩნიეთ რამე ისეთი?

პილდე. თქვენ კი არაფერი შეამჩნიეთ?

სოლნესი (სიტყვას ბანზე უგდებს). უკანასკნელ წლებში ალინე საშინლად უხიაკი გახდა, ადამიანები შეიძულა.

პილდე. ესეც დასჩემდა?

სოლნესი. მაგრამ ახლოს რომ გაიცნობთ, ძალიან კეთილია, ნამდვილად სათნო და... საყვარელი... არსებითად...

პილდე (მოუთმენლად). მაგრამ თუ ასეთია, მაშინ რანაირად შეუძლია ასე თქვას: „მოვალე ვარო“?

სოლნესი. მოვალე?

პილდე, დიახ, ასე არა თქვა? ქალაქში გავალო, შენთვისაც რამეებს ვიყიდო. ასეთიაო ჩემი მოვალეობა. მე მძაგს ეს უნდელი სიტყვა, სმენას ეხამუშება.

სოლნესი. რატომ?

პილდე. იმიტომ, რომ საძაგელი სიტყვაა, ცივად და ხენეშად ხვდება ყურს, თითქოს ეკალი იყოს. მოვალეობა, მოვალეობა, მოვალეობა... განა ასე არ არის? თითქოს, ასე ვთქვათ, ხიწვივით გესობოდეს. არა?

სოლნესი. ჰმ... მართალი გოთხრათ, ამაზე არ დავფიქრებულვარ.

პილდე. ჰო; რა თქმა უნდა! ჰოდა, თუ ის ასეთი კეთილია, როგორც თქვენ ახასიათებთ, ამნაირი რამე რა სათქმელი ჰქონდა?

სოლნესი. ღმერთო ჩემო, მაშ რა უნდა ეთქვა?

პილდე. თუ სათქმელი იყო, უნდა ეთქვა: საოცრად 'შემიყვარდი და ამისათვის მინდა რამეები გიყიდო. აი, ასეთი რამე უნდა ეთქვა. რალაც თბილი და გულითადი, გამიგეთ?

სოლნესი (უყურებს). მაშ ასეთი რამე გინდათ, არა?

პილდე. დიახაც მინდა (დადის ოთახში, მერე წიგნების კარადსთან შეჩერდება და წიგნებს უყურებს). ძალიან ბევრი წიგნი გაქვთ.

სოლნესი. ჰო, საკმაოდ ბევრი წიგნი შემიძენია.

პილდე. ბევრსაც კითხულობთ?

სოლნესი. უწინ ვცდილობდი ხოლმე. თქვენ კი კითხულობთ?

პილდე. იპ, მეტი საქმე არა მაქვს! აღარაფერს არ ვკითხულობ ჭკეყანაზე, რადგან შინაგან კავშირს ველარა ვპოულობ.

სოლნესი. სწორედ ასე მომდის მეც.

პილდე ისევ დაიარება, მერე პატარა მაგიდასთან ჩერდება, შლის ჩანთას და ნახებებს ფურცლავს.

პილდე. ეს ყველაფერი თქვენ დახაზეთ?

სოლნესი. არა, ერთმა ახალგაზრდა კაცმა, ჩემმა თანაშემწემ.

პილდე. და რომელსაც თქვენვე ასწავლეთ, არა?

სოლნესი. ჰო, ყოველ შემთხვევაში, ჩემგან ისწავლა.

პილდე (ჯდება). ეტყობა, ძალიან ნიჭიერია, არა? (ერთ ნახაზს ათვალირებს). მართალს ვამბობ?

სოლნესი. ჰო, არა უშავს. ჩემი მიზნებისათვის გამოსადეგია, კი...

პილდე. ოღონდაც! საშინლად ნიჭიერი ყოფილა!

სოლნესი. საიდან გაიგეთ, ნახაზებიდან? ამდენი შეგოდლიათ?

პილდე. იფ! რა ნახაზები, ნაჯღაბნია რალაც! მაგრამ რაკ თქვენთან სწავლობდა...

სოლნესი. აპ, რაც შეეხება ჩემთან სწავლას... აქ ბევრი ვინძეა, ჩემთან რომ სწავლობდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეუთვისებიათ.

პილდე (შესტკეპრის და თავს უქნევს). თუ გინდა, ყელი გამომჭერთ, მაგრამ ვერანაირად ვერ ამიხსნია, როგორ შეგიძლიათ თქვენ ასე სულელი იყოთ.

სოლნესი. სულელი? განა სულელი გგონივართ?

ჰილდე. დიახ, ნამდვილად. რაკი ამდენი ყმაწვილკაცის გამოყვანას კისრულობთ, მათთან ჯახირსა და დავიდარაბას, რომ ყველას რამე ასწავლოთ...

სოლნესი (გაოცებული). რატომაც არა?

ჰილდე (წამოდგება, ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით). არა, ხუროთმოძღვარო! ეს რა მიზანი დაგისახავთ! არავის არ უნდა შეეძლოს შენება, შენს გარდა. აქ მხოლოდ შენ უნდა იყო ამისათვის. ყველაფერი, ყველაფერი შენ უნდა აკეთო. ახლა ხომ იცით ეს ამბავი?

სოლნესი (უნებურად). ჰილდე...

ჰილდე. რა იყო?

სოლნესი. თუ ღმერთი გწამს, ერთი ეს მითხარი: რანაირად მოგივიდათ ასეთი აზრები?

ჰილდე. საშინლად უგუნური, არა?

სოლნესი. არა, ასე კი არა. მაგრამ ახლა მინდა რაღაც ვითხრათ.

ჰილდე. აბა რას მეტყვიო?

სოლნესი. მე თვითონ... დღიდან დღემდე ამ სიწყინარესა და სიმარტოვეში დავეხეტები და თავში იგივე აზრი მიტრიალებს.

ჰილდე. ეს სრულიად ბუნებრივია, ასე მგონია.

სოლნესი (გამომცდელი თვალით უყურებს). ჰოდა, თქვენ მას უკვე მიაგენით, დაწოუკიდებლად შეამჩნიეთ.

ჰილდე. არა მე სრულებითაც არაფერი არ შემიმჩნივია.

სოლნესი. მაგრამ ახლახან არ მითხარიო, რაღაც არეულსა გხედავეო? ერთ რამეში მხოლოდ!

ჰილდე. აჰ, არა, ეს სულ სხვა რამეზე ვთქვი.

სოლნესი. აბა რაზე?

ჰილდე. თქვენთვის ეს სულერთია, ხუროთმოძღვარო.

სოლნესი (ოთახში დადის). ჰო, კეთილი, როგორც გენებოთ (ერკერთან ჩერდება). აქ მოდით, რაღაც უნდა გიჩვენოთ.

ჰილდე. (უახლოვდება). აბა რა?

სოლნესი. შეხეთ, იქ, ზემოთ, ბალში...

ჰილდე. ვხედავ, მერე?

სოლნესი (უჩვენებს აღმა). ეგერ, დიდი ქვისსამტეხლო რომ არის...

ჰილდე. ახალი სახლი?

სოლნესი. დიახ, შენდება. მალე მზად იქნება.

• ჰილდე. ძალიან მაღალი კოშკი აქვს, თუ არ ვცდები.

• სოლნესი. ჯერ კიდევ ხარაჩოები აკრავს.

ჰილდე. თქვენი ახალი სახლია?

სოლნესი. დიახ.

ჰილდე. ის სახლი, რომელშიაც მალე უნდა გადახვიდეთ?

სოლნესი. დიახ.

ჰილდე (უყურებს). იმ სახლშიაც არის საბავშვო ოთახები?

სოლნესი. სამი — როგორც აქ.

ჰილდე. ბავშვები კი არა გყავთ.

სოლნესი. არც გვეყოლება.

ჰილდე. (ოდნავ შესამჩნევი ღიმილით). აკი გითხარით...

სოლნესი. როგორ?

• ჰილდე. ისე: ერთ რამეში ცოტა არეულსა და უკუღმართსა გხედვით-მეთქი.

სოლნესი. მაშ, ამას გულისხმობდით?

ჰილდე. დიახ, ამას ვფიქრობდი საბავშვო ოთახში, სადაც ვიწე-ქი და მეძინა.

სოლნესი (ხმადაბლა). ჩვენ გყავდა შვილები — მე და ალინეს.

ჰილდე (დაძაბული უყურებს). მაშ...

სოლნესი. ორი ბიჭუნა. ერთი ხნისანი.

ჰილდე. ტყუპი?

სოლნესი. დიახ, ტყუპი. მას შემდეგ თერთმეტი თუ თორმეტი წელი გავიდა.

ჰილდე (ფრთხილად). და ორივე... ესე იგი, დღეს აღარ არიან?

სოლნესი (წყნარად, გულმოკლული). მხოლოდ ორიოდ კვირით შევინარჩუნეთ. ან იქნებ არც ამდენი ხნით (უეცარი აღგზნებით). აჰ, ჰილდე, რა გამოუთქმელი ბედნიერებაა, რომ მოხვედით! ასლა უკვე მყავს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელსაც დაველაპარაკებ!

ჰილდე. განა იგივე არ შეგიძლიათ... იმასთან?

სოლნესი. ამაზე არა. არა ისე, როგორც მსურს და მინდა. (ყრუდ). არ შემიძლია კიდევ ბევრ რამეზე.

ჰილდე (ყრუდ). როცა მითხარით, ძალიან მესაქიროებითო, მხოლოდ ამას გულისხმობდით?

სოლნესი. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო. გუშინ მაინც. დღეს კი დაბეჭითებით აღარ ვიცი (საუბრის კილოს ცვლის). წამოდით, ჩამოვ-ჭდეთ, ჰილდე. დაბრძანდით დივანზე, ისე რომ ბალს უყურებდეთ.

ჰილდე დივნის კუთხეში ჯდება.

სოლნესი (სკამს მისწევს). გეხალისებათ მოსმენა?

პილდე. ძალიან, ძალიან მინდა აქ ვიჯდე და გისმინოთ.

სოლნესი (ჯდება). მაშინ მე მინდა მთელი ამბავი მოგითხროთ.

პილდე. — ახლა მთელი ბალი და თქვენი თავი თვალწინა მაქვს, ხუროთმოძღვარო. ახლა კი მითხარით! აბა, ჩქარა!

სოლნესი (ერკერის ფანჯარაზე მიუთითებს). ეგერ, იმ მალლობზე... სადაც ახალი სახლი მოჩანს...

პილდე. დიახ?

სოლნესი. იქ ცეცხვობდით პირველ წლებში მე და ალინე. იმ მალლობზე იდგა ძველი სახლი, რაც დედამისს ეკუთვნოდა. მისგან მივიღეთ მემკვიდრეობით. მასთან ერთად — მთელი ეს დიდი ბაღიც.

პილდე. იმ სახლსაც კოჭი ჰქონდა?

სოლნესი. არაერთარი მსგავსი რამ!.. შორიდან რომ შეგეხედათ, ერთი რამ დიდი უშნო ბნელი სკივრი გეგონებოდათ, ხისგან გამოყვანილი. სამაგიეროდ შიგნით იყო მყუდრო და მშვენივრად მოწყობილი.

პილდე. მაშ, ის ძველი ხუხულა დაანგრეთ?

სოლნესი. არა. დაიწვა.

პილდე. ესაა მთელი ამბავი?

სოლნესი. დიახ.

პილდე. თქვენთვის ეს ალბათ დიდი უბედურება იქნებოდა.

სოლნესი. ვისაც როგორ ესმის. როგორც ხუროთმოძღვარს, ამ ხანძარმა მომიმართა ხელი. აღზევებაში.

პილდე. მერე, იმას?..

სოლნესი. სწორედ იმ დროს გვეყოლა ორი ბიჭი...

პილდე. პო, საბრალო ტყუპები!

სოლნესი. სრულიად ჯანსაღნი, სიცოცხლით სავსენი იშვნენ. დღითიდღე იზრდებოდნენ და უკვე შესახედავად ვარგოდნენ.

პილდე. პატარა ბავშვები პირველ დღეებში სწრაფად იზრდებოდნენ.

სოლნესი. ალინე რომ ყრმებთან იწვა, უკეთესს რას ნახავდით... მაგრამ დადგა ღამე და ავარდა ხანძარი...

პილდე (აღელვებული). მერე, რა მოხდა? მითხარით! დაილუპა ვინმე ხანძარში?

სოლნესი. ეს არა. აღმოდებული სახლიდან ყველა მშვიდობით გამოვიდა.

ჰილდე. მერე, მერე?

სოლნესი. შიშმა დათრგუნა ალინე. გაათავა ქალი ასე ანაზღად თავისრის ტახვით სახლიდან გაქცევამ, რიც სუსხიან ღამეში. მეორე უბედურება ის იყო, რომ ალინე ხელუხლებლად უნდა გაეყვანათ, ისე, როგორც იწვა. ისიცა და ბავშვებიც.

ჰილდე. ჰოდა, ამას ვერ გაუძლეს?

სოლნესი. არა, გაუძლეს. ესეც გადაიტანეს. მაგრამ ალინეს ციებ-ცხელება დაეწყო. რძე გაუფუჭდა. სხვა კი არ გაიკარა, საკუთარი მკერდით მინდა ვკვებო, ეს ჩემი ვალიაო, ამბობდა. ჰოდა, ჩვენი პატარა ბიჭუნები... (ხელებს იმტვრევს). ოჰ, ღმერთო ჩემო!

ჰილდე. ეს ველარ გადაიტანეს?

სოლნესი. ვერა, ეს ველარ გადაიტანეს. ამან დაგვლუპა.

ჰილდე. საშინელი განსაცდელი გამოვივლიათ.

სოლნესი. მეტისმეტად მწარე. მაგრამ ათჯერ მწარე ალინესათვის (თავს იკაეებს, მაგრამ ხელებს იმტვრევს). აჰ, ასეთი რამე განიცადო და კიდევ იარსებო ამ წუთისოფელში! (მოკლედ და მტკიცედ). იმ დღიდან, რაც შეილება დაგვარგე, ეკლესიებს უხალისოდ ვაშენებ.

ჰილდე. იქნებ ჩვენი სამრეკლოც უხალისოდ აშენეთ?

სოლნესი. უხალისოდ. მაგრამ როგორ მომეშვა გულზე; როცა ვნახე, რომ ამოდენა კოშკი აშენებულა.

ჰილდე. ეს მეც ვიცი.

სოლნესი. მას შემდეგ კი აღარ ამიშენებია, არც არასოდეს არ ავაშენებ. არც ეკლესიას, არც სამრეკლოებს.

ჰილდე (დიდხანს წუხილით აქნევს თავს). მხოლოდ სახლებს, რომლებშიაც ადამიანები იცხოვრებენ.

სოლნესი. ოჯახურ კერებს ადამიანებისათვის, ჰილდე.

ჰილდე. ოჯახურ კერებს, მაგრამ კოშკებითა და წვეტიანი გუმბათებით დამშვენებულს.

სოლნესი. ყველაზე მეტი ხალისით, როცა შესაძლებელია (უფრო რბილი ხმით დასძენს). დიახ, როგორც გითხარით, იმ ხანძარმა ამა-მალა... როგორც ხუროთმოძღვარი, ცხადია.

ჰილდე. რატომ არ ეძახით თავს სხვებივით არქიტექტორს?

სოლნესი. საამისოდ საფუძვლიანი ცოდნა არ მიმიღია. რაც შემიძლია, ეს ძირითადად საკუთარი მიგნებით შემისწავლია.

ჰილდე. მაგრამ აკი მაინც ამაღლდით, ხუროთმოძღვარო, და მერე როგორ!

სოლნესი. ხანძრის წყალობით, დიახ. ჩვენი ბალი პატარ-პატარა

ნაკვეთებად დავეყავი და დაეიწყე აგარაკების შენება, როგორც მინდოდა. შემდეგ ყველაფერი თავისთავად გაიჩარხა.

პილდე (გამომცდელი თვალით უყურებს). თქვენ მაინც ძალიან ბედნიერი აღამიანი ხართ. როგორი ბედი გაქვთ!

სოლნესი (კუშტად). მე და ბედნიერი? თქვენც ასე ამბობთ? სხვათა მსგავსად?

პილდე. არა, მე ვგულისხმობ, ასე შეგეძლოთ-მეთქი. ორ დაღუპულ ყრმაზე ფიქრი რომ შეწყვიტოთ...

სოლნესი (გაჭიანურებით). ორი დაღუპული ყრმის დაეიწყება არც აგრე იოლია, პილდე.

პილდე (ცოტა ყოყმანით). ნუთუ ისევ ისე დგანან თქვენს გზაზე? ამდენი წლის შემდეგ?

სოლნესი (მტკიცედ უყურებს, პასუხს არ აძლევს). ბედნიერი კაცი ხარო, მითხარით...

პილდე. ჰო, მაგრამ განა ბედნიერი არა ხართ... ყველა დანარჩენს საქმეში?

სოლნესი (ისევ ისე განაგრძობს ცქერას). როცა ხანძრის აზავს მოგითხრობდით... ჰმ...

პილდე. აბა!

სოლნესი. რამე ისეთი აზრი ხომ არ მოგსვლიათ თავში, რომელსაც ველარ აღწევთ თავს?

პილდე (ამაოდ ფიქრობს). არაფერი. ისეთი რა აზრი უნდა ყოფილიყო?

სოლნესი (ყრუდ, გამოკვეთილად). მხოლოდ და მხოლოდ ხანძრის წყალობით შევძელი აღამიანებისათვის ოჯახური კერების შენება. მოხერხებულო, მყუდრო, კეთილმოწყობილი კერების, რომლებშიაც დედ-მამას და ბავშვებს შეუძლიათ იცხოვრონ და განიცადონ, რა ციური ბედნიერებაა იცოცხლო და დატკბე ამ წუთისოფლის ცქერით. განსაკუთრებით კი ამისი შეგნება: რა სასიხარულოა ეკუთვნოდე ერთიმეორეს... დიადშიც და მცირეშიც.

პილდე (გატაცებით). დიახ, და განა თქვენ ციურ ბედნიერებას არ განიცდით, რომ აღამიანებისათვის ასეთი სახლების შენება შეგიძლიათ?

სოლნესი. ფასი, პილდე, ფასი მკითხე! მეტიმეტად ძვირი დამიჯდა ეს დიდება.

პილდე. მაგრამ ნუთუ ველარასოდეს ვერ უნდა დააღწიოთ თავი ამ ფიქრებს?

სოლნესი. ვერასოდეს. სხვებისათვის ოჯახური კერების აშეხებით მე დამაყლდა... სამუდამოდ დამაყლდა საკუთარი ოჯახური კერა. დაეკარგე მყუდრო კერა საკუთარი ბავშვებისათვის. დედისა და მამის სამყოფელიც.

ჰილდე (ფრთხილად). მაგრამ... ნუთუ ასეა? სამუდამოდო, ამბობთ?

სოლნესი (დიდხანს აქნევს თავს). აი ფასი იმ ბედნიერებისა, რაზედაც ხალხი ამდენს ლაპარაკობს (ხვნეშით). ამ ბედნიერებას... ჰმ... ასეთ ბედნიერებას უფრო იაფად ვერ შევიძენდი, ჰილდე.

ჰილდე (ისევ მორიდებით). ნუთუ აღარ არის იმედი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს?

სოლნესი. არასოდეს და არანაირად. არასდროს-მეთქი. ესეც ხანძრის შედეგი იყო. ალინეს მაშინდელი ავადმყოფობა.

ჰილდე (გაუარკვეველი გამომეტყველებით უყურებს). მაგრამ ხომ აშენებთ ისევ ბავშვთა ოთახებს?

სოლნესი (სერიოზულად). განა არ შეგიძინევიათ, ჰილდე, რომ შეუძლებელი... შეუძლებელი საქმე ხშირად გვხიბლავს და მოგვიხმობს ხოლმე?

ჰილდე (ფიქრის შემდეგ). შეუძლებელი? ო, როგორ არა! თქვენც ასე განიცდით, არა?

სოლნესი. აუცილებლად.

ჰილდე. მაშინ თქვენშიაც იმალება რაღაც... რაღაც ტროლისნაირი?

სოლნესი. რატომ ტროლისნაირი?

ჰილდე. აბა, მამ ამას რა უნდა უწოდოთ?

სოლნესი (წამოდგება). ჰო, შეიძლება (მტკიცედ). მაგრამ ტროლი ხომ არ უნდა გავხედო, რაკი ყველგან და ყველაფერში ასეთი ბედი მაქვს? ყველაფერში და ყოველთვის!

ჰილდე. როგორ უნდა გაეიგოთ ეს?

სოლნესი (შინაგანი მღელვარებისაგან შეგუბებული ხმით). გულისყურით მოისმინე, რასაც ახლა გეტყვი, ჰილდე. ყველაფერი, რცხი შექმნაც, შენებაც, გაკეთებაც შევქელი — მშენიერის, მყარის, მოხერხებულისა და... ამალღებულის... (ხელებს მუშტად შეკრავს)... აჰ, მარტო ფიქრიც კი საშინელია!..

ჰილდე. რა ფიქრია ასე საშინელი?

სოლნესი. რომ ყოველივე ეს ერთთავად უნდა ავანანლაურო, გამოვისყიდო. საზღაური უნდა ვიხადო. ფულით კი არა. ადამიანის

ბედნიერებით. თანაც არა ოდენ ჩემი ბედნიერებით. სხვათა ბედნიერებითაც! დიახ, დიახ, ხომ ხედავთ ახლა, ჰილდე? აი, რა დამიჯდა ჩემი ხელობა, როგორც მხატვარს... მეცა და სხვასაც. ახლა კი დღიდან დღემდე უნდა ვუყურო, რაზიარად იხლიან სხვები მძიმე საზღაურს ჩემი ხელოვნებისათვის. ისევ და ისევ — და ისევ მარად!

ჰილდე (წამოდგება და დაუინებით აცქერდება). ახლა თქვენ უთუოდ ფიქრობთ... თქვენს მეუღლესზე.

სოლნესი. დიახ. განსაკუთრებით ალინესზე. მით უფრო, რომ მასაც ჰქონდა ცხოვრებაში თავისი მოწოდება, როგორც მე მაქვს (ათრთოლებული ხმით). მაგრამ მისი მოწოდების საგანი დაიმსხვრა და ქარს გაჰყვა... რათა ჩემი მოწოდებისათვის გზა გაეკაფა და გამარჯვებული გამოესულიყავი ამ დიდი ბრძოლიდან. უნდა იცოდეთ: ალინესაც ჰქონდა უნარი ეშენებინა, შეექმნა.

ჰილდე. ალინეს? შეეძლო ეშენებინა?

სოლნესი (თავის ქნევით). განა სახლები, კოშკები და გუმბათები? არა, მე რასაც ვაშენებ, ის კი არა...

ჰილდე. მაშ, რა უნდა ეშენებინა?

სოლნესი (რბილად და მღელვარებით). მოზარდების სულიერი სამყარო, ჰილდე. ბავშვთა სულის შენება შეეძლო ისე, რომ ადამიანი თანდათანობით გაზრდილიყო და გამოსულიყო წონასწორობით, კეთილშობილი, მშვენიერი ფორმებით გამორჩეული. შეეძლო ეშენებინა სწორი, მართებული ადამიანური სული. აი, ამისი მიდრეკილება ჰქონდა ალინეს. აი, რა ნიჭი ჰქონდა ალინეს... ახლა კი ყოველივე ეს მტვერში გდია... დაიმსხვრა და სამუდამოდ უსარგებლოდ იქცა. აღარავითარი მიზანი არ ამოძრავებს... როგორც გინახავთ ფერფლი, ხანძრის შემდეგ დარჩენილი...

ჰილდე. თუნდაც მართლა ასე მომხდარიყო...

სოლნესი. ასე მოხდა. ასე მოხდა. მე ვიცი.

ჰილდე. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თქვენ არაფერი ბრალი არ მიგიძღვით ამაში.

სოლნესი (თვალს აპყრობს და ნელა უქნევს თავს). დიახ, იცო. ეს არის სწორედ დიდი, საშინელი საკითხი. ეს ეჭვი მთანგავს და მართმევს სულის სიმშვიდეს — დღეა თუ ღამე.

ჰილდე. ეჭვი?

სოლნესი. დიახ. დაუშვავთ, რომ დამნაშავე ვარ, ბრალი მიმიძღვის. ასედაც არის, გარკვეული აზრით.

ჰილდე. თქვენა? ბრალი მიგიძღვით ხანძრის გაჩენაში?

სოლნესი. ყველაფერში. ყველაფერში და თითოეულში. იმავე დროს იქნებ სულაც ალალი ვარ!

პილდე (ზრუნვით. შესცქერის). აჰ, ხურთთმოდვარო... რაებს ლაპარაკობთ!... რანაირად შეგაძლიათ... მაშინ თქვენ მართლა ავად ყოფილხართ!

სოლნესი. ჰმ... ამ თვალსაზრისით მე სამარის კარამდე ავად ვიქნები.

რაგნარი პატარა კარს მორიდებით შემოაღებს მარცხენა კუთხეში. პილდე რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ოთახში.

რაგნარი (პილდეს რომ შეამჩნევს). აჰ... მაპატიეთ, ბატონო სოლნეს (უნდა გაბრუნდეს).

სოლნესი. არა, არა, დარჩით. ჰოდა, მოერჩეთ ამ საქმეს.

რაგნარი. აჰ, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება!

სოლნესი. როგორც გადმომცეს, მამათქვენი უკეთ არ არის.

რაგნარი. მამაჩემის წუთები დათვლილია. ამიტომ დაყინებით გთხოვთ... გვედრებით... ორიოდე კეთილი სიტყვა წააწერეთ ამ ნახაზებს, რომ წაკითხვა შესძლოს, ვიდრე...

სოლნესი (მტკიცედ). თქვენი ნახაზები არ მიხსენოთ!

რაგნარი. დაათვალიერეთ?

სოლნესი. დიახ, გადავხედე.

რაგნარი. მერე, უვარგისია? მე კიდევ უსარგებლო ადამიანი ვარ, ხომ?

სოლნესი (სიტყვას ბანზე უგდებს). დარჩით ჩემთან, რაგნარ, და იმას მიიღებთ, რაცა გწადიათ. მერე კაია შეირთეთ და იცხოვრეთ უზრუნველად. ალბათ ბედნიერიც იქნებით. ოღონდ განდევნეთ თქვენი გონებიდან ის აზრი, რომ დამოუკიდებლად აშენოთ.

რაგნარი. დიახ, დიახ, მაშ ასე... უნდა დაგბრუნდე შინ და ეს სიტყვები გადაეცე მამას. უნდა ვუთხრა თუ არა ესა სიკვდილის წინ?

სოლნესი (საკუთარ თავს ებრძვის, შეშფოთებით). აჰ, უთხარით... უთხარით, რაც გენებოთ... მაგრამ გირჩევთ, სულაც ნურაფერს ეტყვი, ნუ მოუსწრაფებთ სიცოცხლეს (უეცრად აღელვებული). სხვა-ნაირად მოქცევა არ შემიძლია, რაგნარ!

რაგნარი. ნახაზები შემიძლია წავიღო?

სოლნესი. დიახ, წაიღეთ. მომამორეთ! ეგერ, მაგიდაზეა.

რაგნარი (იქით მიდის). გმადლობთ.

პილდე (საქალაქებზე ხელს დადებს). არა, არა, დატოვეთ, აქ იყო!

სოლნესი. რატომ?

პილდე. იმიტომ, რომ მეც მინდა გადავხედო.

სოლნესი. მაგრამ თქვენ ხომ არ... (რაგნარს). მაშ, დატოვეთ.

რაგნარი. სიამოვნებით.

სოლნესი. შემდეგ კი შინ წადით, მამას მიხედეთ.

რაგნარი. დიახ, მეტი გზა არა მაქვს.

სოლნესი (თითქმის სასოწარკვეთილებით). რაგნარ... ნუ ითხოვთ ჩემგან შეუძლებელს! ნუ ითხოვთ იმის გაკეთებას, რაც არ შემიძლია! გესმით, რაგნარ? ნუ ცდილობთ ამას!

რაგნარი. არა, არა. მაპატიეთ (თავის დაკვრით გადის იმავე კუთხის კარში).

პილდე სარკესთან მიდის და სკამზე ჯდება.

პილდე (გაბრაზებული უყურებს სოლნესს). თქვენგან მივირის, თქვენი საქციელი საძაგლობა იყო!

სოლნესი. თქვენც ასე ფიქრობთ?

პილდე. დიახ, გულისამრევი საქციელი ჩაიდინეთ, სასტიკი, ბოროტი და ზარდამცემი თანაც.

სოლნესი. აჰ, თქვენ არ იცით, რა დღეში ვარ.

პილდე. და მაინც... თქვენ ეს არ გეკადრებათ.

სოლნესი. განა ახლახან თქვენ არა თქვით, შენს მეტმა არავინ არ უნდა აშენოს ამ ქალაქშიო?

პილდე. ასეთი რამ მე შემიძლია ვთქვა. მაგრამ თქვენ არა.

სოლნესი. მე ყველაზე ადრე უნდა ვთქვა. ჩემი ადგილი მეტის-მეტად ძვირად მიყიდიან.

პილდე. ჰო, გასაგებია. ოჯახური მყუდროების ფასად... თუ რაღაც ამგვარი.

სოლნესი. სულის სიმშვიდეც მიმიცია.

პილდე (წამოდგება). სულის სიმშვიდე! (გრძნობიერად). დიახ, ამაში მართალი ბრძანდებით! საბრალო ხუროთმოძღვარო, თქვენა გგონიათ, რომ...

სოლნესი (წყნარი, მორაკრაკე ხმით). ჩამოჯექით ისევ, პილდე. ახლა რაღაც თავშესაქცევ ამბავს მოისმენთ.

პილდე (აღელვებული, დაჯდება). აბა?

სოლნესი. რაღაც სასაცილო და უმნიშვნელო რამ გეგონებათ, რომ მოისმენთ. საკვამურში პატარა ბზარი გაჩნდა, ეს იყო და ეს.

პილდე. სულ ეს იყო?

სოლნესი. ჰო, პირველად სხვა არაფერი (სკამს მიაჩოჩებს, დაჯდება).

პილდე (მოუთმენლად, თითს ათამაშებს საკუთარი მუხლისთავზე). მაშ, საკვამურის ბზარიდან დაიწყო?...

სოლნესი. საკვამურში ბზარი შეენიშნე ჯერ კიდეც ადრე, ხანძრის გაჩენამდე დიდი ხნის წინ. ყოველთვის, როცა კი ქერზე ასვლა მომიხდებოდა ხოლმე, გადავხედავდი, აბა თუ ჩაიგმანა-მეთქი.

პილდე. მერე, ისევ ისე იყო?

სოლნესი. დიახ, ეს ამბავი კი მხოლოდ მე ვიცი.

პილდე. მერე, არ გითქვამთ?

სოლნესი. არა, არ მითქვამს.

პილდე. არც გიფიქრიათ ბზარის ამოვსება?

სოლნესი. როგორ არა, ეს ხშირად მიფიქრია, მაგრამ საქმეს თავი ვეღარ მოვაბი. რამდენჯერაც საკვამურის შეკეთება განვიზრახე, ყოველთვის ხელი შემეშალა. დღეს არა, ხვალ ვიზამ-მეთქი. ამ დღე-მეხვადობით დრო გადიოდა, საქმე მოუგვარებელი დარჩა.

პილდე. რატომ იყავით ასეთი ზოზინა?

სოლნესი. იმიტომ, რომ სულ ვფიქრობდი (გაპიანურებით და ყრუ ხმით). ეტყობა, მიღში გაჩენილი პატარა ბზარის შემწეობით ვფიქრობდი სივრცეში აჭრას — ხუროთმოძღვარი გავხდები-მეთქი.

პილდე (დაბლა იყურება). ჰო, ასეთ ფიქრებში უთუოდ იყო რაღაც ამაღლელებელი.

სოლნესი. დაუძლეველი, საოცრად ამაღლელებელი! ამაზე მსუბუქი და უბრალო რა საქმე უნდა იყოს-მეთქი, ასე მეჩვენებოდა. მინდოდა ეს ამბავი შუა ზამთარში მომხდარიყო, ასე სადილობის წინ. მე აღინეს წაიყვანდი თხილამურებით სასრილოდ. შინ მოსამსახურეები დარჩებოდნენ, ლუმელს გაახურებდნენ, მეტისმეტი მოუვიდოდათ...

პილდე. იმ დღეს დიდი ყინვა უნდა ყოფილიყო.

სოლნესი. ძვალსა და რბილში რომ ატანს... ასე ჯობდა. მოსამსახურეებს უნდა ეფიქრათ: აღინე რომ დაბრუნდება, ოთახები თბილი დავახვედროთ.

პილდე. ჰო, ალბათ ისე მცივანაა.

სოლნესი. მართალია. მერე შინ წამოვიდოდით, გზაში კვამლის ბოლქვებს შევამჩნევდით, ხრაკის სუნი შეგვაწუხებდა.

პილდე. მხოლოდ ხრავის სუნი?

სოლნესი. პირველად ეს. მაგრამ კიშკარს რომ მიეუახლოვდებოდით, შევამჩნევდით, რომ მთელი ეს უზარმაზარი სკივრი ცეცხლის ზღვაშია ჩაძირული... იცით, სწორედ ეს მინდოდა.

პილდე. ღმერთო მალალო! და რატომაც არ უნდა მომხდარიყო ეს სწორედ ასე?

სოლნესი. დიახ, თქვენ ასე შეგიძლიათ თქვათ, პილდე!

პილდე. მაგრამ ახლა მომისმინეთ, ხუროთმოძღვარო. დანამდვილებით იცით, რომ ეს ხანძარი იმ პატარა ბზარიდან გაჩნდა, საკვამურში რომ შევიმჩნევით?

სოლნესი. არა, პირიქით. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ხანძრის გაჩენაში საკვამურის ბზარს არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

პილდე. რაო?!

სოლნესი. სავსებით დამტკიცებულია, რომ ხანძარი გასახდელში დაიწყო — სახლის სრულიად სხვა ნაწილში.

პილდე. მაგრამ მაშინ რას ჰქვიციკებთ სულ იმ ბზარის ამბავს, საკვამურში რომ გაჩენილა?

სოლნესი. ნებას მომცემთ, რომ ცოტა კიდევ გითხრათ, პილდე?

პილდე. თუ გონივრულად ილაპარაკებთ, მაშინ...

სოლნესი. ვეცდები (სკამს ახლოს მისწევს).

პილდე. ახლა აღარ იტყვიან? ხუროთმოძღვარო, ამიხსენით...

სოლნესი (ნდობით). გწამთ თუ არა, პილდე, რომ ქვეყნად არსებობენ ცალკეული გამორჩეული, უჩვეულო, რჩეული ადამიანები, რომელთაც ებოძათ წყალობა, ძალაუფლებაც და უნარიც, რომ რაიმე ისურვონ, ინდომონ, რაიმეს დაბეჭითებით ესწრაფვონ, თანაც ისეთი დაჟინებით, ისე მტკიცედ და შეუპოვრად, რომ ბოლოს უნდა მიაღწიონ კიდევ უსათუოდ? გჯერათ თუ არა ესა?

პილდე (რალაც გაუჩკვეველი გამომეტყველებით). თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ერთხელ ჩვენცა ვნახავთ, ვეკუთვნი თუ არა მე ასეთ რჩეულებს.

სოლნესი. დიდი საქმის მოხდენა არ შეუძლია ერთ ცალკეულ ადამიანს. ო, არა, მსახური და თანაშემწე თუ თანამზრახველი თან უნდა ახლდეს, რათა მოსახდენი მოხდეს. მაგრამ ასეთები თავისთავად არ მოდიან. მათ გამოწვევა უნდათ. გამოწვევა დიდხანს, დაჟინებით, თავის შინაგან სამყაროდან, გამიგეთ?

პილდე. ეს რა თანაშემწენი და თანამზრახველნი არიან?

სოლნესი. აჰ, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ როდისმე. ახლა კი ხანძრის ამბავზე შეეჩერდეთ.

ჰილდე. როგორ ფიქრობთ, ხანძარი მაინც გაჩნდებოდა, თუნდაც მისი გამოწვევის სურვილი არა გქონოდათ?

სოლნესი. ეს სახლი რომ მოხუც ბრუევიკისა ყოფილიყო, ის არასოდეს არ დაიწვებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ. რადგან მას არ ესაჭიროებოდა თანამზრახველები, არც თანამემწეებს მოუხმობდა. (წამოდგება, მოუსვენრად). იცით, ჰილდე, მე დამნაშავე ვარ ორივე ბავშვის დაღუპვაში. ხომ არა ვარ დამნაშავე იმაშიაც, რომ მათი დედა ის არ გამოვიდა, რაც სურდა და რადაც შეეძლო? რომ მის მოწოდებას ფრთა შეეკვეცა?

ჰილდე. მაგრამ თუ ამ საქმეში ჩაერივნენ თანამემწეები და თანამზრახველები...

სოლნესი. ვინ მოიხმო თანამემწეები? მე! მე მოვიხმე. ჩემს ნებასურვილს ასრულებდნენ (თანდათანობით ეუფლება მღელვარება.) ჰოდა, ამას ეძახიან ადამიანები „ბედის წყალობას“! მაგრამ მე გეტყვით, რა მოუსვენარია ეს ბედნიერება, რანაირად მოგვევლინება ხოლმე! როგორც დიდი ღია ჭრილობა აგერ ამ გულის ფიცარზე. ეს თანამემწეები და თანამზრახველები კი სხვა ადამიანებს აცლიან კანს ნაწილებს, რათა ჩემი ჭრილობა გაამთელონ! მაგრამ ჭრილობა არ მთელდება. მოუტრჩენელია. არ გამთელდება არასოდეს! აჰ, რომ იცოდე, როგორ გვეწვის და გვთანავაც დროგამოშვებით!

ჰილდე (დაეინებით უყურებს). თქვენ ავადა ხართ, ხუროთ-მოძღვარო. ვფიქრობ, თქვენ საკმაოდ მძიმე ავადმყოფი ხართ.

სოლნესი. ბარემ მითხარით: შერყეული, სულელი-თქო! სხვებიც ხომ ასე ფიქრობენ.

ჰილდე. არა, მე მგონია გონება საესებით საღი გაქვთ.

სოლნესი. მაშ რა მჭირს? ჩქარა მაუწყეთ!

ჰილდე. რა და... ხომ არ შობილხართ ასე მწირი სინდისით დედის მუცლიდან?

სოლნესი. მწირი სინდისით? ეს კიდევ რაღა ღოზანაა?

ჰილდე. ვფიქრობ, საერთოდ მეტისმეტად სუსტი სინდისი გაქვთ. ესე იგი, მეტისმეტად ფაქიზად ნაგები. მცირეოდენ დარტყმას კი არა, შერხევასაც ვერ უძლებს. სიმძიმის ტარება ხომ სულაც არ შეუძლია.

სოლნესი (ბურტყუნით). ჰმ! ეს რანაირი სინდისი უნდა იყოს, თუ შეიძლება გკითხოთ?

პილდე. თქვენ უფრო მაგარი, ასე ვთქვათ, გამძლე სინდისი უნდა გქონდეთ!

სოლნესი. მართლა? გამძლე! ჰაი! თქვენ ალბათ გამძლე სინდისი გაქვთ, არა?

პილდე. მგონია, კი. ყოველ შემთხვევაში, დღემდე სხვა არაფერი შემიმჩნევია.

სოლნესი. მე მგონია, ჯერ ნამდვილ გამოცდაზეც ჯერ გასულა.

პილდე (ბაგის კუთხე შეუთრთოლდება). არა, მამის მიტოვება ასე იოლი როდი იყო... მამისა, რომელიც საშინლად მიყვარს.

სოლნესი. აჰ, რასა ბრძანებთ? ერთი-ორი თვით, ალბათ...

პილდე. მე შინ აღარასოდეს არ დავბრუნდები.

სოლნესი. აღარასოდეს? რისთვის დატოვებთ მამათქვენი?

პილდე (ნახევრად სერიოზულად, ნახევრად გამოჯავრებით). კიდევ დაგავიწყდათ, რომ ათი წელი გავიდა?

სოლნესი. აჰ, სისულელეა. მოხდა რამე თქვენსას? აბა?

პილდე (სერიოზულად). რალაც შინაგანი ძალა მდევნიდა და მაგდებდა აქეთ. მზიბლავდა და მიზიდავდა.

სოლნესი (გულფიცხად). აი, რა მოგვდის, აი რა მოგვდის, პილდე! თქვენს არსებაშიაც ტროლი ზის. ისევე, როგორც ჩემსაში. აი, ეს ტროლი გვიზის სულში და გარედან ითხოვს მრისხანე ძალებს. ადამიანი ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს.

პილდე. ლამის არის დაგიჯეროთ, ხუროთმოძღვარო, თქვენ მართალი ხართ.

სოლნესი (ოთახში დადის). აჰ, ქვეყნად მრავალი ეშმაკი დაიარება, პილდე, ყველას როდი ვხედავთ.

პილდე. ეშმაკებიც არიან?

სოლნესი (შეჩერდება). კეთილი ეშმაკები და ბოროტი ეშმაკები. ქერა ეშმაკი და შავთმიანები. ოღონდ იცოდეს კაცმა, რომელია ქერა და რომელი შავი, რომელმა შეგიპყრო და დაგიმონა! (ბოლთასა ცემს). ჰა-ჰა! მაშინ რა გვიჭირდა!

პილდე (თვალს ადევნებს). ან მართლა ძლიერი, უხინჯო, საღსაღამათი სინდისი რომ გქონდეს, რათა აღთქმული მიზნისაკენ შეუპოვრად მივიდიოდეთ!

სოლნესი (სარკიდან მაგიდასთან ჩერდება). მე ჩემდათავად ვფიქრობ, რომ ადამიანთა უმრავლესობაც ამ საქმეში ჩემსავით მოისუსტებს.

პილდე. ეს შეიძლება.

სოლნესი (მაგიდას დაეყრდნობა). საგებში, წაგოთხავთ ძველებური საგები?

პილდე. რა თქმა უნდა! იმ დროს, როცა ჭერ კიდევ ვკითხულობდი წიგნებს.

სოლნესი. ძველი საგების წიგნებში მოთხრობილია ვიკინგების ამბავი, უცხო ქვეყნებში რომ მიაფრიალებდნენ იალქნებს, ცეცხლითა და მახვილით გადაუვლიდნენ, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს...

პილდე. იტაცებდნენ ქალებს...

სოლნესი. იტაცებდნენ და იტოვებდნენ...

პილდე. გემებში სხამდნენ და თავიანთ სამშობლოში ჩაჰყავდათ...

სოლნესი. იქ კი ისე სასტიკად ექცეოდნენ, როგორც ტროლები...

პილდე. (რალაც დაბინდული მზერით იყურება ძირს). მე მგონია, ამაში არის რაღაც ამაღლეველი!

სოლნესი (წყნარი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილით). ქალების გატაცებაში, არა?

პილდე. არა, რომ გაგვიტაცონ!

სოლნესი (წამიერად გადახედავს). აჰ, მართლა?

პილდე (გულგრილად აწყვეტინებს). მაგრამ რისთვის დაგვირდათ ეს ვიკინგები, ხუროთმოძღვარო?

სოლნესი. იცით, აი იმ ყოჩაღ ყაჩაღებს მართლაც რომ მაგარი სინდისი ჰქონდათ. შინ რომ დაბრუნდებოდნენ, ღრეობას გამართავდნენ ხოლმე. ბავშვებივით მსიარულნი იყვნენ თანაც. ახლა ქალები! ზშირად აღარც კი სურდათ მოშორება, იმ ველურ ვაჟაკებს ეტმანებოდნენ. გაუგეთ რამე, პილდე?

პილდე. ქალებს შესანიშნავად გაუგებ!

სოლნესი. ო! ჩანს, ასეთ რამეზე არც თქვენ იტყოდით უარს!

პილდე. რატომ უნდა მეთქვა?

სოლნესი. როგორ, ასეთ მოძალადე კაცებთან ერთად ცხოვრება შეიძლება?

პილდე. თუ ასეთი მოძალადეები ადამიანმა გულით შეიყვარა, მაშინ?

სოლნესი. შესძლებდით მერე ასეთების შეყვარებას?

პილდე. ოჰ, ღმერთო, ვინ დაიმორჩილა თავისი გრძნობები? შეგიყვარდება და მორჩა. მე ასე მგონია.

სოლნესი (დაფიქრებული უყურებს). აჰ, მართლა, ასეთ ამბებს ჩვენს შინაგან სამყაროში ტროლები წყვეტენ.

პილდე (მსუბუქად იცინის). ყველა იმ უცნაურ ეშმაკთან ერთად, რომელთაც თქვენ კარგად იცნობთ. ზოგი ქერაა, ზოგი შავგვრემანი.

სოლნესი (გულთბილად, წყნარად). სულითა და გულით მინდა ამ ეშმაკებმა თქვენთვის საუკეთესო შეარჩიონ, პილდე.

პილდე. ჩემთვის მათ უკვე შეარჩიეს. ერთხელ და სამუდამოდ.

სოლნესი (ღრმად ჩახედავს თვალებში). პილდე... თქვენ... თქვენ გარეულ ჩიტს მომაგონებთ, ტყეში რომ დაფრინავს.

პილდე. სულაც არა. მე ფოთლებში არ ვიმალები.

სოლნესი. არა, მართლა, უფრო მტაცებელ ფრინველს.

პილდე. ეს შეიძლება უფრო შეეფერება სიმართლეს (ძალიან მტკიცედ). რატომაც არ უნდა ვგავდე მტაცებელ ფრინველს? რატომაც არ უნდა გავფრინდე ნადავლის საშოვნელად? თუ ეს ნადავლი მიზიდავს? თუ კი შემოქლია კლანჭები ჩავავლო და გავიტაცო?

სოლნესი. პილდე... იცით, რა ხართ?

პილდე. დიახაც ვიცი: ერთი ასეთი უცნაური ფრინველთაგანი.

სოლნესი. არა, თქვენ ხართ ის დღე, რომელიც ახლა თენდება. გიყურებთ და ასე მგონია, მზის ამოსვლას ვუყურებ.

პილდე. ერთი მითხარით, ხუროთმოძღვარო: გარკვევით იცით, რომ ნამდვილად არ მომიხმობდით არასოდეს? ისე, თქვენი შინაგანი ბუნებით?

სოლნესი (წყნარად და გაჭიანურებით). ლამის ვირწმუნო, რომ მართლა ასე იყო.

პილდე. რა გინდოდათ ჩემგან?

სოლნესი. თქვენ... თქვენ ახალგაზრდობა ხართ, პილდე.

სოლნესი. (ლაღი ხუმრობით). ახალგაზრდობა, რომლისაც ასე გეშინიათ?

სოლნესი (დიდხანს უქნევს თავს). და რომლისკენაც მთელი ჩემი არსებით მივისწრაფვი.

პილდე წამოდგება, პატარა მაგიდასთან მივა, რაგნარის საქალაღეს იღებს.

პილდე (საქალაღეს გაუწვდის). ეს ნახაზები ახლა...

სოლნესი (ხელით იშორებს, მოკლედ). მომამოორეთ ეს ნაგავი! საკმარისად მიყურებია, ზეპირად ვიცი.

პილდე. ჰო, მაგრამ რალაც უნდა წაგეწერათ.

სოლნესი. წავაწერო? ცოცხალი თავით ამის გამკეთებელი არა ვარ!

ჰილდე. მაგრამ ბერიკაცი რომ კვდება? ნუთუ ამ უკანასკნელი განზორების წუთებში მამა-შვილს ასეთი სისხარული არ უნდა მიანიკოთ? ამის შემდეგ ალბათ შენების ნებასაც მისცემენ.

სოლნესი. დიახ, ეს ასეა... შენების უფლებას მოიპოვებს. მგონი. უკვე დავალებაც აუღია მაგ... მუსიეს!

ჰილდე. ღმერთო ჩემო! თუ საქმე ასეა, ნუთუ პატარა მოტყუებაც არ შეგიძლიათ?

სოლნესი (აღშფოთებული). მოტყუება? მომშორდით მაგ თქვენი ეშმაკის ნახაზებიანად!

ჰილდე (საქალაღდეს ოდნავ უკან გასწევს). ჰო, ჰო, ჰო, არ მიკბინოთ ერთი! თქვენ ტროლები გალაპარაკებენ. მე მგონია, თვითონაც ტროლივით იქცევით (მიმოიხედავს). სადა გაქვთ კალამი და მელანი?

სოლნესი. ასეთი რამეები ამ ოთახში არა მაქვს.

ჰილდე (გასვლა უნდა). ეგერ, იმ ქალიშვილის ოთახში ხომ იქნება!

სოლნესი. არ წახვიდეთ, ჰილდე! იცრუეო, მირჩევთ. კარგი, მისი მოხუცი მამის გულისათვის შემეძლო ამის გაკეთება. მე ხომ ოდესღაც ის კაცი დავაქციე. გადავყირავე.

ჰილდე. ისიც?

სოლნესი. ადგილი ჩემთვის მესაჭიროებოდა. მაგრამ ეს რაგნარი არაფრის გულისათვის არ უნდა წავიდეს წინ.

ჰილდე. ვერც წავა ის საცოდავი... რაკი არ ვარგა, მაშინ...

სოლნესი (უახლოვდება, უყურებს და ჩურჩულით ეუბნება). თუ რაგნარი წინ წავა, მეც დაბლა დამცემს, სარმას გამომდებს. დამაქცევს, როგორც მე დავაქციე მამამისი.

ჰილდე. დამაქცევსო? მაშ, გამოუსადეგარი არ ყოფილა? ნიჭი ჰქონია!

სოლნესი. არხინად იყავით, ნიჭი აქვს და მერე როგორი! ეს ის ახალგაზრდობაა, კარებზე რომ მიკაყუნებს. თუ გავუღე, ხუროთმოდღარ სოლნესის საქმე წასულია.

ჰილდე. (წყნარი საყვედურის გამომხატველი მზერით). ამია მიუხედავად, უნდა გაუღოთ. ფუი, ხუროთმოდღარო!

სოლნესი. გულის სისხლის ფასად მომიპოვებია გამარჯვება ამ ბრძოლაში. თანაც მეშინია, რომ თანაშემწეები და მსახურებიც აღარ დამემორჩილებიან.

პილდე. მაშინ საკუთარი ღონით უნდა გაიკვლიოთ გზა, სხვა გამოსავალი არ არის.

სოლნესი. უიმედო მდგომარეობაა, პილდე. ბედი შეტრიალდება. ცოტა ადრე იქნება თუ ცოტა გვიან, სულერთია. ნაცვალგება უმოწყალო რამეა.

პილდე (შეშინებული, ყურებს დაიცობს). აჰ, ნუ ამბობთ ასეთ რამეს! თქვენ გინდათ მომკლაო? წამართვათ ის, რაც სიცოცხლეზედაც ძვირად მილირს?

სოლნესი. რა არის ასეთი?

პილდე. რომ თქვენ დიდების მწვერვალზე გიხილოთ და ხელში გვირგვინი გეჭიროთ. რომელიმე კოშკის, სამრეკლოს თავზე. (რსევ წყნარად). მაშ, მოხეციო ფანჯარი. ფანჯარი მაინც ხომ თანა გაქვო?

სოლნესი (იღებს ჭიბიდან). აგერ არის.

პილდე (საქალაღდეს დივანის გვერდით მაგიდაზე დებს). ახლა კი დავსწდეთ ერთად, ხუროთმოძღვარო, მე და თქვენ.

(სოლნესი მაგიდასთან ჯდება.)

პილდე (მის უკან დაიხრება და სკამის საზურგეს ეყრდნობა). ახლა კი დავწეროთ რამე ამ ნახაზებზე. რამე ნამდვილად ლამაზი და გრძნობიერი სიტყვები დავწეროთ... იმ საძაგელი რუარის მისამართით... თუ რა ქვია იმ ყმაწვილს.

სოლნესი (წერს რამდენსამე სტრიქონს, მერე თავს მოაბრუნებს და პილდეს შეხედავს). შითხარით, პილდე...

პილდე. რა?

სოლნესი. თუ მთელი ათი წლის განმავლობაში მომელოდით...

პილდე. მერე?

სოლნესი. რატომ არასოდეს არ მომწერეთ? მაშინ გიპასუხებდით.

პილდე (სწრაფად). ოჰ, არა, არა, არა! ეს არ მინდოდა.

სოლნესი. რატომ?

პილდე. მეშინოდა, რომ მაშინ ჩემთვის ყველაფერი გათავდებოდა... მაგრამ ჩვენ ხომ ნახაზებზე ვაპირებდით რამის დაწერას, ხუროთმოძღვარო?

სოლნესი. კი, როგორ არა.

პილდე (გადაიხრება და უყურებს, სოლნესი კი წერს). რა გულითადი და გულთბილი სიტყვებია! ო, როგორ მძულს, როგორ მძულს ის რუალდი!

სოლნესი. (განაგრძობს წერას). თქვენ სინამდვილეში არავინ არ გყვარებით, ჰილდე?

ჰილდე (შეატრად). რას ამბობთ ამას?

სოლნესი. თუ გყვარებით-მეთქი ვინმე ნამდვილად?

ჰილდე. სხვა ვინმეო, ამბობთ, არა?

სოლნესი (უყურებს). ვინმე სხვა, დიახ. არავინ? ამ ათ წელ-
წადში? არასოდეს?

ჰილდე. ო, როგორ არა, იყო ასეთი შემთხვევები: როდესაც გავ-
ბრაზდებოდი ხოლმე, რომ არ მოდიოდით.

სოლნესი. მაშ, ასეთ დროს სხვა ვინმეებიც ჩაგვარდნით
გულში?

ჰილდე. ცოტათი. ერთი ან ორი კვირით. ღმერთო ჩემო, თქვენ
ხომ იცით, ხუროთმოძღვარო, ეს რანაირად ზღუდა ხოლმე.

სოლნესი. ჰილდე, რისთვის მოხვედით ჩემთან?

ჰილდე. ნუ კარგავთ დროს ამ ტყუილი ლაპარაკით. საბრალო
ბერიკატი ალბათ წევს და უკვე სულს დაფავს.

სოლნესი. მიპასუხეთ, ჰილდე. რა გინდათ ჩემგან?

ჰილდე. მე მინდა ჩემი სამეფო მქონდეს.

სოლნესი. ჰმ... (მარცხენა მხარეს გადახედავს კარს წამიერად
და ნახაზებზე წერას განაგრძობს).

ამ დროს მარცხენა კარში შემოდის ფრაუ სოლნესი, ხელში ორიოდ
შეკვრა უჭირავს.

ფრაუ სოლნესი. აგერ, რამდენიმე წვრილმანი ვიყიდე თქვენ-
თვის, ფროილიან ვანგელ. დიდ პაკეტებს შემდეგ გამოგზავნიან.

ჰილდე. აჰ, ეს ხომ უზომო გულკეთილობაა თქვენის მხრით!

ფრაუ სოლნესი. უბრალო მოვალეობაა; მეტი არაფერი.

სოლნესი (დაწერილს კითხულობს). ალინე!

ფრაუ სოლნესი. რა იყო?

სოლნესი. ჩვენი ბუხჰალტერი ხომ არ დაგინახავს?

ფრაუ სოლნესი. რა თქმა უნდა, იქ არის.

სოლნესი (ნახაზებს საქაღალდეში აბრუნებს). ჰმ...

ფრაუ სოლნესი. საწერ მაგიდასთან იდგა... როგორც ყოველ-
თვის, როცა მე ოთახში გამოვივლი ხოლმე.

სოლნესი (წამოდგება). მე მინდა ეს გადავცე! თანაც ვუთხრა,
რომ...

ჰილდე (საქაღალდეს ართმევს). აჰ, არა, ამ სიამოვნებას ნუ წა-

მართმევთ! (მიდის კარებთან, უცებ მობრუნდება). რა ქვია იმ ქალი-
შვილს?

სოლნესი. მისი სახელია ფროილან ფოსლი.

პილდე. აჰ, რა სუსნიანი გვარი ჰქონია! სახელი მინდა.

სოლნესი. კაია... მგონი...

პილდე (კარს გააღებს და გადასძახის). კაია! მობრძანდით აქ!
ოღონდ ცოტა ჩქარა! ბატონ ხუროთმოძღვარს თქვენთან სალაპარაკო
აქვს.

(კაია კარებში გამოჩნდება).

კაია (გაუბედავად შემოდის, სოლნესს უყურებს). აქ გახ-
ლავართ...

პილდე (საქალაქის გუფედის). აჰა, კაია. შეგიძლიათ ეს ნახა-
ზები თან წაიღოთ. ბატონმა ხუროთმოძღვარმა ზედ რაღაც წააწერა.

კაია. აჰ, როგორც იქნა!

სოლნესი. გადაეცით მოხუცს, რაც შეიძლება ჩქარა.

კაია. ახლავე შინ გავიქცევი.

სოლნესი. ჰო, ასე მოიქცით. ამიერიდან რაგნარი შენებას
შესძლებს.

კაია. აჰ, ნებას მისცემთ, რომ აქ მოვიდეს და ყველაფრისათვის
მადლობა გითხრათ?...

სოლნესი (ცივად). არავეითარი მადლობა არ მჭირდება. სალაპი
გადაეცით ჩემგან.

კაია. დიახ, გადავცემ...

სოლნესი. ამასთან უთხარით, რომ მისი სამსახური აღარ მესა-
ჭიროება. აღარც თქვენ მჭირდებით.

კაია (წყნარად და კანკალით). აღარც მე გჭირდებით!

სოლნესი. ახლა სხვა რამეებზე იფიქრეთ. სხვა საქმე გავიჩნ-
დებათ. ამას რა სჯობია! მაშ, გაეშურეთ შინისაკენ და წაიღეთ ნახაზე-
ბი, ფრიოკენ ფოსლი! ჩქარა! გესმით თუ არა?

კაია (ისევ ისეთი ხმით). დიახ, ბატონო სოლნეს (გაღის).

ფრაუ სოლნესი. ღმერთო, რა ცბიერი გამოხედვა აქვს ამ
გოგოს!

სოლნესი. ამ გოგოს?! საბრალო პატარა კრავია!

ფრაუ სოლნესი. აჰ, მე საგონებელში ვარ, ჰალვარდ... ნუთუ
მართლა ითხოვ იმ ადამიანებს?

სოლნესი. დიახ.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. იმ გოგოსაც?

ს ო ლ ნ ე ს ი. შენ ხომ ასე გინდოდა?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მაგრამ შენ როგორღა გამოდგები უმისოდ? აჰ, თუმცა ვილაცა მარაგში გეგულება, პალვარდ?

პ ი ლ დ ე (მხიარულად). ყოველ შემთხვევაში, მე არა ვარ შექმნილი იმისათვის, რომ საწერ მაგიდასთან ვიდეგ.

ს ო ლ ნ ე ს ი. არაფერია, ალინე, ყველაფერი მოგვარდება. შენ ახლა სხვაზე არაფერზე იფიქრო, ახალ სახლში გადასვლის გარდა... რაც შეიძლება ჩქარა გადავიდეთ ახალ სახლში. დღეს საღამოს დავეციდებთ მის კენწეროზე გვირგვინს (პ ი ლ დ ე ს მიუბრუნდება). კოშკის ზეთაზე, სულ მალა. რას იტყვით ამაზე, ფრიოკენ პილდე?

პ ი ლ დ ე (მოციმიციმე თვალებით აშტერდება). საშინლად მშვენიერი რამ იქნება, ისევ ისეთ სიმალღეზე რომ გიხილოთ.

ს ო ლ ნ ე ს ი. მე!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, ღმერთო ჩემო! ფროილიან პილდე, ასეთი რამე გულშიაც არ გაივლით! ჩემი ქმარი... რომელსაც ისედაც თავბრუ ეხვევა.

პ ი ლ დ ე. თავბრუ? არა, ნუ გეშინიათ, ეს არ მოხდება!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ვიცი, თავბრუ დაეხვევა!

პ ი ლ დ ე. მაგრამ მე უკვე ვნახე ის ძალად სამრეკლოს თავზე!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. დიახ, ეს მეც გამიგონია, ასე ა მ ბ ო ბ ე ნ. მაგრამ ახლა შეუძლებელია...

ს ო ლ ნ ე ს ი (მკვეთრად). შეუძლებელია, შეუძლებელია! მაგრამ მე ხომ ნამდვილად ვიდექი მალა!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. როგორ ლაპარაკობ, პალვარდ? შენ ხომ ჩეენს აივანზეც ვერ გადიხარ, მეორე სართულზე! ასეთი იყავი ყოველთვის.

ს ო ლ ნ ე ს ი. ამ საღამოს ალბათ სხვა რამესაც ნახავ.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (შეშინებულად). არა, არა, არა! ღვთის გულისათვის, მე ამას ვერ გადავიტან. ახლავე მიეწერ დოქტორს. ის დაგარწმუნებს, რომ ასეთ განზრახვაზე ხელი უნდა აილო!

ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, მაგრამ, ალინე...

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. პალვარდ! შენ ხომ ავდა ხარ! ფიქრიც კი ხედმეტი! აჰ, ღმერთო, აჰ ღმერთო! (გადის მარჯვნივ).

პ ი ლ დ ე (აღლევიებული უყურებს) ეს მართალია თუ არა?

ს ო ლ ნ ე ს ი. მე რომ თავბრუ მესხმის ხოლმე?

პ ი ლ დ ე. რომ ჩემი ხუროთმოძღვარი ყოყმანობს... რომ ის

ვერ ბედავს, მას არ შეუძლია ავიდეს იმ სიმალლეზე, სადამდეც თვითონ აშენებს?

სოლნესი. ამ საქმეს ასეთი კუთხიდან უყურებს, არა?

პილდე. დიახ.

სოლნესი. მალე ალბათ ჩემს სხეულში ერთი კუთხე-კუნჭულიც აღარ დარჩება, რომ თქვენ შიგ არ შეიჭრათ.

პილდე (ერკერის ფანჯრიდან იყურება). მაშ, ასე, ზემოთ. სულ ზემოთ...

სოლნესი (უახლოვდება). სულ ზედა სართულში უნდა გაცხოვროთ, პილდე! იქ ისე იცხოვრებთ, როგორც ნამდვილი პრინცესა.

პილდე (სერიოზულობისა და ხუმრობის უცნაური ნარევით). თქვენ ასე დამპირდით.

სოლნესი. ნუთუ ნამდვილად?

პილდე. ფუი, ხურთმოდღარო! თქვენ მითხარით, პრინცესა იქნებიო. თქვენგან სამეფო უნდა მიმეღო, ასე დამითქვით. მერე კი... აბა, რასა ჰგავს ეს?

სოლნესი (ფრთხილად). სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ეს სიზმარი არ იყო? წარმოდგენა, რაც თქვენს გონებაში ღრმად შეიჭრა?

პილდე (ცივად, მკვახედ). მაშ, თქვენ ასეთი არაფერი გაგიკეთებიათ?

სოლნესი. თვითონაც არ ვიცი (წყნარად). მხოლოდ ერთი რამ კი დაბეჭითებით ვიცი: რომ მე...

პილდე. რომ თქვენ?... ჩქარა მითხარით!

სოლნესი. რომ მე ასე უნდა გამეკეთებინა.

პილდე (თამამად, აღმაფრენით). მერე, ასეთ ადამიანს თავბრუს ესხმისო? რაებს ამბობენ! ეს არასოდეს არ შეიძლება მოხდეს!

სოლნესი. მაშ, ამ საღამოს ჩვენ კოშკის თავზე გვირგვინს დავკიდებთ, დედოფალო პილდე!

პილდე (მწარე გამომეტყველებით). თქვენს ახალ ოჯახურ კერაზე, დიახ.

სოლნესი. ახალ სახლზე, რაც ჩემთვის არასოდეს არ განდება მშობლიური კერა. (აიენის პატარა კარში გადის).

პილდე (მარტოკა, დაღვრემილი იყურება წინ და თავისთვის ჩურჩულებს, ისმის მხოლოდ ორიოდ სიტყვა). რა საშინლად ამაღელვებელია...

დიდი ფართო ვერანდა ს ო ლ ნ ე ს ი ს სახლისა. სახლის ნაწილი, რაც ვერანდაზე გასასვლელსაც შეიცავს, მარცხენა მხარეს ჩანს. გასასვლელში მოშინული კარია. მარჯვენა მხარეს ვერანდას მოაჯირი გასდევს. იქით, ვერანდის ვიწრო მხარეს, კიბეა, ბაღში ჩადის. ბაღი სულ ძირსაა. დიდი ძველი ხეები ტოტებს იწვლიან ვერანდაზე და სახლის კედლებისაკენ. ვერანდის მარჯვენა მხარეს, ხეებს შორის, ახალი აგარაკის ქვედა ნაწილი ჩანს, დაბლიდან აუვანილ ხარაჩოებს სახლზე დაშენებული კოშკი გადმოსცქერის. ხედის იქით, უკანა მხარეს ძველებური ეკლიანი ღობეა, ბაღს გასდევს და ახალ, მაღალ შენობას ყოფს ქუჩისაგან, სადაც პატარა უბადრუკი შენობებია.

მწუხრის ცაზე ღრუბლებს მზის შუქი ეთამაშება. ვერანდაზე კედლის გაყოფებით გრძელი სკამია, წინ კიდევ გრძელი მაგიდა. მაგიდის მეორე კედლთან სკამი დგას, საზურგაიანი, იქვე უბრალო სკამებიცაა. მთელი ავეჯი დაწნულია.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი, ერთიანად თეთრ შალში გახეული, საზურგაინ სკამზე ზის და თვალმოუშორებლად აცქერდება მაღლა მარჯვენა მხარეს. ცოტა ხნის შემდეგ ბაღის კიბით ჰ ი ლ დ ე ამოდის. წინანდებურადაა ჩაცმული, იგივე ქუდი ახურავს. მხოლოდ მკერდზე უბრალო მინდვრის ყვავილების თაიგული მიუმაგრებია.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (თავს ოდნავ მოაბრუნებს). ბაღში სეირნობდით, ფრიოკენ ვანგელ?

ჰ ი ლ დ ე. ჰო, ცოტა თვალი გადავაგლე.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ყვავილებიც გიპოვნიათ, როგორცა ვხედავ.

ჰ ი ლ დ ე. ჰო, როგორ არა! საესეა, მეტადრე ბუჩქებში.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. არა, მართლა? ჯერ კიდევ? მე თითქმის აღარ ჩავდივარ ბაღში.

ჰ ი ლ დ ე. რასა ბრძანებთ? განა დღეში ერთხელ მაინც ბაღში არ ჩაინავარდებთ ხოლმე?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი (მისუსტებული იცინის). რალა დროს ჩემი „ჩანაევარდებაა!“ მე ისედაც არ ვიცოდი ხტუნვა, ახლა მით უმეტეს.

ჰ ი ლ დ ე. მაგრამ ნუთუ ხანდახან ბაღშიაც არ ჩაირბენთ ხოლმე, რომ მთელი ეს მშვენიერება იხილოთ?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ყველაფერი უტეხოდ ქეუულა ჩემთვის. მუშინია კიდევაც, ვაი თუ ისევე ვიხილო-მეტქი!

ჰ ი ლ დ ე. თქვენი საკუთარი ბაღი!

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ასე მგონია, ჩემი აღარ არის-მეტქი.

ჰ ი ლ დ ე. რას ნიშნავს ესა?..

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. არა, არა, ის ჩემი აღარაა. დედ-მამის სოცოცხლეში ასე როდი იყო. რალა დარჩა! რომ იცოდეთ, გული მოგიკვდებათ. წარმოიდგინეთ, დაქუცმაცეს, სახლები ააშენეს სხვათა ბავ-

შვებისათვის. უცხო ადამიანებისათვის, როზელთაც არ ვიცნობ. ჩავალ და ფანჯრებიდან გადმომხედავენ.

პილდე (ნათელი გამომეტყველებით). ფრაუ სოლნეს!

ფრაუ სოლნესი. რა იყო?

პილდე. ნებას მომცემთ, რომ ცოტა ხნით თქვენთან გაჩერდე?

ფრაუ სოლნესი. ოღონდაც, თუ შეგიძლიათ.

პილდე სკამს მისწევს და ჯდება.

პილდე. აჰ... აქ შეიძლება იჯდე და მზეზე თბებოდე, როგორც ფისო.

ფრაუ სოლნესი (ხელს მსუბუქად დადებს ქალიშვილის კეფაზე). დიდი გულსხმიერება გამოიჩინეთ, ჩემთან დაჯდომის სურვილი რომ გამოთქვით. მე მეგონა, ჩემს ქმართან შესვლას აპირებდით.

პილდე. იმასთან რა უნდა გამეკეთებინა?

ფრაუ სოლნესი. დაეხმარებოდით რამეში.

პილდე. აჰ, არა. არც არის იქა. მუშებთანაა. თანაც ისეთი მოლუშულია. სიტყვის თქმასაც ვერ შევბედავ.

ფრაუ სოლნესი. არა, არ იცნობთ ჩემს ჰალვარდს. იცით, რა გულკეთილი და გულსხმიერია ბუნებით?

პილდე. სოლნესი?

ფრაუ სოლნესი. თქვენ ჯერ წესიერად არ იცნობთ, ფრიოკენ ვანგელ!

პილდე (თანაგრძნობით უყურებს ფრაუ სოლნესს). განა ახალ სახლში გადასვლა არ გიხარიათ?

ფრაუ სოლნესი. მხიარული უნდა ვიყო, რადგან ჰალვარდს ასე სურს...

პილდე. აჰ, არა მარტო ამისათვის, ასე ვფიქრობ.

ფრაუ სოლნესი. არა, ფრიოკენ ვანგელ, სწორედ ამისათვის. მე მოვალე ვარ ქმრის მორჩილი ვიყო. მაგრამ ზოგჯერ მართლაც ძნელია საკუთარი გრძნობა-გონების დამორჩილება, რომ სხვისი მორჩილი იყო.

პილდე. დიახ, ეს მართლაც ძნელი უნდა იყოს.

ფრაუ სოლნესი. შეგიძლიათ დამიჩეროთ. ვისაც ჩემსავით ბევრი ნაკლი აქვს... ვინც ჩემზე უკეთესი ადამიანი არაა...

პილდე. ვისა? ჰქონია თქვენებრ უზომო განსაცდელი ცხოვრებაში...

ფრაუ სოლნესი. ეს საიდან იცით?

პილდე. თქვენმა ქმარმა მითხრა.

ფრაუ სოლნესი. ჩემთან კი ამ ამბებზე ხაკლებად ლაპარაკობს... ჰო, ფროიენ ვანგელ, ცხოვრებაში მართლაც ბევრი განსაცდელი შემხვედრია.

პილდე (თანაგრძნობით უყურებს და დიდხანს უქნევს თავს). საბრალო ფრაუ სოლნეს! ჯერ იყო და სახლი დაგეწვათ...

ფრაუ სოლნესი (ოხვრით). დიახ. მთელი ჩემი ქონება დაიწვა.

პილდე. მერე კი უარესი უბედურება დაგატყდათ.

ფრაუ სოლნესი. უარესი?

პილდე. რაც ყველაზე მძიმეა.

ფრაუ სოლნესი. რას გულისხმობთ ამაში?

პილდე (წყნარად). ორივე ბიჭუნა დაგელუბათ.

ფრაუ სოლნესი. აჰ, შვილები, დიახ. იცით, ეს სრულიად თავისებური საქმეა თავისთავად. უზენაესის ნება იყო. ასეთ ნებას აღამიანი უნდა დაემორჩილოს. ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ.

პილდე. მერე, ეუბნებით?

ფრაუ სოლნესი. იშვიათად, საუბედუროდ. კარგად კი ვიცი, რომ ეს ჩემი ვალია. მაგრამ მე არ შემიძლია.

პილდე. დიახ, დიახ, მეც ასე ვიტყვოდი, ბუნებრივია.

ფრაუ სოლნესი. ჰოდა, ხშირად მგონია, რომ სამართლიანად დავისაჯე...

პილდე. ეს როგორ?

ფრაუ სოლნესი. იმისათვის, რომ უბედურებაში საკმაო სიმტკიცე ვერ გამოვიჩინე.

პილდე. მაგრამ მე არ მესმის, რანაირად...

ფრაუ სოლნესი. აჰ, გვეყოფა, ფროიენ ვანგელ, ნულარ ვილაპარაკებთ იმ ორ ყრმაზე. მათი დაღუპვა მხოლოდ უნდა გვასარებდეს. ახლა ხომ ორივე ასე კარგად არის, ასე კარგად... არა, დღეს მხოლოდ ის პატარა დანაკლისები მხეთქავენ გულს. დაკარგვა ყოველივე იმისა, რასაც სხვები სულ უმნიშვნელო რამეებად თვლიან.

პილდე (ხელს მუხლზე დაადებს და თანაგრძნობით უყურებს). ძვირფასო ფრაუ სოლნეს, მითხარით, რა არის ეს?

ფრაუ სოლნესი. ის, რაც გითხარით. ნამდვილი წვრილმანები. მაგალითად, ძველებური პორტრეტები, კედლებზე რომ ეკიდა და დაიწვა. ის აბრეშუმის სამოსელი, რასაც ოჯახი, ვინ იცის, რამდენი ხანი ინახავდა. დედის და დიდედის მთელი სამკაულები და ბაფთები ---

რაც აგრეთვე დაიწვა. (ყრუდ) მთელი ძვირფასეულობა და თოჯინები.
პილდე. თოჯინები?

ფრაუ სოლნესი (ცრემლი ახრჩობს). ცხრა მშვენიერი დედოფალა მქონდა.

პილდე. ცხრავე დაიწვა?

ფრაუ სოლნესი. როგორც ერთი. ოჰ, როგორ მომიკვდა, როგორ მომიკვდა გული.

პილდე. ნუთუ იმ თოჯინებს ინახავდით, რომელთაც ბავშვობაში ეთამაშებოდით?

ფრაუ სოლნესი. კი არ ვინახავდი, მუდამ ასე განვაგრძობდი მათთან ცხოვრებას, როგორც ბავშვობაში ვცხოვრობდი.

პილდე. მაშინაც, როცა დაქალდით?

ფრაუ სოლნესი. დიახ, და უფრო მოგვიანებითაც.

პილდე. მაშინაც, როცა გათხოვდით?

ფრაუ სოლნესი. ჰო, მაშინაც და შემდეგაც. ქმრის ჩუმაღ... მერე ყველა დაიწვა, საცოდავები. მათი გადარჩენა არავის უცდია. აჰ, რა მძიმეა ამზე ფიქრი! რომ მაგონდება... მაგრამ თქვენ არ დამცინოთ, ფრიოკენ ვანგელ.

პილდე. მე სულაც არ მეცინება.

ფრაუ სოლნესი. თავისებურად ცოცხალი არსებები იყო. გულით ვატარებდი. როგორც ჭერარშობილ პატარებს.

დოქტორი ჰერდალი შემოდის ქუდით ხელში, ფრაუ სოლნესსა და პილდეს დაინახავს.

ჰერდალი. აჰ, ეს რა არის, პატივცემულო ქალბატონო, ვინდით გაცივდეთ, აქ რომ დამჯდარხართ, ღია ცის ქვეშ?

ფრაუ სოლნესი. მე მგონია, დღეს არ ცივა და მშვენიერი ამინდითაა.

ჰერდალი. ეს მართალია. მაგრამ რა მოხდა დღეს თქვენსას? მე თქვენი წერილი მივიღე.

ფრაუ სოლნესი (წამოდგება). დიახ, მოხდა ის, რაზედაც მინდა შემოგჩვილოთ.

ჰერდალი. კეთილი. მაშ, შინ შევიდეთ (პილდეს). ქალიშვილო, დღესაც მთამსვლელებით გაცვიათ?

პილდე (წამოდგება, მხიარულად). რა თქმა უნდა! სრულიად საზეიმოდ! ოღონდ დღეს აღარ ვაპირებ მალლა ცოცვასა და კისრის.

ტყვას. ჩვენ, ექიმო, დაბლა დავრჩებით და აქედან შევხედავთ, რაც მოხდება მაღლა.

ჭერდალი. რა უნდა მოხდეს?

ფრაუსოლნესი (ძალიან წყნარად, ჰილდეს). სსუ, სსუ, ღვთის გულისათვის! აგერ მოდის! უყურეთ, როგორ გადაათქმევენებს თავის ახირებულ განზრახვას. ჰოდა, ვიყოთ მეგობრები, ფრიოკენ ვანგელ. ვერ შევძლებთ ამას?

ჰილდე (გაშმაგებით მოეხვევა ყელზე). აჰ, რომ შეგვეძლოს!

ფრაუსოლნესი (ფრთხილად იშორებს). მაშ... იყოს ასე! აგერ მოდის, ექიმო. უნდა მოგელაპარაკოთ.

ჭერდალი. საქმე სოლნესს ეხება?

ფრაუსოლნესი. დიახაც, მას ეხება.

ფრაუსოლნესი და ექიმი სახლში შედიან.

იმადროულად ბაღის კიბიდან ამოდის სოლნესი. ჰილდესსახე სერიოზულ გამომეტყველებას იღებს.

სოლნესი (თვალს გააპარებს იმ კარისაკენ, რომელიც ცხვირწინ მოუხურეს წყნარად). შეამჩნიეთ, ჰილდე, როგორ გადის როცა მე შემოვდივარ?

ჰილდე. მე შევამჩნიე: რომ ისინი განზე მიიპარებიან, როდესაც თქვენ მოდინხართ.

სოლნესი. შესაძლებელია. აქ ვერაფერს გავხდები (ყურადღებით უყურებს ჰილდეს). გეივით, ჰილდე? ასე გამოიყურებით.

ჰილდე. ეს არის ამოკედი ქვესკნელის აკლდამიდან.

სოლნესი. ამას რატომ ამბობთ?

ჰილდე. ისე რომ, ერთიანად გავიყინე, ხუროთმოძღვარო.

სოლნესი (გაჰიანურებით). მგონი, გაგიგეთ...

ჰილდე. ახლა აქ რა გინდათ?

სოლნესი. მაღლიდან დავინახეთ.

ჰილდე. მაშ, თქვენს ცოლსაც დაინახავდით.

სოლნესი. ვიცოდი, მაშინვე წავიდოდა, როგორც კი მე მოვიდოდი.

ჰილდე. ძალიან გაწუხებთ ეს ამბავი, გზიდან რომ გეცლებათ?

სოლნესი. რამდენადმე ამასაც ვუტიგდები: გულზე მომეშვება ხოლმე.

ჰილდე. როდესაც თვალწინ არა გყავთ ხოლმე?

სოლნესი. დიახ.

პილდე. რაკი არ ხედავთ, როგორ იტანჯება ერთთავად შვილებს უდროოდ დაკარგვის გამო?

სოლნესი. დიახ. ყოველივე ამის გამო.

პილდე ხელებს ზურგზე გადაიწყობს, ვერანდაზე დაიარება, მერე მოაჩირს დაეყრდნობა, ბალში იყურება.

სოლნესი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). დიდხანს ესაუბრეთ?

პილდე (უძრავად უყურებს, უპასუხოდ ტოვებს).

სოლნესი. დიდხანს თუ ესაუბრეთ-მეთქი, გეკითხებით.

პილდე (ისევ ისე დუმს).

სოლნესი. საბრალო ალინე! ალბათ ისევ ყმაწვილებზე...

პილდე (რამდენჯერმე ნერგულად შეაქანკალებს, შემდეგ ორჯერ-სამჯერ სწრაფად დაუქნევს თავს).

სოლნესი. ვერ დაივიწყებს. ვერასოდეს ვერ დაივიწყებს (პილდეს უახლოვდება). ახლა ისევ ისე დგახართ. როგორც ქვის სვეტი. წუხელ სადამოსაც ასე იდებოთ.

პილდე (შემობრუნდება და ფართო, სერიოზული თვალებით უყურებს). მე მივმგზავრები.

სოლნესი (მკაცრად). თქვენ მიემგზავრებით?

პილდე. დიახ.

სოლნესი. ამის ნებას არ მოგცემთ!

პილდე. მაშ; აქ რა უნდა გავაკეთო?

სოლნესი. მხოლოდ ყოფნა, აქ ყოფნა, მეტი არაფერი, პილდე!

პილდე (თვალებით ზომავს). ეს ურიგო არ იქნებოდა. საქმე ამით არ დამთავრდებოდა. რაიმე მოვალეობაც ხომ უნდა მქონდეს!

სოლნესი (უნებურად). მით უკეთესი.

პილდე (მხურვალედ, მკვახედ). მე არ შემოიძლია ზიანი მივყენო ადამიანებს, რომელთაც ვიცნობ! ვერ წავართმევ იმას, რაც მათ ეკუთვნით.

სოლნესი. მერე ვინ ამბობს, რომ ასე უნდა მოიქცეთ?

პილდე (უპასუხოდ ტოვებს). უცხოს კი, ეს სულ სხვა საქმეა. ვინც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მაგრამ თუ ადამიანი გავიცანი, თუ დაეუახლოვდი კიდე, მერე... არა! არასოდეს! ფუი!

სოლნესი. დიახ, მაგრამ სხვა რამე არც მიფიქრია!

პილდე. აჰ, ხუროთმოძღვარო, თქვენ კარგად იცით, რაც მოხდებოდა! სწორედ ამიტომ მინდა ჩემს გზას ვეწიო.

სოლნესი. მაგრამ დაფიქრდით, რა გამოვიდოდა. ჩემგან, რა

მომივიდოდა, თუ თქვენ წახვიდოდით? ვისთვის და ვიციოცლებდი ამერიიდან?

პილდე (გაურკვეველი გამომეტყველებით უყურებს). თქვენ კიდევ რა გიჭირდათ! თქვენ ხომ მოვალეობა მანც გაქვთ თქვენო მეუღლეს წინაშე! ამ მოვალეობასათვის სიცოცხლებათ.

სოლნესი. მეტისმეტად დაგეჟანებულა. ასეთი ძალები... ასეთი... ასეთი...

პილდე. ეშმაკები?..

სოლნესი. დიახ, ეშმაკები! აგრეთვე ტროლები. ჩემში რომ მოკალათებულან. მთელი ჩემი ღონე, სიცოცხლის ღონე გამომაცალეს. სისხლ-შესვებს (სასოწარკვეთილი იცინის). ჩემი ბედნიერებისათვის გააქეთეს ასეთი საქმე! დიახ, დიახ! (მძიმე ოხვრათ). და ააღა ჩემი ცოლი მკვდარია... ჩემი გულსაფრის! მე ცოცხალი ვარ და მიჭაჭვეული ვარ მკვდართან (სამუნღლად ელდანავრავი). მე... მე... მე... ვიცის სიცოცხლე არ შემიძლია უსინჯარულად!

პილდე (მაგიდას შემოწვლას, გრძელ სკამზე დაჯდება. იდაყვებზე დაეყრდნობა და სოლნესს უყურებს. ასე ზის კარგა ხანს). რას ააშენებთ უახლოეს დროში?

სოლნესი (თავის ქნევით). არა მგონია შეეძლო რაიმე აშალებულის აშენება. რა უნდა ავაშენო?

პილდე. პატარა მყუდრო ოჯახური კერები დედებისა და მამებისათვის? ბავშვებისათვის?

სოლნესი. არა მგონია ვინმეს კიდევ დასჭირდეს აშგვარარამე.

პილდე. საბრალო ხუროთმოძღვარო! მთელი ათი წელიწადი ამისათვის იარეთ და იბრძოლეთ? მთელი თქვენი სიცოცხლე ამისათვის გასწირეთ, მხოლოდ ამისათვის?

სოლნესი. ჰო, თქვენ უფლება გაქვთ ასე თქვათ, პილდე.

პილდე (უეცრად, აღმოღებული). აჰ, რა სისულელე გამოდის ყველაფერი... და სისულელე!

სოლნესი. მაინც რა?

პილდე. რომ აღამიანს არ შესწევს უნარი ხელი აღმართოს საკუთარი ბედნიერების შესაპყრობად! საკუთარი სიცოცხლისათვის ვეღარ მოუცილა! სულ კი იმის გამო, რომ გზაზე დგას ვიღაც სხვა, რომელსაც იცნობს!

სოლნესი. რომლის გასწრების უფლებაც არა აქვს.

პილდე. მე მიწოდოდა მცოდნოდა, მაინც ხომ არა აქვს ასე-

თი უფლება... მაგრამ მეორე მხრივ... აჰ, რომ შეიძლებოდეს დაძინება და მთელი ამ თავსატეხების გადავიწყება! (მაგიდაზე ხელებს გაშლის, ცალ ლოყას ზედ დადებს და თვალებს დახუჭავს).

სოლნესი (დაწულ სკამს შეატრიალებს და მაგიდაზე დაჯდება). გაქვთ თუ არა კეთილმოწყობილი, მყუდრო და ბედნიერი ოჯახური კერა, ჰილდე?.. იქა, მამის სახლში?

ჰილდე (უძრავად, ნახევრად მძინარესავით). მხოლოდ გალია მქონდა.

სოლნესი. ჰოდა, აღარ გინდა იქ დაბრუნება?

ჰილდე (ისევ ისე). გარეული ჩიტი აღარ ბრუნდება თავის გალიაში.

სოლნესი. თავისუფალ სივრცეში უჯობს ნადავლის ძებნა...

ჰილდე (ისევ ისე). მტაცებელი ფრინველისათვის ეს მისწრებაა...

სოლნესი (დაყინებით უყურებს). ეჰ, ერთი მომცა ვიკნეგების კადნიერება!..

ჰილდე (თვალებს ახელს, ისევ ისე უძრავად ზის, თავისი ჩვეულებრივი ხმით). და კიდევ რა? თქვით, რა უნდა გეთქვას?

სოლნესი. მაგარი სინდისი.

ჰილდე (სიხარულით წამოვარდება, თვლებში ისევ სიამის სხივი ჩაუდგება, თავს უკრავს). მე უკვე ვიცი, რასაც ააშენებთ ახლო ხანში!

სოლნესი. თქვენ ჩემზე მეტი იცით, ჰილდე.

ჰილდე. დიახ, ხუროთმოძღვარო, თქვენ ერთობ სულელი ხართ.

სოლნესი. ჰოდა, რას ააშენებს სულელი?

ჰილდე (ისევ თავის ქნევით). ციხესიმაგრეს.

სოლნესი. რა ციხესიმაგრე გინდათ?

ჰილდე. ჩემთვის, რა საკითხავია!

სოლნესი. ახლა ციხესიმაგრეც მოგინდათ?

ჰილდე. ნება მიბოძეთ გკითხოთ: ჩემი სამეფო არ უნდა მომცეთ?

სოლნესი. თქვენ ასე ამბობთ, მართალია.

ჰილდე. ძალიან კარგი. მაშასადამე, სამეფო გმართებთ. სამეფოს კი ციხესიმაგრეც აქვს, ხომ მართალს ვამბობ?

სოლნესი (უფრო და უფრო შესამჩნევი აღმაფრენით). ჰო, რა თქმა უნდა, აქ მეორე აზრი არ არსებობს.

ჰილდე. კეთილი. მაშ, ამიშენეთ! ახლავე!

სოლნესი (სიცილით). ახლავე ამ ადგილას?

ჰილდე. ცხადია! რადგან ათი წელი უკვე გავიდა, მე კი აღარ

მინდა ლოდინი. საკმაოდ ვიცადე. მომეცით ჩემი ციხე-კოშკი, ხუროთ-
მოდღვარო!

სოლნესი. მტრისას, ხუმრობა საქმე არ ყოფილა თქვენს ვალ-
ში ჩავარდნა.

პილდე. ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ. ახლა გვიანდაა. ამრიგად
(აბრაახუნებს მაგიდაზე), ახლავე ამ მაგიდაზე გაჩნდეს ციხე-კოშკი! ეს
ჩემი კოშკი იქნება! ახლავე მინდა ვიხილო!

სოლნესი (უფრო ახლოს მიიწევს მაგიდასთან, ხელებს ზედ და-
აყრდნობს, სერიოზულად). რანაირად გაქვთ წარმოდგენილი ციხე-კოშ-
კი, პილდე?

პილდე (პილდეს თვალებში თითქოს ბურუსი წეება. გეგო-
ნებათ, საკუთარი სულის სიღრმეში იხედებაო, ნელი ხმით). ჩემი ციხე-
სიმაგრე ერთიანად სივრცეში იქნება. საშინლად მალლა. სრულიად თა-
ფისუფალ ველზე, რომ შორს ვიყურებოდე, თვალსაწიერზე გაშლილ
ქვეყანას ვუყურებდე... ყოველ მხარეს.

სოლნესი. და მაღალი კოშკი აგვირგვინებდეს?

პილდე. ძალუმი, უმაღლესი კოშკი. სულ ზემოთ, კოშკის თავში
აივანი უნდა იყოს. იქ მინდა ვიდგე...

სოლნესი (უნებურად შუბლზე წაივლებს ხელს). როგორ
შეგიძლიათ ასეთ თავბრულდამხვევ სიმაღლეზე დგომა!

პილდე. ცხადია, შემიძლია! სწორედ იქ მინდა ვიდგე და ყვე-
ლას მაღლიდან დავცქეროდე... იმათაც, ვინც ეკლესიებს აშენებს...
ფინც ოჯახურ კერებს აშენებს დედ-მამისა და ბავშვთა გუნდისათვის.
თქვენც უნდა ამოხვიდეთ ჩემთან და გადაიხედოთ.

სოლნესი (სულშეგუბებული). განა შეუძლია ხუროთმოდღვარს
დედოფალთან ავიდეს?

პილდე. თუ ხუროთმოდღვარი ისურვებს... სად არ ავა!

სოლნესი (უფრო წყნარად). მაშინ, დარწმუნებული ვარ, ხუ-
როთმოდღვარი ისურვებს.

პილდე (თავის ქნევით). ხუროთმოდღვარი... ამოვა.

სოლნესი. მაგრამ ის ველარაფერს ააშენებს... საბრალო ხუროთ-
მოდღვარი.

პილდე (ცოცხლად). ო, როგორ არა! ჩვენ ორივე ერთად გავა-
კეთებთ ამას. მერე ავაშენებთ უმშვენიერესს... უმშვენიერეს რამეს,
რაც კი ქვეყნად არსებობს.

სოლნესი (აგზნებული). პილდე... მითხარით, რა არის ეს?

პილდე (ღიმილით შესცქერის, წყნარად აქნევს თავს, ტუჩებს

წინ წამოსწევს და თითქოს ბავშვს ეალერსება). სუროთმოდღვარნი მეტისმეტად სულელნი არიან.

სოლნესი. ოჰ, რა თქმა უნდა, სულელები არიან. მაგრამ მითხარით, ეს რა არის! რა არის დედამიწაზე უმშვენიერესი? და რა უნდა ავაშენოთ მე და თქვენ ერთად?

პილდე (ჭერ დუმს, შემდეგ კი გაურკვეველი გამომეტყველებით შესცქერის). ჰაერში დაკიდული კოშკები.

სოლნესი. დაკიდული კოშკები?

პილდე (თავის ქნევით). ჰაერში დაკიდული კოშკები-მეთქი, დიახ! იცით, რა არის საჰაერო კოშკი?

სოლნესი. თქვენი თქმით — უმშვენიერესი რამ დედამიწაზე.

პილდე (მკვეთრი მოძრაობით წამოდგება, ხელებს აღმართავს და შორს დაიჭერს). დიახ, რა თქმა უნდა! დიახ! საჰაერო კოშკები მოხერხებული თავშესაფარია! მათი შენებაც იოლია (დამცინავი მზერით), მეტადრე იმ სუროთმოდღვართათვის, რომელთა სინდისსაც... თავბრუ ეხვევა.

სოლნესი (წამოდგება). ამერიდან ერთად ვაშენოთ, პილდე.

პილდე (ოდნავ შესამჩნევი ეჭვიანი ღიმილით). ნამდვილი საჰაერო კოშკი?

სოლნესი. დიახ. ოღონდ ფუჭი ოცნებისა კი არა, ქვის საძირკველზე ნაგები.

რაგნარი ბრუნდება თავისი სახლიდან. დიდი მწვანე გვირგვინი მოაქვს, ყვავილებითა და აბრეშუმის ბაფთით შემკული.

პილდე (სიხარულით აღფრთოვანებული). შეხეთ, გვირგვინი! აჰ, რა მშვენიერია!

სოლნესი (გაოცებული). თქვენ გვირგვინი მოიტანეთ, რაგნარ? რაგნარი. სუროთა ათისთავს შევპირდი.

სოლნესი (გულზე მოეშვა). აჰ, მამ, მამათქვენი თავს უკეთა გრძნობს?

რაგნარი. არა.

სოლნესი. ჩემმა მინაწერმა ვერ უშველა?

რაგნარი. გვიან მოიტანეს.

სოლნესი. ვერ მიუსწრეს!

რაგნარი. როცა კიამ ნახაზები მოიტანა, მამა უკვე გრძნობაზე აღარ იყო. წვეთი დაეცა და გათავდა.

სოლნესი. მამ, წადით სახლში! მიხედეთ მიცვალებულს.

რ ა გ ნ ა რ ი. მამას მე აღარ ვესაქიროები.

ს ო ლ ნ ე ს ი. მაგრამ თქვენ ხომ ცხედართან უნდა იყოთ!

რ ა გ ნ ა რ ი. კაია იქ დარჩა.

ს ო ლ ნ ე ს ი (რამდენადმე გაუბედავად). კაია?

რ ა გ ნ ა რ ი (დაღვრემილი უყურებს). კაია, მაშ, ვინა?

ს ო ლ ნ ე ს ი. შინ წადით, რაგნარ. ერთთანაც და მეორესთანაც. მომეცით ეს გვირგვინი.

რ ა გ ნ ა რ ი (იკავებს დამცინავ ღიმილს). თვითონ თქვენ ხომ არ აპირებთ...

ს ო ლ ნ ე ს ი. მე თვითონ ავიტან, დიახ... რა თქმა უნდა! (გვირგვინს გამოართმევს). ახლა კი წადით შინ. დღეს საღამოს თქვენ აღარ დაგვექირდებით.

რ ა გ ნ ა რ ი. ვიცი, თქვენ მე საერთოდ აღარ გესაქიროებით. მაგრამ დღეს მაინც დავრჩები.

ს ო ლ ნ ე ს ი. მაშინ დარჩით, თუ ძალიან გინდათ.

ჰ ი ლ დ ე (მოაჯირთან). ხუროთმოძღვარო, მე აქ მინდა ვიღვე და ასე გიყუროთ.

ს ო ლ ნ ე ს ი. მე?

ჰ ი ლ დ ე. საშინლად ამაღლელებელი წუთები იქნება.

ს ო ლ ნ ე ს ი (ყრუდ). ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ჰილდე.

გვირგვინს კიბეზე ჩაიტანს, ბალსაც გაივლის.

ჰ ი ლ დ ე (უყურებს, მერე რაგნარს მიუბრუნდება). თქვენ მადლობის თქმა გმართებდათ!

რ ა გ ნ ა რ ი. მე მმართებდა? განა ამ კაცს უნდა ვუმაღლოდე?

ჰ ი ლ დ ე. ნამდვილად გმართებდათ!

რ ა გ ნ ა რ ი. უმალ თქვენ დაგიმადლებდით.

ჰ ი ლ დ ე. როგორ აძლევეთ თავს ნებას, რომ ასე თქვათ?

რ ა გ ნ ა რ ი (პასუხს არ აძლევს). მაგრამ ფრთხილად იყავით, ქალიშვილო! თქვენ ამ კაცს ჯერ კიდევ არ იცნობთ.

ჰ ი ლ დ ე (გაცეცხლებული). აჰ, მე... მე მას ყველაზე კარგად ვიცნობ!

რ ა გ ნ ა რ ი (გამწარებული იცინის). მადლობა მოვახსენო ი მ მ ა ს, ვინც ამდენი წელიწადი მიმსახურა! ვინც მამა ისეთ ეჭვში ჩააგდო, რომ ჩემს უნარში ეჭვი ეპარებოდა. ვინც მე დამჩაგრა და დამაბეჩავა... ყველაფერი კი იმისათვის, რომ...

პილდე (თითქოს რაღაც წინათგრძნობა აქვსო). რისთვის? ჩქარა მითხარით!

რაგნარი. იმისათვის, რომ ჩემი დანიშნული აქა ჰყოლოდა!

პილდე (სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდება). მერხთან მდგარი ქალიშვილი?

რაგნარი. დიახ.

პილდე (მუშტით ემუქრება). ეს არაა მართალი! თქვენ სოლნესს ცილსა სწამებთ!

რაგნარი. დღემდე არც მე მჯეროდა, ვიდრე კაია თვითონ არ მეტყვოდა.

პილდე (როგორც მოთმინებიდან გამოსული). ეგ რა მითხარით მე მინდა დაწვრილებით ვიცოდე! ჩქარა! ჩქარა!

რაგნარი. ჩემს სულსა და გონებას დაეპატრონაო, მითხრა. ყველა ჩემი ფიქრი მას ეკუთვნისო. არსად და არასოდეს არ შემიძლია უმისობაო. იქ უნდა დავჩრე, სადაც სოლნესიაო...

პილდე (ცეცხლოვანი თვალებით). ამას ვერ იზამს!

რაგნარი (გამომცდელად). რის გამო ვერ იზამს? ვისი მიზეზით?

პილდე (სწრაფად). თუნდაც სოლნესის მიზეზით!

რაგნარი. რა თქმა უნდა, ნებას არ მისცემს. ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის! ამიერიდან კაია ზედმეტ ტვირთად ექცევა.

პილდე. თქვენ არაფერიც არ გესმით, თუ ასეთ რამეს ფიქრობთ! მე გეტყვით, რისთვის ესაჭიროებოდა სოლნესს ის გოგო.

რაგნარი. რისთვის?

პილდე. იმისათვის, რომ თქვენ ესაჭიროებოდით.

რაგნარი. ასე გითხრათ?

პილდე. არა, მაგრამ ეს ასეა! ასედაც უნდა იყოს! (გაშმაგებით). მე მინდა, მე მსურს, რომ ასე იყოს!

რაგნარი. ჰოდა, გასაგებია: რაწამსაც თქვენ მოეგლინეთ, კაია დაითხოვა.

პილდე. თქვენ, დიახ თქვენ დაგითხოვათ! როგორა გგონიათ, ძალიან სკირდება ხუროთმოძღვარს ვიღაც გოგოები?!

რაგნარი (ხანმოკლე ღუმილის შემდეგ). მაშ ვითომ ჩემი ეშინოდა?

პილდე. ეშინოდაო? თქვენ ნურც ასე გადიდგულდებით!

რაგნარი. აჰ, უსათუოდ გრძნობდა, დიდი ხანია ხედავდა, რომ

მეცა მაქვს ნიჭი და უნარი... ჰოდა, ცხადია, ეშინოდა. იცით, ის ხომ საერთოდ მშიშარაა.

პილდე. სოლნესი? აბა, დაამტკიცეთ!

რაგნარი. თავისებურად მშიშარაა, დიახ, დიდი ხუროთმოძღვა-რი! სხვა ადამიანებს რომ გზას უღობავს და ბედნიერებას უსპობს — როგორც მე და მამაჩემს გაგვიყეთა — ამისი არ ეშინია. მაგრამ ერთ საცოდავ ხარაჩოზე რომ აცოცდეს, — ღმერთმა დაიფაროს!

პილდე. ოჰ, ერთი გენახათ ისეთ საშინელ, თავბრუდამხვევ სი-მალეზე. სადაც ერთხელ მე ვნახე!

რაგნარი. თქვენ ნახეთ?

პილდე. დიახ, დამერწმუნეთ. მერე, რა თავისუფლად და ამაყად იდგა, როგორ დამშვიდებული ამაგრებდა გვირგვინს ფლუგერის წვე-როზე!

რაგნარი. ვიცი, თავის სიცოცხლეში ერთხელ რომ გაბედა ან-თი რამე. მხოლოდ ერთხელ. ჩვენ, ახალგაზრდებს ამაზე ხშირად გვეკო-ნია ლაპარაკი. მაგრამ ქვეყანაზე ვერაფერს აიძულებს, რომ ეს გაი-მეოროს.

პილდე. დღეს გაიმეორებს ამას!

რაგნარი. (დაცინვით). არ დაიჯეროთ მაგ ამბავი!

პილდე. ჩვენი თვალთ ვნახავთ ამას!

რაგნარი. ვერაფერსაც ვერა ვნახავთ — ვერც მე, ვერც თქვენ

პილდე (მოთმინებიდან გამოსული). მე მინდა ვნახო! მე მინდა და უნდა ვნახო!

რაგნარი. ამას არ იზამს-მეთქი. უბრალოდ, თავს არ ენდობა, რადგან ეს მისი სუსტი მხარეა — დიდი ხუროთმოძღვრისა!

ფრაუ სოლნესი სახლიდან ვერანდაზე გამოდის.

ფრაუ სოლნესი (გარშემო მიმოიხედავს). აქ არ არის? სად არის?

რაგნარი. ბატონი ხუროთმოძღვარი დაბლაა, მუშუბთან.

პილდე. გვირგვინი წაიღო.

ფრაუ სოლნესი (შეშინებული). გვირგვინი წაიღო და წავი-და? აჰ, ღმერთო... აჰ, ღმერთო! ბრუევიკ, გაჰყევიეთ! დააბრუნეთ!

რაგნარი. რა ვუთხრა? რომ მოწყალე ქალბატონს მასთან ლაპა-რაკი სურს?

ფრაუ სოლნესი. აჰ, როგორ არა! სწორედ ასე გადაეცით.

არ უთხრათ, რომ რაღაც უნდა ვთხოვო. უთხარით, სტუმარია-თქო მოსული. ახლავე უნდა მოვიდეს.

რ ა გ ნ ა რ ი. კეთილი. ასე ვეტყვი, მოწყალეო ქალბატონო (ჩადის კიბეზე, ბაღს გაივლის).

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, ფრიოკენ ვანგელ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეშინია, ვაი თუ, რამე მოუვიდეს-მეთქი!

ჰ ი ლ დ ე. განა რა მოხდა საიმისო, რისთვის გეშინიათ?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ნუთუ ვერ გაგიგიათ?! აბა, წარმოიდგინეთ — მართლა რომ განიზრახოს! ხარაჩოებზე ავიდეს...

ჰ ი ლ დ ე (დაძაბული). როგორა გგონიათ, მართლა იზამს ამას?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, კაცმა არ იცის, როდის რა აზრი მოუვა თავში? რასაც გულში გაივლუბს, იმას გააკეთებს.

ჰ ი ლ დ ე. აჰ, გეთყვა, რასა ბრძანებთ? ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ის... ასეთია... მთლად...

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. რა ვქნა, რომ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო ამ კაცზე. აგერ ექიმმაც ისეთი რამეები მიაბო... თუ ყოველივე ამას დავუმატებთ ათასნაირ უცნაურობას, რაც მისგან თვითონ მომისმენია...

დ ო ქ ტ ო რ ი ჰ ე რ დ ა ლ ი კ არ შ ი ი ყ უ რ ბ ა.

ჰ ე რ დ ა ლ ი. მალე მოვა?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. მე მგონია, კი. ყოველ შემთხვევისათვის, კაცი გავაგზავნე.

ჰ ე რ დ ა ლ ი (უახლოვდება). თქვენ მაინც ოთახებში შესვლას გირჩევთ, ქალბატონო...

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ოჰ, არა, არა. აქვე ვიქნები და ჰალვარდს დაველოდები.

ჰ ე რ დ ა ლ ი. მაგრამ აგერ ორი მანდილოსანი გეახლათ...

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. აჰ, ღმერთო, ესლა მაკლდა! ისიც მაინცა და მაინც ახლა.

ჰ ე რ დ ა ლ ი. ერთი ამბობს, ამ ამბავს გვინდა დავესწროთო.

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. ჰო, ჰო, მაშინ მართლაც უნდა ვნახო. ეს ჩემი ვალია.

ჰ ი ლ დ ე. არ შეგიძლიათ, მანდილოსნებს სთხოვოთ, სხვა დროს მობრძანდნენ?

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი. არა, ეს შეუძლებელია. რაკი აქ არიან, ჩემი მოვალეობაა მივესალმო და მივილო... თქვენ კი აქ დარჩით და, როცა ჩემი ქმარი მოვა, დაელაპარაკეთ.

ჰერდალი. ეცადეთ, რაც შეიძლება მეტ ხანს შეიყოლიოთ ბასით...

ჰილდე. ხომ არ აჯობებს, რომ ეს საქმე თქვენ იკისროთ?

ფრაუსოლნესი. დიახ, ღმერთია მოწამე, ეს ჩემი მოვალეობაა. მაგრამ როცა ადამიანს მოვალეობანი სხვადასხვა კუთხესა და მზარეში გაქვს...

ჰილდე (ბალში იყურება). ეგერ, ისიც მოდის!

ფრაუსოლნესი. ჰოდა, სწორედ ახლა... როცა მე სახლში უნდა შევიდე.

ჰერდალი (ჰილდეს). ნუ ეტყვი, რომ მე აქა ვარ.

ჰილდე. ეჰ, რაში მჭირდება! ხუროთმოძღვართან საბაასოდ სხვა რამეს მოვახერხებ.

ფრაუსოლნესი. ჰოდა, მაგრამ შებოკეთ. მე მგონია, თქვენს ავით ეს არავის შეუძლია.

ფრაუსოლნესი და ექიმი ჰერდალი სახლში შედიან. ჰილდე ვერანდაზე რჩება, ზეზე დგას. კიბეზე სოლნესი ამოდის.

სოლნესი. მგონი, აქ ვილაცას ჩემთან ლაპარაკი უნდოდა.

ჰილდე. ჰო, როგორ არა... ეს მე ვარ, ხუროთმოძღვარო.

სოლნესი. აჰ, მაშ, ეს თქვენა ხართ, ჰილდე. მე უკვე მეშინოდა, ვაი თუ, აღინეს ან ექიმს სურთ ეს-მეთქი.

ჰილდე. დიახ, თქვენ საკმაოდ მშიშარა ბრძანდებით!

სოლნესი. მართლა? ასე გგონიათ?

ჰილდე. დიახ, მშიშარა ხართ... ხარაჩოებზე ასელისა გეშინიათ თურმე. ასე ამბობენ.

სოლნესი. ჰო, ეს სულ სხვა საქმეა.

ჰილდე. მაგრამ სიმაღლეზე ასელის შიში ხომ მაინც გაქვთ.

სოლნესი. რაც მართალია, მართალია.

ჰილდე. რისა გეშინიათ? რომ გადმოვარდეთ და კისერი მოიტეხოთ?

სოლნესი. არა, ამისი კი არა.

ჰილდე. მაშ, რისი?

სოლნესი. ზღვევისა მეშინია, ჰილდე.

ჰილდე. ზღვევისა? (თავს აქნევს). ეს ვერ გავიგე.

სოლნესი. დაბრძანდით. მაშინ რაღაცას გეტყვით.

ჰილდე. კი, გთხოვთ! ახლავე მითხარით, რა! (სკამს მისწევს, დაჯდება და მოუთმენლად უყურებს).

სოლნესი (ქუდს მაგიდაზე დაადებს). თქვენ უკვე იცით, რითაღ დავიწყე: სამრეკლოებს ვაშენებდი, იმაზე აღრე — ეკლესიებს.

ჰილდე (თავს უქნევს). ეს ვიცი.

სოლნესი. ხომ იცით, მე ღვთისნიერი გლენიკაცის ოჯახიდან გამოვედი. ეკლესიების შენებაზე მაღალი დანიშნულება თუ იყო რამე, არ მეგონა.

ჰილდე. ესეც გასაგებია.

სოლნესი. და შემძლია ვთქვა, რომ ამ პატარა, საცოდავ ეკლესიებს ისეთი კეთილშობილური, თბილი, გულითადი, მოწიწების გრძნობით ვაშენებდი, რომ... რომ...

ჰილდე. რომ... რა რომ?

სოლნესი. რომ, ჩემის აზრით, ის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

ჰილდე. ის? ვინა?

სოლნესი. ვინა და ის, ვისთვისაც შენდება ეკლესიები ვისი სახელი და დიდებაც ამ ეკლესიებში გაისმის.

ჰილდე. აჰ, ასეა, მესმის! მაგრამ ასე დარწმუნებული ხართ, რომ მამაზეციერი თქვენი კმაყოფილი არ იყო?

სოლნესი (დამცინავი ხმით). კმაყოფილი? ჩემით? რანაირად ლაპარაკობთ, ჰილდე? კმაყოფილი რანაირად იქნებოდა ის, ვინც ტროლებს ნება მისცა ისე მომქცეოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ? ის, ვინც ამ ავსულებს უბრძანა დღე და ღამე ჩემთვის ედარაჯათ, მსახურებად მომივლან ის... ის...

ჰილდე. ეშმაკები...

სოლნესი. დიახ, ყოველნაირი ჭურის ეშმაკები. არა, მე ყოველნაირად ვიგრძენი, რომ ჩემით კმაყოფილი არ იყო (საიდუმლოდ). სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ძველი სახლი ფერფლად იქცა.

ჰილდე. ამის გამო?

სოლნესი. ეს იყო მიზეზი, ნუთუ ვერ გაგიგიათ? შემთხვევამომცა, რომ სრულყოფილი ოსტატი გავმხდარიყავი და უფრო სრულყოფილი ეკლესიები მეშენებინა მისთვის. თავდაპირველად ვერ გამეგო, რა უნდოდა ჩემგან. მაგრამ უეცრად ერთმა გარემოებამ თვალი ამიხილა.

ჰილდე. როდის მოხდა ესა?

სოლნესი. ლისანგერის სამრეკლოს რომ ვაშენებდი.

ჰილდე. ასეც ვფიქრობდი.

სოლნესი. იცით, ჰილდე, იქ, იმ უცხო ქალაქში ჩემს ნებაზე

დავდიოდი და საკუთარ ფიქრებს მივყვებოდი. მაშინ ამეხილა თვალი და ვიგრძენი, რისთვის წამართვა უზენაესმა შვილები. ეს იმისათვის გამიკეთა, რომ სხვა საქმეზე დრო არ დამეკარგა. დამეთმო სიყვარული, ოჯახი, ბედნიერება, გაიგეთ? მხოლოდ ხუროთმოძღვარი იყავიო. სხვა არაფერი. ამრიგად, სიკვდილს დღემდე მხოლოდ მისთვის უნდა მეშენებინა (იციინს). მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა.

პილდე. მერე? რა მოიმოქმედეთ?

სოლნესი. უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავი გამოვიკვლიე და გამოვცადე.

პილდე. მერე?

სოლნესი. შემდეგ შეუძლებელი გავაკეთე. მეც უზენაესს გავუტოლდი.

პილდე. შეუძლებელი?

სოლნესი. უწინ არასოდეს არ ავსულვარ იმ სიმაღლეზე. ვერ ვიტანდი, თავბრუ მეხვეოდა. იმ დღეს კი ავედი.

პილდე (წამოგარდება). დიახ, თქვენ ეს შეესძლოთ!

სოლნესი. და როდესაც კოშკის ზეთაზე ვიდექი, ფლუგერზე გვირგვინს ვკიდებდი, ასე მივმართე: მომისმინე, უზენაესო! დღეიდან მე თავისუფალი ხუროთმოძღვარი ვიქნები. მეც, შენსავით. ჩემს საკუთარ ასპარეზზე, როგორც შენა ხარ შენს მოედანზე. აღარასოდეს არ ავიშენებ ეკლესიებს: მხოლოდ ოჯახურ კერებს ავაგებ ადამიანებისათვის-მეთქი.

პილდე (დიდი ცეცხლოვანი თვალები უტომციმებს). ეს იყო ის სიმღერა, რაც მაშინ ჰაერში გაისმა და მე გავიგონე!

სოლნესი. შემდეგ კი, ასე ვთქვათ, წყალი გადავაგდე მის წისქვილზე.

პილდე. რას გულისხმობთ ამას?

სოლნესი (დაღვრემილი, უხალისოდ). ადამიანებისათვის პატარა სახლების შენება ვერაფერი დიდი ბედენაა, პილდე. გახვრეტლი გროშადაც არა ღირს.

პილდე. ამას ამბობთ ახლა?

სოლნესი. დიახ, რადგან ამას ვხედავ ახლა. ადამიანებს აღარ ესაქიროებათ ეს ოჯახური კერები. ყოველ შემთხვევაში, თავიანთი ბედნიერებისათვის არ სჭირდებათ. არც მე დამჭირებოდა ასეთი კერა. ესე იგი, თუნდაც მქონოდა. (წყნარი, მწარე სიცილით). აი, ასეთი გახლავთ ჩემი დაკვირვების შედეგები, რამდენადაც შემძლია წარსულში გადავიხედო. არსებითად არაფერიც არ ამიშენებია. არც რამე მსხვერ-

პლი გამილია, რათა შენება შემძლებოდა. არაფერი, სრულიად არაფერი, და მორჩა!

პილდე. ჰოდა, ამიერიდან აღარ გინდათ აშენოთ?

სოლნესი (გამოცოცხლებული). პირიქით, ახლა მინდა დავიწყო!

პილდე. რაო, რაო? გაიმეორეთ!

სოლნესი. ამიერიდან მინდა ვაშენო ის, რაშიაც ადამიანთა ქემარტი ბედნიერება ბინადრობს.

პილდე (თვალანთებული შესცქერის). ხუროთმოძღვარო, ახლა ჩვენი ფუჭი ოცნების საპაერო კოშკებს გულისხმობთ.

სოლნესი. დიახ, საპაერო კოშკებს.

პილდე. მეშინია, ვაითუ, თავბრუ დაგეხვათ, ვიდრე ნახევარზე ავალთ.

სოლნესი. არ დამეხვევა, თუ თქვენთან ხელიხელჩაკიდებული ვივლი, პილდე.

პილდე (მოჭუტული თვალის გადავლებით). მხოლოდ ჩემთან? სხვა არავინ იქნება ჩვენთან?

სოლნესი. ვინ უნდა იყოს, როგორა გგონიათ?

პილდე. აი, მაგალითად, ის კაია, მერხთან რომ დგას... ის საცოდავი არსება... ხომ არ აპირებთ იმის აყვანას კიდევ?

სოლნესი. ოჰო! ვატყობ, აღინემ რაღაც ჩაგაწვეთათ წინასწარ!

პილდე. მართალია თუ არა ეს?

სოლნესი (მტკიცედ). ასეთ რამეზე პასუხის გაცემაც არა მსურს. სავსებით მერწმუნეთ ამაში.

პილდე. ათი წელიწადი გერწმუნეთ და მჯეროდა თქვენი, როგორც სალი კლდისა.

სოლნესი. ამიერადანაც უნდა გჯეროდეთ.

პილდე. დიახ, თუ კიდევ გნახეთ მალლა, ისევე თავისუფალი და ძლიერი.

სოლნესი (ყრუდ). მე მინდა ასე გავაკეთო! მე მინდა-მეთქი!

პილდე (თხოვნით). მხოლოდ ერთხელ კიდევ! ხუროთმოძღვარო! გააკეთეთ ეს შეუძლებელი ერთხელ კიდევ!

სოლნესი (დგას ამაყად და პილდეს თვალეზში ღრმად ჩასცქერის). თუ ეს ვცადე, ერთხელ კიდევ უნდა დაველაპარაკო უზენაესს, როგორც მაშინ დაველაპარაკე.

პილდე (უფრო დაქაბული). რა უნდა უთხრათ?

სოლნესი. მინდა ვუთხრა: „მომისმინე, ყოვლად ძლიერი მეუ-

ფეო, და ისე განსაჯე, როგორც გენებოს, მაგრამ დღეიდნ ვაშენებ იმას, რაც დედამიწაზე არსებულ მშვენიერებათა შორის პირველია...”

პილდე (აღფრთოვანებული). ასე... ასე... ასე!

სოლნესი. „...ვაშენებ დედოფალთან ერთად, რომელიც მიყვარს...”

პილდე. დიახ, ასე უთხარით! ასე უთხარით!

სოლნესი. დიახაც ვეტყვი. შემდეგ კი დაეუმატებ: „ახლა მივლივარ ძირს, გადავხევევი ჩემს პრინცესას და ვაკოცებ...”

პილდე. ...მრავალჯერ-თქო! ასე უთხარით!

სოლნესი. მრავალჯერ, მრავალჯერ-თქო, ვეტყვი.

პილდე. შემდეგ კი...

სოლნესი. შემდეგ ამ ქუდს შევაფრიალებ და დავეშვები ძირს, დედამიწაზე, და გავაკეთებ იმას, რაც უზენაესს ვუთხარია.

პილდე (ხელებს აღმართავს). ახლა კი ხელახლა გხედავთ, როგორც მაშინ, როცა ჰაერს თქვენი ამაყი სიმღერა ეფინებოდა.

სოლნესი (თავდახრილი შესცქერის). პილდე, როგორ გახდით ის, რასაც წარმოადგენთ?

პილდე. როგორ მაქციეთ იმად, რადაც მხედავთ?

სოლნესი (მოკლედ და მტკიცედ). დედოფალს ციხე-კოშკი უნდა ჰქონდეს.

პილდე (ტაშს შემოჰკრავს). აჰ, ხუროთმოძღვარო! ჩემი მშვენიერი, ჩემი მშვენიერი კოშკი! ჩვენი საპაერო კოშკი!

სოლნესი. რომელსაც საძირკვლად სალი კლდე ექნება.

ქუჩაში თავს იყრის ბრბო, რაც ხეებს შორის ბუნდოვნად ჩანს. შორიდან, ახალი სახლის მხრიდან, სასულე მუსიკის ხმა ისმის. სახლიდან გამოდის ფრაუ სოლნესი, ბეწვის საყელო მოუხვევია, თან ახლავს დოქტორი ჰერდალი, ხელზე მისი თეთრი შარფი გადაუკიდებია, მათთან ერთად რამდენიმე მანდილოსანიც მოდის. იმავე დროს ბალიდან რაგნარი ამოდის.

სოლნესი. მუსიკაც იქნება?

რაგნარი. დიახ. ხუროების კავშირისაა (სოლნესს). მშენებელთა ათისთავი ამბობს, უკვე მსადა ვარ, გვირგვინი ხარაჩოებზე ავიტანო.

სოლნესი (ქუდს იხდის). მე თვითონ ავალ.

ფრაუ სოლნესი (შეშინებული). რას აპირებ, ჰალვარდ?

სოლნესი (მოკლედ). დაბლა უნდა ჩავიდე, მუშებთან.

ფრაუ სოლნესი. ჰო, დაბლა, ხომ მართალია? მხოლოდ დაბლა.

სოლნესი. ჩვეულებრივ ასე ვაკეთებ ხოლმე... საყოველღეოდ.

(ჩადის კიბეზე და გაივლის ბაღს).

ფრაუ სოლნესი (მოაჯირიდან გადასძახის). ჩემ მაგიერ სთხოვე იმ კაცს, ხარაჩოებზე რომ უნდა ავიდეს, ძალიან ფრთხილად იყოს. დამპირდი, ჰალვარდ!

ჰერდალი (ფრაუ სოლნესს). ხომ მართალი გამოვედი? აკი მოგახსენეთ, ძველ სიგიჟეზე სამუდამოდ აუღია-მეთქი ხელი!

ფრაუ სოლნესი. აჰ, როგორ მომეშვა გულზე! უკვე ორჯერ გამმოვარდა ჩვენი კაცი ასეთ შემთხვევებზე. ორივე იქვე გათავდა- (ჰილდეს მიუბრუნდება). დიდი მადლობა, ფრიოკენ ვანგელ, რომ ასე დააჯერეთ. მე ალბათ ვერასოდეს ვერ გადავათქმევიანებდი.

ჰერდალი (მხიარულად). დიახ, დიახ, ფროილიან ვანგელ, თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ ადამიანის მოჭადოება, თუ მოინდომეთ.

ფრაუ სოლნესი და ჰერდალი მიდიან მანდილოსნებთან, რომლებიც კიბის თავზე დგანან და ბაღის მიღმა იყურებიან. ჰილდე მოაჯირთან რჩება, წინა მხარეს. რაგნარი მიუახლოვდება.

რაგნარი (თავშეკავებული სიცილით). ფრიოკენ, ხედავთ იმ ახალგაზრდებს, გარეთ რომ დგანან, ქუჩაზე?

ჰილდე. ვხედავ.

რაგნარი. ჩემი ამხანაგები არიან, სოლნესს უნდა უყურონ.

ჰილდე. რისთვის უნდა უყურონ?

რაგნარი. ჩემთან ერთად უნდა უყურონ სეირს, თუ როგორ გაუჭირდება სოლნესს თავის საკუთარ სახლზე ასვლა.

ჰილდე. ეს უნდათ ამ ცხვირმოუხოცელ ყმაწვილებს?

რაგნარი (გაბრაზებული და დამცინავი იერით). ხუროთმოძღვარს დიდხანს ვყავდით შეგირდებად, მიწაზე გაკრულები. ახლა ჩვენც გვინდა ვიხილოთ, როგორ დარჩება დაბლა, მიწაზე გაკრული.

ჰილდე. ამას ვერ ნახავთ. ამჯერად ვერა.

რაგნარი (ღიმილით). მართლა? მაშ სად იქნება, სად უნდა ვნახოთ?

ჰილდე. მალა... ფლიუგერთან იხილავთ ხუროთმოძღვარს!

რაგნარი (იციინის). სოლნესს? ვინც ამას დაიჯერებს, ნეტავი მას!

ჰილდე. კოშკის თავზე ასვლა ინება. მალე ნახავთ იმ სიმაღლეზე.

რაგნარი. მაშ, ინება, არა? ეს მჭერა, სიამოვნებით, მაგრამ შეძლებით კი არ შეუძლია. უბრალოდ, ვერ შესძლებს და მორჩა. ნახევარ

სიმაღლეზეც არ იქნება ასული, რომ თავს რეტი დაესხმის, ძირს დაბრუნებას იკადრებს. არა, ის ურჩევნია, ოთხით იხოხოს დედამიწაზე.

პერდალი (ზემოთ უჩვენებს). შეხედეთ! ხუროების ათისთავი კიბეზე აღის.

ფრაუსოლნესი. თან გვირგვინიც მიაქვს. აჰ, ოღონდ კი ფრთხილად იყოს!

რაგნარი (უნდობლად იყურება მალა და იძახის). მაგრამ ეს ხომ...

პილდე (საზეიმო აღფრთოვანებით). ეს ხუროთმოძღვარია!

ფრაუსოლნესი (შეძრწუნებული შეჰკვილებს). დიახ, ეს ჰალვარდია! აჰ, დიდო ღმერთო! ჰალვარდ! ჰალვარდ!

პერდალი. სსუ! ახლა ნუღარ უძახით!

ფრაუსოლნესი (სანახევროდ ჰკუადაკარგული). მე უნდა მასთან ავიდე! ჩემი ქმარი უკან უნდა დაბრუნდეს!

პილდე (გარინდებული, სოლნესს ფვალს აყოლებს). აღის და აღის. სულ უფრო და უფრო მალა. უფრო მალა. შეხედეთ! შეხედეთ!

რაგნარი (სუნთქვაშეკრული, აღელვებული). ახლავე უკან უნდა დაბრუნდეს. სხვა გზა არ არის.

პილდე. აღის და აღის. ნახევარი უკან მოიტოვა.

ფრაუსოლნესი. ო, მე შიში მომკლავს. ამის ყურებას ვერ გადავიტან!

პილდე. აგერ, სულ ზედა ძელზე დგას. სულ ზემოთ!

პერდალი. არავინ დაიძრას! უსმინეთ!

პილდე (სიხარულისაგან აღარ არის, ჩუმად გაუხარია). როგორც იქნა! როგორც იქნა! ახლა მე მას ისევ ვიხილავ, დიდსა და თავისუფალს!

რაგნარი (თითქმის ხმაჩაწყვეტილი). მაგრამ ეს ხომ...

პილდე. ასეთი იყო ის ჩემს წარმოდგენაში მთელი ათი წელიწადი. როგორ მტკიცედ და იმედინად დგას! საშინლად წარმტაცია! შეხედეთ! ახლა ის გვირგვინს დაჰკიდებს კოშკის ზედ თავზე! ზედ წვეტზე!

რაგნარი. აღამიანი რაღაც შეუძლებელს უყურებს!

პილდე. დიხანაც შეუძლებელია, რასაც ახლა დიდოსტატი აკეთებს! (გაურკვეველი გამომეტყველებით). ხომ არ ხედავთ იქ სხვა ვინმესაც?

რ ა გ ნ ა რ ი. სხვა არაეინ არის.

ჰ ი ლ დ ე. არა, არის ერთი ვინმე, ვისაც დიდოსტატი ედავება.

რ ა გ ნ ა რ ი. გეშლებათ.

ჰ ი ლ დ ე. არც სიმღერა გესმით, სივრცეს რომ არღვევს?

რ ა გ ნ ა რ ი. ეს ალბათ ქარია, ხეთა კენწეროებს რომ არხვეს.

ჰ ი ლ დ ე. მე სიმღერა მესმის. ძალუმი სიმღერა! (თავშეუჯავებელი 'საზნებო სიხარულით ატანილი). დიახ, დიახ! ახლა ქუდსაც ააფრიალებს! დაბლა გვესალმება! უპასუხეთ! რადგან ეს არის აღსრულდა დიადი საქმე! (ხელიდან გამოსტაცებს ჰ ე რ დ ა ლ ს თეთრ შარფს, აიქნევს და გადარეული ყვირის). გაუმარჯოს ხუროთმოძღვარ სოლნეს!

ჰ ე რ დ ა ლ ი. გაჩუმდით! გაჩუმდით-მეთქი! ღვთის გულისათვის...

(ვერანდაზე თავმოყრილი მანდილოსნები ცხვირსახოცებს უქნევენ, ქუჩაში თავმოყრილ ცნობისმოყვარეთა ჭგუფებიც ხმამაღლა გაიძახიან მისასალმებელ სიტყვებს. ანაზღად დუმილი ჩამოვარდება და მთელი ბრბო შემაძრწუნებელი შეძახილით გაირინდება. ყველა ხედავს, რომ ადამიანის სხეული მორებასა და ფიცრებს ეცემა და ბოლოს ხეებს შორის გადავარდება ძირს).

ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი და მ ა ნ დ ი ლ ო ს ნ ე ბ ი (ერთდროულად). ვარდება! ვარდება!

(ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი შეკვივლებს და გულწასული დაეშვება დაბლა, საერთო ყვირილსა და ჩოჩოლში მის მანდილოსნები შეაჯავებენ. ქუჩაში თავმოყრილი ბრბო არღვევს ღობეს და ყვირილით შემოიჭრება ბაღში. ჰ ე რ დ ა ლ ი მაშინვე იქით გაეშურება.

(ხანმოკლე პაუზა).

ჰ ი ლ დ ე (ისევ აღმა იყურება და გაქვავებულივით გარინდებული ამბობს). ჩ ე მ ი ხუროთმოძღვარი!

რ ა გ ნ ა რ ი (ღობეს ეჭიდება აკანკალებული). დაფქვილი იქნება. სული მიწამდე არ დაჰყვებოდა.

ე რ თ-ე რ თ ი მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი (ვიდრე ფ რ ა უ ს ო ლ ნ ე ს ი შინ შეჰყავთ). გაიქეცით ექიმთან...

რ ა გ ნ ა რ ი. ფეხი არ მემორჩილება...

მ ე ო რ ე მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. მაშინ დაუძახეთ მაინც ვინმეს დაბლა!..

ხ მ ა (ბალიდან). როგორ არის? ცოცხალია?

მ ე ო რ ე ხ მ ა (უფრო ახლოდან). თავი ერთიანად დამსხვრეული აქვს... პირდაპირ ქვის სამტეხლოზე დაეცა.

პილდე (რაგნარს მიუბრუნდება და წყნარად). ახლა მორჩა,
ზემოთ ველარ ვიხილავ.

რაგნარი. საშინელებაა. სურდა, მაგრამ აღარ შეეძლო.

პილდე (წყნარი, მაგრამ რაღაც გიჟური ალტკინებით). მაგრამ ის
უმაღლეს მწვერვალზე ავიდა, კოშკის წვეროზე იდგა! მე გავიგონე მისი
ქნარის ხმა, ლაყვარლებში რომ უღერდა (შარფს აქნევს და შეშლი-
ლის სინარულით გაიძახის). ჩემი... ჩემი ხუროთმოძღვარი!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორის წინასიტყვაობა — თარგმან აკაკი გელოვანია	7
კატილინა — თარგმან ვახტანგ გეგუკელია და აკაკი გელოვანია	12
ხუროთმოძღვარი სოლნისი — თარგმან აკაკი გელოვანია	127

რედაქტორი მ. რუხაძე
მხატვარი ჭ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ლ. ცინცაძე
გამომშვები ა. სააკაძე

ნ. ბ. 5637

გადაეცა წარმოებას 9.03.88. ხელმოწერილია დასაბუქდად 7.12.88. საბუქდი ქალაქი № 2. 60X84¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,56. პირ. სალ.-გატ. 13,03. საალრ.-საგამომც. თაბახი 9,37.

ტირაჟი 10.000. შუკვ. № 700.

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательства, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.